

**ხარიტონ ახვლედიანის სახელობის  
აჭარის მუზეუმი**



**მუზეუმის მასშნა  
VII**

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის

აჭარის მუზეუმი



მუზეუმის მაცნე

VII

ედვინება ხარიტონ ახვლედიანის დაბადების

110 წლისთავს

ბათუმი 2014

მთავარი რედაქტორი

გოდერძი ტოტოჩავა

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი ნუგზარ მგელაძე  
პროფესორი ოთარ გოგოლიძე  
დოქტორი თემურ ტუნაძე  
ექსპერტი შიძინა აფხაზავა

სამდივნო: რუსუდან კობრავა

ნანა ქორიძე  
ნანული სეზუსა  
ზაალ შენგელია  
თინათინ ფაღავა  
დონარი დოლიძე  
თამარ ჭარიელაძე

ISSN 1987-6807



## ოთარ გოგოლიშვილი თამაზ ფუტკარაძე

### ხარიტონ ახვლედიანი-110

ხარიტონ ახვლედიანის მიერ განვლილი შინაარსიანი შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი გულწრფელობით, სიყვარულითა და თავდადებით უნდა ემსახუროს მკვლევარი საუკეთესო იდეალებს, ეროვნულ მეცნიერებასა და კულტურას. გამოჩენილი მეცნიერი, ბროლივით სუფთა კაცი, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე დაუღალავად, უხმაუროდ, გულმხურვალედ და უპრეტენზიოდ ემსახურებოდა მშობლიური ისტორიის წარმოჩენის დიდ, ეროვნულ საქმეს, იცავდა ეროვნულ საგანძურს და ასევე უხმაუროდ, თითქოს ფეხაკრეფით წავიდა ამ ქვეყნიდან. ვისაც ჰქონია ამ ნათელ კაცთან შეხების ბედნიერება, მუდამ ვალში იქნება მის მიმართ, რადგან შეუძლებელი იყო მისი სილადის, სიბრძნის ბავშვური გულჩვილობის, ხასიათის სიმტკიცის, დიდი პასუხისმგებლობის, ცხოვრებისა და შემოქმედების რომანტიკული გააზრების, ადამიანური მომხიბვლელობის სიკეთე არ განეცადა.

დღეს, როცა ჩვენს წინაშეა ხარიტონ ახვლედიანის ნახევარსაუკუნოვანი ნამოღვაწარი, ყველასათვის ცხადია, რომ მისი სახით იყო ერის ფიზიკური და სულიერი ერთობისათვის დაუღალავი მებრძოლი, წინაპართა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი.

1921 წელს, იგი მახინჯაურის ახლადგახსნილი სკოლის მოწაფე გახდა. ამ სკოლის პირველი გამგე და ქართული ენის მასწავლებელი იყო ფოკა ცქვიტინიძე, სიკეთითა და პატიოსნებით აღვსილი პიროვნება.



1931 წელს ხარიტონ ახვლედიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა (ფილოსოფიის განხრით). აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში, აირჩიეს პარტიული კომიტეტის წევრად და სტუდენტთა ქალაქის მმართველობის მოადგილედ. ბატონმა ხარიტონმა თავი გამოიჩინა როგორც წარჩინებულმა სტუდენტმა. დიდი წარმატება ხვდა მის სადიპლომო ნაშრომს. სამეცნიერო საბჭოს წევრებმა (ს.ჯანაშია, ად. ნამორაძე, შ.ნუცუბიძე და სხვა) მასში დაინახეს მომავალი მკვლევარი.

1932 წელს ბატონმა ხარიტონმა მეუღლე წაიყვანა თბილისში. მალე შვილებიც შეეძინა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ოჯახური ბედნიერება. 1938 წელს ვაჟი გარდაეცვალა, 1945 წელს-ქალიშვილი, 1953 წელს კი უკანასკნელი იმედი-ჯამბულიც გამოეცალა ხე-

ლიდან. ამ უმძიმესმა ტრაგედიამ ვერ გასტეხა ეს რკინის კაცი. იგი ყოველთვის ახალგაზრდული შემართებით აგრძელებდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ბატონი ხარიტონის ნიჭი და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აკადემიკოსებს - ივანე ჯავახიშვილსა და ნიკო ბერძენიშვილს. მეცნიერის დისერტაციის დაცვაზე საგანგებო სიტყვა წარმოსთქვა აკად. ნიკო ბერძენიშვილმა. საკვალიფიკაციო ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხ.ახვლედიანი ჯერ ბათუმის სახალხო განათლების განყოფილებას უდგას სათავეში, ხოლო 1938 წლიდან ინიშნება ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად. აქედან იწყება ხ. ახვლედიანის მეცნიერული ბიოგრაფია. სულ მალე იგი გახდა საყურადღებო გამოკვლევათა ავტორი.

1944 წ. ს. კაკაბაძის რედაქტორობით გამოიცა ხ. ახვლედიანის შესანიშნავი მონოგრაფია „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან“. ამ წიგნის გამოსვლას ჰქონდა დიდი მეცნიერული ღირებულება და შემეცნებითი მნიშვნელობა. ჩვენი მკითხველი არ ყოფილა განებივრებულუი მსგავსი ნაშრომებით. ნაშრომში განხილულია მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხები, მატერიალური კულტურის ძეგლები - სულიერი ცხოვრების საინტერესო მომენტები.

1946 წელს გამოდის ხ.ახვლედიანის მომდევნო მონოგრაფია „აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში (რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი). ნაშრომში ავტორისეული ლოგიკით წარმოჩნდა აჭარის მოსახლეობის მძიმე ყოფა უცხოელთა ბატონობის ეპოქაში, ნაჩვენებია, რომ აჭარმა მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული ყოფისა და კულტურის ზო-

გადეთნიკური ელემენტები, რითაც იგი დაუპირისპირდა თავსმოხვეულ ცხოვრების წესს, რომ აჭარის მკვიდრნი არასოდეს შეეგუებიან უცხოელთა ბატონობას და გამუდმებით იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ. იგივე აზრია გატარებული ღვაწლმოსილი მეცნიერის მომდევნო ნაშრომში „სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1957 წლს პროფ. მამია დუმბაძის რედაქტორობით, მდიდარ საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით წინა პლანზეა წამოწეული აჭართა ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებანი. ავტორი დიდ შეფასებას აძლევს სელიმ ხიმშიაშვილის მოღვაწეობას და საბრძოლო საქმიანობას. ამ ნაშრომს მალე მოჰყვა ცნობილი მეცნიერების გამოხმაურებანი და შესანიშნავი რეცენზიები.

მეტად მრავალმხრივია ბატონი ხარიტონის მეცნიერული ბიოგრაფია. მის ნაშრომებში აისახა ჩვენი კუთხის ისტორიის თითქმის ყველა ეპოქა. განსაკუთრებული აღიარება მოჰყვა მის ღრმაშინაარსიან მეცნიერულ პუბლიკაციებს: „ნებიერიძის მოგონებანი ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-ბიჭების მოტაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ“, „სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი“, „ხიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის“, „აჭარის ისტორიიდან“ და სხვა. საგანგებოდ დასაფასებელია ხ. ახვლედიანის ღვაწლი ბიბლიოგრაფიული მუშაობის დარგში, ბატონ ხარიტონს კარგად ესმოდა ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა, როგორც ლოცმანისა, რომელიც გზას უნათებს ყველას, ვინც სწავლობს, თავისთავზე მუშაობს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკვლევარებს-ადვილად გაერკვნენ დიდძალ ლიტერატურაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით მკვლევარმა საჭიროდ ცნო შეედგინა აჭარის

ბიბლიოგრაფია, 1951 წელს გამოიცა მისი „აჭარის ბიბლიოგრაფია“. აღნიშნული ნაშრომები მკვლევარის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. სამწუხაროდ ეს წიგნები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მართო ამ სექელტანიანი წიგნების შექმნაც კი საკმარისი იქნებოდა ერთი პიროვნების ტიტანური მეცნიერული მემკვიდრეობისათვის. კარგი იქნება - ხ.ახვლედიანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ამ ნაშრომების ხელახალი გამოცემა.

დიდია ამაგდარი მეცნიერის ღვაწლი ფოლკლორული და ეთნოგრაფიულ მასალების შეგროვების თვალსაზრისითაც, მის კალამს ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რამდენიმე ასეული პუბლიცისტური წერილი, მაგრამ მაინც განსაკუთრებულია ის ღვაწლი, რომელიც მან დასდო სამუზეუმო საქმის განვითარებას. ხუთი ათეული წელი სათავეში ედგა აჭარის ერთ-ერთ უძველეს სამეცნიერო კერას - მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ნივთიერი მასალების მნიშვნელობა მუზეუმის არსებობისათვის.

„მუზეუმი მეტყველებს ექსპონატებით“ - იტყოდა ხშირად და თავისი მოღვაწეობის დიდი ნაწილი ნივთიერი ძეგლებისა და წერილობითი მასალების შეგროვებას მიუძღვნა. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო არაერთი კომპლექსური და თემატური სამეცნიერო ექსპედიცია, მეცნიერულ სიმალლეზე დადგა კოლექციების შეგროვება-დამუშავების საქმე. მისი ინიციატივით მუზეუმში შეიკრიბა უნიკალური ნივთიერი მასალა, წერილობითი წყაროები, ფოტოდოკუმენტები, ძვირფასი წიგნები, პერიოდული პრესა და სახვა.

ხანგრძლივი, მეტად მძიმე, მაგრამ მაინც ღრმა შინაარსიანი იყო ბატონ ხარიტონის ცხოვრება და მოღვაწეობა, ბოლო ამოსუნთქვამდე ემსახურებოდა ეროვნულ იდეალებს, იყო მკაცრი, მომთხოვნი, უაღრესად ადამიანური. მეოცე საუკუნის კაცი ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან. ბევრიც დარჩა გასაკეთებელი, მაგრამ მისი მაღლიერი კოლეგები, ახლობლები აგრძელებენ ბატონი ხარიტონის მიერ დაწყებულ სამვილიშვილო საქმეს.

## გოდერძი ტოტოჩავა

გთავაზობთ რამდენიმე სტატიას ხარიტონ ახვლედიანის (კირისილოლლის) წიგნიდან „ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16, მე-19 საუკუნეები), რომელიც აჭარის სამხარეთმცოდნეო კვლევითი ინსტიტუტის დაკვეთით გამოსცა აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ. ბათუმი 1944 წ. ტირაჟი 2000 ც.

საინტერესოა რომ ბატონ ხარიტონს (ხუსეინი) თავის გვართან – ახვლედიანი – ფრჩხილებში მიწერილი აქვს თურქული გაფორმებით გვარი კირისილოლი, ახვლედიანების ერთ-ერთი შტოს კირილეს შვილები (ოლი). სწორედ წიგნის გამოცემის პერიოდისათვის ბევრი ადგილობრივი,

ძირითადად ბათუმში და მის შემოგარენში, დაუბრუნდა ძირძველ ქართულ გვარებს. ზუსტად ამას უსვამს ხაზს ბატონი ხარიტონი, რომ ის აღარაა ხუსეინ კირისილოლი, არამედ არის ქართული გვარის ხარიტონ ახვლედიანის ნარკვევების შინაარსშიც გამოსჭვივის ხაზგასმული ქართველობა, წერილებში ნაკლებადაა მარქსისტული კონიუნქტურა. წიგნი იმ პერიოდში აკრძალულად გამოცხადდა.

მისი წიგნების რედაქტორები არიან პროფესორი ნ. ბერძენიშვილი, ამ შემთხვევაში პროფესორი ნ. კაკაბაძე.

ვფიქრობთ დღევანდელი მკითხველიც დიდი ინტერესით გაეცნობა ამ სტატიებს.

რამდენიმე სიტყვა  
აჭარა-ქობულეთის და გურიის  
ურთიერთობის შესახებ

აჭარა შეიძლება, საერთოდ და უმთავრესად, ორად დავეყოთ. ნამდვილი აჭარა არის ზემო და ქვემო აჭარა, ხოლო ქობულეთი კი მცხოვრებთა ზნეჩვეულების მიხედვით არაფრით განსხვავდება გურიისაგან, ისე როგორც აჭარა – მესხეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ თურქებთან და ისლამთან მოხდა მათი ასიმილაცია. ძირითადი თვისებები მაინც შენარჩუნებული აქვს ორივე კუთხეს. ქობულეთისა და ბათუმის რაიონები ლაზისტანამდე და მდ. აჭარისწყლამდე გურიის სამფლობელოს შეადგენდა. არსებობს ასეთი აზრიც, რომ მე-15 საუკუნეში გურიელების დინასტია იმყოფებოდა სოფ. ალამბარში (ქობულეთის რაიონში). ისტორიულად ცნობილია, რომ გურიელების წინაპარი 1483 წლის ახლოს ვარდანისძე კახაბერი გურიელი ყოფილა. აკად. მარი ბროსე გურიელების დასაწყისს საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის დროს უჩვენებს. 1360 წლის ახლო. „ბაგრატის მეფობის მეორე წელს, სწერს ის, სვანებმა აიღეს და დასწვეს იმერეთის დედაქალაქი. ეს რომ მეფემ გაიგო, გადავიდა იქ ჯარით, რომელიც შეკრებილი იყო იმერეთის ყველა კუთხიდან. მისი მოსვლისთანავე სვანები მსწრაფლ დაბრუნდნენ თავის ხეობებში. ამათი ერისთავი ვარდანისძე მეფემ გაგზავნა გურიაში, სადაც ის შეიქმნა წინაპრად მთავრის გვარის გურიელებისა, ხოლო სვანეთში ერისთავად მეფემ გელოვანი დანიშნა” (ბროსე მარი, „საქართველოს ისტორია”. I ნაწილი, გვ.218-219).

დ.ზ.ბაქრაძე გურიელების შესახებ შემდეგ აზრს გამოთქვამს: ქართულ მწერლობაში ამ გვარით იხსენება პირველად კახაბერი ცოლით ანათი 1352 წელს (შემოქმედის ნაწერებში). მეორე კახაბერივე, შვილი ერისთავთ-ერისთავის დადიანი გიორგისა (ჯუმათის წარწერებში) – დადიანის შვილი უნდა იყოს, რომელიც მე-16 საუკუნის

მეორე ნახევარში ცხოვრობდაო. მესამე კახაბერი კი იხსენება 1483 წ. ბაქრაძე ფიქრობს – როსტომ გურიელით იწყება გურიელების სამთავრო 1564 წლიდანო. როსტომმა დიდი ბრძოლა აწარმოვა თურქეთის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ უთანასწორო ბრძოლაში მან დაჰკარგა ქობულეთი და მისი მხარე ლაზისტანამდე.

აჭარაში ცნობილია კახაბერი და მის სახელს დღესაც იხსენიებენ აქ. ბათუმის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდ. ჭოროხიდან მდ. აჭარისწყლამდე ამ ვებერთელა მინდორ-ველს კახაბერი ეწოდება. კახაბრის და მისი ბრძოლების შესახებ დღემდე არის ხალხში დარჩენილი თქმულება. როცა კახაბერმა შეკრიბა ჯარი ყველა კუთხიდან თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, მას მაშინ უთქვამს: ჩვენს წინაპრებს თითო მტკაველა მიწა შენარჩუნებული ჰქონდათ თითო ჩაფი სისხლითო. მაშინ ხალხს უთქვამს, რომ ყველა კაცი – კაცია, ხოლო კახაბერი კი სულ სხვაო.

თუ როგორ წაართვეს ბათუმი გურიელებს – ამის შესახებ ზემოთ იყო თქმული.

პირველად გურიაზე თურქების შემოსევა მომხდარა დაახლოებით 1565 წელს. იყო დრო როდესაც ჭანეთი და აჭარა შედიოდნენ გურიის სამფლობელოში. ამას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც აღნიშნავს გონიოს ციხის მიერ წართმევას. „ხოლო ოსმალთა (ხსენებულ შემოსევის შედეგად) აღაშენეს ციხე გონია და შემოვიდნენ, მოსწყვიტნეს და მოსტყვევნეს ჭანეთი და აჭარა და დაიპყრეს თავისად, რამეთუ ეპყრა (მანამდის) იგინი გურიელისა” (ვახუშტი ბატონიშვილი, „იმერეთის ისტორია”, 1687-1744 წწ., გამოცემული ს. ჭიჭინაძის მიერ, თბილისი 1902 წ. გვ. 10).

შემდეგ თურქებმა დაიწყეს ბრძოლა გურიისა და იმერეთის ხელში ჩასაგდებად. ისინი ყოველ ზომას ხმარობდნენ ამ მიზნის მისაღწევად. ზ. ჭიჭინაძეს თავის ნაწარმოებში მოყვანილი აქვს ერთი მაგალითი: 1798-99 წელს ვინმე გურიელი გიორგი სტამბოლში წასულა და მიუღია მაჰმადიანობა და სულთანს მისთვის დაურქმევია ალი, დიდი ჯარი გამოუტანებია და შემდეგ შეჰპირებია – თუ გურიას დაიმორჩილებ და

გამაჰმადიანებ, მაშინ შენ ფაშობას გიბოძებო. ამ იმედით ალი გურიელმა ჯარი მოიყვანა ქობულეთში და თვითონ წავიდა საქმის მოსაგვარებლად.

თუ გურიელები მას ნებით არ დაემორჩილებოდნენ, მაშინ აპირებდა მათ ძალად დამორჩილებას. გურულებმა გაუგეს მას განზრახვა და მისვლის მიზანი, დაიჭირეს ის, მიაკრეს ხეზე და მოჰკლესო.

1805 წლის 26 იანვარს ლევან გურიელის წერილში – იმერეთის მეფის კარზე რუსეთის წარმომადგენლად მყოფ ლიტვინოვისადმი აღნიშნულია მათი მფლობელობისა და ბათუმ-ქობულეთის თურქეთის მიერ წართმევის შესახებ შემდეგი: „რადგან რომ ღმერთმა ინება და ჩვენ თქვენს (ე.ი. რუსეთის) საფარველშიდ შემოვედით, ჩვენი ამბავი თქვენ უნდა მოგახსენოთ სრულიად ჭეშმარიტი. ხინო და ქობულეთი რომ დაკარგული გვაქ, ოცდაათი წელიწადია. ჩაქვი და ბათუმი რომ დაკარგული გვაქვს ოთხმოცი წელიწადია. ღვინის პალოს აქეთ ჩვენი ყოფილა, აჭარა, მაჭახელი სულ მგრგვლივ, მაგრამ რამდენი წელიწადი არის მას აქეთ, ის ჩვენ არ გვახსოვს, ყმაწვილი გახლავართ და ეგების ცხოვრებაში ვნახოთ და კიდევ ბეჯითს მოგახსენებთ. ეს ალაგების სახელები, რომ მოგახსენოთ, ყველა ზორბისაგან (ე.ი. მოლატისაგან) წართმეული გვაქ, თორემ ხვანთქარს არ წაურთმევია. ჩვენი გონება იმას ვერ მისწვდება და არც ჩვენგან ითქმის, რომ თქვენს საფარველს ქვეშედ მოვედით, იმის სიხარულის თქმა” (Акти К.А.К.Т. II, Тиф. 1868 г. (1802-1806 гг. стр. 544).

**გურიის საზღვრების აღწერა მამია გურიელის მიერ.** „გამოცხადება საზღვართა გურიისათა, რომელიცა პირველად ჟამსა მეფისა თამარისას იყო აღწერილი. არს მოთხრობასა შინა საქართველოსა წიგნისასა: პირველი საზღვარი, რომელსაც ოსმალნი ქემურ უხმობენ და ჩუენც გურიელნი რკინის პალოდ. მას აქვს სოფლები: ხოფა და ვიეწ, ციხე და სოფელი გონიად სახელ-დებული, სოფელი და საბალახე, ზამთრით პირუტყვთ სამყოფი და კახაბერი, რომელსა თვით ერთს გურიის უფლისწულს წინად ხვედრია და სახელიც ის რქმევია და თავის სოფლისთვისაც ის სახელი დაუძს კახაბერი. ბათუმი

ქალაქი და ლიმენა, სოფელი ჩაქვი, რომელს ჟამს დააკლდა გურიის საზღვარს, რიცხვით წელიწადს მახსოვარი არა ვართ და ჟამი ეს ვიცით, რომ გურიელს გიორგის სჭერია. მეორე მთავრობა მამის ჩვენისა, მესამე ჩვენი (არის). ციხის ძირს აქეთი სოფ. ქობულეთი, ხინო ოცი წელია, რომ მამა ჩვენს დააკლდა, არა თუ ხონთქარისაგან, არამედ მოხუცებულობის უძღურებით შემოაკლდა” და პასუხის მიცემა არ შეეძლო. ქრისტიანნი მეზობელნიც შეწვევის ნაცვლად ძალს გვატანდნენ, ხალხიც უსჯულოებაზედ მიდრკა და ახალციხის ფაშას სთხოვეს და თავიანთი ბეგი დაისვეს პატრონად, რომელმაც აღაშენა მცირე ქალაქი კინტრიში ჩვენს სამკვიდრო ადგილში. ლიმენაც იქ არის, რომელსაც გურიელნი თავის ძლიერების ჟამშიდ თავის ხომალდს იქ ასაქმებდნენ. ეს ადგილი რომ დაგვაკლდა, ექვსი წელიწადი არის. აჭარა, მაჭახეთი მთის ადგილებია, საზღვარი მისი საათაბეგოზე მიაწევს, სწორებით არ ვიცით, თუ საათაბეგოს ტახტისა არის, თუ არა, მაგრამ ეს ვიცით, რომ გურიელებს მრავალჯერ სჭერია, მთისაგან პირუტყვის ბაჟსა და პურს, რომელიც ნაპირზე მსახლობელნი არიან, ახლაც მოგვეცემენ ძველის დადებულიობით. როდესაც იმერეთი ოსმალის ხელით იყო, იმ ჟამს აიღებდენ სახვანთქროთ გურიიდან კომლის თავზე თვით აბაზის ტილოს. სხვა მოსავალი (გურიიდან) გურიელებისა იყო, რომ ხონთქარისაგან თავისი ხელმოწერილი თავისუფლების წერილიც გვაქვს, როდესაც ქუთაისი აიღეს. მეზობელ ოსმალთაც მტრობა და ტაცება დაიწყეს. ჩვენც მსგავსად პასუხს ვამღევდით. დღესაც შფოთი და ურთიერთ მტრობა არის, თორემ მას მერმეთ ხონთქარს გურიიდან არაფერი მისცემია. ესეც მოიხსენეთ, რომ მეფის თამარის შემდგომად იმერეთის მეფეს გურიელის ოჯახი მონად არა ოდეს ყოლია, თუმცა მეზობლობით და სიყვარულით ოდესმე მტერზე ჯარით მოვეხმარებოდით ან იარაღი რამ მოეწონებოდათ, ითხოვდნენ, მივართმევდით. სამაგიეროდ ისინიც ეგრეთ გვიმეზობლებდნენ, თორემ სხვა გადასახადი მათი მისაცემელი არასოდეს ყოფილა, არამედ ვიყვენით თავისუფლად, სრულის ჩვენის შეტყობით ვამტკიცებთ. გურიელი მამია; გურიელის ძე ქაი-

ხოსრო (Акти К.А.К.Т. II, Тиф. 1868 г. (1802-1806 гг. стр. 539).

აი, როგორ არის აღწერილი ეგრეთ წოდებულ ახალ ქართლის ცხოვრებაში გურიის საზღვრები: „ხოლო გურიელისა ეპყრა რიონს გაღმართი საჯავახო, იმას აქეთი გამოსწურივ ღომის ციხეს გარდმოღმართი, ერგე, აჭარა და ჭანეთი, რკინის პალოს აქათი“. 1828 წლიდან, როდესაც გურიაში დამყარდა რუსეთის მართებლობა, ქობულეთის ბეგებს თავდგირიძეებს უხდებოდათ საქმითი ურთიერთობის დაკავება გურიის უფროსებთან. აქვე მოგვყავს მასალები გურიის-ოზურგეთის და ქობულეთის უფროსების ურთიერთობის დასახასიათებლად. აი, მაგალითად, ქობულეთის ბეგის წერილი: „თქვენო მაღალ ხარისხოვნებავ მოწყალე ხელმწიფევ გურიის უზდის ნაჩაღნიკო. სამფლობელოს შინა ჩვენსა ჭავანას (ჭვანა) მცხოვრებმან ყმამან ისმეილ ჩილოღლიმ მევედრა, რომელიც ქონებათ ასაღებად ვალი თქვენს ქვეშემრდობს ეშე ერისთავის ასულზე ოცდა ხუთი მანეთი ვერცხლის ფული და კიდევ მის ძეს მალაქია ბატონის შვილზედ სამოცი მანეთი ვერცხლის ფული და გთხოვ უბოძოთ ამ ღარიბს ღირსეული კმაყოფილება რომელისათვის ვიქმნები დიდი მადლობელი. თქვენი მაღალხარისხოვნების მორჩილი-მოსამსახურე ვიაღეთი ჩილდარას ყაიმეკამი სელიმ-ფაშას ძე აბდი ბეგი. წელსა ჩემ-სა (1840 წ.) ქრისტეშობის თვის დღესა“. (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი).

მოგვყავს ედემ-ბეგ თავდგირიძის წერილი გურიის მაზრის უფროსის სტაროვისადმი ქობულეთის მცხოვრების ბაჯელიძისათვის შვილის წართმევის შესახებ: „თქვენო მაღალკეთილშობილებავ სრულიად გურიის ნაჩაღნიკო მიხეილ, მოწყალეო ხელმწიფევო.

აქ პირველად უმდაბლესად თავს დაგიკრავთ და თქვენს უვნოდ ბრძანებას ვისურვებთ. გარდა ამისა ეს რავარი საქმე არის, სტუმრის დაჭირვა გარიგებულ ქვეყანაში, რავარ იქნება ჩვენს მამულში მცხოვრები თათრის ბაჯელიძე თავისი ცოლით და შვილით ესტუმრა ქალის მემკვიდრე ძმის გურიანთის მცხოვრებს სათავადო ყმას გოხიძეს და შვილი წაართვეს თათრის

შვილია ჩვენ ვიწერებით და მაგიორს პასუხს თავადები არ იძლევიან მე ახლა განსაკუთრებით შენ გწერ. ასე მებრძანა მე აჰმედ-ფაშასაგან-გურიის ნაჩაღნიკს მისწერეო და თუ არა ისმინოსო, მამცნეო, რომელი მე წარუდგენ იმ მთავარმართებულისადმიო. ამ საქმეზე თვითონ ფაშას შვილმა მოგახსენათ წერილით და წარმოგზავნა, აცხადეთ და მას მეორედ აღარ ინებედ. ნუ ინებებ. მერწმუნე, რომ ამა საქმეზე ორი სამი დაიჭირება და მთავრობასა თქვენ უგეთ პასუხი. ეს გარიგება აღარ უნდა იყოს თავისი ცოლშვილს ართმევენ, სამართალი ვისაც ნებავს, ჩვენზე წარმოგვიდგინე და სამართალით გავისტუმრებდ. მტრობა რა საქმე არის. თუ შენსა და ჩემს შუვა წყენას არ აყენებდე, ამ მამასა მისსა იბრაგიმისა თავისი შვილი მიაცემინედ ვისიძმე იყვენენ, გთხოვთ გულისმოდგინებით, იცოდე. მაქვს პატივი მდაბალმსახურებისამებრ თქვენისა თავადი თავდგირიძე ედემ-ბეგი ქობულეთისა. ჩყლდ-სა აგვისტოსა კზ-სა“ (1834 წ. 2 წ. აგვისტო), (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი).

გურიელებსა და ქობულეთის თავდგირიძეებს შორის თურქების დროს საზღვრის საკითხზე ხშირად იყო უკმაყოფილება გადასვლა-გადმოსვლისა და საზღვრებზე მდებარე გურიის ტერიტორიის დაპატრონების შესახებ. მაგალითად, 1841 წლამდე ხასან-ბეგ თავდგირიძე პატრონობდა გურიის სოფლებს, რომლებიც საზღვრებთან მდებარეობს და მცხოვრებლებს გურულ გლეხკაცობას ახდევინებდა გადასახადს მიწაზე, ტყეზე, საბალახოებზე და სხვა.

გურიის საზღვრებზე ქობულეთის ბეგები თავდგირიძეები ძალით იტაცებდნენ გურულების კუთვნილ მიწებს. მაგალითად, 1835 წელს ედემ-ბეგ თავდგირიძე ჩოლოქის საზღვრებზე და სოფ. ქაქუთში მიწებს დაეპატრონა. ამ ადგილებიდან რუსეთის პოსტები განდევნა და ააგო თავისი სიმაგრეები.

1840 წ. როცა რუსეთ-ოსმალეთის კომისია საზღვრებს ასწორებდა, მაშინაც ჰქონდა ადგილი მთელ რიგ გაუგებრობას საზღვრების მოწესრიგების დროს, თურქეთის კომისიის წევრებს აშინებდნენ. ეს დავა გრძელდებოდა რამდენიმე წლის განმავლო-

ბაში. ამ საკითხზე რუსეთის და თურქეთის მთავრობებს შორის გაჩნდა მიწერ-მოწერა. ამის შესახებ სწერდნენ საზღვარგარეთული პრესის წარმომადგენლებიც. ბოლოს თურქეთის მთავრობამ მოიმიზეზა, თითქოს ხასან ბეგ თავდგირიძემ არ იცოდა საზღვრებიო. მდგომარეობის გამწვავების გამო კვლავ შეიქმნა საზღვრების დამაზუსტებელი კომისია. კომისიაში შედიოდა ხასან-ბეგის ძმა ზაუტა-ბეგი ქობულეთიდან. თურქეთიდან იყო ახმედ-ფაშა სინპისა (წარმოშობით ქართველი – გურული, ჩიბათელი ჭყონია, რომელიც ცნობილია, როგორც სასტიკი ფაშა, მაგრამ როგორც ჩანს, ახმედ ფაშაში მომხდარა ერთგვარი აზრის შეცვლა და შემდეგ მას დიდი ხალისით დაუთვალა იერებია თავისი სამშობლო ჩიბათი, ჩოჩხათი და სხვა სოფლები ქობულეთის საზღვრამდე.

ახმედ-ფაშა ხალხს ქართულად ელაპარაკებოდა, ამ დროს ქობულეთელები, თავდგირიძის მეოხებით, ძალიან უთავბოლობას იჩენდნენ და არავის ემორჩილებოდნენ. 1844 წელს, როდესაც კომისია საზღვრების გასასწორებლად მუშაობდა მას ხელს უშლიდნენ და ზაუტ-ბეგის ხელმძღვანელობით ქობულეთის ბეგები და ალბი აწარმოებდნენ კომისიაზე თავდასხმას, ჩხუბს, ლამძღვა-გინებას. თუ ამ ადგილებს სხვას დაუთმობთ, ჩვენ ვერ ვიცოცხლებთო, სულ ერთია, თქვენ, რომ მისცეთ, ჩვენ მაინც არ მივსცემთო და სხვ. მაგრამ კომისიამ საკითხი გადაწყვიტა რუკების მიხედვით. (დაადგინა ძველი საზღვრები), თუმცა შემდეგ ეჭვობდნენ, რომ ახმედ-ფაშა, ალბათ როგორც ქართველი, ქართველებს დაეხმარებოდაო.

## იმერეთის მეფის სოლომონის ბრძოლა ჩაქვში

თურქეთის ისტორიულ წყაროებში არის მოთავსებული ცნობები სოლომონ მეფის ბრძოლებისა და მისი თურქეთ-რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. თარიღი ჯეკედეთი აღნიშნავს ჩაქვში სოლომონ I-ის დროს მომხდარი ამბების შესახებ. სოლომონ მეფის საზღვრებს არღვევდნენ თურქები და მოსაზღვრე ხალხს აწიოკებდნენ. ამის შესახებ თურქეთიდან ჩილდირის (ახალციხის) ფაშისაგან სოლომონ მეფე ღებულობდა შემდეგს პასუხს: თქვენი საზღვრების დამრღვევნი არიან აჭარლები, რომლებიც ჩვენ არ გვემორჩილებიანო. ასეთი სიტყვებით ცდილობდა ჩილდირის ფაშა სოლომონ მეფის მოტყუებას. სოლომონ მეფე იძულებული გახდა ასეთი მდგომარეობისათვის ბოლო მოეღო და გადასწყვიტა თურქებზე თავდასხმა. ეს განზრახვა გაუგეს მას. სოლომონ მეფე დაბა ჩაქვში შეიჭრა და აიღო ის, მაგრამ აქ მას გარს შემოერტყენ ორი მხრიდან გონიოსა და ფოთის ფაშები თავიანთი ჯარებით. მოხდა დიდი ხელჩართული ბრძოლა.

თურქეთის ისტორიკოსი ამ ამბებს შემდეგნაირად აღწერს: „რამოდენიმე ასეულით აჰმედ ფაშა აბაზამ დროულად მოუსწრო მტერს (იმერლებს) და გზა გადაუჭრა მათ. ქართველ ჯარებს არსაიდან ჰქონდათ გასასვლელი. ქართველი ჯარი დამარცხდა მოულოდნელად და განიავებული იქნა. ამავე დროს სოლომონს მოუკლეს მოურავი. ამ მოულოდნელმა დამარცხებამ უკიდურესად გააბრაზა ის. დაღონებული სოლომონი მალე ჯავრისაგან დაიღუპა. ამ ომის ვითარების შესახებ ჩილდირის ფაშამ სტამბოლს აცნობა” (თარიღი ჯეკედეთ, თურქეთის ისტორია, სტამბოლი, 1292 წ., ჰიჯრით ტ.3. გვ.159).

ეს ამბავი მიეკუთვნება 1783წ. ისტორიკოსი ლაპარაკობს სოლომონ მეფის დაღუპვაზე, იგულისხმება მისი უეცარი სიკვდილი დამბლად დაცემისაგან, რაც მოხდა 1784 წ. 23 აპრილს. სოლომონ პირველის აღნიშნული ლაშქრობა აგრეთვე იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ მას ზოგიერთი ბეგების იმედი ჰქონდა. ან კავშირი დაამყარა თურქეთის ხელისუფლებით უკმაყოფილო

ქართველ მაჰმადიან ბეგებთან. მაგალითად, ქობულეთის თავდგირიძეებთან და სხვ. ხოლო სოლომონ მეფის დამარცხების და მისი ლაშქრობის უშედეგობის მიზეზი სხვებთან ერთად ისიც იყო, რომ თურქებმა კაცია დადიანის საშუალებით ადრევე გაუგეს სოლომონს წინასწარ გამომუშავებული ლაშქრობის გეგმა და მას ალყა შემოურტყამს.

თურქეთის ხელისუფლება ვერ ითმენდა იმ დამარცხებას, რომელიც სოლომონ პირველმა თურქთა ჯარებს მიაყენა ხრესილის ველზე. ამიტომ ფაშები ეძებდნენ ხელსაყრელ დროს და პირობებს სამაგიერო გადაეხადათ სოლომონისათვის და დაემორჩილებინათ იგი. სოლომონი არა მარტო თავისი ძალებით იბრძოდა სულთანის თურქეთის წინააღმდეგ, არამედ ის მოკავშირეებსაც ეძებდა. ამ მიზნით მან მჭიდრო სამხედრო კავშირი დაამყარა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლესთან. ასე ებრძოდა იგი დამპყრობლებს დამოუკიდებლობის და მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნისათვის.

ქართლ-კახეთის მეფობის გაუქმებით უკმაყოფილო იყვნენ მთელი რიგი ქართველი თავადები. შემდეგ რუსეთმა შეიერთა იმერეთი. იმერეთის მეფე სოლომონ II თბილისში წაიყვანეს (1810 წელს). შემდეგ სოლომონ მეფე ახალციხის ფაშების საშუალებით თურქეთში გაქცეულა. ამის შესახებ სახალხო მელექსე ხუსეინ ხაბაზი-ქამჯარამე მოგვითხრობს, რომ მამა მისი მოსწრებია ამ ამბავს. მისი მამა 1893 წელს ყოფილა 110 წლის და ეს ამბავი მოთხრობილია 1912 წლის „ბათუმის გაზეთში“: „მე ბატონებო, ქემილ ფაშა ხიმშიაშვილს კარგად მოვესწარი, მისი თავის მოკვეთაც მახსოვს. რუსები რომ იმერეთში შემოვიდნენ, მაშინ სოლომონ მეფე თავის კაცებით ქობულეთში გადმობრძანდა. ნათესავ თავდგირიძე ბეგებთან, მე მაშინ კაი დელეყანდი ვიყავი, მეფე ქობულეთში ბრძანდებოდა. მერე ხმა მოვიდა, რომ რუსებმა გურიაც დაიჭირეს და ახლა ქობულეთს მოადგებიანო, ამიტომ მეფე თავისი დიდი კაცებით ოსმალეთში წარბრძანდა. მათი რიცხვი 60 კაცზე მეტი იყო. ქობულეთის ბეგებმა პატივი სცეს და გზათ ჩვენი კაცებიც გააყოლეს. ამ კაცებში მეც ვერიე. მეფე ტრაპიზონამდის მივაცილეთ, აქ

დაბრძანდა მეფე თავისი დიდი კაცებით. ჩვენ საჩუქრები გვიბოძა, მადლობა გვიბრძანა და ქობულეთში გამოგვისტუმრა” („ბათუმის გაზეთი” №133, 1912).

საერთოდ თურქეთი ცდილობდა რამენაირად შეექმნა უკმაყოფილება და ამისათვის ყოველგვარ დახმარებას უწყევდა მას, ვინც დახმარებას სთხოვდა, ასეთი უკმაყოფილო გახლდათ სოფიოც, რომელიც რუსეთის მიერ გურიის შემოერთების შემდეგ 1828 წელს გაქცეულა თურქეთში და როცა ბათუმს გასცილებია, გზაში გარდაცვლილა. ის დაუსაფლავებიათ მაკრიალში, ბერძნების „წმინდა სოფიოს” ეკლესიაში 1829 წლის 7 სექტემბერს.

თურქეთის სულთანს სოფიოსათვის ფირმანი ნაბოძები ჰქონია გურიის მმართველობისათვის. ამის შესახებ კავკასიის არქეო-

გრაფიული კომისიის აქტებში სწერია შემდეგი: „1828 წელს თურქეთის კომპანიის დაწყების დროს, გურიის მმართველმა სოფიომ გვიღალატა ჩვენ და შვილთან ერთად თურქეთში გადაიხვეწა. ამის გამო მთავარმართველის გრაფ პასკევიჩის განკარგულებით გურიაში დამტკიცებულ იქნა დროებითი მართველობა განსაკუთრებული სამხედრო შტაბ-ოფიცრის თავმჯდომარეობით და იმერეთის მმართველის ზედამხედველობით. ანდრიანოპოლის ტრაქტატით ჩვენ მიგვეკუთვნა მხოლოდ გურიის ნაწილი მდ. ნატანებამდე. დანარჩენი ნაწილი კი (ქობულეთი) თურქებს დარჩათ. 1840 წ. 10 აპრილის გადაწყვეტილებით გურიის მაზრა შეერთებული იქმნა საქართველო-იმერეთის გუბერნიასთან”.

## აჭარელ - ქობულეთლებისა და ლაზების დამოკიდებულების შესახებ

ლაზების ისტორიის გამორკვევა ცალკე თემაა და მე აქ არ ვკისრულობ მის გაშუქებას, მაგრამ შევეხები მას იმდენად, რამდენადაც ამას აქვს კავშირი აჭარასთან.

ლაზებიც ქართველები არიან. ლაზიკა ძველთაგან ცნობილია, როგორც დასავლეთ საქართველოს მოწინავე ქვეყანა, მაგრამ ლაზებსაც ისეთი ბედი ეწიათ, როგორც აჭარლებს, თურქებმა ლაზები უფრო ადრე გაამაჰმადიანეს და იქ გააბატონეს თავისი წეს-წყობილება. ლაზები მეგრელებთან ერთად ფლობდნენ შავი ზღვის ნაპირებს. ლაზებმა დიდი ბრძოლები აწარმოეს თურქეთის წინააღმდეგ, მაგრამ მაშინდელი დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ ლაზების ბრძოლა უნაყოფო გამოდგა და თურქებმა დაამყარეს თავიანთი დიქტატურა მთელს ლაზისტანში.

აი, რა სწერია თურქულ ლექსიკონში ლაზების შესახებ: „ლაზი – შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთის ნაპირებზე, ტრაპიზონის ვილაეთში და რუსეთის ქვემდებარე ბათუმის მხარეში მოხინადრე ერთ-ერთი ტომია. მას ქართველებთან შთამომავლობითი ნათესაობა აქვთ. შეხედულებით ის კავკასიურ რასას ეკუთვნის... მიუხედავად იმისა, რომ ლაზები პირადი ღირსებით და მოდგმით კავკასიის რასას ეკუთვნიან, რის გამომსახველია მათი ფიზიონომია, მათ დავიწყებული აქვთ დედა-ენა და ლაპარაკობენ თურულად. საერთოდ, ლაზები ისლამის მიმდევრები არიან” (შემსიდდინ სამი ბეგის „კამუსულ ალამ“, თურქული ლექსიკონი, ტ. 5, გვ. 3966, სტამბოლი 1896 წ.). ლექსიკონის ავტორი სტყუის, ლაზებს თავიანთი მშობლიური ენა არ აქვთ დაკარგული.

ლაზები მეტად განთქმული ყოფილან სხვადასხვა ხელობით, აქ მასიურად იყო გავრცელებული საეკლესიო ხელობა – ზარების გაკეთება. ძვირფასი საეკლესიო ნივთების – ხატების კეთება და სხვ. ეკლესიებთან მათ ჰქონდათ სამრევლო სკოლები, აგრეთვე ჯერ კიდევ ძველად ლაზებს ჰქონდათ სანაოსნო სკოლა. ნაოსნობით ლაზები გან-

თქმული ყოფილან შავ ზღვაზე. ლაზის ქალები ხელსაქმის კარგი მცოდნენი ყოფილან. ქსოვა-ქარგვა ოქრო-მკედით, სირმაგრეხილით და სხვ. აქ ძლიერ გავრცელებული ყოფილა.

ლაზებს წისქვილის ხელობაც კარგად სცოდნიათ. მათი საყვარელი საქმიანობა იყო ნავების კეთება, მეზღვაურობა, მეთევზეობა, სპილენძის და თიხის ხელობა და სხვა. როგორც ქალები, ისე მამაკაცები განთქმული ფეიქრები ყოფილან. ცნობილი იყვნენ მაშინდელი ოქრომჭედელნი, მარმარილოს კარგი მოხელენი, მათვე სცოდნიათ სხვადასხვა ფერადი საღებავების გამოყვანა-გამოდნობა, კარგად სცოდნიათ ამინდის ვითარების გაგება, ქარების მიმართულების გაგება.

ვახუშტი ჭანეთის შესახებ სწერს: „ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრეთით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი და აწ უწოდებენ ლაზსავე... აქა არს სატყეველა... კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებათა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სრულად მაჰმადიანნი” (ვახუშტი, „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“, თბილისი, 1941, გვ.142).

ლაზები ეწეოდნენ აგრეთვე ციტრუსების – თურუნჯი-ლიმონის, ფორთხლის და სხვა ნარინჯოვანი მცენარეების მოშენებას. საერთოდ, ჭოროხის ხეობა – გონია, ერგე და სხვა ადგილები ცნობილი იყო მეხილეობით და განსაკუთრებით სუბტროპიკებით. ცნობილია, რომ ლაზებს არ ყოფნიდათ საკუთარი პური, სიმინდი და სხვა ხორბლეული, რის შესახებ ხალხში ანდაზები იყო შეთხზული, რომ ლაზებს სუფრა დიდი აქვთ, ხოლო პური ცოტაო. სუფრა დიდი იმიტომ, რომ ხელოსნები იყვნენ, პური კი ცოტა იმიტომ, რომ იქ პურისა და სიმინდის მოსავალი არ იცის ისე, როგორც მაგალითად, ეს იცის სამეგრელოს მინდვრებზე.

ხელოსნობასთან ერთად ლაზები ცნობილი იყვნენ ვაჭრობით. ისინი ეწეოდნენ ვაჭრობას ახალციხეში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში და სხვა ადგილებში. ასეთი განთქმული ხალხის ცხოვრება თანდათან დაეცა და დღეს ლაზისტანი წარმოადგენს თურქეთის პროვინციას.

1858 წელს რუსეთის კონსული ლაზისტანის მოსახლეობისა და შემოსავალ-გასავლის შესახებ სწერა: „ლაზისტანის მოსახლეობა აღწევს 67 801 სულს მამრობითი სქესისა. შემოსავალი უდრის 1 983 339 პიასტრს ე.ი.113 000 მანეთზე (ოქროთი) ცოტა მეტს. გასავალი აღემატება შემოსავალს” (ДЕТЫК, А, К, т.12, стр, 575, Тифл., 1905 г.). ლაზისტანის შემოსავალი, 1873 წლის ცნობით, აღწევდა 1 900 000 ყურუმს (168 571 მან.) ხოლო გასავალი მარტო ადმინისტრაციული ხარჯებისა აღწევდა 930 032 ყურუმს. აჭარიდან მაშინ საექსპორტო საქონელი გაჰქონდათ: სიმინდი 30 000 ქილე, ხორბალი 18 000 ოყა, თაფლის სანთელი 3000 ოყა, თაფლი 10 000 ოყა, თევზის ზეთი 12 000 ოყა. შემოჰქონდათ: შვეიცარიიდან და ინგლისიდან ქალაქის ნაწარმი. რუსეთიდან რკინა, ყირიმიდან და საქართველოდან – მატყლი. საფრანგეთიდან შაქარი, ყავა, ფოლადი, თუნუქი და სასმელები. მარილი კონტრაბანდად შემოდოდა ყირიმიდან.

ლაზისტანის შესახებ ცნობას იძლევა გ. ყაზბეგი თავის წიგნში: „სამი თვე თურქეთის საქართველოში”. ის აღნიშნავს შაინ-ოღლის, როგორც ძლიერ ფეოდალ-მფლობელს მთელ ლაზისტანში. შაინი მექაში მიდის საჰაჯოდ და ღებულობს ჰაჯის ტიტულს – ზედმეტ სახელს, შემდეგ მის შვილს უწოდებენ ჰაჯი-შაინ-ოღლის. „ამ გვარის დამფუძნებელი მოკვდა 225 წლის წინეთ. ჩვენს დრომდე (უნდა ვიგულისხმოთ დაახლოებით 1650 წ.). შაინის შვილებს დიდი გავლენა ჰქონდათ და ერთი მათგანი ტრაპიზონის ფაშაც იყო. მას ექვემდებარებოდა შავი ზღვის მთელი სანაპირო სოხუმამდე. მასვე აწერენ ფოთის, გონიოს და თვით სოხუმის ციხეების აშენებას” (Казбег Г, „Три месяца в Турецкой Грузии. Тиф. 1875 г. Стр.108-109).

რუსეთის მიერ ფოთისა და სხვა ციხეების დაკავებამ გამოიწვია ექვი ბეგებში, თითქოს ეს ხსენებული ფაშის ღალატის ნიადაგზე მომხდარიყოს. დააბეზდეს იგი სულთანთან. სულთანი მაინცდამაინც არ იყო შაინ-ოღლების მადლიერი, რადგანაც ისინი იყვნენ ურჩნი და დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ. სწორედ ამიტომ სარგებლობდნენ ამ მდგომარეობით შაინ-ოღლების საწინააღმდეგოდ მოქმედი მაშინდელი ლაზისტანის

ფეოდალები, როგორც იყვნენ: ჟორდან-ოღლი, ბაღაი-ოღლი, ქიბარ-ალა და სხვები და ცდილობდნენ თავისი დამოუკიდებელი უფლებების გაძლიერებას. ამ ნიადაგზე მათ შორის ატყდა ბრძოლა და მთელი ლაზისტანი საშინაო ომის ასპარეზად გადაიქცა. უნდა აღინიშნოს, რომ ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის დაუკვირველობით სულთანმა ისარგებლა და მოინდომა ლაზისტანის განადგურება. გ. ყაზბეგი ამბობს: „ახმედ ფაშამ ძალით სულთანის სასარგებლოდ ის მიადებინა ლაზებს, რის საწინააღმდეგოდ თვითონ იბრძოდა წინათ”. „ისარგებლა რა ამ მოხერხებული შემთხვევით ლაზისტანში სულთანის უფლების განსამტკიცებლად. ტრაპიზონის ოსმან-ფაშამ გადასწყვიტა ლაზების თვითნებობების ალაგმვა, მაგრამ სულთანის ჯარები არ იყო სანდო მომავალი ბრძოლისათვის და ოსმან-ფაშამ დახმარებისათვის ახმედ-ბეგ აჭარელს მიმართა. სამაგიეროთ აღუთქვა-მთელი ლაზისტანის დარბევის ნებას მოგცემო. ახმედ-ბეგმა, შემდგომ ფაშამ, შეკრიბა თავისი აჭარლები და შევიდა ლაზისტანში ხოფის ხეობიდან. ამავე დროს ოსმან-ფაშას ტრაპიზონის მხრიდან უნდა მოეველო და უზრუნველყო ახმედ-ფაშა სანოვანით და ტყვია-წამლით. იგი დაიძრა ნაპირ-ნაპირ და მთელი მოსახლეობა ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა. ერთი მეორეს მოწყვეტილმა ლაზებმა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლეს, მაგრამ ადვილად მაინც არ დაუთმეს ეს თავისი მიწა-წყალი. განსაკუთრებული სითამამე გამოიჩინეს კაპისტროს მცხოვრებლებმა და ლაზის ქალებმა. აჭარლები ლაზისტანში ექვსი თვე დარჩნენ. ისინი მის საზღვარსაც კი გადასცილდნენ და გადავიდნენ რიზეში, აქ გაანადგურეს სიდიდით ცნობილი ტუსჩი-ოღლის სახლი. იგივე ბედი ეწია ბეგის უზარმაზარ სახლს ვიწეში. ერთი სიტყვით, აჭარლებმა შეზღუდეს ლაზისტანის თავისუფლება და ხელი შეუწყვეს აქ თურქული ადმინისტრაციის და ნიზამის (რეკრუტის) შემოღებას... ახმედ-ფაშის ლაშქრობა 55 წლის წინად იყო (ე.ი.1820 წლის ახლოს) და მას შემდეგ თურქებმა თავისი კანონები შემოიღეს ლაზისტანში და ამ ჟამად ეს მხარე უფრო ემორჩილება სულთანს, ვიდრე აჭარა და

ჩურუქსუ” (Казбег Г, „Три месяца в Турецкой Грузии. Тиф. 1875 г. Стр.108-109).

ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილის გალაშქრება ლაზისტანში გამოწვეული იყო ტრაპიზონის ოსმან-ფაშის ცბიერებით, მან მოატყუა ლაზების მოწინავე ბეგები, რომლებმაც თვითონ სთხოვეს ახმედ-ბეგს დახმარება. ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილმა ლაზებთან და მესხებთან ერთად დიდი ბრძოლები გადაიხადა თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. უნდა ითქვას, რომ ახმედ-ბეგი მისი მოღვაწეობის პირველ წლებში ხელს უწყობდა არსებულ ხელისუფლებას, რადგან ეს წლები მისი დაწინაურების პერიოდი იყო. ხოლო მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდი

იყო სულთანის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის, სამშობლოს სიყვარულისა და ეროვნული შეგნების წლები. ის დარწმუნდა სულთანის დამპყრობლურ პოლიტიკაში. ამიტომ იყო, რომ თავის შვილს – შერიფ-ბეგს ანდერძი დაუტოვა: ამიერიდან კავშირი არ იქონიო სულთანთან – სტამბოლთან, არამედ რუსეთთან – მოსკოვთანო. გარდა ამ ერთი შენმთხვევისა, ლაზებსა და აჭარლებს შორის ბრძოლა არასოდეს არ ყოფილა. ისინი, როგორც ერთი ერის - ქართველი ერის ტომები, მუდამ მეზობლურად და თანხმობით ცხოვრობდნენ და ერთად ებრძოდნენ უცხოელ დამპყრობლებს საუკუნეების განმავლობაში.

## ალექსანდრე ჩხაიძე

### თორთომი

თორთომი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი ძირითადად მოიცავდა მდინარე თორთომის ხეობას და თავის მხრივ ტაოს მხარეში შედიოდა. XVIII ს. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი, კარტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757 წწ) გადმოგვცემს: „...არს ციხე თორთომისა, მაგარი, კლდესა ზედა დიდ-შენებული. ამის მიერ იწოდა ხეობა ესე თორთომის ხეობად” (1.140). ამჟამად ამ ციხის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. ქრისტიანული სასულიერო იერარქიით იმხანის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. ვ. ბატონიშვილის მიხედვით იმხანის ციხეში იყო ეპისკოპოსი „მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა ვიდრე ტრაპიზონის მთამდე და აწ ცალიერ არს” (1.137).

XVII ს. სამცხე-საათაბაგო, რომელშიც შედიოდა ჩვენთვის საინტერესო მხარე, ოსმალეთის იმპერიამ მიიტაცა. დროთა განმავლობაში მოახერხა მისი უმეტესი ნაწილის, მათ შორის თორთომის საკუთარ იმპერიაში ინტეგრირება და იქაური ქართველი მოსახლეობის ფაქტიური ასიმილაცია. დანაშაულის კვალის დაფარვას თურქი ისტორიკოსები თავისებურად ცდილობდნენ, კერძოდ ხალხთა გადასახლებით, აქ მათი წინაპრების მოვლით, გამრავლებით, სასიცოცხლო ტერიტორიების დაპყრობით და სხვა ვერსიებით.

სახელწოდება „თორთომის” შესახებ ოფიციალურ თურქულ საიტს საკუთარი ინტერპრეტაცია გააჩნია. არის მცდელობა მისი თურქულ ონომასტიკაში მოქცევის თაობაზე. ერთი მხრივ ისინი არ უარყოფენ აქ ქართული ელემენტის გავლენას. კერძოდ, იქეთ საქართველოში არსებობს თორი, ან კიდევ გორი, კიდევ მეტი თორთომის მხარეში მოხსენიებულია წარმოშობით ქართული დასახლებული პუნქტები, ციხეები, საკულტო ნაგებობანი. მაგრამ მათთვის ეს მეორეხარისხოვანი, რაღაც ეტაპზე გაჩენილი და მერე ისტორიას ჩაბარებულია. სამაგიეროდ მხა-

რის სახელწოდება მათი აზრით მომდინარეობს „თორდურიდან” (Tor dur), რასაც თურქულად მაღალ მთასთან აკავშირებენ. ქართველებმა თურმე „თორ“-ს მიუმატეს „ი” და მივიღეთ თორი-თორთომი. ასევე არის მცდელობა ამ სახელწოდების ძირი ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ენათა ჯგუფში ეძიონ (2).

თურქულ საიტზე არ არსებობს აქაურ ტერიტორიებზე მოსახლეობის უძველესი წარსულის რაიმე კვლევის მცდელობა. ამ შემთხვევაში მათთვის ამას აზრი არ აქვს, რადგან მეცნიერებისათვის მისაწვდომი ყველა კვლევის საშუალება ადასტურებს, რომ თურქთა წინაპრების კვალი აქ არ არსებობს. მათი წინაპრები მცირე აზიაში ახალი წელთაღრიცხვის XI საუკუნეში მოვიდნენ.

მცირე აზია უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი კერაა. არქეოლოგიური, ლინგვისტური, წერილობითი წყაროები მკვლევრებს საფუძველს აძლევენ რეგიონის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიებზე ქართველთა წინაპარი ტომების ადგილსამყოფელი ივარაუდონ.

თორთომის მხარე მდებარეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანების დიაუხის, იგივე დიაოხის (არსებობდა ძვ.წ. XII-VIII სს) შემადგენლობაში, უფრო ზუსტად მის ჩრდილო ტერიტორიაზე. ამის ჩრდილოეთით, მდინარე ჭოროხის მიღმა კი არსებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მეორე უძველესი გაერთიანება კოლხა (კოლხეთი). მისი ადგილი ქართველთა წინაპრების ამ ორი უძველესი ორგანიზაციული წარმონაქმნების ფაქტიურად ცენტრშია (3). დიაუხისა და კოლხას შესახებ მეცნიერები ცნობებს იღებენ ძველი წელთაღრიცხვის XII-VIII სს. ასურული და ურარტული წარწერებიდანაც. ეს რაც შეეხება აქ დაახლოებით 3000 წლის წინ მოსახლეობის ორგანიზაციულ, სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, ხოლო მეცნიერები ქართველთა წინაპრების აქ უფრო ხანგრძლივ ცხოვრებასა და ავტოქთონურ ვერსიასაც გვთავაზობენ (3,312-357).

თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს სიმონ გოგიტიძის მონოგრაფია „დაიაენი-დიაოხი” (4).

ნაშრომში შესწავლილია ჭოროხის ხეობასა და არზრუმ-ერზინჯან-კაზადალის მიდამოებში განლაგებული უძველესი ქართული სამეფოს დაიყენი-დიაოხის ლოკალიზაციის და ეთნიკური კუთვნილების საკითხები. არის მცდელობა გაირკვეს აღნიშნული სამეფოს ოლქების, ქალაქების და მთების ადგილმდებარეობა. აქ ჩვენთვის საინტერესოა დიაუხის ერთ-ერთი ოლქი თარიუნი. ურარტულ წყაროებში დამოწმებული თარიუნის ლოკალიზაციის საკითხი საბოლოოდ დადგენილი არ არის. კვლევით იგი თორთომის მიდამოებში ან მეზობლად მდებარეობდა. მისი ეთნიკური კუთვნილების შესახებ ავტორი წერს: „თარიუნის ქვეყნის მოსახლეობა, ისევე როგორც მისი მეზობელი ოლქებისა... უნდა ვიფიქროთ, რომ იყო ქართულენოვანი (შესაძლოა სვანურენოვანიც). რამდენადაც ტერმინი „თარი“ ასოცირებას იწვევს ამავე სახელფუძიან ქართულ ოლქებთან, როგორცაა თორი, თრირი, თრირალეთი... თორ-თარ ფუძიანი ადგილები (სოფლის, მთის, ქედის) საქართველოში მრავალია. ამავე ფუძით საქართველოში გავრცელებული გვარები და სახელები გვაქვს... ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თორითარი აიხსნება ქართველური ენების გამოყენებით” (4. 59-60).

დიაუხში განვითარებული ყოფილა ლითონის მოპოვება-დამუშავება, მესაქონლეობა, ცნობილია მისი მეფეების სახელები. ეს ქვეყანა ძვ.წ. IX ს. ბოლოსა და VIII ს. დასაწყისში განადგურდა ურარტულთა შემოსევის შედეგად.

სწორედ ამ მიდამოებში დიაუხელთა შთამომავლებს უწოდებდნენ ტაოხებს (ტაო). დიაუხის შემდეგ ჩვენს ყურადღებას იპყრობს სკვითინების დასახლება. იგი მდებარეობდა მდინარე ჭოროხის მიდამოებში, პონტოს ტავრის სამხრეთ კალთებზე და ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. სკვითინები ძველი დასავლეთ ქართული ტომია. ძვ.წ. V ს. დასასრულს მათ ეთნიკურ-პოლიტიკური ერთეული ჩამოაყალიბეს. ძველი ბერძნული წყარო გადმოგვცემს, რომ სკვითინების ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი გიუმნიასი (გვიმნიასი) იყო: დიდი, მდიდარი და ხალხმრავალი (3. 417).

სკვითინების სამხრეთით, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარე სპერი მდებარეობდა. ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, მისი მოსახლეობა ქართული ეთნიკური, სახელმწიფოებრივი და კულტურული წრის შემადგენელი ნაწილი იყო. სკვითინების ეთნიკურ-პოლიტიკური წარმონაქმნის გაქრობის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო ხეობა სპერის მხარეში მოექცა. დაახლოებით ამავე პერიოდში, ძვ.წ. IV-III სს. წარმოიქმნა ქართლის სამეფო და სპერიც მის შემადგენლობაში შევიდა. ძვ.წ. III ს. კი ზოგ ქართულ პროვინციასთან ერთად სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში მოხვდა, შემდეგ კი კვლავ ქართლის სამეფოში დაბრუნდა (5. 91, 256).

გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს. ესაა მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო, ის ახ.წ. I-III სს. არსებობდა. მახელონები იგივე მაკრონები (ჭანები) დასავლეთ ქართული ტომია. ჰენიოხებიც ისტორიკოსთა ავტორიტეტული ნაწილის აზრით მეგრულ-ჭანური მოდემის ტომებია. ეს სამეფო სპერის მეზობელი იყო და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. მისი არსებობის დროს თორთომის ხეობა უფრო სპერის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მისი ნაწილი ან მთლიანად ტერიტორია ხსენებული მახელონებისა და ჰენიოხების სამეფოს შემადგენლობაში მოხვედრილიყო. ნებისმიერ შემთხვევაში თორთომის მხარე ქართველთა წინაპრების ცხოვრების არეალში იყო მოქცეული.

მალე მდგომარეობა იცვლება. ტაოს მხარე რომელშიც შედიოდა თორთომი კვლავ სომხეთმა დაიპყრო და მას IV-VII სს. მამიკონიანთა ფეოდალური საგვარეულო მართავდა. ინერგებოდა მათი კულტურა, მომძლავრდა მიგრირებული სომხური ელემენტი. აქაური ქართული მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და კარგავდა თავის ეთნიკურ-კულტურულ სახეს. მდგომარეობა VIII ს. შეიცვალა, როცა ქართული მოსახლეობა დაუბრუნდა თავის ეთნიკურ-კულტურულ წრეს, ხოლო VIII ს-დან კი როცა ეს ტერიტორიები პოლიტიკურადაც ქართლის სამეფოს შეუერთდა ეროვნული გარემო კიდევ უფრო გაუმჯობესდა (6. 658).

VII ს. შუა ხანებიდან ჩვენს ქვეყანაში არაბ დამპყრობლებს მეტ-ნაკლები სიძლიერითა და მოცულობით თავიანთი რეჟიმი ჰქონდათ დამყარებული. არაბთა ბატონობის სიმძიმეს ქართლის შიდა რაიონები განიცდიდა. საქართველოს განაპირა მხარეებში ცხოვრება შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა, ამიტომაც აქ ვითარდებოდა ეკონომიკა და კულტურა. VIII ს. ბოლოდან, საქართველოში, ჯერ კიდევ არაბთა ყოფნის დროს, წარმოიშვა ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები: კახეთი, ჰერეთი, აფხაზეთი, ხოლო IX ს. დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის ფეოდალური სამთავრო, რომელსაც „ქართველთა სამეფოს“ უწოდებდნენ. დამოუკიდებელი გახდა თბილისის საამიროც. ადრეფეოდალური პერიოდის ქართულ სამთავროთა შორის ერთ-ერთი მდიდარი, გამორჩეული, ტაო-კლარჯეთის სამთავრო ანუ „ქართველთა სამეფო“ გახლდათ, რომლის ერთ-ერთი კუთხე თორთომი იყო.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო არსებობდა IX-X სს. და ის ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა. თუმცა მისი მოვალეობა ბიზანტიის წინაშე მხოლოდ საზღვრის დაცვაში და სამხედრო კავშირში გამოიხატებოდა. აქ, „ქართველთა სამეფოს“ სათავეში ბაგრატიონები იდგნენ. ამ პერიოდში ტაო-კლარჯეთის სამთავრო სხვა ქართულ ფეოდალურ სამთავროებთან შედარებით ერთ-ერთი მდიდარი და ეკონომიურად დაწინაურებული მხარე გახლდათ. შესაბამისად, მრავლად არსებობდნენ ტაძრები, სასახლეები, გზები, სარწყავი არხები, განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა. შთამბეჭდავია VIII-X სს. აქ აშენებული მრავალი შესანიშნავი ძეგლი. მათ შორის აღსანიშნავია: ზარზმა, საფარა, ბანა, იშხანი, ხანძთა, შატბერდი და სხვა. მოცემულ პერიოდში თორთომის მხარეში სხვა ნაგებობათა შორის ყურადღებას გავამახვილებთ ორ შედევრზე ესენია: ოშკის სამონასტრო ცენტრი და ხახულის მონასტერი.

ოშკი აშენებულია X ს. 50-60-იან წწ. მდინარე თორთუმისწყლის მარცხენა მალა ნაპირზე. იგი ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მთვარი ტაძრის გარდა დღეისათვის შემორჩენილია სემი-

ნარია-სატრაპეზო და მცირე ეკლესიები. ტაძრის კედელზე ვკითხულობთ, რომ მისი დამფუძნებლები ყოფილან ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით მაგისტროსი ანუ იგივე დავით III დიდი კურაპალატი. ესენი, ბაგრატიონთა გვარისანი, ტაოს მფლობელები იყვნენ, ხოლო ტაოს მხარეში კი, როგორც ავლნიშნეთ შედიოდა თორთომის ხეობა. წინა ხანის ძეგლთაგან ოშკი სიდიდითა და პროპორციებით გამოირჩევა. იგი ახალი დროის ტიპური ნაწარმოებია. საინტერესოა, რომ მასზე მრავალი მოტივი ქრისტიანული რელიგიის გავრცელების წინა პერიოდისაა, თუმცა ქრისტიანული ეკლესიის მიერ ნებადართული.

ოშკი კულტურულ-საგანმანათლებლო კერის როლს ასრულებდა. დღემდე მოღწეული იქ შექმნილი ხელნაწერებიდან აღსანიშნავია ოშკის ბიბლია. ის უძველესია ჩვენამდე მოღწეული ბიბლიის მთლიან ხელნაწერთაგან. ოშკის ბიბლიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული მწერლობის და ენის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ხახულის მონასტერი დააარსა დავით III კურაპალატმა X ს. მეორე ნახევარში, იგი მდებარეობს მდინარე თორთუმისწყლის ერთ-ერთ გვერდითა ხეობაში, მდინარე ხახულისწყლის მარცხენა ნაპირზე. მონასტრის დიდი გუმბათოვანი ეკლესია ჯვრისებრი, წაგრძელებული ფორმისაა, გუმბათი აფსიდის კუთხეებსა და ორ თავისუფლად მდგომ ბოძს ეყრდნობა. ტაძარი მდიდარია ჩუქურთმებით. დღეისათვის შემორჩენილია ფერწერის ფრაგმენტები. აქაურ საგანძურში თავდაპირველად ინახებოდა შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლი ე.წ. ხახულის ხატი. იგი დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

მონასტერმა ირგვლივ მიიზიდა მოსახლეობა და ჩამოყალიბდა ხახულის თემი, რომელიც ეკონომიურად დაწინაურებულ რეგიონად იქცა. მონასტერი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. აქ მოღვაწეობდნენ იოანე ხახული (X-XI სს), დავით თბილელი (XI ს) და სხვა. გიორგი მთაწმინდელმა ყრმობის პერიოდში აქ მიიღო განათლება.

XII ს. დასაწყისში ტაო-კლარჯეთის, დასავლეთ საქართველოს, ქართლის და კახეთ-ჰერეთის გაერთიანებით შეიქმნა საქართველოს ერთიანი სახელმწიფო. მისი სატახტო ქალაქი ქუთაისი იყო, ხოლო პირველი მეფე ბაგრატ III (978-1014 წწ). თბილისი და მისი მიდამოები ჯერ კიდევ არაბ ამირას ეჭირა. XI ს. პირველ ნახევარში ბაგრატ III შთამომავლებს, საქართველოს მეფეებს გიორგი I და მის ვაჟს ბაგრატ IV მრავალწლიანი ბრძოლები ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე.

თურქ-სელჩუკების შემოსევები ამიერკავკასიაში XI ს. 30-იან წლებში დაიწყო. დროთა განმავლობაში მათი ურდოები გაუთავებლად მოდიოდნენ და საფრთხე დემუქრა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს. დაიპყრეს ირანი, აიღეს ხალიფატის დედაქალაქი ბაღდადი, დაიმორჩილეს ერაყი, აზერბაიჯანის სამხრეთი ნაწილი, 1071 წ. დაამარცხეს ბიზანტია, რომელმაც 1074 წლის ზავით თავისი აღმოსავლეთ პროვინციების დიდი ნაწილი თურქ-სელჩუკებს დაუთმო. ეს ნიშნავდა, რომ საქართველო ახალი მრისხანე დამპყრობლის წინაშე მარტო დარჩა. XI ს. 60-იან წლებში თურქებმა საქართველოზე დაიწყეს შემოსევები, რასაც თანდათან მათი ჩამოსახლება მოჰყვა. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში მომრავლება დაიწყო თურქულმა ეთნიკურმა ელემენტმა. 1080 წ. კი დაიწყო „დიდი თურქობა“ რაც გულისხმობდა ყოველწლიურ შემოსევას საქართველოზე. ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა. საქართველოსათვის მძიმე პერიოდში მისი მეფე გახდა დავით IV აღმაშენებელი (1089-1125 წწ.). მან გაატარა შედეგიანი რეფორმები და ღონისძიებები, შექმნა მუდმივი ჯარი, წარმატებით ებრძოდა შიდა და გარე მტრებს. ამგვარად XIII ს. და XIII ს. პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო, იმ დროს საქართველოს ერთ-ერთი საერისთავო ტაო იყო, ხოლო ტაოს მხარეში შედიოდა თორთომის პროვინცია.

აღვნიშნავთ ფანასკერტელების წარჩინებულ გვარს საქართველოში (XII-XV სს). ზაქარია ასპანისძემ სამსახური გაუწია თამარ მეფეს, რის გამოც თამარმა მას ფანასკერტი

და ტაოს ერისთავობა უბოძა. შემდეგ ეს საგვარეულო ფანასკერტელებად იწოდა. XII-XIII სს. ფანასკერტელები თავიანთ საერისთავო ხელისუფლებას ტაოს გარდა სპერზეც და შავშეთ-კლარჯეთზეც ავრცელებდნენ, ხოლო XII-XV სს. კი ტაოს ერისთავები იყვნენ (7. 217), შესაბამისად თორთომის მფლობელებიც უნდა ყოფილიყვნენ.

XIII ს. მეორე ნახევრიდან საქართველოში მდგომარეობა უარესობისაკენ იცვლება. მონღოლთა შემოსევების და მათი ბატონობის დროს, როცა სახელმწიფოს ერთიანობა შეირყა 1266 წ. სამცხის სამთავრო საქართველოს გამოეყო და დაექვემდებარა ყაენის სამმართველოს. ტაოს ერისთავის თაყა ფანასკერტელის მეუღლე დემეტრე II თავდადებულის ქალიშვილი გახლდათ. თაყას ეკუთვნოდა თორთომის ციხე. 1306 წ. ამ ციხესთან მას ბრძოლა გაუმართავს თურქთა მრავალრიცხოვან ლაშქართან, რომელსაც დიდი ზიანი მიაყენა. თუმცა, ეტყობა თურქები საბოლოოდ ვერ განუდევნია (7. 217).

მალე გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346 წწ) აღადგინა ერთიანი და ძლიერი საქართველო, რომელშიც ცხადია სამცხის სამთავროც მოექცა. ქვეყნის აღმავლობა XIV ს. 80-იან წლებამდე გრძელდებოდა. ამ დროიდან კი იწყება თემურ ლენგის შემოსევები, რასაც უზარმაზარი ზარალი და მსხვერპლი მოჰყვა. 1401 წ. თემურლენგსა და საქართველოს მეფეს გიორგი VII შორის, ამ უკანასკნელისათვის წამგებიანი ზავი დაიდო. 1402 წ. გაზაფხულზე თემური თურქთა სამფლობელოებისაკენ დაიძრა. გაზაფხუ მან გაიგო, რომ მიუხედავად ზავისა თორთომის ციხეში 200 ქართველი იყო გამაგრებული, რომლებიც არ იხდიდნენ ხარკს და მუსლიმანებსაც თავს ესხმოდნენ. თემურმა მათ წინააღმდეგ 25 ათასიანი ლაშქარი გაგზავნა. თორთომის ციხის დამცველები მთელი ხუთი დღის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ მტრის ჭარბ ძალებს. მოიერიშეებმა მხოლოდ მეექვსე დღეს მოახერხეს ციხის აღება, იქ მყოფნი დახოცეს, ხოლო ციხე კი დაანგრიეს (8. 703).

ალექსანდრე I-ის მეფობაში (1412-1442 წწ.) საქართველოში შედარებით მშვიდობიანი დრო დადგა, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელბულა. ეკონომიურმა დაქვეითებამ მომა-

ლა ის საფუძველი რაზედაც დაყრდნობილი იყო ერთიანი მონარქია, რამაც ამავე საუკუნეში ფეოდალური სახელმწიფოს დაშლა გამოიწვია. კერძოდ, XV ს. ბოლოს ერთიანი საქართველოს ადგილას არსებობდა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები, ასევე სამცხე-საათაბაგო. ცხადია ჩვენთვის საინტერესო თორთომის მხარე სამცხე-საათაბაგოში იყო გაერთიანებული.

როგორც აღვნიშნეთ XII-XV სს. ტაოს ერისთავები ფანასკერტელები იყვნენ. თუმცა არაა გამორიცხული, რომ მათმა ერთმა შტომ აქ მამულები და თანამდებობები შემდეგაც შეინარჩუნა. კერძოდ, XV ს. მეორე ნახევარში სამცხე-საათაბაგო, რომელსაც მართავდნენ ჯაყელები საქართველოს გამოეყო. ჯაყელები გაუსწორდნენ მეფის ადგილობრივ მომხრეებს. განდევნილთა შორის იყო ზაზა ფანასკერტელიც. თუმცა, ამ გვარის ერთი შტო ტაო-შავშეთში დარჩა და ჯაყელებს დაექვემდებარა. ჯარასონ ფანასკერტელს კი 1576 წ. ყვარყვარე ჯაყელი ფეოდალთა შეთქმულების დროს გადაურჩენია (7. 217).

XVI საუკუნიდან პოლიტიკურად დაშლილი და დასუსტებული საქართველო აგრესიული მეზობლების ალყაში აღმოჩნდა, მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ირანი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალეთი ემუქრებოდა, ჩრდილოეთიდან კი მთიელი ტომების მტაცებლურ თავდასხმებს განიცდიდა.

ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ ახლო აღმოსავლეთში გაბატონებას. მათ შორის მორიგი ომი 1514 წელს დაიწყო და დროგამოშვებით 1555 წლამდე გაგრძელდა. 1547 წ. როცა ეს ომი განახლდა სამცხე-საათაბაგოში ათაბაგი ქაიხოსრო II (1545-1573 წწ) იყო (9. 16). თურქებისაგან შევიწროებულმა ქაიხოსრომ ირანის მხარე დაიჭირა, რომლისგან შედარებით თავისუფლებას ელოდა. სამცხე-საათაბაგოს ქართველები აჯანყდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. დამპყრობელმა სადამსჯელო ექსპედიცია გამოგზავნა, რომელმაც რამოდენიმე ციხე აიღო. აჯანყებულებები წინააღმდეგობას აგრძელებდნენ. მაშინ, 1549 წ. აგვისტოში სულთანმა საათაბაგოში გამოგზავნა მრავალრიცხოვანი ჯარი აჰმედ ფაშას ხელმძღვანელობით. სულ რაღაც თვე-ნახევრის განმავ-

ლობაში მათ 25 ციხესიმაგრე აიღეს. მათ შორის იყო თორთომის ციხე, რაც ასე მოხდა: ოსმალეთის არმიამ ერზრუმიდან ჩაატარა საჭირო მომზადება და 10 სექტემბერს სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვან ციხესიმაგრეს თორთომს ალყა შემოარტყა. ქართული წყაროების მიხედვით ოსმალთა ჯარში დაახლოებით 40 ათასამდე მეომარი იყო. სამდღიანი ბრძოლების შედეგად 13 სექტემბერს ციხე-სიმაგრე დაეცა. აღნიშნული ბრძოლების შესახებ ჯელალ ზადე გადმოგვცემს, რომ ციხე-სიმაგრე ქვის მასალისაგან კარგად იყო ნაგები. ალყას ვეზირი აჰმედ ფაშა ხელმძღვანელობდა. სასტიკი დაპირისპირების შემდეგ გადამწყვეტი როლი ოსმალთა არტილერიამ ითამაშა. დაბომბვის შედეგად ქართველთა დაცვის ხაზი უმწეო გახდა. ალყის მესამე დღეს ციხე-სიმაგრე დანებდა. ფლობდა რა უპირატესობას ოსმალთა ჯარმა ახლო მდებარე ციხეებიც დაიკავა. თორთომის ხეობის დაკავების შემდეგ აქ ჩააყენეს ჯარი, შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თორთომის სანჯაყი. შესაბამისად, დაინიშნა სანჯაყ-ბეგი (2). მაშინ ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ქვეყანა იყოფოდა ეიალეთებად, ესენი სანჯაყებად, ხოლო სანჯაყები ნაჰიებად. ერზრუმის ეიალეთს დაუქვემდებარეს თორთომის სანჯაყი, რომელიც თავის მხრივ დაყვეს ნაჰიებად. იქედან მოყოლებული დღესაც თორთომის რაიონი ერზრუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შედის.

1550 წლისათვის ოსმალებმა მოახერხეს ძირითადად ტაოს დაპყრობა (10.110). 1555 წ. დაიდო ირან-ოსმალეთის ზავი. ირანმა მიიღო აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილი, ხოლო ოსმალეთმა დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილი. მათ შორის ტაო თორთომითურთ.

„სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში ოსმალები ჯერ კიდევ XVI ს. შუა წლებში შეუდგნენ ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესების შემოღებას და ქვეყნის სანჯაყებად დაყოფას“ (იქვე გვ.130). მაშასადამე თორთომის საბოლოოდ დაპყრობის ტრაგიკული თარიღი 1549 წ.

სექტემბერია. დაპყრობისთანავე დაიწყო ამ ძირძველი ქართული კუთხის ასიმილაციის ხანგრძლივი პროცესი. ჩვენ ხელთაა 1581 წ. შედგენილი ოსმალური საბუთი:

**„გამაჰმადიანების შემდეგ მეჰმედად წოდებული, ქართველი მთავარი ელიზბარისთვის თორთუმის სანჯაყის გადაცემის შესახებ**

ბრძანება არზრუმის ბეგლარბეგს:

რამოდენიმე ხნის წინ, ქართველი მთავარი ელიზბარი ჩემს წინაშე გამოცხადდა, მიიღო ისლამი და სახელად მეჰმედი დაირქვა. ამის შემდეგ განაცხადა, რომ თორთუმის სანჯაყი, რომლის წლიური შემოსავალიც 600 ათას აქჩეს შეადგენს, მისი მამულია და მოითხოვა მისთვის გადაცემა. სანაცვლოდ სიტყვა მოგვცა, რომ მთავარ სიმონს 6 თვის ვადაში დაიყოლიებს ჩვენზე დასამორჩილებლად. ამიტომ სიფაჰიების ზიამეთებად და თიმარებად დანაწევრებული თორთუმის სანჯაყი ისევ გაერთიანდა და მისი თხოვნა შესრულებული იქნა. მაგრამ ამჯერად ამ მიწების პატრონები მოვიდნენ საჩივრებით: „30 წელია რაც ამ მიწებით ჩვენ ვსარგებლობთ და ახლა ჩამოგვერთვაო“. რადგანაც ბატონმა მეჰმედმა სიმონ მეფესთან დაკავშირებით მოცემული სიტყვა არ შეასრულა, იმ სამხედრო და სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, არსებული მიწები დაუბრუნდეს, ხოლო ვინც გარდაიცვალა, მათი კუთვნილი მიწები დარჩეს მეჰმედ ბეგის მფლობელობაში” (11. 79).

აღნიშნული საბუთებიდან ვგებულობთ, რომ ჯერ ერთი, თორთომის სანჯაყს დაპყრობამდე ფლობდა ქართველი თავადი ელიზბარი ან მისი წინაპარი. დაპყრობის შემდეგ 30 წელი გავიდა, დრომ თავისი გაიტანა და ელიზბარმა გადაწყვიტა ოსმალთა სამსახურში ჩამდგარიყო. მან ოსმალთა ხელისუფლებას თხოვა მამულის დაბრუნება. სამაგიეროდ გამაჰმადიანდა, დაირქვა მეჰმედი და ძალზედ ძნელი დავალება იკისრა, ქართლის მეფე სიმონი დაემორჩილებინა ოსმალთა ხელისუფლებისადმი. მეორეც, დასტურდება, რომ თორთომის მხარეში ოსმალური მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესი დაპყრობისთანავე და-

ნერგილა, ანუ სიფაჰიებს (სამხედროებს) დაუნაწილეს ზიამეთები და თიმარები. ოსმალთა იმპერიაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა დაკავშირებული იყო სამხედრო სამსახურთან. აქ სახელმწიფომ დაადგინა შემოსავალი თიმარებს, ზიამეთებს, სანჯაყ ბეგებს და ბეგლარ ბეგებს შორის. ამათ დაურიგა საკარგავები, ამ საკარგავების ნაცვლად კი თიმარებს, ზიამეთებს, სანჯაყ ბეგებს და ბეგლარ ბეგებს სამხედრო კონფლიქტის დროს უნდა გამოეყვანათ გარკვეული რაოდენობის ჯარისკაცი (12). საბუთშიც ოსმალთა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ამ სისტემაზეა საუბარი. ბოლოს, მეჰმედმა (ელიზბარმა) მართალია სიმონთან დაკავშირებით პირობა ვერ შეასრულა, რის გამოც გადაწყვიტეს მისთვის მიწების ნაწილი ჩამოერთვათ, მაგრამ ნაწილი უნდა დაეტოვებინათ და ის ბეგადაა მოხსენიებული. ეტყობა სანჯაყ ბეგობა შეუნარჩუნეს.

დაპყრობილი ტერიტორიები ფაქტიურად იზოლირებული იყვნენ ქართული სამყაროსაგან და ახალ გარემოში მოხვდნენ. დროთა განმავლობაში ქრისტიანულ საკულტო დაწესებულებებს, რომლებიც ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების როლსაც თამაშობდნენ უპატრონოდ ტოვებდნენ ან მაჰმადიანურ საკულტო დაწესებულებად აქცევდნენ, ან კიდევ ანგრევდნენ. ეს ნიშნავდა, რომ მომავალი თაობის ქართულ სწავლა-განათლებაზე და კულტურულ აღზრდაზე აღარავინ იზრუნებდა. ღარიბი, გაუნათლებელი გლეხური ოჯახები კი სწავლა-განათლების პირობებს ვერ შექმნიდნენ. დროთა განმავლობაში ქრისტიანული რიტუალების შესრულება ოფიციალურ დონეზე შეწყდა. გაბატონებულმა კლასმა მაჰმადიანური სარწმუნოება მიიღო, რადგან ამის გარეშე მიწისმფლობელობას არ დაუდასტურებდნენ (შესაძლოა, იშვიათი გამონაკლისის გარდა). ისლამის გავრცელებას ხელშეწყობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში ქართული ცნობიერება და ქრისტიანული რწმენა კარგა ხანი რჩებოდა, თუმცა ნელ-ნელა, თაობების მანძილზე ქრებოდა. შემოდის ახალი ენა, დამწერლობა, სარწმუნოება, კულტურული გარემო.

ვახუშტი ბატონიშვილმა თავისი თხზულება „ღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაასრულა თორთომის მხარის დაპყრობიდან თითქმის ორასი წლის შემდეგ (1745 წ.). ამ ნაშრომში საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღწერებს შორის ვნახულობთ ჩვენთვის საინტერესო მონაცემებსაც. კერძოდ, თორთომის მხარის საზღვრების შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო მზღვრის თორთომის ხეობას: აღმოსავლით მთა თორთომისა, თორთომსა და ტაოს შორის, რომელი მდებარეობს სიგრძით სამხრეთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩრდილოს შორის, გამავალს ირიჯლუს მთიდან და მიადგების ისპირის მთას... ხოლო სამხრით მზღვრის მთა ირიჯლუ-დევაბონისა... დასავლით მთა შიფაქლუსა, თორთომსა და ქართლის-ყელს შორისი, რომელი მდებარეობს სამხრიდან ჩდილოდ, გამოვალს დევაბონის მთიდან და მიადგების ისპირის მთას ჩრდილოთ მზღვრის მთა ისპირისა“ (1. 140-141). დასახლებული პუნქტებიდან აღნიშნავს ხენძორეთს, რომ თორთომის „ციხის ზეით არს ხენძორეთი, დაბა დიდი და გზა აზრუმისა“ (იქვე გვ.140). ბუნებრივი პირობების და მეურნეობის შესახებ წერს: „თორთომის მდინარის კიდე, ხახულს ზეითამდე ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ხოლო მთის კერძონი ყოველგნით, ვითარცა ჯავახეთი აღვსწერეთ, გარნა არს მოსავლიანი, პირუტყვიანი, ფრინვლიან-ნადირიან-თევზიანი, შემკობილი მთით და ბარიით“ (1.141). აქაური მოსახლეობის შესახებ კი გვაგებინებს: „კაცი ვითარცა მესხნი და აწ სრულიად მოჰმადიანნი, ენითა ქართულითვე, არამედ უმბობენ თურქულსა“ (1. 141).

XVIII ს. კავკასიის დაპყრობის საქმეში ირანს და ოსმალეთს სერიოზული კონკურენტი – რუსეთი გამოუჩნდათ, რომელმაც თანდათან უპირატესობა მოიპოვა. XIX ს. რუსეთის არმია კავკასიის საომარ ასპარეზზე ადგილობრივი მოლაშქრეების და მოსახლეობის მხარდაჭერით ძირითადად წარმატებით მოქმედებდა. რუსეთ-ოსმალეთის ომები აქტიურად მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის, მათ შორის ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზეც. ამ ომების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერია საკუთარ ტერიტორიებს ზრდი-

და, ქართული ტერიტორიები მთლიანდებოდა და გათავისუფლებულ ადგილზე ქართველობა უნდა გადარჩენილიყო. ასეც ხდებოდა, რაც მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის აღფრთოვანებას იწვევდა. წარმატებით დასრულდა 1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომიც, რომლის შედეგად საზღვარი დაიდო კლარჯეთის და ოლთისის სამხრეთით. თორთომის მხარე ზუსტად საზღვრის იქეთ, ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში დარჩა. ასე, რომ გაგრძელებულიყო კიდეც ერთი წარმატებული ომის შემთხვევაში მთელი ყოფილი სამცხე-საათაბაგო და შესაძლოა ისტორიულად ქართველებით დასახლებული სხვა ტერიტორიები საქართველოს დაუბრუნდებოდა. ამის დროც დადგა, მაგრამ...

პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1918 წწ) კავკასიის საომარ ასპარეზზე კვლავ რუსეთი იმარჯვებდა. 1917 წლისათვის მაშინდელი ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, ცხადია თორთომიც, მათ საოკუპაციო ზონაში იყო მოქცეული. ამ წელს რუსეთში ორი რევოლუცია მოხდა. მეორე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა პეტროგრადში ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ბოლშევიკები, ამიერკავკასია და მათ შორის საქართველო აქაურმა ანტი-ბოლშევიკურმა ძალებმა რუსეთს ჩამოაშორეს. შედეგად, თანდათან ოსმალეთთან არსებულმა ფრონტის ხაზმა მოშლა დაიწყო. კიდეც მეტი, ამიერკავკასიის მესვეურები ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1917 წ. 22 დეკემბრიდან 1918 წ. 3 მარტამდე, არ წავიდნენ და ოსმალეთთან ცალკე მორიგება გადაწყვიტეს. ამით ისარგებლა ოსმალეთმა. მისი არმია შეტევაზე წამოვიდა და 1918 წ. გაზაფხულისათვის კვლავ დაიპყრო ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიები. ამ ტერიტორიების უმეტესი ნაწილის დაბრუნება შემდგომში ვერ მოხერხდა. თურქები შეტევას აგრძელებდნენ და საქართველოს მთლიანად დაპყრობით ემუქრებოდნენ. მაგრამ გერმანიამ ჩვენი ქვეყანა საკუთარ მფარველობაში შეიყვანა და თურქეთის ოკუპაციისაგან იხსნა. იმდროინდელი მოვლენების გავლენით 1918 წ. 26 მაისს მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1921 წ. კი ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა 1917 წლის დეკემბრამდე.

XIX ს. დასაწყისიდან რუსეთის არმიის და ქართველთა თავგანწირული მცდელობით დაბრუნებული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ თურქეთის საზღვრებში დარჩა. 1921 წლიდან საქართველოს სსრ ტერიტორია დაახლოებით 69 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, რაც თითქმის 70 წელი, საბჭოთა ხელისუფლების შეცვლამდე გაგრძელდა.

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ) შემდეგ ი.ბ. სტალინი გეგმავდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებას. მისი გარდაცვალების (1953 წ.) შემდეგ, ნ. ხრუშჩოვის პოლიტიკის მიხედვით საბჭოთა კავშირმა თურქეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარი თქვა.

დღეისათვის ოფიციალური მონაცემებით თურქეთის რესპუბლიკაში, ერზურუმის პროვინციაში შედის თორთომის ოლქი. ამ ოლქის ფართობია 1467 კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობის რაოდენობა 2013 წლის აღწერის მიხედვით 18819 (13).

ისტორიული საქართველოს მხარე – თორთომი XVI ს. მიიტაცა ოსმალეთის იმპერიამ და შესძლო იქ მოსახლეობის ფაქტიური ასიმილაცია. დღეისათვის თორთომის ოლქში ქართულად არავინ საუბრობს (14. 146). გაბატონებული რელიგია ისლამია. სახელმწიფოს ყოველგვარი ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებუ-

ლება თურქეთის რესპუბლიკის ინტერესებს ემსახურება.

### წყაროები და ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941
2. ინტერნეტი: „Tortum Tarihi – TORTUM KAYMAKAMLIGI”
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970
4. გოგიტიძე ს., დაიაენი-დიაოხი, ბათუმი 2006
5. ჯანაშია ს., შრომები, ტ.II, თბ., 1952
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ.9. თბ., 1985
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979
9. იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის დროს, ბათუმი 1948
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973
11. ილდიზთაში მუმინ, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი, 2012
12. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 231, საქმე 99, ფურცელი 6.
13. ინტერნეტი:Tortum-VIKIpedi
14. ცეცხლაძე ნ., ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი, 2004

## ასმათ ბაჯელიძე

### ბათუმი თავისუფალი ქალაქი-ნავსადგური (1878 – 1886 წწ.)

*რადგან ბათუმის ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გემებისათვის ერთად ერთ თავშესაფარს წარმოადგენს, რუსეთის მიერ მისი დაუფლება თურქეთს გამოავლის უკანასკნელ ნავსადგურს პონტოზე და შავ ზღვას გახდის მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ზღვად.  
კ. მარქსი*

ბათუმის ისტორია შორეულ წარსულში იწყება. ქალაქის სახელწოდება ბათუსი – პირველად მოიხსენიეს რომაელმა მწერალმა პლინიუსმა (23-79 წწ.) და ბერძენმა გეოგრაფმა არიანემ (95-175 წწ.). მათი გადმოცემების მიხედვით ბათუსი იყო პატარა დასახლება მდინარე ბათუსის პირას, ბერძენი ისტორიკოსი პანერეტი თავის „ტრაპიზონის ქრონიკებში“ 1373 წელს მოიხსენიებს ბათუმს, როგორც პატარა სოფელს. ასი წლის შემდეგ ვენეციელმა ელჩმა ამბროზიო კონტარინმა ბათუსს უწოდა პატარა ციხე-ქალაქი.

მე-16 საუკუნის შუა ხანებში ბათუმი რამდენჯერმე იქნა დაპყრობილი ოსმალების მიერ, მაგრამ მოსახლეობის თავდადებული ბრძოლის გამო მისი შენარჩუნება დიდხანს ვერ შეძლეს, მხოლოდ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში შეძლეს მისი დაპყრობა. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა ბათუმი, როგორც გემებისათვის უშიშარი ნავსადგური. მეფისნაცვალმა ვორონცოვი 1853 წელს აღნიშნავდა, რომ „ბათუმის მცირე ნავსადგური სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ... ყოველგვარი ქარის დროს მასში თავის შეფარება შეუძლია დიდ სავაჭრო ხომალდებს“. რუსეთს აინტერესებდა ბათუმის ნავსადგურიდან ევროპის ქვეყნებში გაეტანა სავაჭროდ საქონელი და დასავლეთ საქართველოდან ხე-ტყე და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე. აღსანიშნავია, რომ ბათუმზე გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზა ინგლისიდან ირანის მიმართულებით,

აქედან გამომდინარე ინგლისი ცდილობდა ამ გზით მცირე აზიაში გაბატონებას, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბათუმის ნავსადგურით შემოდიოდა კონტრაბანდული საქონელიც, რადგანაც არ იყო შავი ზღვით შემოტანისა და გატანის ბაჟი. გურია, სამეგრელო, აფხაზეთი ინგლისურ ნაწარმს ღებულობდა, რომელიც ხარისხით კონკურენციას უწევდა რუსულ საქონელს. ეს საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ საქართველოში ცარიზმის გაბატონებას. 1828 წელს ალექსანდრე გრიბოედოვმა და დიმიტრი ზალივეისკიმ შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიხედვითაც ითხოვდნენ „სასაწყობო ადგილს“ შავ ზღვაზე და ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ ბათუმის ნავსადგურზე, როგორც კომპანიისათვის თავისი მდებარეობით უაღრესად სასარგებლო ადგილზე. კომპანია გაიყვანდა ბათუმამდე მოხერხებულ კომერციულ გზას და ყველაფერს გააკეთებდა რაც საჭირო იქნებოდა საწყობებისა და ფაქტორიებისათვის“.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად რუსეთს ბათუმი აინტერესებდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-თბილისი, ბათუმი-ართვინისა და არტაანის მდიდარი რაიონები, რაც საშუალებას მისცემდა შეჭრილიყო მცირე აზიაში და საბოლოოდ გადაეჭრა სამხრეთ-დასავლეთ საზღვრების: გურია, სამეგრელოს, იმერეთისა და აფხაზეთის უშიშროების საკითხი ოსმალეთისაგან, ხოლო შავი ზღვა როგორც კ.მარქსი აღნიშნავდა გადაიქცეოდა „რუსეთის ზღვად“. რუსეთის საგარეო პოლიტიკამ დღის წესრიგში დასვა ბათუმის შემოერთების აუცილებლობის საკითხი. 1804, 1806-1812, 1828-1829, 1853-1856 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომებმა რუსეთისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. 1858 წ. ბათუმში გაიხსნა რუსეთის საზღვაო სანაოსნოს საზოგადოების სააგენტო. მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ნავსადგურის ტვირთბრუნვა, დაიწყო ბათუმის სამეურნეო ცხოვრების აღმავლობა, ბათუმის ნავსადგური ხდებოდა „რუსული ნავსადგური“ იგი თანდათანობით იზიდავდა კავკასიის ტრანზიტს, აქედან გამომდინარე რუსეთის კონსული ტრაპიზონში

მაშინი ურჩევდა მთავრობას აუცილებლად შეეძინათ ბათუმის ნავსადგური. ცარიზმის მიზანიც ეს იყო. რუსეთის სამხრეთ საზღვრის უშიშროებისა და რუსული კაპიტალის შეუზღუდავი ბატონობის ინტერესებიდან გამომდინარე 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა და 1878 წლის 18 თებერვალს სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო ფულადი კონტრიბუცია. არტაანი, ბაიაზეთი, ბათუმი, ყარსი. იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ განაცხადა „მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა რამდენიმე მილიონი გასწიროს“. ინგლისმა მოითხოვა ზავის პირობების გადასინჯვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა. ცარიზმი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

კონგრესისათვის მზადების პერიოდში რუსეთის მთავრობამ კავკასიის მმართველებს დაავალა შემოერთებული ტერიტორიების დახასიათება, რომ დარწმუნებულიყო ღირდა თუ არა ბრძოლა ბათუმისათვის. განხილული იქნა სხვადასხვა მოსაზრებები: უმრავლესობა აღიარებდა რუსეთის იმპერიისათვის ამ მხარის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას. გაზეთი „კავკაზი“ წერდა „ბათუმის დაუფლებით რუსეთი გაბატონდება შავ ზღვაზე, შეფერხდება სპარსეთთან ინგლისის ვაჭრობა და ეს იქნება პირველი პუნქტი სუეცის არხისკენ. იყო საწინააღმდეგო აზრიც: „რომ ბათუმი უმნიშვნელოა წესიერი ნავსადგურის უქონლობის გამო“ ე.ი. ვერასოდეს გახდება პორტსმუტი.

1878 წლის 18 ივნისიდან 13 ივლისამდე მიმდინარეობდა ბერლინის კონგრესი. რუსეთმა დათმო ბალკანეთზე მაკედონია, მცირე აზიაში ბაიაზეთი. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა რუსეთის დელეგაციამ ბერლინის კონგრესზე ბათუმი შეინარჩუნა. ტრაქტატის VIII პუნქტით ბათუმი რუსეთს გადაეცა თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის ანუ პორტო-ფრანკოს სტატუსით. პორტო-ფრანკო იტალიური სიტყვაა და ეწოდება იმ ზღვისპირა ნავსადგურს, რომელიც სარგებლობს ადგილობრივი და საზღვარგარეთული საქონლის უბაჟოდ მიღება-გატანის უფლებით და ვრცელდება ნავსადგურის განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელსაც

პორტო-ფრანკოს კვარტალს უწოდებენ, საბაჟო საზღვრითაა იზოლირებული ქალაქის სხვა ნაწილისაგან. პორტო-ფრანკოს კვარტალში არის საწყობები, სადაც ხდება საქონლის მიღება, დახარისხება, შეფუთვა და გაგზავნა იმ პუნქტებში სადაც მათი რეალიზაციისათვის სარფიანი პირობებია. პირველი პორტო-ფრანკო შეიქმნა 1547 წ. იტალიის ქალაქ ლივორნოში, 1595 წ. გენუაში, 1661 წელს ვენაში, 1664 წ. ალტინეში, 1669 წ. მარსელში, 1706 წ. გიბლარტარში, 1727 წ. ჰამბურგში, 1824 წ. ბრემენში, 1833 წ. ლიუბეკში, 1817-1859 წ. ოდესა იყო თავისუფალი ქალაქი-ნავსადგური, 1862 წ. ვლადივასტოკი, მესამე ქალაქი რუსეთის იმპერიაში პორტო-ფრანკოს სტატუსით იყო ბათუმი. ბერლინის კონგრესის დადგენილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა 1878 წლის 25 აგვისტოს. იმავე წლის ოქტომბრისათვის დასრულდა ქალაქის ახალი სტატუსის შემუშავება, ბათუმი გახდა სავაჭრო-სასაწყობო ცენტრი, სადაც ევროპული საქონლით ვაჭრობა მხოლოდ პორტო-ფრანკოს ზონაში შეიძლებოდა. ქალაქს დაუწესდა ოთხი საბაჟო კარი: 1. ოზურგეთის-ქობულეთ-გურიისაკენ, 2. კახაბრის-ქედა-ხულოსაკენ, 3. ჭოროხის-ბორჩხა-ართვინისკენ, 4. ჭოროხის ბოლოს გონიო-სარფის გზით ყარს-ტრაპიზონისკენ. ნებისმიერ საქონელზე მეპატრონეს უნდა გადაეხადა დაწესებული ბაჟი ანუ გადასახადი. 1878 წლის 20 ოქტომბერს კომისიამ პორტო-ფრანკოს დეპარტამენტის დირექტორის, სატრანზიტო საბაჟოს გამგის და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ხელმოწერით საბოლოოდ დაადგინა თავისუფალი სავაჭრო ზონის საზღვრები და ტერიტორია. იგი იწყებოდა მდინარე ბარცხანის წყალიდან და მთავრდებოდა მდინარე მეჯინისწყალთან, სულ მოიცავდა ორი ათას დესენტინა ფართობს. თავისუფალი ნავსადგური ბათუმში ოფიციალურად გაიხსნა 1878 წლის 28 ოქტომბერს. ადმინისტრაციას შეადგენდნენ სასაწყობო საბაჟოს მმართველი დიმიტრი ბიკოვი. წევრები: ივანე ერისთავი და პეტრე ლობარი, ხაზინადარი ივანე ეფრემოვი, მდივანი ლეონარდ ჩაევსკი, თარჯიმნები, საწყობის ზედამხედველები, გემების ზედამხედველები, კარანტინის უფროსი დ. ცური-ნოვი, საკარანტინო პორტის უფროსი პეტრე

ფოცხვერაშვილი. 1899, 1880, 1881 წწ. ბათუმის პორტში შემოვიდა რუსეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, თურქეთის, ინგლისის გემები დატვირთული სხვადასხვა საქონლით. უკან გაბრუნებისას ბათუმიდან წაიღეს მატყელი, დაუმუშავებელი ბამბა, აბრეშუმის პარკი, ტყავი, ხე-ტყე-ბეწვეული, მარგანეცი, ხალიჩები, სიმინდი, ხორბალი და ა.შ.

ნავსადგურის ტვირთბრუნვა დღითი-დღე იზრდებოდა, განსაკუთრებით ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის ამუშავების შემდეგ. ბათუმის ნავსადგური გახდა მოხერხებული და კეთილმოწყობილი, უსაფრთხო. ნავსადგურის ტვირთბრუნვა გაზარდა ბაქოს ნავთობის ექსპორტმა. 1881 წელს გაიტანეს 926 405 ფუთი ნავთობპროდუქტი, 1883 წლის მარტიდან, როდესაც დასრულდა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის მშენებლობა და ფოთი-თბილისის მაგისტრალით ბათუმი უშუალოდ ბაქოს დაუკავშირდა, ბათუმი ბაქოს ნავთობის ექსპერტის ძირითად ცენტრად იქცა. ბათუმს მასობრივად მოაწვდა ხალხი იმპერიის ყველა კუთხიდან. ერთ-ბაშად ამდენი ხალხის მოზღვავებამ გააძვირა ცხოვრების პირობები, ბათუმი უცხოელ ვაჭარ-მრეწველების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქ დამკვიდრდნენ ნობელის, როტშილდის, მანთაშევის მსხვილი მაგნატები და წვრილი ფინანსური კომპანიები. ქალაქში გაიხსნა საზღვარგარეთის 20-მდე ქვეყნის საკონსულო, რომლებიც იცავდნენ თავიანთი მოქალაქეების ინტერესებს.

ქალაქში გაჩაღდა ინტენსიური მშენებლობა. აიგო საცხოვრებელი სახლები, გაიხსნა თამბაქოს ოთხი ფაბრიკა, რვა სასტუმრო, ოთხი საკონდიტრო, 21 სასადილო, 15 საგალანტერიო და 12 ტანსაცმელ-ფეხსაცმელის მაღაზია.

1883 წელს ამუშავდა ნავთის ჭურჭლის დამამზადებელი ბუნგესა და პალაშოვსკის, როტშილდის ქარხანა. 1885 წელს სიდირიდისა და რიხნერის საწარმო, დაიწყო ჭაობების ამოშრობა, ქუჩების კეთილმოწყობა, გაიყვანეს წყალი, გაფართოვდა ნავსადგური. რუსეთს აფიქრებდა იაფი ინგლისური და საერთოდ ევროპული საქონელი, რომელიც მაღალი ხარისხის გამო ადვილად სალდებოდა, ამიტომ ხელისუფლებამ პორტო-ფრანკოს გარე სამყაროსაგან სრული იზოლირება

დაუწესა საბაჟო კარანტინების და მკაცრი პოლიციური რეჟიმით. ასეთი ხელოვნური ბარიერის შემოღებამ გაართულა სოფელსა და ქალაქს შორის ვაჭრობა. ეგრეთწოდებული კარანტინები, სადაც ხდებოდა პორტო-ფრანკოს ზონის გარეთ გასატანი ნაყიდი საქონლის დათვალიერება და კონტრაბანდის შემთხვევაში მეპატრონეზე ჩამორთმევა, დაჯარიმება მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. დაიწყო მოსახლეობის გადასახლებაში (მუჰაჯირად) წასვლა. დავით კლდიაშვილი შექმნილი ვითარების გამო წერდა „პორტო-ფრანკოს“ დროს ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო და ყოველი გამვლელ-გამომვლელი იჩხრიკებოდა, დარაჯებისაგან ათასი თვითნებობა და შევიწროება ხდებოდა. ასეთ ვითარებაში გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა. რუსეთის ხელისუფლებისადმი ისედაც უნდობლად განწყობილნი ვეღარ ეგუებოდნენ ხელოვნურ დაბრკოლებებს და ოსმალეთში გასახლებას ამჯობინებდნენ. მთავრობას ნაკლებად აწუხებდა შექმნილი მდგომარეობა. ის ვერ ეგუებოდა რომ პორტო-ფრანკო მის ინტერესებს ვერ აკმაყოფილებდა, ვერ იყენებდა ბათუმს, როგორც სამხედრო ბაზას, ვერ ურიგდებოდა ამიერკავკასიაში ინგლისელთა, საერთოდ ევროპელთა ეკონომიკურ მეტოქეობას. 1886 წლის 27 ივნისს ცარიზმმა ბათუმის პორტო-ფრანკო გააუქმა. ამ ფაქტს გამოეხმაურა XIX საუკუნის ქართული პრესა – ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი უარყოფითად აფასებდნენ ბათუმის პორტო-ფრანკოს. არ მოსწონდათ მისი მოწყობის ორგანიზაციული პრინციპი და სხვა ნეგატიური მოვლენები. პრესა კონტრაბანდული საქონლის გავრცელებაზე და საბაჟო სამსახურის მოხელეთა განთავისუფლებაზე ამახვილებდა ყურადღებას. ილიას სიტყვით „პორტო-ფრანკო სახიერო დარჩა ორიოდე ვაჭარისა და თვით ქალაქის მცხოვრებთათვის“. ქართული საზოგადოება მიესალმა პორტო-ფრანკოს გაუქმებას. ილია წერდა: „სიხარულით მივეგებოთ მაგ პორტო-ფრანკოს გაუქმებას, რომელიც მარტო სახელი იყო და არა სახრავი ქვეყნისთვის, ბათუმის ამგვარ სტატუსს კოლონიური საქართველოსათვის რაიმე არსებითი როლის შესრულება არ

შეძლო, ჩვენ რომ ჩვენის საკუთარი ქვეყნის ინტერესებით შევხედოთ ამ გაუქმების საქმეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც პორტო-ფრანკოს ყოფნას მოჰქონდა ჩვენთვის სარგებლობა და არც მისი არ ყოფნა მოგვიტანს ზარალს”.

ბათუმის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. იგი კავკასიის მთავარი სატრანზიტო ცენტრი იყო. ექსპორტის ძირითად საგანს ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა. ბათუმის ნავსადგურით საგარეო ვაჭრობას აწარმოებდნენ სანაოსნო კომპანიები და საზოგადოებები. მათმა რიცხვმა 1913 წლისათვის ოცდაათს გადააჭარბა. ძირითადად უმეტესი ინგლისური, ფრანგული და გერმანული სანაოსნო კომპანიები იყო. პირველ მსოფლიო ომის დაწყებამ ჩაკეტა შავი ზღვის სრუტეები, შეფერხდა ბათუმის ნავსადგურის ეკონომიკური ცხოვრება.

1914 წლის 2 ნოემბერს კავკასიის ფრონტის გახსნამ ბათუმი სამხედრო დანიშნულების პუნქტად გადააქცია. ქართულ საზოგადოებაში წინა პლანზე წამოიწია პოლიტიკური პრობლემები, გააქტიურდა ეროვნული საკითხი. საბჭოთა რუსეთმა 1918 წელს ბრესტის ზავით ბათუმის, ყარსის და არტანის ოლქები ოსმალეთს დაუთმო. ამ უკანასკნელმა ისარგებლა პოლიტიკური არეულობით და 1918 წლის მარტ-აპრილში ბათუმი დაიკავა, ხოლო 1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთი მუდროსის ზავით იძულებული გახდა ბათუმიდან ჯარი გაეყვანა. ოსმალეთი ინგლისმა ჩაანაცვლა. ქალაქი გამოცოცხლდა. ევროპული სავაჭრო და სამრეწველო კომპანიებს „ნორტონი და გარეგორი“, „ლივანტი“, „სიბუნიონი“ განსაკუთრებით იზიდავდა ბაქოს ნავთობი, ჭიათურის მარგანეცი, ადგილობრივი ბამბა და მატყლი”. აღდგა გემების აქტიური მიმოსვლა ბათუმსა და ევროპას შორის, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტანტის ქვეყნები ვერ ურიგდებოდნენ ბათუმში ინგლისელების ერთპიროვნულ გავლენას და ცდილობდნენ თავიანთი უფლებების გაფართოებას. ამან განაპირობა 1920 წლის პირველ ნახევარში ევროპელი დიპლომატების მიერ ბათუმის პრობლემის გაჭიანურება. ბათუმის თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად გამოც-

ხადების იდეა იტალიის სამთავრობო წრეებში დაისვა, მათი სურვილი იყო ბათუმის ნავსადგურზე საბაჟოსა და რკინიგზაზე მოკავშირეების კონტროლი დაწესებულიყო. შექმნილიყო ბათუმის ოლქის სამხედრო მთავრობა, რომელსაც უნდა ყოლოდა სამი ბატალიონი, რამდენიმე ბატარეა და რადიო-ტელეგრაფი. ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღების აზრი დიდი ბრიტანეთის მთავრობაშიც მომწიფდა. ანტანტის სახელმწიფოები პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გავლენის სფეროებზე ვერ თანხმდებოდნენ, სადაო იყო ამიერკავკასია და ბათუმი.

ამერიკელი გენერლის ჯორჯ მოსდოს აზრით „ბათუმი უნდა გამხდარიყო ამიერკავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების ბაზა, საფრანგეთის პრემიერი კლემანსო უკმაყოფილო იყო ბრიტანელების ბათუმსა და ბაქოში ყოფნით. მწვავედ იდგა ბათუმის საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე და თვით ბრიტანეთის მთავრობაშიც 1920 წლის თებერვალში დაისვა საკითხი ბათუმიდან ბრიტანეთის ჯარების ევაკუაციის შესახებ. ფრანგმა გენერალმა ბერტელომ განაცხადა „საფრანგეთის მთავრობა არსებითად ეთანხმება დიდი ბრიტანეთის დელეგაციის აზრს, რომ არასასურველია ბათუმიდან ჯარების ევაკუაცია და მისი საქართველოს, თურქეთის და სხვა მოკავშირეებისათვის ნადავლად დატოვება. ბათუმის თავისუფალი ნავსადგური იყო ყველა მოკავშირის საზრუნავი, იგი უნდა მოექცეს ერთა ლიგის დაცვის ქვეშ”. ბათუმის დაცვისათვის ბერტელის აზრით საკმარისი იქნებოდა სამი ბატალიონი. საფრანგეთი მზად იყო ერთი ბატალიონი გამოეგზავნა. ასევე საინტერესოა იტალიის პოზიცია ბათუმისადმი 1919 წელს ფრანკესკო ნატის სათავეში მოსვლის შემდეგ. დამოკიდებულება ბათუმის საკითხისადმი შეიცვალა. იგი აცხადებს: „მხედველობაში იღებს რა ნავსადგურის უდიდეს მნიშვნელობას მზადაა გაიღოს მსხვერპლი და უზრუნველყოს ერთი ბატალიონი, როგორც იტალიის წვლილი გაერთიანებული გარნიზონის შექმნაში”.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გამოეცხადებინათ ბათუმი პორტო-ფრანკოდ ერთა ლიგის მანდატით და იქ

ჩაეყენებინათ ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სამი ბატალიონი. 25 თებერვალს ლონდონში მსჯელობდნენ არამარტო პორტო-ფრანკოს შესახებ, არამედ ბათუმისა და მის ირგვლივ ტერიტორიაზე „პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე“. მეორე დღეს მოკავშირეები განიხილავდნენ დიდი ბრიტანეთის მთავარსარდლის გენერალ ჯორჯ მილინის პროექტს ბათუმის ქალაქ-სახელმწიფოს სზღვრებზე, რომელსაც უნდა მოეცვა თექვსმეტი ვერსის რადიუსის ტერიტორია, საზღვრები გადიოდა სამხრეთით მდინარე ჭოროხზე, ჩრდილოეთით სოფელ ბობოყვათზე, აღმოსავლეთით აჭარისწყალსა და ჭოროხის შესართავის მაღლა ხერთვისის ზეგანზე. საზღვრების დამდგენ კომისიაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბათუმის მომავალი ეჭვქვეშ დგებოდა და საქართველოსიგ. 11 მაისს დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტმა გადაწყვიტა ბათუმიდან გაეყვანა გარნიზონი. 28 ივნისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. 7 ივლისს პრაქტიკულად განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ბათუმის ჩაბარება. 9 ივლისს ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო ძალებმა ბათუმი დატოვეს, მიუხედავად ამისა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსი ფორმალურად მაინც არ გაუუქმებია. ბათუმი ისევე, როგორც კონსტან-

ტინოპოლი, სმირნა, ალექსანდრეა, ტრაპიზონი გახდებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის თავისუფალ ნავსადგურად ერთა ლიგის მანდატის ქვეშ. თუმცა სევრის ხელშეკრულება უარყო ქემალისტურმა მთავრობამ და ლაზისტანის კონფერენციაზე (1922-1923 წწ) ოფიციალურად გააუქმა.

ბათუმი ორჯერ გამოაცხადეს პორტო-ფრანკოდ, მათ შორის არის მსგავსებაც და განსხვავებაც. კერძოდ: 1878 წელს ბათუმი თავისუფალ სავაჭრო ქალაქ-ნავსადგურად გამოცხადდა და იარსება 1886 წლამდე. მეორედ 1920 წელს გამოცხადდა, მაგრამ არ დაწესებულა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხი ს., თხზ. ტ.1, გვ.37
2. ნიკოლაძე ნ., თხზ., ტ. 6, თბ., 1970 წ., გვ.148.
3. სიჭინავა ვლ., პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის განვითარებაში. – ჟურნალი მაცნე (ისტორიის... სერია) №3. თბ., 1976 წ.
4. სიჭინავა ვლ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958 წ., გვ.135-136.
5. სურგულაძე ა., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996 წ.
6. ტაბაღუა ი., ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე (1920წ.). – ჟურნალი მაცნე (ისტორიის... სერია), თბ., 1982 წ., გვ. 89




ბათუმის საბაჟო 1880 წ.



სავაჭრო ყურე თურქულ ბაზართან



ნავთობსაცავები



ნავთობსაცავები



ბათუმის ნავსადგური



ძველი აშწე ბათუმის ნავსადგურში

## ეთერი კილურაძე

### საგამომცემლო საქმიანობა ბათუმში 1879-1904 წლებში

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, სახელდობრ 1709 წელს თბილისში მოეწყო პირველი ქართული სტამბა. სტამბის დაარსება დაკავშირებული იყო ქვეყნის კულტურულ აღორძინებასთან და მისი პირველი ინიციატორი საქართველოს მეფე ვახტანგ VI იყო.

პირველი ქართული სტამბის შესახებ რომ ვლადპარაკობთ შეუძლებელია არ მოვიგონოთ არქიმანდრიტი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, შემდგომ ქართველ მეფეთა დესპანი ევროპაში. მან კათოლიკობა რომში მიიღო და მშობლიური ლიტერატურით დაინტერესებულმა 1627 წელს გახსნა პირველი ქართული სტამბა რომში. ჟან შარდენის ცნობითაც ქართული სტამბა რომში არქიმანდრიტ ნიკოლოზის თაოსნობით გაიხსნა.

სამშობლოს გარეთ ქართული სტამბის გახსნის საქმეს დიდი ამაგი დასდო აგრეთვე, მწიგნობარმა მეფე-პოეტმა არჩილ მეორემ. ის ბედმა რუსეთში გადასტყორცნა, ცხოვრობდა მოსკოვში. როცა არჩილ მეფე გაეცნო წიგნის ბეჭდვასა და სასტამბო საქმეს განიზრახა ქართული სტამბის მოწყობა. 1696 წელს მან მოსკოვში ჩამოასხმევინა ქართული ანბანის ყალიბები და სტამბაც მოაწყო (ქართული ყალიბების ჩამოსხმას საფუძველი არჩილმა ჩაუყარა).

ვიდრე არჩილი პირველი სტამბის გახსნაზე მუშაობას დაიწყებდა მოსკოვში, ხოლო ვახტანგ VI თბილისში, ეს საშვილიშვილო საქმე წამოიწყო რუმინეთში მცხოვრებმა ქართველმა ანთიმოზ მღვდელ-მონაზონმა (ივერიელმა) იგი რუმინეთში გადასახლდა 1695 წელს. მან ვახტანგ მეფეს საქართველოში წერილი მოსწერა და ქართული სტამბის გახსნა აუწყა. ა. ივერიელმა რუმინეთში ჩამოასხმევინა ქართული ანბანის ყალიბები და ასოები, რაც 1706 წელს ვახტანგ VI-ს საქართველოში გაუგზავნა.

1709 წელს ვახტანგმა თბილისში გახსნა პირველი ქართული სტამბა, სადაც უმთავრესად იბეჭდებოდა საეკლესიო წიგნები: „დაბადება“, „დავითიანი“, „სახარება“ და სხვა. მალე სტამბამ საერო წიგნების ბეჭდვაც დაიწყო. 1712 წელს ვახტანგის უშუალო რედაქტორობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო 1724 წელს „აიათი“ ანუ „კოსმოგრაფია ფიგურებით“ რომელიც სპარსულიდან ითარგმნა. სასტამბო საქმეს დიდი ამაგი დასდო საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა სულხან-საბა ორბელიანმა.

1781 წელს ერეკლემ ძველი სტამბა განაახლა, რაც მას 30 ათასი მანეთი დაუჯდა, ამ მიზნით მან სტამბოლიდან ხელოსნები მოიწვია.

1896-1897 წლებში ქართული სტამბა ფოთში გახსნა ვინმე ლ. ტულუშმა, ხოლო დაახლოებით 1906 წელს სენაკში სიო თავართქილაძემ, რომელსაც თვითონ განაგებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სასტამბო საქმე ფეხს იკიდებს ბათუმშიც, რასაც ხელი შეუწყო კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფმა განვითარებამ. ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებამ, ვაჭრობა-აღებ მიცემობამ, კულტურულმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ბათუმში სტამბის დაარსების საკითხი.

ბათუმში პირველი ქართული სტამბა 1879 წელს დააარსა ალექსანდრე მახარაძემ, რომელიც ამ მიზნით თბილისიდან ჩამოვიდა.

სტამბა, გარდა გაზეთებისა, ბეჭდავდა განცხადებებს, ასრულებდა ინდივიდუალურ შეკვეთებს და სხვა. 1888 წლიდან ალ. მახარაძის სტამბაში მასობრივი ტირაჟით იბეჭდებოდა და გამოდიოდა რუსულ ენაზე პატარა ფორმის გაზეთები „ბატუმსკი ლისტოკი“ და „ობიავლენიე“, რაც დრო გადიოდა, სტამბის ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. 1888 წელს ალ. მახარაძის სტამბა კავკასიის კალენდარში ფიქსირებულია სახელწოდებით „მახარაძის სტამბა ლითოგრაფია ქალაქ ბათუმში“. ეს სტამბა ლითოგრაფია მაშინ მდებარეობდა მიხეილის (ა

ხლანდელ ორჯონიკიძის) ქუჩაზე. შემდგომში იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და ალ. ყაზბეგის ნაწარმოებები. თავის ნაწარმოებებს აქვე ბეჭდავდა შ. დადიანიც. აღსანიშნავია, რომ ალ. ყაზბეგი ხშირი სტუმარი იყო ალექსანდრე მახარაძის ოჯახში (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VI, ბათუმი, 1963, გვ. 39, 40).

1889 წელს ალ. მახარაძის სტამბაში დაიბეჭდა აჭარაში პირველი ქართული წიგნი. ეს იყო მღვდლის შვილის გერასიმე თევზაძის მიერ შედგენილი „ახალი სახალხო ლექსები ელდოხედ, სალდათობაზე და ჯიბის ფულზედ“ გაზ. „კვალი“ წერდა: სმენა რომ იყოს, მაშინ განვლილ დროთა ჩვენთა მამა-პაპათა ძვალნი სამარეშიაც კი უნდა შეიძრნენ სიხარულით, რომ დღეს მათ ნატვრას – ქართული სიტყვიერების, კვალით მიეცა აღორძინება, ვიტყვი, რომ ძველათ ოსმალთაგან უწყალოთ დახოცილთ და წამებულთ ქართველთა მამათა-ნატვრა აღსრულდა, მათი ცრემლი და სისხლი უბრალოდ არ დაინთხა, მათი ტანჯვა და წამება დროთა და ჟამთა ვითარებამ შეიწყნარა და სადაც გუშინწინ ქართველთა ხსენება და ენა ფერფლათ ქცევას და პირქვე დამარხვას ეძლეოდა, დღეს იქ ჟამთა ვითარების მეოხობით, ქართული სტამბის ჩარხი ტრიალებს და ქართული წიგნები იბეჭდება“. ცნობილია, რომ ამ სტამბიდან გამოსულია 26 დასახელების წიგნი, ქართულ (12) და რუსულ (14) ენებზე.

ალ. მახარაძის სტამბაში დროდადრო იბეჭდებოდა არალეგალური ლიტერატურა რევოლუციური პროკლამაციები, ფურცლები და მოწოდებები. ამის გამო იგი ხშირად გაუჩხრიკავს ჟანდარმერიას, მაგრამ როგორც თვითონ მეპატრონე იგონებდა, „სიფრთხილისა და მოხერხებულობის გამო არასოდეს არ ჩავარდნილვართო“. მოგვიანებით ამავე სტამბაში ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გაზეთები: „ბათუმის გაზეთი“ (1911 წ. 15 ივლისი რამდენიმე ნომერი „ბატუმსკი დენ“

1916 წ. „ტალდა“ 1917 წ. „მუშის სიმართლე“ 1918 წ.).

1886 წ. ბათუმში გაიხსნა მეორე სტამბა, რომლის მეპატრონე იყო პ. ა. ლობკო. სტამბა ღებულობდა ყოველგვარ დაკვეთას, კერძოდ ბეჭდავდა აფიშებს, პრეისკურანტებს, ბლანკებს და ა. შ. აგრეთვე რუსულ ენაზე გაზეთ „ბატუმ“-ს (1886 წ. 5 ივლისი) სტამბამ 1886 წ. აგვისტოში დაბეჭდა აგრეთვე ა. ს. კრასოვსკის წიგნი „ზღვაზე ბანაობა ბათუმში“, რომელიც აჭარაში იყო რუსულ ენაზე პირველი ნაბეჭდი წიგნი.

1887-1888 წლების მიჯნაზე პ. ა. ლობკოს სტამბა გადავიდა ფ. ფ. კრიშტიფოვიჩის საკუთრებაში. ახალმა მეპატრონემ გამოიცვალა ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ შეიძინა „ამერიკული კონსტრუქციის დიდი... სწრაფმბეჭდავი მანქანა თავისი ახალი შრიფტით, მორთულობით და საჩამომსხმელობით“. 1888 წ. 17 მარტს განაახლა მუშაობა. იგი ბეჭდავდა კატალოგებს, ბლანკებს, აფიშებს ღვინის, თამბაქოს ეტიკეტებს და ა. შ. აგრეთვე განაგრძობდა გაზეთ „ბატუმის“ გამოცემას.

1893 წ. იანვრის თვეში ფ. კრიშტიფოვიჩის სტამბა შეიძინა ნ. ა. გურსკაიამ. იგი 1888 წლიდან მუშაობდა გაზ. „ბატუმ“-ის რედაქციაში როგორც ჩრდილოეთის სატელეფონო სააგენტოს კანტორის აგენტი, ხოლო 1893 წ. დამდეგს სტამბის სრულუფლებიანი მესაკუთრე გახდა.

ნ. კ. გურსკაიას სტამბამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საქმიანობა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო შეკვეთების (კონფერენციები, საქორწინო ბარათები, აფიშები, ბლანკები და ა. შ.) შესრულების გარდა ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას. ცნობილია ამ სტამბის გამოცემული 30 დასახელების წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე. აგრეთვე განაგრძობდა გაზეთ „ბატუმ“-ის გამოცემას. (1895 წ. 30 ივლისიდან ეწოდებოდა „ბატუმ“ განცხადებათა ფურცელი).

1895 წლიდან იბეჭდებოდა ახალი გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკ“ რომლის პირველი ნომერი 1 ივლისს გამოვიდა მოგვიანებით ამავე სტამბაში რუსულ ენაზე იბეჭდებოდა ახალი გაზეთები „ბატუმ“ (1905 წ. 1 ოქტომბერი.) „ზარია“ (1906 წ. 27 მაისი),

„სტრელა“ (1906 წ. 16 ივნისი) და „ბატუმსკი რაზოჩი“-ს რამდენიმე ნომერი, აგრეთვე ქალაქ ბათუმის ექიმთა ოქმები და შრომები.

1895-1900 წლებში ბათუმში აქტიურ საგამომცემლო საქმიანობას შეუდგა კ. თავართქილაძის და ა.მიქელაშვილის სტამბამასთან არსებობდა წიგნის მაღაზიაც. ცნობილია ამ სტამბის მიერ გამოცემული 33 დასახელების წიგნი ქართული (29) და რუსული (40) (სამხრ. დასავ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III, ბათ., 2008. გვ. 561-562).

კ. თავართქილაძემ 1896 წ. ახალ სენაკში (ცხაკაია) და 1899 წ. ბათუმში დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ცნობილია, რომ დედის მკერდს მოგლეჯილი აჭარა 1878 წ. დაუბრუნდა საქართველოს.

მრავალტანჯული აჭარლების გათვითცნობიერება ითავა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის წევრები დიდი ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით აჭარაში მრავალი სასიკეთო საქმის მესვეურები იყვნენ. აჭარაში მუშაობის მსურველებს კულტურისა და განათლების სხივი შეჰქონდათ. თურქთა ბატონობით დაბეჭავებულ ხალხში, სწორედ ასეთ ენთუზიასტთა რიცხვს ეკუთვნოდა ცნობილი ქართველი მოღვაწე კ. თავართქილაძე, რომელმაც ბათუმში გახსნა სტამბა და მრავალი წიგნი გამოსცა. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1899 წელს ორჯერ დაიბეჭდა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ბათუმში გამოცემული „ვეფხისტყაოსანიც“ – იაფფასიანი იყო, რაზედაც მაშინვე შეაჩერა ყურადღება გაზეთმა „ივერიამ“ (1898 წ. №184) და „ცნობის ფურცელმა“ (1898. №896) აღნიშნული გამოცემის ტექსტი შეიცავს 1551 სტრიქონს, რომელიც გ. ქართველიშვილის 1888 წლის გამოცემის განმეორებას წარმოადგენს. პროფ. ს. ყუბანეიშვილის სამართლიანი შენიშვნით ბათუმში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ ქართველიშვილისეული გამოცემის შემდეგ, პირველი მდიდრული გამოცემაა (ს. ყუბანეიშვილი. თბ., 1966:154).

ბათუმში გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ დართული აქვს წინასიტყვაობა რომელიც კ. თავართქილაძეს ეკუთვნის. ამ მოკლე წერილში ლაკონურად არის გადმოცემული უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობის მიზეზი, „არც ერთ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებს წერს კ. თავართქილაძე, არ სწვევია “ვეფხისტყაოსნის“-თანა ბედი, იგი დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს გენიოს შოთა რუსთაველისაგან გადაურჩა ისეთ ისტორიული ქართველებს რომელმაც განადგურა და მიწასთან გაასწორა ქართველთა ეროვნულ კულტურულ ნაშთთა უმრავლესობა. ამ შვიდი საუკუნის განმავლობაში ვრცელდებოდა და გადაწერ-გადმოწერით გადაურჩა შინაურ და გარეულ მტერთა დევნას ქარცეცხლს და განადგურებას და თავი ამოჰყო მეცხრამეტე საუკუნეში. კიდევ გაივლის მრავალი საუკუნე და „ვეფხისტყაოსანი“ დროთა წყვილია იმოგზაურებს მანამდე სანამ ქართველები და მათი ენა იარსებებს. დიახ, იგი არის და იქნება ქართველების გონებრივი კულტურის სარწყავ-საზომი ემბლემა“. შემდეგ შესავლის ავტორს ნიმუშად მოჰყავს შ. რუსთაველის აფორიზმები.

საკმაოდ მდიდარი და მრავალმხრივია კ. თავართქილაძის შედგენილი კალენდარი, რომელიც პირველად ბათუმში დაიბეჭდა 1900 წელს (გ. ჯავახიშვილი, 1980. 26. 28).

ბათუმში არსებული სტამბიდან თავისი ნაყოფიერი შრომით გამოირჩეოდა კ. თავართქილაძის სტამბა. მის მიერ ბათუმში გამოიცა მრავალი წიგნი, როგორც ქართველი, ისე რუსი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებები. 1895 წ. აქ დაიბეჭდა მიხეილ ლერმონტოვის პოემა „დემონი“ (თარგმანი მ.გურიელისა) ნიკო ნიკოლაძის ნაწარმოებები (1895), ეგნატე ნინოშვილის “ჩვენი ქვეყნის რაინდი” (1896), „ქრისტიანე“(1900), „მოსე მწერალი“ (1902), თედო სახოკიას „ქალები“ (1895), ს.გუგუნავას “თამარიანი”, თეოფილე ხუსკივაძის რამდენიმე მოთხრობა, სილოვან ხუნდაძის, ანტონ ფურცელაძის, კონსტანტინე გვარამაძის და სხვათა ნაწარმოებები (გ.ჯავახიშვილი. 1980. 4).

1900 წელს ბათუმში სტამბა გახსნეს გიორგი თავართქილაძემ, ბართლომე კი-

ლაძემ და მაქსიმე წულაძემ, მოგვიანებით – ნ. გალისონმა. ეს იყო ბერძნული სტამბა, რომელიც ბერძნულ გაზეთს „ხორვაგის“ (განთიადი) ბეჭდავდა. სტამბის წარმოება გამართეს უცხოელებმა ვერიჩევმა და კამენბახერმა (მიხაილოვის ქუჩაზე), აგრეთვე კულჩისკიმ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს სტამბა შეისყიდა შმავესკიმ.

ვერიჩევისა და კამენბახერის, კულჩისკის და შმავესკის სტამბებმა ნიადაგი ვერ ჰპოვეს და სტამბის წარმოებას თავი დაანებეს. გურსკის სტამბა და ბიბლიოთეკა დაახლოებით 1907 წ. შეისყიდა ნ.ხვინგიამ, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ დაიხურა.

გ. თავართქილაძის და კილაძის სტამბაში სისტემატურად იბეჭდებოდა განცხადებები, სხვა სახის მასალები. აქ გამოიცა „ბათუმი და მისი მიდამოები“ „ხმოსნების სამახსოვრო წიგნი“, არარუს მოსახლეობისათვის რუსული ენის შესწავლა მიზნით ბროშურების სერია: „ვანო და ცხვარი“, „გველი და ბოშები“, „გაცვლა-გამოცვლა“ „სულელი ლეკვი“, „ორი ყინვა“, „ვანო და თხა“ „კურდღელი და ბაყაყი“ და სხვა.

ქ. ბათუმში რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მრავალი ლეგალური სტამბა არსებობდა (აქარის სახ. მუზეუმის შრომები ტ. VI გვ. 41). 1890-იან წლებიდან ბათუმი წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს, სადაც ჩაისახა და განვითარდა პროლეტარული მოძრაობა<sup>2</sup>. აი, სწორედ ბათუმში 1897 წ. ადგილობრივი სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციის მოწინავე მუმას გრიგოლ სოლორაშვილს უთარგმნია (თარგმნა დაუწყია 1896 წ.) ფრ. ენგელსი, კ. მარქსის მანიფესტი პარტიისა<sup>3</sup>. რაც სოციალ-დემოკრატის გ. ფრანჩესკის ბინაში ჰექტოგრაფზე დაუბეჭდავთ.

1896 წლიდან უკვე არსებობს ბათუმში პატარა ჯგუფი ასოთამწყობების. იმავე წელშივე ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი აარსებს მებრძოლ კასას, სადაც შედიოდა 10-15-ზე მეტი წევრი. ბეჭდავენ ჰექტოგრაფზე მარქსის კომუნისტურ მანიფესტს და იღებენ მარქსის ფოტოგრაფიულ სურათს და ავრცელებენ სანდო პირებში<sup>4</sup>.

ბათუმის სოციალ-დემოკრატების წრემ გ. სოლორაშვილის გადმოცემით იმავე წელს დაბეჭდა კ. მარქსის სურათი და 1898 წ. მარტში სურათის გამავრცელებელი მკალანდაძე დაუპატიმრებიათ. იგი 5 თვის განმავლობაში მეტეხის ციხეში მჯდარა.

მიხ. კალანდაძის ბინის გასინჯვისას აღმოჩნდა სხვა ხელსაწყოებიც რომელთა „ხელი უაღრესად ჰგავს ხელის ჰექტოგრაფიულად დაბეჭდილ ფრანჩესკისთან ნაპოვნ ქართული ბროშურას, რომელშიც პოპულარულად გადმოცემულია კარლ მარქსის მოძღვრება. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ჰექტოგრაფიულად დაბეჭდილი ქართული ბროშურაც – „ბურჟუა და პროლეტარი“ (40 გვერდის მოცულობით) – შეადგინა კალანდაძემ.

„რევოლუციური მუშაობის გაშლისათვის ბათუმში ხელსაყრელი პირობები არსებობდა“ – აღნიშნავს მკვლევარი ლ. გორგილაძე და მართლაც, ბათუმში არსებულ ოცამდე ქარხანაში იყო არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომელთა მესვეურობით ვრცელდებოდა კ. კაუცკის, კ. მარქსის ეკონომიკური მოძღვრება<sup>5</sup>, ერფრუტის პროგრამა და სხვა. (გ. ჯავახიშვილი. 1980. 12).

ბათუმში არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ წრეს თავისი სტამბაც ჰქონდა სადაც იბეჭდებოდა პროკლამაციები და უხვად ვრცელდებოდა მუშათა და გლეხთა წრეებში. 1905 წლის მარტში ბათუმის ოლქის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თბილისში ატყობინებდა: „ბათუმში ჯერ კიდევ 1904 წ. მარტიდან მიმდინარეობს საქმის მიკვლევა სტამბის შესახებ და ამ საქმის გამო აუცილებელი აღწულუკიდის დაკავება, რადგანაც შარშან უფლება არ მოგვცეს მისთვის ხელი გვეხლო... იგი მეთვალყურეობისათვის იყო საჭირო. ხომ არ არის რაიმე დაბრკოლება ახლაც, რომ ჩხრეკა მოვაწყოთ წულუკიდის ბინაში“ (კომუნისტი. 1976. №26).

1904 წ. აპრილში რსდმპ ბათუმის არალეგალურმა სტამბამ მოქმედება შეწყვიტა, რადგან ჟანდარმერიის აგენტებმა სტამბის კვალს მიაგნეს, მაგრამ სტამბის ხელში ჩაგდება მათ ვერ შესძლეს, რადგან ხაშიმ სმირბამ მოახერხა დაემალა არალეგალური

სტამბის მთლიანი მოწყობილობა. დღეს არალეგალური სტამბის სრული კომპლექტი დაცულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვა სტამბის ჩავარდნის შემდეგაც არ შენელებულა და კვლავ გრძელდებოდა ლეგალურ სტამბებში.

გიორგი თავართქილაძისა და ბართლომე კილაძის სტამბაში სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ბროშურები და წიგნები: „ჩვენი მოთხოვნები“ – სამი წიგნაკი სამი ათას ცალად თითოეული „რანი არიან ლიბერალები“, „შრომა და ბედნიერება“, „რა აზრის არიან სოციალისტ-რევოლუციონერები მიწის შესახებ“, კარლ მარქსი „საარქივო შრომა და კაპიტალი“, „ურიათა კითხვა“, „ვაჭრობის თავისუფლება“ აგუსტ ბებელის „დიდი შრომა“ „დედა-კაცი და სოციალიზმი“, ჟურნალი „დრუგ პროლეტარიატ“, რსდმკ გურიის კომიტეტის საწევრო წიგნაკები 600 ცალის რაოდენობით და სხვა.

ბუკინისტური მაღაზია („მეგობარი“) ჰქონდა აგრეთვე სპირიდონ ჭელიძეს ბაზრის (დღეს გორგილაძის ქუჩაზე). დავით კლდიაშვილის სიტყვით: ჰქონდა მაღაზია ავსილი ძველი და ახალი წიგნებით, იგნაკებით ფურცლებით, გაზეთებით... დაჰქონდა სოფლებში, ხან ჰყიდდა, ხან ისე ავრცელებდა არიგებდა, საკმაოდ ენამეტ-

ყველი იგი საოცარი ენერჯის პატრონი იყო, ამასთან გულკეთილი და მოსიყვარულე ადამიანი თავისი ტკბილი სიტყვით და მოქცევით ხიბლავდა ახალგაზრდობას, რომელიც მიდიოდა მაღაზიაში და ხშირად მართავდა საუბარს ამა თუ იმ საგანზე (დკლდიაშვილი 1984.72).

ამრიგად, XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში, ბათუმში მოქმედმა სტამბებმა და მათ მიერ გამოცემულმა ჟურნალ-გაზეთებმა და წიგნებმა დიდი როლი შეასრულეს ბათუმის ოლქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ განვითარებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბათუმი, 2008
2. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, VI. ბათუმი, 1936
3. ჯავახიშვილი გ., წიგნი და გამომცემელი, ბათუმი, 1960
4. კლდიაშვილი დ., „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათუმი, 1984
5. სურგულაძე ა., პირველი მარქსისტული წრე ბათუმში, ბათუმი, 1972
6. გაზეთი „კომუნისტი“, №26, 1976 წ.
7. ყუბანეიშვილი ს., „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966



ი.ბ. სტალინის  
ხელმძღვანელობით მოწყობილი  
პირველი არალეგალური სტამბის  
საბეჭდი დაზგა

## საშა ლეკვეიშვილი

### „ლისტოკ ბატუმი“-დან „ბათუმის გაზეთამდე“

მეფის რუსეთის სამოხელეო აპარატმა ცარიზმის კოლონიურ სისტემაში კავკასიის, მათ შორის საქართველოს დაჩქარებულ ინტეგრაციას რეალური პირობები შეუქმნა. მართალია, ცარიზმის კოლონიური მედიის ორგანოებში ხშირად იბეჭდებოდა სპეციალური დანიშნულების წერილები და სტატიები, მაგრამ ამავე დროს ქვეყნდებოდა ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებიც. რუსული მედიის კავკასიური ფლაგმანები იყო თბილისში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები, რომლითაც ქართველ ხალხს მიეწოდებოდა სხვადასხვა სფეროს საქმიანობის ამსახველი მასალები. ასეთები იყო: „ტფილისის უწყებანი“ (1828-1833 წწ.), „ამიერკავკასიის მოამბე“ (1836-1864 წწ.), „კავკასიის კალენდარი“ (1847-1917 წწ.), „კავკაზი“ (1846-1918 წწ.), „კავკასიის სიძველეები“ (1872-1873 წწ.) და სხვა.

ბათუმი მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, ისე როგორც მთლიანად საქართველო, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ პირველი გაზეთი, რომელიც ბათუმში გამოვიდა იყო რუსულ ენაზე „ლისტოკ ბატუმი“-ს სახელწოდებით. გამოვიდა 1882 წლის ივნისში. გამოდიოდა კვირაში ორჯერ 1500 ეგზემპლარი. მისი წლიური ღირებულება შეადგენდა 2 მანეთს. რედაქტორი და გამომცემელი იყო თავადი ვაჩნაძე. გაზეთის რამდენიმე ნომერი გამოიცა და დაიხურა. 900-იან წლებში კი ისევ განახლდა იმავე სახელწოდებით. მასში ძირითადად ქვეყნდებოდა ხელისუფლების ბრძანებები, ფირმებისა და საზოგადოების რეკლამები. შემდეგ კი დაიწყო ადგილობრივი მწვავე მასალების დაბეჭდვაც. ალბათ გაზეთის დახურვის მიზეზი ესეც იყო. დასაწყისში „ლისტოკ ბატუმი“ თაბახის ფურცლის ზომისა იყო. შემდეგ კი ცოტათი გაიზარდა.

თეიმურაზ კომახიძემ წიგნში „ისინი შვენოდნენ ქალაქს“ აღნიშნა, რომ გაზეთი

„ბატუმსკი ლისტოკ“-ი იბეჭდებოდა ალ. მახარაძის სტამბაში. ამავე სტამბაში იბეჭდებოდა მეორე რუსული გაზეთი „ობიავლენიე“. ყოველდღიური პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული გაზეთი გამოვიდა 1895 წელს. რედაქტორ-გამომცემელი იყო გ.ა.პალმი. გაზეთი იბეჭდებოდა გურსკის სტამბაში, ხოლო რედაქცია მოთავსებული იყო ოგლობჟინის (ახლ. მერაბ კოსტავას) ქუჩაზე, ტაიროვის სახლში. გაზეთი დებულობდა კორესპოდენციებს ქუთაისიდან, ფოთიდან, სოხუმიდან, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან. იბეჭდებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური პუბლიკაციები, საერთაშორისო ამბები. განსაკუთრებული ადგილი ეკავა რუსული და თარგმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ბეჭდვას.

გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის რედაქტორი გ. პალმი უაღრესად აგრესიული პიროვნება იყო, სძულდა ქართველები და ვერ ეგუებოდა იმ ვითარებას, რომ ქალაქის მმართველობის სათავეში იდგა ქართველი – ლუკა ასათიანი. პალმმა ლ. ასათიანს „ლუკერია“ დაარქვა და გაზეთის ფურცლებზე ყოველნაირად დასცინოდა. დაძაბულობისა და უსაფუძვლო ლანძღვა-გინების შეწელების მიზნით პალმი აირჩიეს ქალაქის თვითმმართველობის საბჭოს წევრად. მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძობდა თავაშვებული წერილების გამოქვეყნებას, რის გამოც ქალაქის თვითმმართველობის საბჭოს ოფიციალურ სხდომაზე გაკიცხვა გამოეცხადა. იგი სწორედ ის პალმი იყო, რომელიც ქართველების ლანძღვისათვის დავით კლდიაშვილმა დუელში გაიწვია და სახალხოდ ბოდიში მოახდევინა.

1905 წლიდან გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის რედაქტორ-გამომცემელი იყო ალ. ნიკიტინი, იბეჭდებოდა ი. მივკინის ორთქლის სტამბაში. გაზეთის ღირებულება იყო 5 კაპიკი. 1905-1907 წლებში ბათუმში პოლიტიკური გამოსვლების გამო ადგილობრივი ხელისუფლება სისტემატურად ხურავდა სხვადასხვა გაზეთებს. დახურეს გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-იც, ხოლო რედაქტორი ა. ნიკიტინი ბათუმიდან გაასახლეს. სხვადასხვა დროს ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ დ. დავიდოვი, ნ.

მკურნალადე და ს. მიხაილოვი. თუ როგორ ხვდებოდა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის გამოხდომებს ბათუმის ინტელიგენცია, კარგად ჩანს ტ. ინასარიძის მოგონებიდან, რომელიც მაშინ ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფში მუშაობდა და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა: „ერთმა ჯგუფმა ბათუმის ქართველ ინტელიგენციისამ სპ. ჭელიძის მეთაურობით (რომელსაც წიგნის მალაზია ჰქონდა ბათუმში) სცადეს გამოეცათ ქართული გაზეთი და მით ოპოზიციაში ჩასდგომოდნენ პალმის გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ს. ასე გამოსცეს ქართული გაზეთი, რომელსაც დიდი დღე არ ჰქონია, ვინაიდან მაშინდელი ქართველობა უფრო რუსულ გაზეთს კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ გაზეთში ქართველობისავე ლანძღვა-გინება იყო მოთავსებული ხოლმე... ასე იცის რუსიფიკაციამ და „პარუსკი“-ობამ. ქართული გაზეთი “ბათუმის გაზეთი” სულ 7 თვეზე მოისპო და ბურთი და მოედანი დარჩა კვლავ რუსულ გაზეთს”. ამის შემდეგ, ვიდრე 1911 წლამდე, ბათუმში რუსული გაზეთი დომინირებდა.

გაზეთი „დრუგ სოლდატა“ რსდმპ ბათუმის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის მიერ ჯარისკაცებში სააგიტაციო მუშაობისათვის იყო არალეგალურად გამოცემული. გამოსვლას იწყებს 1905 წლიდან. სამწლოვანი არსებობის მანძილზე გამოცემული იქნა 23 ნომერი. გაზეთი თავის ფურცლებზე აშუქებდა ჯარისკაცთა ცხოვრების ყოველ მხარეს. იგი ვრცელდებოდა მიხაილოვის ციხესიმაგრის ჯარისკაცებში, ყარსის სამხედრო ჰოსპიტალში, არდაგანის პოლკში და სხვა. გაზეთის რედაქტორი იყო როტმილდის ქარხნის ზეინკალი მ. ფედოსოვი, ხოლო გამომცემლები ამბერკი ბუილიშვილი და ნიკოლოზ დობინი. მ. ფედოსოვს 1905 წლის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის კატორღა მიესაჯა. გაზეთი დაიხურა 1908 წელს.

გაზეთი „ბატუმსკი გოლოს“-ი იყო რადიკალური მიმართულების, ესერული გადახრით. გაზეთს ხელმძღვანელობდნენ ალ. ნიკიტინი, ს. მდივანი, პ. საბაშვილი, ვ. წერეთელი. გაზეთი „ზარია“ სოციალ-დემოკრატების ორგანო იყო. ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ ვარდენ ჩხაიძე,

ბიქტორ თევზაია. ორივე დასახელებული გაზეთი გამოიცა 1905 წელს. დროგამოშვებით მათ სახელი ეცვლებოდათ, ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლებისაგან დევნას განიცდიდნენ. იყო შემთხვევები, როცა აღნიშნული გაზეთები პროკლამაციებს გავდა.

1907 წელს ბათუმში ქართულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „მიკრიკი“, რომელსაც დიდხანს არ უარსებია. გაზეთი „ბატუმსკოე ვესტი“ გამოვიდა 1908 წელს. იგი ყოველდღიური პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული ორგანო იყო. იბეჭდებოდა შმავესკის სტამბაში, რომელიც მდებარეობდა მიხაილოვის ქ. №1 (ახლ. 9 აპრილის ქუჩა), რედაქტორ-გამომცემელი იყო ევგენია გერმანი. გაზეთი იბეჭდებოდა ფერად ქალაქზე (ცისფერი, ვარდისფერი, წითელი, ლურჯი), გამოყენებული იყო ფერადი შრიფტი, რაც გაზეთს განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა. პირველი მსოფლიო ომის დროს გაზეთი დიდ როლს ასრულებდა ომში დაღუპულთა ოჯახებისა და დასახიჩრებულთა დასახმარებლად. გაზეთმა ვრცელი ადგილი დაუთმო 1914 წლის ნოემბერში რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის კავკასიაში და განსაკუთრებით თბილისში ყოფნას. გაზეთმა იარსება 1917 წლამდე. თუ დავეყრდნობით 1908 წლის კავკასიის კალენდარს, მაშინ ზემოთ აღნიშნული გაზეთების გარდა, ბათუმში გამოდიოდა შემდეგი დასახელების გაზეთები: „სტრელა“, „ჩერნომორსკი გოლოს“, „პლამია“, „კომერჩესკაია ი სპრავოჩნაია გაზეტა“, „ჩერნომორსკიე ნოვოსტი“, „ჩერნომორსკოე ეხო“, „ჩერნომორ“, „ჩერნომორსკი ლისტოკ ობიავლენიი“ და თურქულ ენაზე „შურაი მილეთი“.

გაზეთი „ბატუმსკიე ნოვოსტი“-ი გამოვიდა 1909 წელს. რედაქტორ-გამომცემელი იყო ვ. ბერეაციაანი. იბეჭდებოდა ა. შანზოს სტამბაში, ხოლო რედაქცია იმყოფებოდა მიხაილოვის ქუჩაზე შპოლიანსკის პასაჟში. გაზეთში

მოთავსებული იყო კავკასიის და რუსეთის ამბები, ქრონიკა, რეკლამები და ფელეტონები.

არა მარტო ბათუმის, არამედ სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდა ქართული გაზეთის გამოსვლას ბათუმში, რომელსაც თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა ქართველ მუსლიმანთა გათვითცნობიერების საქმეში. თუ რა სიტუაცია იყო ქართული გაზეთების მხრივ ამ პერიოდში ბათუმში, კარგად ჩანს აპ. წულაძის წერილიდან „...ქართული გაზეთების რედაქციებმა იწყეს აჭარაში გაზეთების გაგზავნა (უფასოდ), ეს აჭარლებს დიდად ესიამოვნა. ქართული გაზეთებით აჭარლები გებულობდნენ, თუ რა ხდებოდა დუნიაზე და მასთან გაზეთები ატყობინებდნენ მათ, როგორ ზრუნავს მათ შესახებ მეზობელი ქართველი ქრისტიანები... როგორც კი დაინახავდნენ გაჩნდა ვინმე ბაზარში გაზეთით ხელში, გარს შემოერტყმიან მოსასმენად, მაგრამ იქვე გაჩნდება ადმინისტრაციაც თავისი ძლიერებით და იძულებულნი არიან დაიშალონ. ასე რომ ჟურნალ-გაზეთების კითხვაც კი არალეგალურად ითვლებათ“.

და აი, 1911 წლის 15 ივლისიდან ბათუმში გამოსვლას იწყებს „ბათუმის გაზეთი“ – ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. რედაქტორ-გამომცემელი ნ. ხომერიკი. იბეჭდებოდა მახარაძის სტამბაში, რომელიც მაშინ იმყოფებოდა ერისთავის ქ. №10-ში (ახლ. გენერალ მაზნიაშვილის ქუჩა) ვაგანიანცის სახლში. გაზეთი ღირდა 3 კაპიკი. გაზეთი მე-2 ნომერში წერდა: „დაარსდა „ბათუმის გაზეთი“, დაიწყო ადგილობრივ ინტელიგენტთათვის მეტად პასუხსაგები საქმე... გაზეთის გამოცემა შეადგენს აუცილებელ საზოგადოებრივ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. პრესა იმის მაგიერ, რომ იგი იყოს მოსარჩლე სიმართლისა, მოზაირახტრე საკაცობრიო იდეალებისა, საიჯარო და სავაჭრო საქმედ ქცეულა... „ბათუმის გაზეთი“ ამ მხრივ განსაკუთრებულ პირობებში იწყებს გამოსვლას, საზოგადო მოვლენათა მიუდგომელი დაფასება... აი, მიზანი, რომელიც დაუსახავს „ბათუმის გაზეთს“ და რის შესრულებასაც

ჩვენ მას ვუსურვებთ“. სტატიაში „ქართული გაზეთები“, „ბათუმის გაზეთი“ გულისტკივილით აღნიშნავდა: „დღევანდელი ჩვენი დროგამოშვებითი გამოცემანი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან. ვერსად მთელი კავკასიის რკინის გზის სადგურში თითქმის ვერცერთ ქართულ გაზეთს ვერ შეხვდებით. თვით ქალაქებში იშვიათია ქართული გაზეთის დამტარებლები. როცა ჰკითხავ, ქართული გაზეთი თუ გაქვსო, არაო, მოგიგებენ. რატომო, თუ დაეკითხე, იმიტომ, რომ ქართულს მარტო ქართველი კითხულობს, რუსულს კი სუყველანიო. ზოგი კი უცბათ მოგახლის პირში, რუსული სჯობიაო“.

„ბათუმის გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელი 1912 წლიდან არის ა. ჭელიძე. იბეჭდებოდა ვ. ჩანტლაძისა და ნ. ხვინგიას სტამბაში, რომელიც იმყოფებოდა მარინსკის პროსპექტ №8-ში (ახლ. მემედ აბაშიძის პროსპექტი). 1913 წლის ივნისიდან „ბათუმის გაზეთი“ გამოდის კვირაში ორჯერ. გაზეთს ჰქონდა წარწერა: „ჯერჯერობით გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით“ რედაქტორი ლ. გეგენავა, ხოლო გამომცემელი ა. ჭელიძე. იბეჭდებოდა ბარტოსა და კრიაცივიცკის სტამბა „პროსვეშჩენიეში“, შერემეტევის ქ. №18-ში (ახლ. ლუკა ასათიანი).

1914 წლის ივნისში „ბათუმის გაზეთი“ ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით დაიხურა. „ბათუმის გაზეთმა“ მართლაც დიდი როლი შეასრულა ქართველი მუსლიმანების გათვითცნობიერების საქმეში. აპ. წულაძე თავის წიგნში აღნიშნავს: „უმაღურობა იქნება, ძმებო, აქვე არ აღვნიშნოთ ქართული გაზეთების ღვაწლი. ქართული გაზეთი „დროებიდან“ მოკიდებული, ყველა ცდილობდა ჩვენი ერთობის განმტკიცებას, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენს ერთობას ხელი შეუწყო „ბათუმის გაზეთმა“. ეს გაზეთი ბათუმში გამოდიოდა, თქვენზე ახალი იყო და თქვენ ცხოვრებას აკვირდებოდა. მასში იბეჭდებოდა თვით ქართველი მუსულმანების წერილები, როგორც კაცების, ისე ქალების და ცხადია, როცა თვით თქვენიანებმა იწყეს გაზეთის კითხვა და მასში წერა – მერე უფრო მეტად მიიქცია ქართველი ქრისტიანების ყურადღება თქვენმა ცხოვრებამ და საჭიროებამ“. სწორედ

ამის გამო შემდეგ ქართულ ენაზე გაზეთი ბათუმში დიდხანს არ გამოსულა. 1912 წელს გამოდიოდა შემდეგი გაზეთები: „ბატუმსკი სელსკი ხოზიანი“, „არგონავტ“, „ჩერნომორეც“, „ბატუმსკაია პრავდა“, „ბატუმსკი დენ“ და ბერძნულ ენაზე ორი გაზეთი – „ეფნიკი დრასის“ და „ეფნიკი ფონი“.

„ბატუმსკაია პრავდა“ – ყოველდღიური პოლიტიკურ-ეკონომიკური და სალიტერატურო გაზეთი გამოვიდა 1912 წელს. რედაქტორ-გამომცემელი ს. ყუფარაძე. რედაქციის შედგენილი: ნ. პლატონოვა, ა. გერვასი, ვ. პარამონოვი, პ. პლატონოვი და ქ. სოდოროვი. გაზეთი კორესპოდენტებს ღებულა კიევიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, ბაქიდან და სხვ. იბეჭდებოდა სტამბა „პროსვეშჩენიეში“, ღირდა 5 კაპიკი.

„ბატუმსკი დენ“ – ყოველდღიური, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი გამოვიდა 1912 წელს. რედაქტორ-გამომცემელი გ. სოდორაშვილი. გაზეთი იბეჭდებოდა შმაევსკის სტამბაში. რედაქცია იმყოფებოდა მარიინსკის პრ. №10-ში (ახლ. მემედ აბაშიძის პრ.). გაზეთის ბოლო რედაქტორ-გამომცემელი იყო ვლ. სახნოვსკი. 1913 წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ნება დართო ბათუმში მცხოვრებ ნ. დოლიძეს ქართული ყოველდღიური გაზეთის გამოცემისა, სახელწოდებით „ხმა“, მაგრამ არ გამოსულა. ამავე 1913 წელს ბათუმში გამოვიდა კაპი-

კიანი გაზეთი „ბატუმსკაია გაზეთა კაპეიკა“ რუსულ ენაზე. რედაქტორ-გამომცემელი იყო ევგენია გერმანი. სულ რამდენიმე ნომერი დაიბეჭდა. პირველი მსოფლიო ომის დროს აჭარა სამხედრო მოქმედებათა პლაცდარში გახდა. ბათუმში საგანგებო წესები გამოცხადდა, რამაც მძიმე გავლენა მოახდინა აჭარის სახალხო მეურნეობაზე. დაიხურა თითქმის ყველა გაზეთი, რომელთა გამოცემა განახლდა 1916-1917 წლებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნულმა გაზეთებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართველ მუსულმანთა გათვითცნობიერების, განათლებისა და კულტურული ცხოვრების ამაღლების საქმეში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კავკასიის კალენდარი 1890 წლის, თბ., 1891 წ.
2. კავკასიის კალენდარი 1908 წლის, თბ., 1909 წ.
3. აჭარის ხ.ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №120, 332, 338-39.
4. აჭმ-ს შრომები, ტ. VI, ბათ., 1968 წ.
5. წულაძე აპ., ძმური სიტყვა ქართველ მუსულმანებს, თბ., 1915
6. გაზეთი „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. №18, 1913 წ. №82, 1914 წ. №28
7. ბათუმის აღმანახი, 1904 წ. ბათ., 1905
8. გაზეთი „ბათუმი“, 1997წ. X-XI, აჭარის ბერძენთა საზოგადოება
9. გაზეთი „ბატუმსკაია პრავდა“, 1912, №71.

# ბათუმის გაზეთი

№ 2. 1912 წლის თებერვალი. 17-18 თებერვალი. № 2

თავმჯდომარე ი. ჯ. რელიგიონისა

„აგლომ“

დ. ზ. სარაქოვილისა

კვ. ანაკაპის მაცხოვრებელი

„ბათუმის გაზეთი“

დ. თაბაგაძე

იარმარკა

ა. მ. ივანისა

ЦЕНА 5 К.

# БАТУМСКАЯ ПРАВДА

ежедневная политическая, экономическая и литературная газета

№ 11. Суббота, 18 февраля 1912 года. № 11

при подписке на газету „БАТУМСКАЯ ПРАВДА“

допускается расценка по 50 коп. в месяц в наперед, подписка — противоположная

владельцы: И. А. Крайнев, А. Н. Крайнев

редакция: И. А. Крайнев

телефон: 11

адрес: Батум, ул. Шеневского, 26

Содержание:

- 1. Вестник славянской истории — Давидов Восток, А. В. Крайнев
- 2. Религиозно-экономический очерк — А. В. Крайнев
- 3. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 4. Школа в Батуме — И. А. Крайнев
- 5. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 6. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 7. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 8. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 9. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 10. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 11. Вестник из Батума — И. А. Крайнев

Батум, 1912

Пятница, 7 февраля 1912 г. № 27

ИЗДАНИЕ ГОДЪ ВТОРОЙ

Пятница, 2 февраля 1912 г. № 27

# ЧЕРНОМОРСКИЙ ВЪСТНИКЪ

ПОЛИТИЧЕСКАЯ, ОБЩЕСТВЕННАЯ, ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

Выходит ежедневно, в воскресенье выходных дней

Тираж 500 экз.

Редакция: И. А. Крайнев

Адрес: Батум, ул. Шеневского, 26

Содержание:

- 1. Вестник славянской истории — Давидов Восток, А. В. Крайнев
- 2. Религиозно-экономический очерк — А. В. Крайнев
- 3. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 4. Школа в Батуме — И. А. Крайнев
- 5. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 6. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 7. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 8. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 9. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 10. Вестник из Батума — И. А. Крайнев
- 11. Вестник из Батума — И. А. Крайнев

Батум, 1912

№ 9-4 1912 г.

Годъ изд. V.

# Русские Субтропики.

Журнал Батумского Общества Сельского Хозяйства

Содержание:

1. Вестник славянской истории — Давидов Восток, А. В. Крайнев
2. Религиозно-экономический очерк — А. В. Крайнев
3. Вестник из Батума — И. А. Крайнев
4. Школа в Батуме — И. А. Крайнев
5. Вестник из Батума — И. А. Крайнев
6. Вестник из Батума — И. А. Крайнев
7. Вестник из Батума — И. А. Крайнев
8. Вестник из Батума — И. А. Крайнев
9. Вестник из Батума — И. А. Крайнев
10. Вестник из Батума — И. А. Крайнев
11. Вестник из Батума — И. А. Крайнев

Батум, 1912

Продолжается подписка на ежеквартальный журнал

съ НЕДЕЛЯМИ

# „Русские Субтропики“

„Органъ Батумск. Об-ва Сел. Хоз. и Водн. Мелочнаго Садн.“

годъ издана 5-й

Подписная плата нагодъ 2 руб. Отдѣльный № — 15 коп.

Въ 1912 г. журналъ „Русские Субтропики“ выходя 4 раза въ году по четвергамъ въ числѣ 15 №№, и журналъ издаваеи 4 раза въ годъ безъ всякаго прерыванія за годъ.

Отдѣльныя статьи по 10 коп. за листъ рубль. При востребованіи листовой — съ каждой 10 коп. за 20 "

Політиска принадлежать редакціи Об-ва А. Ф. Семеновича

Батумъ — Отпечатано „Свѣтъ“ Батумъ

Копію журнала посылается на Шеневской ул. д. № 26

Редакторъ г-ръ А. Н. Крайневъ

## მაყვალა გოგუა

### საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1914-1916 წლებში

აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. სამხრეთი საზღვარი ემთხვევა თურქეთის სახელმწიფო საზღვარს და გასდევს ჭანეთისა და შავშეთის ქედებს. აღმოსავლეთით არსიანის ქედს, ჩრდილოეთით მესხეთის ქედს და მის განშტოებას. დასავლეთით აკრავს შავი ზღვა 2.9 ათასი კვ-კმ ფართობით.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ნაწილია. ისტორიულ-გეოგრაფიულად იგი ზემო ქართლის, კერძოდ მესხეთის შემადგენლობაში იყო. ისტორიულ წყაროებში აჭარა მოხსენებულია, როგორც „აჭარის ქვეყანა, დასახლებული ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფით – აჭარლებით. ლეონტი მროველის ცნობით, ძვ.წ მე-3 ს-ის მეორე ნახევარში აჭარა ქართლის სამეფოს საერისთაოში შედიოდა. მომდევნო ხანაშიც იგი ქართლის შემადგენლობაში იყო.

მე-8 საუკუნიდან აჭარა ბაგრატიონთა სამფლობელოს ეგ. წ. „ქართველთა სამეფოს“ ნაწილად იქცა. 941 წლიდან ქვემო აჭარა „აფხაზთა სამეფოში“ შედიოდა. მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარა ერთიანი ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში იყო. მე-11 ს-ის შუა წლებიდან ზემო აჭარა კლარჯეთთან ერთად აბუსერსიძეთა საერისთაოში გაერთიანდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის დაძაბულად დაიწყო 1914 წელი. სიტუაცია დაიძაბა, რაც უფრო მოახლოვდა მსოფლიო ომი, მით უფრო გამწვავდა მდგომარეობა. 1914 წლის 11 იანვარს ართვინის ოკრუგის უფროსმა გუბერნატორს აცნობა, რომ თურქეთის საზღვრებთან თავს უყრიდა ჯარის დიდ ნაწილებს.

1914 წლის 24 თებერვალს სამხედრო გუბერნატორმა მოიწვია სპეციალური სხდომა, რომელზედაც ისაუბრეს საზღვარზე შექმ-

ნილი საგანგაშო მდგომარეობის შესახებ. მიზანშეწონილად ჩათვალეს შექმნილიყო ადგილობრივი მოსახლეობიდან ეგ. წ. „მფრინავი რაზმები“ საზღვრის დასაცავად. (ო. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში, 1910-1918 წლებში, თბ., 1999 წ.).

1914 წლის აპრილში გახშირდა დივერსიული აქტებიც. თურქები ავრცელებდნენ პროკლამაციებს. ერთ-ერთი ასეთი პროკლამაცია აღმოჩნდა ხულოს რაიონის სოფელ ალმეში. 15 მაისს მოსახლეობამ დააპატიმრა და პოლიციას გადასცა ვინმე ჰასან ოღლი, რომელიც ცდილობდა პროკლამაციის გაკვრას ბათუმის ერთ-ერთ სახლზე.

1914 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ აშკარად ჩანდა, თურქეთი ომისათვის ემზადებოდა. სასულიერო პირების ნაწილი აშკარად თურქეთის მხარეზე იდგა.

ზემო აჭარის მოსახლეობა დიდად ენდობოდა ხიმშიაშვილებს, რომლებზედაც განსაკუთრებული მეტვალყურეობა იყო დაწესებული. მეფისნაცვალი დიდად არ ენდობოდა ბეგებს და საყვედურობდა ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობას, რომ ვერ შეძლო აღეკვეთა თურქი ემისრების ძირგამომთხრელი საქმიანობა.

საინტერესოა 1914წ. 2 ივლისს გუბერნატორის მიერ გაგზავნილი წერილი, სადაც გაშიშვლებულია ის ვერაგული პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი ბათუმის ოლქში ატარებდა. ამ წერილის შინაარსი ასეთი იყო: „თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ ვცდილობთ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა გავაძლიეროთ რუსული ელემენტები ბათუმის ოლქში. ეთნოკონფლიქტების ჩამოგდების გზით გავთიშეთ ტუზენცები. ჯერ ვცადეთ ერთმანეთისათვის წაგვეკვიდებინა ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები. ამ მიზნით ვცადეთ მოგვესყიდა არაერთი გავლენიანი მაჰმადიანი ქართველი. შევადლიეთ დიდძალი თანხა, შევადგინეთ მოქმედების გეგმა. პირველად გვსურდა აბაშიძეების ამხედრება, ვინ არ მიუღუზავნეთ მათ, მაგრამ ისინი ყველაფრისაგან თავს შორს იჭერდნენ. მოვიხდომეთ ამ საქმეში ხიმშიაშვილების ჩართვაც, მაგრამ მიზანი აქაც მიუღწეველი დარჩა. (ო. გოგოლიშვილი, საზოგა-

დოებრივ- პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში, 1910-1918 წ. თბ., 1999 წ. გვ.42).

1914 წლის 14 ივლისს დაძაბული სიტუაციის გამო ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობამ მოიწვია კიდევ ერთი საგანგებო თათბირი. ამ თათბირს ესწრებოდა ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი, ბათუმის ოკრუგის უფროსი სტასოვი, რომელიც ხშირად ასმენდა ივანე ანდრონიკაშვილს გუბერნატორთან და ბრალს დებდა წითელ ნაციონალისტებთან კავშირში.

ომის დაწყების წინ რუსეთმა ბათუმის ოლქის საზღვრებთან დიდძალ ჯარს მოუყარა თავი. სოფელ კირნათის ერთ-ერთი მცხოვრების სახლში ნაპოვნია თურქულ ენაზე დაწერილი პროკლამაციების მთელი დასტა, რომელშიც იყო მოწოდება აჭარელი ძმებისადმი „დროა გამოხვიდეთ ბურანიდან, ჩვენო ქართველო ძმებო, გამოიღვიძეთ, ნუ გძინავთ, თქვენ ხომ მოკლებული ხართ იმ უფლებებს, რაც ადამიანებს უნდა ჰქონდეთ. საზიზღარმა რუსულმა მთავრობამ ქვეყანა საპყრობილედ აქცია და იქ იტანჯება მრავალი ადამიანი (იქვე, გვ. 50).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის 1914 წელი ომით დაიწყო. სწორედ ამ დროს მეფის მთავრობამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. 19 ივლისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს.

რუსეთ-გერმანიის ომში თურქეთი თითქოს ნეიტრალური იყო, მაგრამ რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა საქმის ნამდვილი ვითარება. რუსეთის სარდლობას ხელთ ქონდა საიდუმლო ცნობები თურქეთის საომარი მზადების შესახებ. კონსტანტინეპოლში ორი სამხედრო გემი შემოვიდა. თურქეთში გერმანიიდან 100-ზე მეტი გერმანელი ოფიცერი მიავლინეს. ომის შემთხვევაში მთავარსარდლად ვარაუდობდნენ ენვერ-ბეგს (ენვერ-ფაშა), ხოლო შტაბის უფროსად გენ. სარდესერის.

10 აგვისტოს გერმანიის ხომალდები „გებენი“ და „ბრესლაუ“ შავ ზღვაში შეუშვეს. გემებს თურქული დროშები ჰქონდათ. ინგლისმა ხელი შეუწყო გემების შესვლას შავ ზღვაში. მას არ უნდოდა რუსეთი შავ ზღვაში გაძლიერებულიყო.

1914 წლის 30 სექტემბერს ბათუმში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიის

სხდომა. სხდომაზე საუბარი იყო ბათუმის ოლქში შექმნილ სიტუაციაზე, პარტიამ გაავრცელა პროკლამაციები სადაც დაგმო თურქეთის ხელისუფლების საქმიანობა. ბათუმში მოსალოდნელი იყო დიდი არეულობა. სამხედრო გუბერნატორმა 1914 წ. 2 და 4 ოქტომბერს ქ. ბათუმის მცხოვრებლებისათვის გამოსცა „სავალდებულო დადგენილებები“ ამ ბრძანებამ მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია.

გონიოს უბნის სოფლებში მაჰმადიანებისაგან შეიქმნა ეგ. წ. „მფრინავი რაზმები“ ჩამოყალიბდა „ადჟარსკაია დრუჟინა“ რაზმში 200-მდე კაცი გაერთიანდა. თუმცა როგორც შემდგომ გაირკვა, ამ რაზმს ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია. 1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო ომი მძიმედ შეეხო ბათუმს.

1914 წლის ნოემბერში დაიწყო ბრძოლა. თურქები შეიჭრნენ ართვინში, არტანუჯში, ბორჩხაში. მათ აჭარისწყლამდე მიაღწიეს. 1914 წლის ნოემბერში გერმანიის გემებმა ბათუმიც დაბომბეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ლიახოვმა აჭარლები მოღალატეებად გამოაცხადა და მოსახლეობის ნაწილი რუსეთის შორეულ მხარეებში გადაასახლა. მათი უმრავლესობა გზაშივე დაიხოცა.

ომთან დაკავშირებით აჭარაში ავრცელებდნენ თურქოფილურ მოწოდებებს. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია: „მუსლიმანებო, მუსლიმთა დროშა კვლავ აღმართულია კავკასიის მთებზე. ხალიფი გიგზავნით თავის ლოცვა-კურთხევას და გიწვევთ დიდ საღვთო ომში. უნდა აღსდგეთ რუსეთის წინააღმდეგ, დადგა დრო, რომ დაიცვათ ყურანი და მისი კანონები არ მისცეთ მტერს მოძრაობის საშუალება, რუსეთს შიგნით გადაუხლართეთ გზები. „აბა თქვენ შვილებო შახ [შეიხ] შამილისა, შეებით მტერს და მოსპეთ იგი. ღმერთი და მუჰამედი თქვენთანაა, გამარჯვებამდე ცოტა დრო დარჩა და სხვა... (აჭარის სახელმწიფო არქივი. ფ.1. საქმე 708. ფურცელი 57-58).

ისმაილ კაიკაციშვილი კი წერდა: „ჩვენ არა ერთხელ დავრწმუნდით, რომ რუსეთის მმართველობის შემდეგ სრულ უშიშროებასა და მყუდროებაში ვართ, ჩვენ ისიც ვიცით, თუ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები. ჩვენ ქართვე-

ლები ვართ გვარტომით (ახალი ივერია, 1914 წ., ნომერი 32).

3. აბაშიძე თანმიმდევრობით იბრძოდა თურქოფილების წინააღმდეგ. იგი ააშკარავებდა თურქეთის სახელმწიფოს ნამდვილ განზრახვებს „საღვთო ომის“ ლოზუნგს ამოფარებული იყო „აშკარაა, რომ საღვთო ომი გამოაცხადეს თავისივე ინტერესებისათვის და არა მაჰმადის სარწმუნოებისათვის. მათი მიზანი იყო „საღვთო ომის ლოზუნგის გამოყენება, რათა აეჯანყებინათ „400 ათასამდე მუსულმანი, რომელთაც თავიანთი სამშობლო და დედა-ენა აქვთ, თავისი ინტერესებისათვის მსხვერპლად შეეწირათ ისინი“ (გაზ. სამშობლო 1915 წ. 22 თებერვალი ნომერი 18).

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წელს აქვეყნებდა ამონაწერს ვინმე ატრაპეტის სტატიიდან „როდესაც წარსული წლის გიორგობისთვეში ოსმალთა ჯარი შეიჭრა შავშეთსა და იმერხევეში, მაშინ ადგილობრივი მაჰმადიანები, მხოლოდ ოსმალთა ჩამომავლობასა, შეუერთდნენ ამ ჯარს, იმერხევის თერთმეტი სოფლის ქართველმა მაჰმადიანმა არა თუ არ შემოუშვეს ოსმალნი თავის სოფლებში, არამედ თავისი მფარველობის ქვეშ მიიღეს იმერხევის ქრისტიანების ერთადერთი ბუდე სომეხთა სოფელი ფციყური. მიუხედავად ოსმალთა და ნემცთა მეცადინეობისა, იმერხევის ქართველი მაჰმადიანები დარჩნენ რუსეთისა და მეზობელი სომეხების ერთგულნი“ (გაზ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. ნომ. 28).

საყურადღებოა, ხულოში მომხდარი ერთი ფაქტიც: „როდესაც აქ ჩეტნიკები შემოვიდნენ, გააოხრეს ყველაფერი, შემდეგ სოფლებში დაიწყეს ტაციობა. აქაური მცხოვრები ხაზიფ მეხეშიძის ოჯახში ნახეს მაცხოვრის ხატი, რომელიც მას ჰქონდა შენახული, რომ ჩეტნიკებს არ გაენადგურებინათ. როდესაც ეს ოჯახი გაჩხრიკეს და ნახეს ხატი, მათ დაუპირეს დამტრევა და ტყვიის სროლა, მაგრამ ამ დროს მეხეშიძის შვილმა მას ხელი დასტაცა და მიიმალა ტყეში ხატი“ (გაზეთი: „საქართველო“, 1915 წ. ნომერი 80).

დიდი მუშაობა ჩაატარა საქველმოქმედო საზოგადოებამ. რომლის თავმჯდომარე იყო მიხეილ მაჩაბელი, ხაზინადარი იყო ვასილ ყიფიანი. საზოგადოების მდივანი პავლე

საყვარელიძე. საზოგადოების წევრები: იოსებ ბარათაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გიორგი ცინცაძე, მიხეილ ლალიძე, ივანე გომართელი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გერონტი ქიქოძე, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს აჭარლებისადმი დახმარების საქმეში. ბათუმში დასახმრებლად ჩამოვიდნენ თბილისის და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლი თავადები; კონსტანტინე აფხაზი და დავით ნიჟარაძე. მათთან ერთად იყვნენ მიხეილ სუმბათაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, სიმონ ფირცხალავა და სხვები.

საქველმოქმედო საზოგადოება გაზეთში აქვეყნებდა განცხადებას: „მაბათს 13 ივნისს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება სახაზინო თეატრში მართავს დიდ საღამოს, რომლის შემოსავალი ჩვენ მოძმე აჭარლებს უნდა მოხმარდეს“ (ხ.ა. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, თბ., 1956 წ., გვ.220).

ჟურნალ-გაზეთები აქვეყნებდნენ სტატიებს და მოუწოდებდნენ ქართველ საზოგადოებას: დადგა დრო, როდესაც ჩვენ გათიშულ ძმებს თვალნათლივ უნდა დავუმტკიცოთ არა მხოლოდ ჩვენი თანაგრძნობა, არამედ ისიც, რომ ჩვენ ერთნი ვიყავით ძველად ლხინში, ერთივე უნდა ვიყოთ ახლა ჭირში და მომავალშიც. ნუთუ აქ დაყოვნება გვმართებს... აჭარელთა ბედ-იღბალი ჩვენი ქვეყნის დიდი და მწვავე საკითხთაგანია, როგორც ქართველი გვარტომის ხალხისა“ (გაზ. „საქართველო“ 1915 წ. ნ.17. გვ.2).

აჭარლების დახმარების საკითხმა დააინტერესა ქართველი საზოგადოება. საქველმოქმედო საზოგადოების ქ. ბათუმის განყოფილების დავალებით 3. აბაშიძეს 1916 წელს უმოგზაურია მთელ ლაზეთში და დამშეული მოსახლეობისათვის სიმინდი დაურიგებია.

აღსანიშნავია ოდესის ქართველი სტუდენტების დახმარება, რომლის შესახებ 1915 წ.გაზეთი „სახალხო ფურცელში“ შემდეგი ეწერა: „ბატონო რედაქტორო, ადესის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო გამგეობამ, თბილისის სტუდენტთა ჯგუფის მოწოდებით, თავის წრეში შეაგროვა ფული დაზარალებული მოძმე აჭარლების დასახმარებლად, შეაგროვა 36 მან. ვუგზავნით რა ამ

ჩვენს წვლილს, უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ აჭარლებს“ (ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში“ ბათ., 1956 წ. გვ. 230).

აჭარლებს დიდი დახმარება გაუწია გურიის გლეხობამ „ჩვენი მოვალეობაა გაჭირვებაში მყოფ ძმებს - აჭარლებს მეგობრულად გავუწოდოთ ხელი და ჩვენ დაბა ჩოხატაურის მცხოვრებნი გიგზავნიით ჩვენს წვლილს 32 მან. და ერთ აბაზს და ჩვენ ძმებს სალამთან ერთად გთხოვთ გადასცეთ უდანაშაულოდ დასჯილ აჭარლებს“ (გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. ნომ.37).

1915 წლის თებერვლამდე პანიკა იყო ბათუმში. მიმდინარეობდა მოსახლეობის ევაკუაცია. 1915 წლის თებერვალში რუსებმა სასტიკად დაამარცხეს 70 ათასიანი თურქეთის არმია.

ცნობილი იყო თურქეთის აგრესიული პოლიტიკა სომეხი მოსახლეობის მიმართ, როდესაც ისინი ბათუმის ოლქში შემოვიდნენ. დაიწყო სომეხი მოსახლეობის მარცვა-გლეჯა. გრძელდებოდა „მოლაღატეების“ სიის შედგენა. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ შექმნა ეგ. წ. იურიდიული კომისია, ქართველი ვეკილების მონაწილეობით.

მემედ ბეგ აბაშიძე წერდა: „როცა მოლაღატის სახელი გვიწოდეს, როცა ჩვენი სახლკარი გადაწვეს და გადასახლება მოგვინდომეს, რათა იქ უცხოელები დაესახლებინათ, მთელი ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა გაბედულად და განაცხადა: - თუ ეს გაგიბედნიათ, ჩვენ ავჯანყდებით და შესაფერის პასუხს გაცემთო“ (ო. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმის ოლქში, 1910-1918 წწ., თბ., 1998 წ. გვ.80).

პროტესტმა გაჭრა და მხოლოდ 9 კაცი მისცეს პასუხისგებაში. მიუხედავად ყველაფრისა ლიახოვის ბრძანებით ბათუმის ოლქიდან 500-მდე ადამიანი შეყარეს ვაგონებში და გაგზავნეს რუსეთში. ბევრი მათგანი ამოწყდა და დაიკარგა.

სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების პარტიამ 1915 წლის აპრილში მოაწყო დიდი მიტინგი. დაგმობილ იქნა ცარიზმის პოლიტიკა. ისინი ითხოვდნენ უდანაშაულო ხალხის განთავისუფლებას.

მიტინგი დაარბიეს, დააპატიმრეს 15 კაცი და გადასახლეს. სასამართლო პროცესები უსამართლოდ ჩატარდა. ჟურნალ-გაზეთები სისტემატიურად აქვეყნებდნენ სტატიებს და ცდილობდნენ დაეცვათ უდანაშაულო ადამიანები. „გაზეთი საქართველო წერდა: „აჭარლების დასჯა ეს შეურაცხყოფაა მთელი ქართველი ერისა“ (გაზ. „საქართველო“, 1915 წ. ნომ.103).

აჭარაში მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები მოგზაურობდნენ. აჭარლები დიდად აფასებდნენ ქართველი ხალხის დახმარებას. მაგ. ქედის მცხოვრები მოხუცი აბდულ მიქელაძე წერდა: „აჭარლებს ყოველთვის სწამდათ, ისინი გაჭირვების დროს ძმურად ხელს გაუწოდებდნენ ობოლ აჭარლებს. ჩვენი მდგომარეობა უკიდურესი იყო - შშიერი ვიყავით, მარა თქვენმა გამოგზავნილმა სიმინდმა მოგვისწრო და სული ჩავიპურეთ“ (გაზეთი. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., ნომ.15, გვ. 87).

სოფრომ მგალობლიშვილი ქართველების სულიერად დაკავშირების ერთ-ერთ გზას ქართული სკოლების გახსნაში ხედავდა. 3. აბაშიძე მეტად დაინტერესებული იყო აჭარის შესახებ გამოცემული და გამოსაცემი ლიტერატურით. ის დიდად აფასებდა იმათ, ვინც აჭარის შესახებ რაიმეს დაწერდა.

საინტერესოა მისი წერილი ზაქარია ჭიჭინაძისადმი: „დაულაღავო მუშაკო, თქვენ დაუფასებელი შრომა მიგიძღვით ჩვენი - ქართველი მაჰმადიანების წინაშე და დღეს თუ შესაფერისად ვერ ვაფასებთ. ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ შემდგომშიაც ასე დარჩება. ჩვენშიაც მოეფინება სწავლა-განათლების სხივები, ჩვენც დავადგებით სწორ გზას და მაშინ კი თქვენს ღვაწლს ერთიორად დავაფასებთ და თქვენი სახელი და დიდება უკვდავი დარჩება ჩვენში“.

3. აბაშიძის ინიციატივით აჭარაში რამდენიმე სკოლა გაიხსნა. მან 1916 წელს სოფელ ყოროლისთავში გახსნა სკოლა თავისი დედის სახლში. მშობლიური ენის სწავლება აუცილებელი იყო აჭარელი ახალგაზრდობისათვის. მოწინავე საზოგადოება წინ აღუდგა ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას აჭარაში.

ცარიზმი აჭარლებს „თურქებს“ ეძახდა. იგი ახშობდა ქართველთა ეროვნულ-განმა-

თავისუფლებელ მოძრაობას. ცარიზმისათვის ხელსაყრელი იყო განხეთქილება დაეთესა აჭარლებსა და გურულებს, მეგრელებს, ქართველებს, აფხაზებსა და სვანებს შორის. 1916 წ. ქ. გორში მოწვეულ იქნა თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობაზე წარდგენილ გახლდათ დელეგატები აჭარიდან. ბათუმის ქართველი საზოგადოების შერჩევით ქ. ბათუმიდან გორში დელეგატად გაიგზავნა ჰაიდარ აბაშიძე. (თ. კომახიძე, „აჭარა წარსულის გადასახედიდან“, თბ., 1993 წ. გვ. 282).

3. აბაშიძის სახით მათ დაინახეს ქართული კულტურის მსახური და ცარიზმის პოლიტიკის მოწინააღმდეგე.

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ მოთავსებულ ერთ წერილში ნათქვამია: „ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ქართველ მუსლიმართა შორის ეროვნული გამოფხიზლების მოციქულია. მისი სახელი ჩვენს მოძმეთა შორის უკვდავი დარჩება. ამ დღეებში 3. აბაშიძემ თავი დაანება მასწავლებლობას ბათუმის სკოლაში. ქართული ენა არა თუ დაბლა დგას ოსმალურზე, არამედ მასზე მდიდარიცაა თავისი ლიტერატურით. ეს თავისი აზრი მან გამოთქვა ამას წინათ გორში ხოჯათა კრებაზე. ვიდაცამ ინება მისი დაბეზლება მთავრობასთან, რომელმაც ჰაიდარ ბეგს საყვედური გამოუცხადა. ამის მეოხებით ჰაიდარ-ბეგმა სამსახურს თავი დაანება. რამდენიმე ხოჯა და მოლა გულწრფელი მომხრეა ბატ. ჰაიდარ-ბეგის აზრისა.“ (ჟურნ. „თეატრი დაცხოვრება“, 1916 წ., ნ.48).

1916 წ. 6 ივლისს ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი რომანოვსკი ამიერკავკასიაში მეფისნაცვლის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ წერდა, რომ ომის წინ ასეთი საზოგადოება არ არსებობდა, ხოლო ომის შემდეგ ისარგებლეს შემთხვევით და იგი დაარსდა იმ მოტივით, რომ დახმარებოდნენ ომში დაზარალებულ მოსახლეობას.

ცარიზმი ყოველწლიურად ცდილობდა ჩაეხშო ხალხში ეროვნული თვითშეგნება. ქ. ბათუმის მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა. აქ იყო თავმოყრილი დიდი სამხედრო ბაზები. ბათუმში გაიხსნა სამხედრო ქარხანა, რომელიც პიტოევს ეკუთვნოდა. ბრძოლები ისევ გძელდებოდა თურქები თან-

დათან კარგავდნენ ტერიტორიებს. დაკარგეს ერზერუმი და ტრაპიზონი. გაძლიერდა დივერსიული აქტები.

1915 წლის 18 ნოემბერს რომანოვსკის ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდი თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა ბათუმის ოლქში შექმნილი ვითარება. გაიზარდა დეზერტირთა რიცხვი. დაიწყო მუშათა გავიცვები. დაიწყო მოსახლეობისაგან იარაღის ამოღება. ამ დროს გახმაურდა გერმანელთა საქმეც. ბათუმის პოლიციამ გუბერნატორს შეუდგინა გერმანელთა სია, რომელშიც მოხვდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. თითოეულ მათგანზე შედგენილი იყო დოსიე. სიაში 36 კაცი მოხვდა. 29 კაცი გადასახლდა. დანარჩენი კი გაიქცა.

ცარიზმი თავისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. დაიწყო სასტიკი რეპრესიები. ბოლო არ უჩანდა დაპატიმრებებს.

1916 წელს 15 დეკემბერს გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება „ქალაქში წესრიგის დამყარების შესახებ“ გახშირდა დაპატიმრება, დევნა-შევიწროება. მაგრამ ყოველივე ცდის მიუხედავად მეფის მთავრობის კრახი გარდაუვალი იყო. ახლოვდებოდა 1917 წ. თებერვლის რევოლუცია.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წწ. ბათ., 1999 წ.
2. აჭარის სახელმწიფო არქივი, ფონდი ნომ. 1. საქმე 708.
3. ახვლედიანი ხ. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, ბათ., 1956 წ.
4. კომახიძე თ., აჭარა წარსულის გადასახედიდან, ბათ., 1999 წ.
5. გაზეთი „ახალი ივერია“ 1914წ.
6. გაზეთი „სამშობლო“ 1915წ.
7. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. ნომ. 28.
8. გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. ნომ.80.
9. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ. ნომ.48.
10. გაზეთი „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. ნომ.37.
11. ჟურნ.. „თეატრი და ცხოვრება“ 1916 წ.



მემედ აბაშიძე



გერმანული კრესერებიდან „გებენიდან“ და „ბრესლაუდან“ ბათუმზე ნასროლი ყუმბარები



მეომართა ერთი ჯგუფი პოლკოვნიკ ნათიშვილთან ერთად

## ოთარ გოგოლიშვილი

### ეგნატე ნინოშვილი და აჭარა

„ჩემი აფხაზურ-გურული სისხლი თავის კალაპოტში დამაგრდა“ – წერდა ე. ნინოშვილი (1859-1894). ამ გამოთქმაზე კომენტარი თხოვეს ცნობილ მეცნიერს პავლე ინგოროყვას, რომელმაც სპეციალურად დაწერა სტატია „ინგოროყო“, სადაც ნათქვამია, რომ ჩერქეზეთიდან აფხაზეთში ჩამოსულან ინგოროყუს, რუყოს და ათალუყოს ოჯახები ასმიდონის თავკაცობით, ოსმალეთში მიმავალნი დროებით შეჩერებულან გურია-აჭარის საზღვართან მდებარე შეკვეთილში, მაგრამ შემდეგ აქ დარჩენა გადაუწყვეტიათ. გურიაში მათი გვარის დაბოლოება ყო იქცა ყვად, რაც შინაარსით უდრის ქართულ ძესა და შვილს, ამ გვარის წარმომადგენლებს შუა ჩერქეზეთი სჭერიათ, შემდეგ ყუბანის მიდამოებში დაუსახლებიათ, სადაც შეუქმნიათ აული ინგოროყუ, რომელიც 1842 წლის რუკაზე აღნიშნულია. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას კი მიაჩნდა, რომ ინგოროყვები ყაზარდოული წარმოშობისანი არიან.

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყმაწვილმა ერთხანს მოხელედ იმუშავა, 1881 წლის მარტში ბათუმის რკინიგზაზე მოეწყო სამუშაოდ, 1882-1883 წლებში აქვე ტელეგრაფისტი იყო. ბათუმში დარწმუნდა, რომ საჭიროა განათლების მიღება. საამისოდ მძიმე ფიზიკურ შრომასაც არ მოერიდა, ცოტა ფული დააგროვა და 1886 წლის ნოემბერში გემ „სამეგრელოს“ საფრანგეთში გაყვა. სიღარიბის გამო უცხოეთში საქმე ცუდად წაუვიდა, ამიტომაც ბიძამისს თხოვდა ეშოვა ფული უკან დასაბრუნებლად. ეტყობა გაგზავნა დაყოვნდა, რის გამოც ეგნატემ ბილეთი ჩვენს ქალაქში მომავალი რუსი და ლეკი სტუდენტებისაგან ნასესხები ფულით შეიძინა. 1887 წლის 23 მარტს ისინი ბათუმში იყვნენ, ბიძამისმა პატივით მიიღო [1].

გურიაში ეგნატე გაჭირვებულად ცხოვრობდა, თანაც მოწყვეტილი იყო ქალაქს, მეგობარ-ნაცნობებს. ამას ერთვოდა უსიამოვნებანი პროგრესული შეხედულებების აშკარა ქადაგებისათვის, ამანაც აიძულა 1889 წლის



ოქტომბერში ისევ ჩვენს ქალაქს სწევოდა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კეთილისმყოფელი ჰყავდა, შესაფერისი სამუშაო მაინც ვერ იშოვა და ფიზიკურად სუსტმა ისევ მუშის მძიმე ხვედრი გაიზიარა, ერთხანს ნავსადგურში ვინმე ცატუროვთან იმუშავა, სადაც თუნუქს აწყობდა ყუთებში და გადაჭქონდა, დღიური ხელფასი ათ შაურს არ აღემატებოდა, რაც აუცილებელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არ ჰყოფნიდა. გერმანელ ბურგარდტის ბიდონების ქარხანაშიც გასამრჯელო ცოტა ჰქონდა, ხოლო შრომა მომქანცველი. 1889 წლის ოქტომბერში ე. ინგოროყვა, როტშილდის ქარხანის მუშა გახდა და 1890 წლამდე იმუშავა იქ. მწერალი თუნუქის ფურცლებს ყუთებში აწყობდა და ჭედდა, რაშიც დღეში მანეთს იღებდა. „1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი იყო, მე დაცვეთილი საზაფხულო ტანსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავი დილის 4 საათზე, ამ საშინელ დარში გამეველო კარგადიდი მანძილი და მივსულიყავი ზავოდში ხან კარი დაკეტილი დამხვდებოდა და უნდა მეცადა გარეთ“ – წერდა იგი.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, შეირყა ეგნატეს ისედაც სათუთი ორგანიზმი, თავი იჩინა ჭლექის აშკარა ნიშნებმა, ამიტომაც ზესტაფონში არჩია გადასვლა. მუშაობდა ლოლობერიძის მარგანეცის მომპოვებელ კანტორაში. საქმე ბევრი ჰქონდა, შვება კი ნაკლები. – ჩემი ჯანი და სიმრთელე დავლუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუ-

შაობით, ამ დროიდან მოყოლებული შემეჩვია ავადმყოფობა და მას შემდეგ იშვიათად ვყოფილვარ კარგად, თუმცაღა წინათ იშვიათად ვიცოდი ავადმყოფობა – დასძენდა მწერალი.

ცნობილი რევოლუციონერი მიხეილ ჩოდრიშვილი თავის მოგონებაში „ჩემი თავგადასავალი“ წერდა, რომ როტშილდის ქარხანაში ეგნატეს ზედამხედველის ადგილი შესთავაზეს, რაზეც უარი თქვა. „განა ასეთი თანამდებობა მე შემეფერება? სწორედ ესლა მაკლია, რომ ბურჟუა-კაპიტალისტებმა ჩემს შემწეობითა და დახმარებით ყვლიფონ და სისხლი სწოვონ ჩემს ძმებს, ჩემს პირობებში მყოფ მუშებს და ისქელონ ისედაც გასქელებული ჯიბეები. მუშები მშივრები, ნახევრად შიშვლები, რომლებიც დილიდან საღამომდე მუშაობდნენ, საშინლად იქანცებოდნენ“.

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიასათვის ეგნატეს უთქვამს: მართალია, ცოტას ვმოულობ, მაგრამ ჩემის ოფლით, პატიოსნად, ფულს მოვაგროვებ და თბილისში გავწევ... რა ვქნა, ცუდად ხომ ვერ გავჩერდები? როგორც შემიძლია ისე უნდა ვიმოვო ფული... როცა შემეძლო მუშაობა ვითომ რად არ უნდა მემუშავა და ისე არ მემოვა საჭირო ფული?

ხელთ გვაქვს კიდევ ერთი ბათუმელი მუშის დავით კუბლაშვილის მოგონება, აქ ნათქვამია, რომ 1889 წელს მას როტშილდის ქარხანაში ძმებმა კალანდაძეებმა გააცნეს ეგნატე. მისი ინიციატივით ამხანაგებთან ერთად ბიბლიოთეკაში ჩავეწერე, გვიმართავდა საუბრებს, აზრთა გაცვლა-გამოცვლასო.

ამრიგად, მწერალი რევოლუციურ-პროპაგანდისტულ საქმიანობასაც ეწეოდა. ცხადია, პროლეტარიატის უმწეო მდგომარეობამ და უუფლებობამ, რაც თავის მაგალითზეც გამოსცადა, გამოაფხიზლა, გამოიკვეთა მისი მსოფლმხედველობა და სწორი მიმართულება ააღებინა შემოქმედებაში [2].

ე. ნინოშვილი რომ აჭარაში რევოლუციურ საქმიანობასაც ეწეოდა, ადასტურებს მ. ჩოდრიშვილიც. მან ძმასთან ერთად 1890 წელს ბათუმში ნობელის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, აქედან გააძევეს, რის გამოც რკინიგზის სადგურში გადავიდა სამუშაოდ.

სოუქსუსა და გოროდოკში აწყობდნენ კრებებს, მუშებს განუმარტავდნენ მარქსისა და სხვა რევოლუციონერების მოძღვრებას, სხვა პოლიტიკურ საკითხებს.

1892 წლის დამლევს ორი ყუთი წიგნებით ბათუმში ჩამოსულა აჭარის დიდი მეგობარი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც მ. ჩოდრიშვილს უთხრა: ბათუმში დაბრუნდა ეგნატე, თანაც დასძინა: „თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა მშრომელი ხალხისათვის“. ამიტომაც თხოვა დახმარებოდა ბინის მონახვაში. მიხეილმა მწერალი თავის ბინაში, გოროდოკში ანუ ახლანდელ მაიაკოვსკის ქუჩის რაიონში გადაიყვანა და შემდეგ, რადგან იძულებული გახადეს ჩაქვის რკინიგზაზე გადასულიყო სამუშაოდ, სულ მას დაუთმო.

მ. ჩოდრიშვილი ჩაქვში მართავდა კრებებს, მშრომელებს უკითხავდა ჟურნალ-გაზეთებს, ურთიერთობა ჰქონდა ე. ნინოშვილთან, რომელიც ზ. ჭიჭინაძემ როტშილდის ქარხანაში მოაწყო სამუშაოდ. ძმები მოქმედებდნენ ეგნატეს უშუალო კონსულტაციით და რჩევა-დარიგებით.

ჩაქველი რკინიგზელების, ჩაის საუფლისწულო მამულისა და ჩაის ფაბრიკის მუშების, აგრეთვე გლეხების გათვითცნობიერებას, მათ რევოლუციურად განწყობას წინ აღუდგნენ, ძმები დააკავეს და სხვაგან წასვლა უბრძანეს. მიხეილმა ამის თაობაზე მოუთხრო ეგნატეს. „მეც ვტოვებ ბათუმს – უთხრა მან – მივალ რადგან, როგორც უფროს მუშას მავალეხენ, ექსპლოატაცია გავუწიო რიგით მუშებს, ეს კი მე არ შემიძლია და იძულებული ვარ წავიდე, ვიდრე დამითხოვენო. აქვე ვკითხულობთ: რას იზამ ჩემო მიხა, როდესაც ეს ცხოვრება ასე უკულმართად არის მოწყობილი, წაღმა რომ მოვატრილოთ, ამისთვის საჭიროა სწავლა, ბრძოლა, ერთიც და მეორეც ამ წყეული წესწყობილების ხელშია, ჩვენს ხელში მხოლოდ სიმწარისგან წარმოშობილი ბრძოლის სტიქიური სურვილი არის. ბრძოლას იარაღი უნდა მიხა, იარაღი კი ცოტა არის.“

ბათუმელი მემედ უსტიაშვილის (ნიკოლოზ სანაძე) მოგონებაც იმის დამადასტურებელია, რომ ეგნატე მუშებს შორის საუბრებს ეროვნულ საკითხზეც მართავდა. მიხაკო სიორიძის საწყობში მემედიც დასწრებია ასეთ სჯა-ბაასს. მ. ჩოდრიშვილიც

იგონებდა, რომ „არაერთხელ მოუსმენია ეგნატეს დამაჯერებელი საუბარი მუშებთან, როდესაც იგი მოუწოდებდა მათ გაერთიანებული ძალღონით ებრძოლათ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ”.

ჩაქვის რევოლუციური წარსულის მასალების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ჯემალ ქორჩილავა გამოთქვამს აზრს, რომ ჩაქვში 1892 წელს მ. ჩოდრიშვილმაც ჩამოაყალიბა პირველი მარქსისტული წრე, რომლის კონსულტანტი ე. ნინოშვილი იყო, რასაც სავსებით ვიზიარებთ. მწერალს არ შეეძლო გვერდზე გადამდგარიყო, არ დაეცვა მშრომელთა უფლებები, თავისი წვლილი არ შეეტანა მათ გამოფხიზლებაში, არ გამოემხეურებინა მშრომელთა დუხჭირი მდგომარეობა თავის ნაწარმოებებში.

ავტობიოგრაფიაში ე. ნინოშვილს უწერია, რომ 1891 წლის ნოემბრიდან 1892 წლის აპრილამდე ხან ბათუმში და ხან ზესტაფონში მუშაობდა. იქ ერთხანს აგრონომ ტიმოფეევის ამხანაგობა „ფილოქსერაში” უმუშავია. მკურნალობდნენ ვენახსა და ხეხილს სხვადასხვა მხარეში, მოვიარე აჭარაცო. სხვათა შორის პროფ. ტიმოფეევა მაშინ აჭარაში შეაგროვა მასალები აქ ვენახისა და ხეხილის ჯიშებზე, მათი მოვლა-პატრონობისა და გავრცელების საკითხებზე. ე. ნინოშვილი, რასაკვირველია, ეხმარებოდა მას.

ამ ხანებში ე. ნინოშვილს ბათუმში ასეთი ამბავი გადახდა. მას ხშირად უხდებოდა ყოფნა კალანდაძეების ოჯახში. 1892 წლის ახალ წელს აქ გაიცნო კალანდაძეების და ნადასი, რომელიც მოეწონა და ხელი სთხოვა, წერილობითაც მიმართა. ქალიშვილს უთქვამს: სხვას ვეკუთვნი, თანაც თქვენი კარგი ნაცნობიაო, ეგნატემ ბოდინში მოუხადა და ნეტარებით ცხოვრება უსურვა. ასე უიღბლოდ დამთავრდა მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული, ასე შეურიგდა „დამწვარ ბედს” და მგზნებარე ცეცხლი შემოქმედებით წვაში გაანელა. ალბათ ამ მარცხმაც აიძულა თბილისს გამგზავრება 1892 წლის აპრილში, სადაც ჯანმრთელობა გაუუარესდა და ექიმებმა ზღვისპირეთში დაბრუნება ურჩიეს. ფილტვები სრულიად გაუფუჭდა, სული უგუბდებოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა, 1893 წლის ოქტომბერში ის

ბათუმში იყო. სამწუხაროდ არავინ შეიკედლა, სასტუმროშიც არ დააბინავეს და სოფელში დაბრუნდა.

1894 წლის მარტში უკანასკნელად ეწვია ჩვენს ქალაქს. იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილი ბარათიდან ირკვევა თუ რამ აიძულა აქ ჩამოსვლა. „სოფელში ვერც სახლი ვიშოვე რიგიანი და ვერც საჭმელი. ამ მიზეზებმა წამომიყვანა ბათუმში.” მწერალმა აქ ჩამოსვლა ასე აღწერა: 20 მარტს ვესტუმრე ბათუმს, აღმოჩნდა ცალკე გასაქირავებელი ოთახი ბინა, ისიც ჩვენი გემოვნების არა. მაგრამ გაიგეს თუ არა, მე ავადმყოფი ვარ, უარი თქვეს, სასტუმროში ღამე იყო რომ მივედით და მიგვიღეს, მაგრამ მეორე დღეს, მიტკლისფრად თეთრ ჩემს „სახეს-სკელეტს” შეხედეს, გამოგვიცხადეს: ავადმყოფს ნომერს ვერ მივაქირავებთ, სხვები დაგვიფრთხებიანო. რაღა მექნა, მოვიცადეთ და დაღამებულში შევატყუეთ თავი სხვა სასტუმროს პატრონს.” [3]

ეს იყო სასტუმრო „მასკვა”, ახლა საცხოვრებელი სახლი ხულოსა და ორჯონიკიძის კვეთაში, რომელსაც მემორიალური დაფა უკეთია წარწერით: „ამ სახლში 1894 წლის მარტში ცხოვრობდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ეგნატე ნინოშვილი”.

იმავე დღეებში მწერალს, „კვალის” რედაქტორ გიორგი წერეთელს ატყობინებდა: წერილებზე ვერ გიპასუხებთ. მგზავრობამ მავნო, სამსახური არ მომცეს, ცალკე ბინაც ვერ ვნახე.. მაღლობას გიხდით ჰონორარისათვის, თქვენსავით ჯერ არავინ მომპყრობია, ჟურნალმა „მოამბემ” „მოსე მწერალში” მხოლოდ 30 მანეთი გამომიგზავნა. ბევრი მაქვს სალაპარაკო, მაგრამ წერა აღარ შემიძლია. ავად ვარ, გრიგოლ ვოლსკი თბილისს ჩამოვა და გეტყვის ყველაფერს, „კვალი” ჯუმათს მიგზავნეთ, რადგან საკითხავად აქ ვშოულობო. ხოლო გამომცემელ კ. თავართქილაძეს აცნობებდა: ყოველდრე ვერ ვდგები ლოგინიდან, ამიტომაც ვერ გიგზავნი წერილებს.

უკვე აპრილში ექიმებმა დაადგინეს, რომ ეგნატე გაზაფხულს ვერ გადაიტანდა, ამიტომაც 35 წლის მომაკვდავი სოფელში წაიყვანეს, სადაც მათში გარდაიცვალა. საფლავში ჩასვენებისას წერეთელმა თქვა: განსვენებული გარდა იმისა, რომ იყო ამსა-

ხველი დაბეჩავებული გლეხის ძალღუ-  
მადური ცხოვრებისა ისეთი ხერხით, როგო-  
რითაც აქამდე იშვიათად თუ ვისმე მოუხერ-  
ხებია ქართველთაგანს, იყო აგრეთვე საძირ-  
კვლის ჩამყრელი დასისა და იმ წრისა,  
რომელიც შემდეგში სოციალ-დემოკრატიულ  
პარტიად უნდა გადაქცეულიყო და დღეს  
მისნი მესვეურნი მისი საფლავის გარშემო  
შემოკრებილან მესამე დასის სახელით, იმ  
მესამე დასისა, რომელიც უნდა იქცეს  
მოწინავე მოძრაობის გამომხატველად და  
შეიტანოს შეგნება პროლეტარიატის მოსის-  
ხლე მტრის – კაპიტალიზმის წინააღმდეგ  
ბრძოლის საჭიროებისა, უნდა იქადაგოს  
საერთო ძმობა, ერთობა, სიყვარული.  
ყველას საკვირვლად ჰქონდა, რომ მათი  
წიაღიდან ასეთი მეზობელი გამოსულა.  
სამწუხაროდ, მართლაც შემდეგ გაიგეს მისი  
არსებობა და მნიშვნელობა.

დიდია ე. ნინოშვილის დამსახურება აჭა-  
რის წინაშე, რაც გამოკვლევებშიც აისახა,  
მაგალითად, 1969 წელს ჟურნალისტმა  
ნესტორ პაიჭაძემ გამოაქვეყნა წიგნი „ეგნატე  
ნინოშვილი ბათუმში“, შემდეგ დაიბეჭდა  
ცალკეული წერილები და მოგონებანი,  
ხოლო 1984 წელს პროფ. იოსებ მეგრელიძის  
ნაშრომი. ჩვენი მხარისადმი მიძღვნილი  
ეგნატეს წერილები კი პირველად მკვლე-  
ვარმა რამაზ სურმანიძემ მიმოიხილა 1969  
წელს თავის კრებულში „დაუფიწყარი სახეე-  
ბი“, ხოლო 15 თებერვალს გაზეთ „საბჭოთა  
აჭარაში“ დაბეჭდა.

1886 წლის 8 იანვრიდან 23 თებერვლამდე  
„ივერიაში“ ეგნატეს 12 წერილი გამოუქ-  
ვეყნებია, რომლებიც არ არის შეტანილი  
მწერლის თხზულებებში, თანაც აღსანიშნა-  
ვია, რომ მათგან 11 ჩვენს მხარეს ეხება, რაც  
უარყოფს ზოგიერთის აზრს თითქოს იგი  
მხოლოდ გურიაზე წერდა. ისინი დაბეჭ-  
დილია „ხუმარას“ ფსევდონიმით და ნათე-  
ლყოფენ, რომ მწერალი ცხოველისმყოფელ  
ინტერესს იჩენდა ჩვენი მხარისადმი.

ე. ნინოშვილი ამ წერილებში ეხება  
აჭარისა და მეზობელი მხარეების ისტორიას.  
აქ ნათქვამია: ბათუმი ერთ დროს მესხეთის  
გული იყო. ეგნატეს ხიბლავდა ადგილობრივ  
მცხოვრებთა თვალტანადობა, სიტყვა-  
პასუხი. აჭარელი ისე ლაპარაკობს მის ბუნე-  
ბრივ ქართულ ენაზე, როგორც წინათ. აქ

სახლში, გარე, ჭირში, ლხინში ქართული ენაა  
მიღებული. დიდება შენ სიცხოველეს  
ქართულო ენავ.

გულისტკივილით აღნიშნავდა იმასაც,  
რომ აჭარაში არაა ქართული სკოლები, გმობ-  
და მედრესეებთან არსებულ სკოლების  
ჩამორჩენილ მეთოდებსა და გამეფებულ  
დესპოტიზმს, მოხარული იყო მხოლოდ  
იმით, რომ ბავშვები აქაც ქართულად ლაპა-  
რაკობდნენ, რაც არ შეიძლებოდა, რადგან  
სწავლება არაბულ ენაზე იყო.

მწერალი გვერდს არ უვლიდა იმ გარე-  
მოებას, რომ ბათუმში ადგილობრივ მცხოვ-  
რებლად ითვლებიან აქაური მკვიდრი  
ქართველები, დანარჩენი მოსულები არიან –  
ადგილობრივნი ყველაზე უფრო დაჩაგრუ-  
ლებად თვლიან თავს, ეს ადვილი წარმოსა-  
დგენია. მოვა დრო და ისინიც შევლენ  
საზოგადო ცხოვრების მორევში.

რასაკვირველია, რუსეთის კანონების,  
წესწყობილების უცვლელად, მხარისა და  
ადგილობრივი პირობებისადმი მიუსადაგებ-  
ლად დამკვიდრებამ, მიჩვეულ-დაკანო-  
ნებული ზნე-ჩვეულებების, სამეურნეო და  
სხვათა წყობის უხეშმა მსხვრევამ, ადათ  
წესების, თავისებურებებისა და ხასიათის  
გაუთვალისწინებლობამ, ძალმომრეობამ და  
უკანონობამ, გამდიდრების მანიით შეპყრო-  
ბილთა მოზღვავებამ გააუარესა მკვიდრი  
მოსახლეობის ცხოვრების პირობები და  
მდგომარეობა, ყოველივე ამან მას ოსმა-  
ლეთში გადახვეწაც აიძულა. ამიტომ იყო,  
რომ აჭარლებს მხურვალედ გამოესარჩლნენ  
მწერლები გლეხ უსპენსკი, გიორგი წერე-  
თელი, ილია ჭავჭავაძე, დავით კლდია-  
შვილი, აგრეთვე ლუკა ისარლიშვილი,  
სერგეი მესხი, ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკოლოზ  
ლენდერი და სხვები, როგორც დავრწმუნ-  
დით, გულგრილი არც ე. ნინოშვილი დარ-  
ჩენილა.

მწერალი ხაზს უსვამდა იმას, რომ თუ  
აჭარელი თავის თავს „გურჯს“ უწოდებდა,  
ეს ისეთივეა, როგორც საზოგადოდ ქართვე-  
ლი თავის თავს ქართველს ეძახისო.  
გვაცნობს გადმოცემას გონიოს ციხეში სულ-  
თანის მოსვლაზე, რომელმაც თავზარი დასცა  
ამ მხარეს. ოღონდ მას სელიმი კი არა,  
სულიეიმანი ერქვა, ისიც ცნობილია, რომ 1547  
წელს მან პირველ რიგში აჯანყებული

მაჭახლელები მოაოხრა, ჭოროხს აჰყვა, იმერხეც შავშეთშიც მიმოარბია და ზღვისპირა აჭარაში დაბრუნდა [4].

1886 წლის პირველ მაისს „ივერიამ“ გამოაქვეყნა ე. ნინოშვილის წერილი იმის თაობაზე, რომ ნაცნობმა აჭარელმა გლეხმა მას ტირილით შესჩვილა: საბაჟოსთან სალდათებმა უნაგირის ქვეშ მინახეს ჩიტი, რომელიც კონტრაბანდად ჩამითვალეს, ბაჟი ერთი ხუთად გადამახდევინეს და შვიდთუმნიანი ცხენიც გამიყიდესო. მეორე აჭარელს გამოესარჩლა იმის გამო, რომ ვიღაც დაუპატიჟებელი მისი მამულის მითვისებას შეეცადა. ამ საგანზე ცნობები შეგვკრიბე, მივაგენი ვექილს, რომლისთვისაც გამწარებულ მოხუცს მიუწვდია თავისი საქმე. სტეფანოვმა (ბათუმის ოლქის უფროსმა) ყურადრება უნდა მიაქციოს ყოროლისთაველი მოხუცის საქმეს. 23 სექტემბერს გააშუქა ხელისუფალთა მცდელობა მთაზე საკუთარი საჭიროებისათვის გზა მოსახლეობის ხარჯზე გაეყვანათ, რაზეც უარი უთქვამს.

მწერალს არც ის გამოეპარა, რომ ბათუმში მოკალათებულმა უცხოელმა ვაჭარმა უბრალო შელაპარაკების გამო ყედირ ეფენდის ჯოხი დაარტყა თავპირში, ყედირმა შეურაცმყოფელი მოკლა, რის გამოც დააპატიმრეს. 31 ივლისის ნომერში დაგმო ი. ხონელი (ბახტაძე), რომელმაც აუგად მოიხსენია ჩვენი ქალაქის ინტელიგენცია. აღწერა ბათუმელთა უმწეო მდგომარეობაც, აქ გამეფებული ანტისანიტარია, ერთ მათგანში ვკითხულობთ: „ქ. ბათუმის ერთ მხარეს, ნავთის ქარხნების ზემოთ, მინდორზე ერთმანეთში უხეიროდ არეულ-აჩხირულან ფიცრული ფარღალაა შენობები, რომელთაც ქოხები უფრო შეეფერებათ სახელებად, მინამ სახლები, გარშემო ამ შენობებს მუდამ ტყლაპო-ტალახი ადგია. მისავალი გზები ისეთია. რომ წვიმის დროს დიდი სიფრთხილე გჭირია, ტალახში არ შთაინთქა. ჭაობები წამლავს ჰაერს და ისეთი საძაგელი სუნია გამდგარი, რომ სუფთა ჰაერზე შეჩვეულ ადამიანს ცხვირაუხვევლად არ შეუძლია გავლა. შენობები უბუხროა. თითო ოთახს თითო პაწია სარკმელი აქვს და ამიტომ ოთახში მზიან დღესაც კი ბნელა. მართალია, ოთახს საკმაოდ ქვს ჭვრიტინები, მაგრამ იმათში ქარი უფრო

ღონივრად შედის, ვიდრე სინათლე. აი ეს შენობები არის თავშესაფარი იმ რამდენიმე ათასი მუშისა, რომელნიც მუშაობენ ბათუმის ნავთის ქარხნებში... ამ ვიწრო და ნამიან ოთახებში ბინადრობს ათი-თორმეტი კაცი ერთად თითო ოთახში.

მაგრამ იმასაც წერდა, რომ ბათუმი შემოზღუდული მთებითა და ზღვით, ერთი საუკეთესო ქალაქთაგანია, ზღვა ზაფხულში აგრილებს მას, ხოლო ზამთარში ათბობს. გარეუბნებში ბლომად არის მშვენიერი სააგარაკო ადგილები, ერთმა რუსმა კორესპონდენტმა თქვა, რომ ბათუმი მეორე ნიცა იქნება. თავის დროზე, რომ ეს ასე იქნება ამას მეც ვიტყვი, მაგრამ დღეს ჰიგიენურად ანუ ევროპულად მხოლოდ აზიზიეს უბანია მოწყობილი. იმ კორესპონდენტს რომ ნურქის რაიონი ენახა დაბვალი ტბით, ჯაიანის საღორით, გაბრიელას ბოსლით, საჯინიბოებითა და ჩაყვითლებული ჭაობებით, მაშინ ნიცაში არა, თხისა და ხოლერის მიკრობები მოელანდებოდა. სამხრეთით ჭაობი ისეთ ჰაერს სთავაზობენ ჩვენს ფილტვებს, რომ ღმერთმა თქვენ მტრებს.

ისტორიული საკითხების განხილვისას ე. ნინოშვილი გვევლინება ამ დარგის კარგ მცოდნედ. იგი მწარედ იგონებდა იმ ავბედით დროს, როცა საქართველო გარეშე მტრების თავდასხმისა და შინაური შფოთის შედეგად დაქუცმაცებულ-დაგლეჯილი იყო. ეგნატე ვიწრო პარტიკულარისტული შეხედულებების, კუთხურობის თავგამოდებული მოწინააღმდეგეა. მისთვის უცხოა ტერმინადქვეული „ქვემო გურია“, განხილულ წერილში ღრმააზროვნად არის გამოხატული ოპტიმიზმი საქართველოს ერთიანობისა და ქართველი ერის აღორძინება-განვითარებისა, მისი თვითმყოფადობისა. მწერალს სწამს და უყვარს ერთიანი, მთლიანი საქართველო და აღტაცებულია, რმ ამ რწმენისანი არიან ახლადშემოერთებული კუთხის, საუკუნეობრივად მოწყვეტილი აჭარის მცხოვრებლებიც.

როგორც ვლინდება, მწერალი აშკარად ექომაგებოდა თანამემამულე აჭარელებს, იცავდა მათ უფლებებს, ღირსებას, უქებდა წარსულს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საგანზეთო მასალებით დაიწყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა, მუშათა და გლეხთა

დუხჭირი ცხოვრების, უფლებობის ცოდნამ მისცა მას ბიძგი რათა მარალმხატვრული ნაწარმოებების წერას შესდგომოდა, მათ შორის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ 1896 წელს ბათუმში თვართქილადისა და მიქელაშვილის სტამბაში დაიბეჭდა, „ქრისტიანი“ – 1900 წელს, ხოლო ორი წლის შემდეგ ჩვენს ქალაქშივე გამოქვეყნდა „მოსე მწერალი“ და სხვა ნაწარმოებები [5].

1896 წლის 25 თებერვალს ბარცხანაში გაუმართავთ მწერლის ხსოვნის საღამო, სწორედ იმ უბანში, რომლის ბინადართა უმწეო მდგომარეობა აღწერა მწერალმა. ჩვენს ქალაქში აღუნიშნავთ ე. ნინოშვილის გარდაცვალების 20 წლისთავიც, ხოლო აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჩაქვი საქართველოში, ალბათ პირველად, დაუდგამთ მისი ძეგლი, რომლის ფოტოსურათი გაზეთ „ფუხარას“ 1924 წლის 13 ივლისის ილუსტრირებულ დამატებაში გამოქვეყნებული.

მწერლის ძეგლი არის ბათუმში მისივე სახელობის ქუჩაზე საზღვაოსნო სასწავლებლის წინ, აგრეთვე XIV საშუალო სკოლაში, რომელიც ასევე ე. ნინოშვილის სახელობისაა.

ამით სათქმელი თითქოსდა უნდა დაგვემთავრებინა, მაგრამ ორი გარემოება გვაიძულებს საუბარი გავაგრძელოთ. პირველი დაკავშირებულია „ჯანყი გურიასთან“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელ დ. შურლიაშვილის მოგონებით ეს რომანი ე. ნინოშვილს დაუწერია ექვთიმე თაყაიშვილის „კონსულტაციისა და სათანადო წყაროებზე მითითების“ გამოყენებით. თავად მწერალი წერდა მას, რომ „განსაკუთრებით საჭიროა გავიგო ნამდვილი მიზეზი იმ აჯანყებისა“.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მწერალი სრულად ვერ ჩაწვდა ამ მიზეზებს, ალბათ კიდევ მიაგნო მათ, მაგრამ არ მიიღო. ამიტომაც სპეციალური გამოკვლევის გარეშე შეინიშნება უზუსტობანი, ქობულეთელი ხასან თავდგირიძის როლის გაზვიადება ამ აჯანყებაში, საერთოდ აჭარელთა დამოკიდებულებაში.

აჭარლები თურმე ძლიერ შიშობდნენ იმის გამო, რომ რუსები გურიაში ფეხის მომაგრების შემდეგ მათი მამულის დაპყრობასაც

მოინდომებდნენ. ამას მეტადრე ბეგები დაუფიქრებია, რომლებიც ხონთქრის მიერ ზომებული ჯამაგირებითა და უფლებებით ცხოვრობდნენ, რადგან „დროიანად მიეყიდნათ თავიანთი სამშობლო და ხალხი ოსმალებისათვის“. მათ „კარგად ესმოდათ რო რუსეთის ხელმწიფე ისე ტყუილა ხელობას – ჯამაგირებს არ მიაჩნებდა, როგორც ხონთქარი. „ამას გარდა, გურიაში რუსეთის ფეხის ჩამოდგმა ერთი მითაც აჯავრებდა ქობულეთ-აჭარას, რომ რუსებმა გურიის და ოსმალეთის შუა, საზღვარზე, გააჩინეს ფრთხილი და მძლავრი დარაჯები, რომლის გამოც ქობულეთ-აჭარის აბრაგებს აღარ ძალუძდათ, ჩვეულებრივად ეძარცვათ და ეღლიტათ გურიის ხალხი. ამიტომაც იყო, რომ ქობულეთ-აჭარა ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა უსიამოვნო ახალი მეზობელი – რუსები გურიიდან გაერეკა.

ამიტომაც თურმე „უნდა ჩამოეგდოთ მტრობა და უკმაყოფილება რუსეთისა და გურიის ერთა შორის და აეჯანყებიათ ეს უკანასკნელი რუსეთის წინააღმდეგ“. ასე აჯანყდებოდნენ გურულები, „ჩვენი მხრივ ჯარს მიუსევთ და გავრეკავთ რუსებს გურიიდანო“, – ფიქრობდნენ თურმე ბეგები, საამისოდ უმეგობრდებოდნენ გურიის თავადაზნაურობას, რომლებშიაც უმეტესი ნაწილი იმათი ახლო ნათესავი იყო, ამაგებდნენ იმათთან რუსეთის ზნე-ჩვეულებას, წეს-წყობილებას და სამოთხისებურ ცხოვრებად ხატავდნენ ხონთქრის ქვეშევრდომობას.

თუ ვირწმუნებთ აჭარის ბეგებს ყოველწლიურად მიჰყავდათ გურიის თავადაზნაურობის თითო-ოროლა წარმომადგენელი, რომლებიც „უორგულებდნენ რუსებს“. 1841 წელს ვაჟკაცობით განთქმულმა თავისებურმა პოლიტიკურმა, გონებაგამჭრიახმა ქობულეთის ბეგმა ხ. თავდგირიძემ მოუხშირა გურიაში თავის ნათესავ თავადებთან სტუმრობას. გურულებმა გააღმერთეს ხასანი „უცებ მოედო იმისი ქება მთელ გურიას“, დიდსა და პატარას ამ დროს გურიაში ხასანბეგი უტრიალებდა ენაზე და ქებას ასხამდნენ. ასე განსაჯეთ, ამ ბეგის შეთხზული სიმღერა „ხასანბეგურაც“ კი მაშინათვე გადმოიღეს და გახდა გურიაში პირველ სამურ სახალხო სიმღერად. ის მოსიმღერე

მოსიძლერედ არ ჩაითვლებოდა თუ „ხასან-ბეგურა“ კარგად არ იცოდა, თითქმის გურიის ყველა თავმომწონე ყმაწვილი კაცი იცნობდა ამ ბეგს, წარმოიდგინეთ, ქალებსა და ბავშვებსაც ისე ენატრებოდათ ამ საარაკო ბეგის ნახვა, რომ როცა გაიგონებდნენ, ამა და ამ გზაზე ხასან-ბეგი გაივლისო, გზის აქეთ-იქით ნაპირი გაივსებოდა ხალხით” [6].

ხასანმა აისრულა თავისი წადილი „აღელვა გურიის ერი რუსის წინააღმდეგ“, რასაც ძლიერ შეუწყო ხელი იმან, რომ რუსეთის მთავრობამ გურიის გლეხკაცობას გამოუცხადა ყოველწლიურად კომლზე ფული უნდა აძლიოთ ხაზინასო. ამან ცეცხლი დაანთო გურიის ხალხის, ამ დროს უიმისოდაც აღორძინებულს გულში, რითაც ისარგებლა თურმე ხ. თავდგირიძემ და აღუთქვა გურულებს შემწეობა ტყვია-წამლით, თოფ-იარაღით, ჯარით, ფულით და სხვებით და 1841 წელს ააჯანყა ისინი რუსეთის წინააღმდეგ.

ამიტომაც ოზურგეთს შესდგომოდა რამდენიმე ათასი კარგად შეიარაღებული კაცით აჯანყებულების შემწედ მოსული ქობულეთის ბეგი ხასან თავდგირიძე და ისე დააპურებდა პატარა ოზურგეთის ქალაქს და მასში მყოფ რუსებს, თითქო ქორი წიწილას, გურიის ხალხს თითქმის ულამაზესი, უკობტავესი და უვაჟკაცესი ქობულეთის ხალხი გულის ძგერით მოელოდა - გაივლის ეს ერთი ღამეც, მოაღწევს განთიადი და გაუჩნთ ქ. ოზურგეთს ცეცხლსო. ისინი აგერ ერთი კვირა იყო რაც მოსულიყვნენ ოზურგეთში და სწუხდნენ, რომ ჯერ ერთი შემთხვევაც არ მისცემოდათ რუსთან შეტაკებისა. ისინი თითქმის ესაყვედურებოდნენ აჯანყებულებს - საქმეში ყოყმანა ყოფილხართ, რაღას ვუყურებთო, დავეცეთ ბარემ ამ რუსებს და დავჟლიტოთო.

მაგრამ დახეთ უბედურებას. რუსები მოისყიდავენ ხასან-ბეგს თანაც მისცემენ გარანტიას: არ დავესხმებით ქობულეთსო.

ამრიგად, ხასან-ბეგი თუ არა, გურულები არ აღელდებოდნენ და არც აჯანყდებოდნენ რუსების წინააღმდეგ. თანაც მან აღუთქვა დახმარება ფულით, იარაღით, ჯარით, კიდევ დაადგინენ თავს რუსეთის ჯარს. ნუთუ ვაჟკაცობით განთქმულმა, თავისებურად

პოლიტიკოსმა ბეგმა არ იცოდა, რომ თუმცა მისი რამდენიმე ათასი რაინდით არა თუ ვერ გაიმარჯვებდა რუსეთის არმიაზე, არამედ ყველანი დაილუპებოდნენ და შეიძლება ოსმალეთის გულისწყრომაც გამოეწვია, რადგან მას თუ ინციდენტი - შეტაკება მართლაც სჭირდებოდა, მაშინ „გურულ ხალხს“ მიაშველებდა დაქირავებულ-მოსყიდულთ და, ცხადია თავის ჯარსაც თუ არა, ქვეშევრდომებს მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. ფაქტიურად ოსმალეთს გურულებზე დახმარება არც ქობულეთის ბეგისათვის უბრძანებია. ასე რომ ყოფილიყო, მას ვერ მოისყიდდნენ და ვერც ღალატს გაბედავდა. მერედა, უკვე საკითხავია ის, რომ ნუთუ აჭარლებმა რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ გურულებზე უკეთ იცოდნენ რუსეთის ზნე-ჩვეულებანი და წეს-წყობილება? ან ვითომ გურულებმა არ იცოდნენ ვინ იყო სულთანის, რა ამოძრავებდა მას. და ბოლოს: კი მაგრამ, სად ჰქონდა ჭკუა-გონება განთქმულ გურულებს, ნუთუ ისინი ასე ადვილად წამოეგნენ ლამაზი ბეგის აგიტაციას?

გურიის 1841 წლის აჯანყების საკითხის რეალურ შესწავლა-შეფასებაში გვეხმარება ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ცნობები. იგი სამსახურეობრივი მოვალეობის გამო გაეცნო აჯანყების მიზეზს და დაასკვნა: „ვიციტ ორი ნამდვილი და არსებითი მიზეზი: ა) მოთხოვნა გადასახადების ფულად და ბრძანება კარტოფილის მოყვანისა“, ე.ი. გამოწვეული იყო მმართველთა დაუფიქრებლობითა და წინდაუხედავობითო. მისივე ცნობით, მაშინ გურიის დიდმა მოხელეებმაც კი არ იცოდნენ, თუ რა იყო რუსული ფული, დვაბზე წარმოადგენდა ერთ-ერთ ცენტრს, სადაც 20-30 ჩალვადარი (ოსმალ) მთელ გურიაში აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლით ვაჭრობას. თანაც ფული იყო მხოლოდ ოსმალური. აქვე დასძენდა, რომ ღომსა და სიმინდს შეჩვეულ გურულებს კარტოფილის დანერგვა არ სურდათ, რამაც განაპირობა ამბოხება, თუმცა იქ ჩაყენებული კაზაკები იყვნენ „ძალიან ზრდილობიანნი“. ამბოხებით „უაღრესად მოთაკილე და წყენის ფასად ამყოლ ხასიათის გურულებს „თურმე პენსიების სახით

ათჯერ მეტი მისცეს, ვიდრე მისგან გადახდას თხოულობდნენ”.

ასე და ამრიგად, აჯანყება წამოიწყეს რუსეთის წესწყობილებით უკმაყოფილო გურიის თავად-აზნაურებმა პირადი მიზნების განსახორციელებლად. რასაკვირველია, მოსახლეობასაც სურდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, შვება-ლხენა და აჰყვა მათ. ცხადია, ეს იყო უგუნური მოქმედება, რადგან ღარიბ-ღატაკი „პატარა გურია” რუსეთის 2-3 პოლკსაც ვერ გაუმკლავდებოდა. აკი მაშინ თურქეთსაც ეშინოდა აღზევებული რუსეთისა.

მეორე გარემოება ეხება ნაწარმოებ „ქრისტიანეს”, ე. ნინოშვილის პროტოტიპებთან დაკავშირებით პროფესორი იოსებ მეგრელიძე წერს: 1911 წელს ფოთში გამოიცა ბროშურა „პროტესტი ქრისტიანეს გამართლების გამო ქრისტიანეს მშობლებისა”.

ადრე თურმე მწერლის მიერ ქრისტიანედ წარმოდგენილი პროტოტიპის მშობლებისათვის დაუდვიათ ბრალი შვილის გაუბედურებაში. თვითონ ქრისტიანე ზოგ სასამართლოს გაუმართლებია, ზოგს გაუმტყუნებია. მწერლის მეგობარი ლ. წულაძე ქრისტიანეს მშობლებს – დათიკოსა და მარიკას გამოსარჩლებია. ხსენებული ბროშურა გაკრიტიკებულია „ბათუმის გაზეთის” იმავე წლის №24 „მუჯღუფუნის” ფსევდონიმით დაბეჭდილ ავტორის წერილში.

მასასადამე, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ამსგავსებდნენ ლიტერატურული ნაწარმოების მოქმედ პირს ქრისტიანესა და მის მშობლებს, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მწერალმა კონკრეტულად და ზუსტად ისინი წარმოგვიდგინა, ამიტომაც არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქრისტიანე იყო ჩოჩხათელი გლეხის ქალი მენიკი ორაგველიძე, – ვკითხულობთ მის ნაშრომში.

შემდეგ მოგვყავს გ. ქიქოძის გამონათქვამი: „შეიძლება სწორი იყოს ს. ხუნდაძის მტკიცება, რომ ამ მოთხრობის სიუჟეტი რეალური ცხოვრებიდან აღებულ ფაქტს ემყარებოდეს, იასონისა და ქრისტიანეს პროტოტიპებად კომახიძე და მისი მეზობელი ქალი გამოეყენებინოს”. ი. მეგრელიძე აქვე დასძენს, რომ ე. ნინოშვილს დახატული აქვს განზოგადებული ტიპები.

ათი წლის ქრისტიანე დოლიძე მშობლებმა ბათუმს ჩამოიყვანეს და კეთილშობილ ადამიანებს შინამოსამსახურედ მიაბარეს. დესპინე 16 წლისა იყო, როდესაც ეს ოჯახი საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა, მაგრამ ქალიშვილი ბედის ანაბარად არ მიატოვეს და მეზობელ მეზენცევებთან იმავე სამუშაოზე მოაწყეს. აქ დესპინეს მეზობელ პოსოხოვების შინამოსამსახურე ბალტიისპირელი ქრისტიანე აეკიდა, პოსოხოვები არ გამოიჩეოდნენ კარგი ყოფაქცევით, ასეთი იყო ქრისტიანეც. ამიტომაც დესპინეს თხოვნას, გაეშვათ ის ქრისტიანეს ერთად ბულვარში, მეზენცევეები ცივად შეხვდნენ, მაგრამ შეიბრალებს და ნება დართეს, ოღონდ შებინდებამდე სახლში უნდა ყოფილიყო [7].

ბულვარში ქრისტიანეს ძველი „მეგობარი” ივანე ნიკოლოზის ძე გადაეყარა. შემდეგ მათ ალექსანდრე პეტრეს ძე შეხვდა, რომელმაც იმთავითვე მიზანში დესპინე ამოიღო და ანეკდოტებითა თუ უადგილო სიცილხარხარით „მოაჯადოვა” იგი. „მეგობრები” დარწმუნდნენ რა დესპინეს გულუბრყვილობასა და გამოუცდელობაში, ქრისტიანესთან პირი შეკრეს და სახლში გაიყოლეს, – ვიმღერებთ, ვისაუბრებთ, გავერთობით და შემდეგ თავიანთი სახლებისაკენ გავსწევთო. დესპინე უარზე იყო, მას ვერ წარმოედგინა ამგვარი რამ, მაგრამ ქრისტიანემ ზეგავლენა მოახდინა მასზე და დაითანხმა. ივანე ნიკოლოზის ძე და ალექსანდრე პეტრეს ძე რა თქმა უნდა, სიმღერის ხასიათზე იყვნენ, სასმელებიც შემოაპარეს, სუფრა გაშალეს და „მრავალჟამიერი” შემოჰკრეს – წერს ავტორი, რაც მიგვანიშნებს, რომ ისინი ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.

ე.წ. ორი-სამი წვეთით უსინდისობმა ისე გამოათვრეს დესპინე, რომ ძლივსღა შეიმჩნია თუ როგორ გადაეხვია ივანე ქრისტიანეს, მალე მასაც ჩაავლო ხელები ალექსანდრემ... როდესაც გამოფხიზლა, ტირილი მორთო, მაგრამ გვიანდა იყო, ქრისტიანემ ვერ მოითმინა მისი გოდება და მიახალა: „თუ ხელუხლებელი იყავი აქ რას გამომყევი, ბულვარს შემდეგ ასე ხდებო”, მაგრამ „შეიბრალა” და დაუმატა: ნუ დარდობ, ვინმე ლაქია ჩვენც გვეპატრონებაო.

მოტყუებული, გულუბრყვილო დესპინე და გარყვნილი ქრისტიანე მხოლოდ მესამე

დღეს დაბრუნდნენ თავიანთ პატრონებთან. რა თქმა უნდა ისინი დაითხოვეს. არც ლაქები აღმოჩნდნენ, რომ მათთვის „ეპატრონათ“, რის გამოც დესპინეს სოფელში დაბრუნება ურჩიეს, იქ რა მოუვა ჩვენ რა გვანადვლებსო, მაგრამ იმის შიშით, რომ ნამუსშერცხვენილს მამა არ დაინდობდა, დესპინემ ბათუმში დარჩენა არჩია. იმ ალექსანდრემ, რომელმაც უმწეო ქალს ნამუსი ახადა, დესპინეს თხოვნაზე როგორმე დახმარებოდა მას, უკმეხად უპასუხა: ყველა შენისთანას რომ ვაჭამო და ვასვა აბა მე რაღა ვჭამო.

ახლა უკვე დესპინე იძულებულია მიიღოს ქრისტიანის რჩევა, მივიდეს ვინმე ინასთან, რომელიც სამიკიტნოებს ქრისტიანს მაგვარი შეცდენილ-მოტყუებული და როსკიპი ქალე-ბით ამარაგებდა. დესპინე შეევედრა მას, მოეწყო სამსახურში, არ გაეგზავნა გარყვნილების სახლში, მაგრამ ამაოდ. ანამ რამდენიმე დღე შეიკედლა დესპინე, ბოლოს უთხრა: თავად ხელმოკლედ ვცხოვრობ, არც შენი შესაფერისი სამუშაოა, საჭმელს ტყუილუბრალოდ არავინ გაჭმევსო.

დესპინე იძულებული გახდა მოლიპულ გზას შესდგომოდა, ლუკმა-პურისათვის სხეულით ევაჭრა. სასოწარკვეთილი ეკითხება ანას: რა უნდა გავაკეთო აქა, ის, რაც იმ კაცთან ჰქენიო - იყო უცერემონიო პასუხი.

სხვა გზა არ იყო, უსამართლო ქვეყანა დესპინეს სხვას ალბათ არაფერს უქადდა. იგი სამიკიტნო „პარიზში“ მიიყვანეს, რომელსაც ვიღაც ქალი განაგებდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ანას მეგობარი იყო, გარიგება მაინც გაჭირდა. გარყვნილების გზაზე დადგომას თურმე პროტექციის გარდა, სხვა რამეც სჭირდებოდა. ანა სამიკიტნოს გამგებელს შეევედრა დესპინე „არ შეეწუხებიანთ ერთბაშად“, მაგრამ არავინ დაინდო, მალე ისე გაწაფეს, გარყვნეს, რომ ყველა მისით ერთობოდა, რამაც ბოღმით აავსო „თანამოსაქმეები“. ლამაზ, ახალგაზრდა დესპინეს „წარმეტებისათვის“ განსაკუთრებით ვერ იტანდა ოლლა, რომელიც არც ისე ლამაზი იყო და არც ახალგაზრდა. ამის გამო „კლიენტებს“ ჰკარგავდნენ, ხოლო დესპინეს არ ასვენებდნენ. ოლლა სულ მიზეზს ეძებდა, რომ როგორმე ჩამოეცილებინა თავიდან მეტოქე [8].

ერთხელ სამიკიტნოში სამი „ტუზემცი“, ე.ი. არარუსი ანუ ქართველი შემოვიდა. ქეიფი გააჩაღეს და დესპინეც მოისვენა გვერდით. ერთი „ტუზემცი“ ძალიან მოიხიბლა მისით, ოლლამაც იხელთა მომენტი და ვნებას აყოლილი მიახალა: „რას ეხვევი, შენი მაინც არ იქნება, დესპინე იმ შენი ამხანაგის შესაფერია და მას გაჰყვებაო“. ამან აღანთო „ტუზემცი“ და სკანდალი ატეხა, შემდეგ იძრო რევოლვერი და „არც შენ და არც მეს ძახილით“ დესპინე გამოასალმა წუთისოფელს. „ტუზემცებმა“ სიბნელით ისარგებლეს და მიიმალნენ.

ავტორი არ წერს, თუ როდის მოხდა ეს შემზარავი ამბავი, მაგრამ მიუთითებს, რომ ადგილობრივმა გაზეთებმა გაახმაურესო.

მკითხველი დაგვერწმუნება, რომ ამ მოთხრობასა და ე. ნინოსვილის „ქრისტიანს“ შორის დიდი მსგავსებაა. ქრისტიანს „მეგობარ“ ქალს მიჰყავს შინამოსამსახურედ, შემდეგ – გარყვნილთა საზოგადოებაში. მასაც ეუბნებიან „ტყუილა არავინ გაჭმევს“, ქრისტიანსაც ასეთი შემახილით „ვერ წაიყვან... მას, თუ წაიყვან“ და კლავენ, ოღონდ დანით. ისიც საავადმყოფოში კვდება, მის დასაფლავებაზეც თითო-ოროლა ვინმე თუ მოვიდა. ე. ნინოსვილის ქრისტიანე 1887 წელს წარმოადგინეს, ხოლო დაიბეჭდა 1892 წელს, მეორე კი ავტორმა 1904 წელს გამოაქვეყნა. ავტორს ცხადია, ე. ნინოსვილისგან არ აუღია სიუჟეტი, იგი ხომ უფრო დოკუმენტურად აღწერს ამბავს, ამასთან მიუთითებს: ცნობები ამ შემთხვევის თაობაზე გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთშიო. ეგებ ორივემ ეს ფაქტი გამოიყენეს, ოღონდ თავიანთი ნაწარმოებები სხვადასხვა დროს დაბეჭდეს, ამასთან ე. ნინოსვილმა ზოგი რამ შეცვალა, თანაც განაზოგადა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ მოთხრობის დაბეჭდვა ბათუმში ადრე არ შეეძლო, რადგან ჟურნალი თუ კრებული არ გამოდიოდა, სხვაგან კი ვერ გამოაქვეყნებდა, რადგან ღირსებით არ გამოირჩეოდა.

განსხვავება ამ ორ მოთხრობას შორის ისაა რომ ეგნატეს ქრისტიანს გურიაში ხდიან ნამუსს, მას ჰყავს უკანონო შვილი, სახლდება თბილისში და იქ იღუპება.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ბათუმის გაზეთებში უნდა მოიძებნოს

ცნობები დესპინეს მკვლევლობის შესახებ. ამით საბოლოოდ ნათელს მოვფენთ ამ უცნობ მომენტს, დავადგენთ, რომ თავისი მოთხრობის სიუჟეტად აქ მომხდარი ნამდვილი ამბავი გამოიყენა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი (ეგნატე ნინოშვილის ფონდი), ფ. 576, აღწ. 1, საქმე 890, ფურც. 12
2. იქვე, ფურც. 24-26
3. იქვე, ფურც. 56-65
4. იქვე, ფურც. 77-87
5. იქვე. ფურც. 103-110
6. იქვე. ფურც. 116-121
7. იქვე. ფურც. 140-146
8. იქვე. ფურც. 168-174

## ლამარა გულორდავა

### კვაჭაძის დამბაჩები

ლითონის დამამუშავებელი ხელოსნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს იარაღებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადება შეადგენდა. თავის მხრივ, იარაღის ნიმუშების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული კაცობრიობის კულტურის განვითარების ისტორიასთან.

თუ ზუსტად რომელ ქვეყანაში გამოიგონეს იარაღი, დღემდე დაუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ XII-XIII საუკუნეებში, არაბეთსა და ინდოეთში უკვე არსებობდა მსგავსი შეიარაღება, თუმცა დენტის დამზადების რეცეპტი ჩინელებისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნეში.

ცეცხლსასროლი იარაღის დამკვიდრებამ, უდიდესი გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში. ამ აღმოჩენამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება და საფუძველი ჩაუყარა ახალ ეტაპს საბრძოლო ხელოვნებაში.

ცნობილია, რომ საქართველოში საბრძოლო იარაღის დამზადებას უძველესი ტრადიცია აქვს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი საბრძოლო იარაღები (ბრინჯაოს ცულები, სატევრები და მრავალი სხვ.) სწორედ ამ ტრადიციის დამადასტურებელია. ასევე ცნობილია მაღალი ხარისხის ქართული ფოლადისაგან დამზადებული საბრძოლო იარაღები.

ქართლის ცხოვრებაში თოფი პირველად ნახსენებია მეფე კონსტანტინეს მეფობის დროს – 1461-1470 წლებში. მოგვიანო ხანის ქართველი მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ცეცხლმფრქვევი იარაღის ადგილობრივად დამზადების საქმეს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მხრივ ერეკლე მეორე იჩენდა.

თოფებისა და დამბაჩების წარმოება ევროპასა და რუსეთში XIX საუკუნეში მკვეთრად განვითარდა და საუკუნის ბოლოს ზენიტს მიაღწია. ხოლო პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში მასობრივად

ამზადებდნენ დღეისათვის ცნობილ თითქმის ყველა სახეობის იარაღს.

დასავლეთ საქართველოში შემოდოდა ევროპული ტიპის კაჟიანი იარაღის ლულა და მექანიზმი, ხოლო დანარჩენი, ხის ნაწილი, გაფორმება-ზარნიში, სევადი და ა. შ. ადგილზე კეთდებოდა. ეს დამოკიდებული იყო დამკვეთზე და ოსტატის ხელოვნებაზე. თოფ-იარაღის მოხელედ ითვლებოდა ორი სხვადასხვა სახის ხელოსანი. ერთი კატეგორიის ხელოსნები იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღის მოხელენი, რომლებიც თოფებსა და დამბაჩებს ამზადებდნენ, მეორენი - ხმალ-ხანჯლის მოხელენი.

აჭარა იარაღის წარმოებით ერთ-ერთი დაწინაურებული ცენტრი იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაჭახლის ხეობა. XVIII-XIX საუკუნეებში აქ ამზადებდნენ კაჟიან თოფებს და დამბაჩებს, რომლებსაც „მაჭახელას“ ეძახდნენ.

დამბაჩა ხელის ძველბურთი, კაჟიანი, ცეცხლსასროლი, მოკლელულიანი იარაღია. იგი განკუთვნილი იყო მოკლე მანძილზე მოწინააღმდეგის დასაზიანებლად. ტექნიკურად გაუჯობესებული, მორთულ-მოკაზმული დამბაჩა, რომლის ფორმა მრავალი ათეული წლის განმავლობაში იხვეწებოდა, ესთეტიკური და ფუნქციური თვალსაზრისით გადაიქცა სრულყოფილ იარაღად.

დამბაჩის კონსტრუირებით, გამოცდით, გაყიდვითა და გამოყენებით მოსახლეობის მოწინავე ნაწილი იყო დაინტერესებული. დამბაჩის გამოსაცდელად იმართებოდა შეჯიბრებები და ცხადია, მსროლელთა სიყოჩადის გარდა ამ შეჯიბრებაში გამოჩნდებოდა, თუ ვისი დამბაჩა იყო უკეთესი. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის შუა ხანებიდან ხმარებაში შემოვიდა მრავალჯერადი გასროლის იარაღი, მეფის მთავრობა ქართველებს აძლევდა მხოლოდ ერთჯერადი გასროლის იარაღის – დამბაჩის ტარების უფლებას.

კოლექციონერების სხვადასხვა საგნებიდან ყველაზე მეტად მხატვრულად დამუშავებულ დამბაჩებს ჰქონდა უპირატესობა. საუკეთესო დამბაჩის კონსტრუქცია და დეკორი ერთმანეთს მთლიანად ერწყმის, რაც იარაღს ხელოვნების ნიმუშად აქცევს. განსაკუთრებული მნიშვნე-

ლობა ენიჭებოდა ცალობით დამზადებულ ძვირადღირებულ იარაღს, რომელსაც ამ საქმის დიდოსტატები ამზადებდნენ. დამზაჩებზე ერთი შეხედვითაც შეიძლებოდა ქვეყნის თუ ოსტატის ვინაობის გამოცნობა (უცხოურს უამრავი წარწერა, დამლა თუ ნიშანი აქვს).

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია იარაღის ნიმუშები: კაჟიანი თოფები და დამზაჩები, საპირისწამლეები, ხმლები, სხვადასხვა სახის სატევრები. ისინი შემკულია ვერცხლით, ოქრო ზარნიშით, სევადითა და ძვლით. იარაღის ამ კოლექციიდან გამოირჩევა ლანჩხუთელი ოსტატის ამბაკო კვაჭაძის მიერ დამზადებული დამზაჩები

კვაჭაძის მიერ დამზადებული დამზაჩა (საინვ. ნომრით აჭმ. 19371, ფოტო 1.) საიარაღო ხელოვნების შედეგია. შეიქმნა XIX ს-ის ბოლოს. ეს არის კაჟიანი დამზაჩა, სიგრძე 48 სმ, ევროპული მექანიზმით. დამზაჩის ტარი და ღარი დამზადებულია კაკლის ხისაგან. დამცემ-სასხლეტი მექანიზმი გვერდით ფირფიტაზე აქვს მოთავსებული. ინკუსტრირებული ვერცხლი, ოქროს ზარნიში. დაფარულია ნატიფი მოსახულებებით, მაღალმხატვრული არაბესკებით (რთული ორნამენტი, რომელიც გეომეტრიული ფიგურებისაგან, სტილიზებული ფოთლების, ყვავილებისა და მისთანანისაგან შედგება). ლულა ფოლადისაა, სიგრძე – 34 სმ. ზედ ვერცხლის ფირფიტაზე წარწერაა რუსულად: „Мастер Амбако Квачац“.

მეორე დამზაჩა (საინვ. ნომერი 19219, ფოტო 2.) ევროპული ტიპისაა, დახვეწილი ფორმის, ჩარჩო კაკლის ხე, დამზაჩის მთლიანი სიგრძე 49 სმ. ლულა ფოლადის (სიგრძე 34 სმ), „სნაიდერის“ სისტემის მექანიზმით, დამცემ-სასხლეტი მექანიზმი გვერდით ფირფიტაზეა მოთავსებული და მოზარნიშებულია ოქროთი. ვერცხლის ინკუსტრაცია, ოქროს ზარნიშით, გაფორმებულია ფაქიზად, რომბისებური ორნამენტებით, ვარდებით და არაბესკებით. ლულას ზემოდან აწერია ქართულიად „ხელობა კვაჭაძისა“. იქვე თარიღია „1901 წ“.

დამზაჩა (საინვ. ნომერი 17173, ფოტო 3.) კაჟიანი, ევროპული ტიპის, კონდახი

კაკლის ხე, ლულა ფოლადის, ინკუსტრირებულია ვერცხლით, ოქროს ზარნიშით. ეს დამზაჩა ორნამენტებით, ფოთლებით შემკული ტოტებით, გავს ზემოაღნიშნულ დამზაჩებს. სიძველეთა ექსპერტის ბიძინა აფხაზავას განცხადებით ეს დამზაჩაც კვაჭაძის ნახელავია.

კვაჭაძის დამზაჩები ჩანს იქნებოდა მტკიცე და გამძლე. ოსტატი იარაღს ამზადებდა დაკვეთით და მაღაზიაში მისი შეძენა იშვიათად თუ შეიძლებოდა. ლიტერატურული წყაროდან და დამზაჩაზე წარწერიდან ცხადია, რომ კვაჭაძე იყო საფასო მოხელე, რომელიც შეკვეთით მუშაობდა.

ამ დამზაჩებმა გაუძლო დროის გამოცდას და ახლა ისინი საიარაღო ხელოვნების ნიმუშად ითვლებიან. კვაჭაძის განთქმული მოდელები აჭარის მუზეუმის იარაღის კოლექციის მშვენიერებაა. სწორედ ამიტომ გვანტერესებს ცნობები ამ ოსტატის შესახებ.

სპეციალური კატალოგი „იარაღისა და ვერცხლის საქმის კავკასიელ ოსტატთა დამლეებისა და სახელების მაჩვენებელი“ (შემდგენელი ე. ასტვაცატურიანი. გამომცემლობა „ნაუკა“, რუსულად), გვამცნობს: „კვაჭაძე მიხეილ. 1889. ლანჩხუთი, ოზურგეთის მაზრა, ქუთაისის გუბერნია“. ცხადია, ლანჩხუთში მიხეილ კვაჭაძეს ჰქონდა იარაღის სახელოსნო. შესაძლოა ამბაკო კვაჭაძე ამ სახელოსნოში მუშაობდა და მათ ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდათ. იარაღზე რუსულ-ქართული წარწერები უეჭველად ერთი და იმავე პიროვნების ხელწერაა, რაც ადასტურებს, რომ დამზაჩების გამკეთებელი ოსტატი ამბაკო კვაჭაძეა.

ერთი უეჭველია–XIX-XX სს-ის მიჯნაზე ლანჩხუთელი ცხენოსნებისათვის, რომლებმაც ტრიუმფით მოიარეს ევროპა და ამერიკა, კვაჭაძის მიერ დამზადებული დამზაჩები ვაჟკაცური ატრიბუტი იყო და მათ მშვიდობიან, სანახაობით სამიზნეებში სროლისათვის იყენებდნენ.

**გამოყენებულილიტერატურა:**

1. ქსე, ტ. III, თბ., 1977 წ.
2. გოგიჩაიშვილი ფილიპე, ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976 წ.
3. ასტვაცატურიანი ე. გ., „იარაღისა და ვერცხლის საქმის კავკასიელ ოსტატთა

დამღებისა და სახელების მაჩვენებელი”  
(რუსულ ენაზე)

4. ჩოლოყაშვილი კ., „თოფი ქართული წარწერებით”. – კრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII–B.
5. ლომთაძე ო., სანადირო თოფები, ქვეყნები და ფირმები. – ჟ. „მონადირე და მეთევზე“, თბ., 1967 წ.



ფოტო 1



ფოტო 1.1



ფოტო 2



ფოტო 2.1



ფოტო 3

## რუსუდან კობრავა

### ბათუმის ერთი ქუჩა – მემედ აბაშიძის გამზირი

ბათუმი – არა მხოლოდ საქართველოს, არამედ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ქალაქებს შორის გამორჩეული ზღვისპირა მარგალიტია. ბათუმს ულამაზესი სანაპირო და ლამაზი ქუჩები აქვს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მემედ აბაშიძის გამზირი – ქალაქის ყველაზე მორთული ნაწილი.

ქუჩას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი წარმოიქმნა მე-19 ს. 50-იან წლებში და თავდაპირველად ნურიე სოხახი ერქვა (ნურიესკენ მიმავალი ქუჩა). 1888 წ. 1 აპრილს ბათუმს მიენიჭა თვითმმართველობის სტატუსი. იმავე წლის 25 სექტემბერს ქალაქს ეწვია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ოჯახთან ერთად – მეუღლესთან დედოფალ მარია ფეოდორის ასულთან და შვილებთან ნიკოლოზთან და გიორგისთან ერთად. მათ მოინახულეს ქალაქის ბაღი (დღევანდელი 6 მაისის პარკი) და დარგეს იქ დეკორატიული ხეები. იმავე დღეს მშენებარე სამხედრო ტაძრის – სობორის საძირკველში ჩაყარეს ქვები. (Дакишевич. 1890. 3). მაღალჩინოსანი სტუმრების საპატივცემულოდ ქუჩას მიენიჭა დედოფალ მარიას სახელი (მარინსკი პროსპექტი).

ქუჩა იწყებოდა აზიზიეს მოედნიდან (დღევანდელი ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანი) და მთავრდებოდა ალექსანდროვის ბაღთან (დღევანდელი 6 მაისის პარკი). აქ განლაგებული იყო ევროპული სტილის საუკეთესო შენობები, სადაც განთავსებული იყო სხვადასხვა ქვეყნების საკონსულოები, ბანკები, კინოთეატრები, ფოსტა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები. ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ იმ პერიოდში ბათუმში ცნობილი ექიმები: მარკოვი, შატილოვი, გიგინიეიშვილი, ბეთანელი და სხვები.

ქუჩა ჯერ კიდევ 1888 წ. მოიკირწყლა (იმპერატორ ალექსანდრე III სტუმრობასთან დაკავშირებით), ხოლო XX ს. დასაწყ-

ისში გამწვანდა ქალაქის სანერგეში გამოყვანილი მარადმწვანე მცენარეებით. განათდა ხის ბოძებზე დამონტაჟებული ნავთის ფარნებით, რომლებიც შემდეგ შეიცვალა ელექტროგანათებით.

ქუჩას რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება. 1918 წ. აპრილში ოსმალეთის მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციასთან დაკავშირებით ბათუმის გენერალ-გუბერნატორ ჰამიდ-ბეის 1918 წ. 22 აგვისტოს განკარგულებით ქუჩას ეწოდა სულთან სელიმ III პროსპექტი (აჭმ. ხელნაწერთა ფ. №442. 1949 წ. გვ. 85). 1921 წ. 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუჩას სხვადასხვა დროს ერქვა III ინტერნაციონალის, კომინტერნის, სტალინის, ოქტომბრის, თავისუფლების სახელები. 1992 წ. მიენიჭა ცნობილი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის სახელი.

მემედ აბაშიძის გამზირზე მდებარე თითქმის ყველა შენობა არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. ამავე ქუჩაზე მდებარეობს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები – ერას მოედანი და 6 მაისის პარკი.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადე მკითხველს შეძლებისდაგვარად გავაცნო აღნიშნული არქიტექტურული ძეგლების ისტორიები. ამ შენობების აშენების თარიღები, მათი მფლობელების გვარები, შენობების თავდაპირველი და თანამედროვე დანიშნულებები.

როცა ქუჩას დავუყვებით ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედნიდან, ყურადღებას იქცევს მემედ აბაშიძის გამზირზე №8-ში მდებარე ლამაზი შენობა, სადაც ამჟამად თურქეთის გენერალური კონსულის საცხოვრებელი სახლია. ეს სახლი 1892 წელს ააშენეს ვაჭრებმა, ძმებმა ა. და კ. ჩილინგარიანებმა. ა. ჩილინგარიანი იყო ბათუმის სათათბიროს IV და VI მოწვევის ხმოსანი (მესხი. 1914:65). ძმებ ჩილინგარიანებს ჰქონდათ ხის სახერხი ქარხნები ოზურგეთსა და ნატანებში, სადაც უშვებდნენ მაგარ და რბილ ხის ფურცლებს. მათი წლიური წარმოება შეადგენდა 30 000 მანეთს, თითოეულში დასაქმებული იყო 30 მუშა. მათი კანტორა მდებარეობდა ქ. ბათუმში აღნიშნულ საკუთარ სახლში, აქვე იყო განთავსებული ძმებ ჩილინგარიანების

სავაჭრო სახლი (фабрично-заводские предприятия 1914. 462-485) 1922 წ. მოხდა სახლის მუნიციპალიზაცია და იქ განთავსდა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური საკონსულო, რომელიც იქ 2010 წლამდე ფუნქციონირებდა.

მ. აბაშიძის გამზ. №9 მდებარე ორსართულიანი ქვის სახლი აშენებულია XX ს. დასაწყისში და ეკუთვნოდა ბრომბერგს. სახლის II სართულზე ფუნქციონირებდა სასტუმრო “რივიერა”, რომლის მეპატრონე იყო იოსიფიდი, ხოლო I სართულზე გახსნილი იყო სავაჭრო ობიექტები. ამ სახლში სხვადასხვა დროს ფუნქციონირებდა ღვინის მაღაზია, 1917-1921 წწ. ცხოვრობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე მემედ აბაშიძე, განთავსებული იყო მხატვართა კავშირი. 1992 წ. 1 აგვისტოს სახლის I სართულზე ერთ ნაწილში გაიხსნა მემედ აბაშიძის მუზეუმი, ხოლო დანარჩენ ნაწილში სავაჭრო ობიექტები და მცხოვრებლებია.

მ. აბაშიძის გამზ. №10, მაზნიაშვილის ქ. №1 კუთხეში მდებარე ორსართულიანი სახლი აშენებულია XX ს. დასაწყისში. ზემოთ ფასადზე აწერია АННД 1912. სახლი თავდაპირველად იყო ვაგანიანის. XX ს. 20-იან წლებში ეკუთვნოდა მათე რუსიძეს. ამ სახლის I სართულზე XX ს. 10-იან წლებში განთავსებული იყო თამბაქოს მეწარმე ბინიათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის მაღაზია (გაზ. „Батумская Вьети» 1914. 1), ხოლო 20-იან წლებში რესტორანი – სარდაფი (Справочник. 1924. 29) 1930 წ. მოხდა სახლის მუნიციპალიზაცია (გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი” 1930) ამჟამად სახლის I სართულზე სავაჭრო ობიექტებია, II სართულზე მცხოვრებლები.

მ. აბაშიძის გამზ. №11, მაზნიაშვილის 3 - კუთხეში მდებარე ორსართულიანი ქვის სახლი ეკუთვნოდა ბრომბერგს. გასაბჭოებამდე შენობა მთლიანად დაკავებული ჰქონდა იტალიის საკონსულოს. 1922 წ. მოხდა სახლის მუნიციპალიზაცია (გაზ. „Известия” 1922. IV), შემდეგ შენობაში მოთავსებული იყო გაზეთი “Трудовой Батуми”-ს რედაქცია. (Справочник 1924. 13). ამჟამად სახლის I სართულზე სავაჭრო ობიექტებია, II სართულზე მცხოვრებლები.

მ. აბაშიძის გამზ. №12-14, მაზნიაშვილის ქ. №4 კუთხის შენობა, სადაც ამჟამად სასტუმრო „ალიკია” განთავსებული, აშენებულია 1912 წ. I სართული გადაკეთებულია, მარმარილოთა მოპირკეთებული და დიდი შუშის ვიტრინებია ჩასმული. ამჟამად აქ სასტუმრო და საკონფერენციო დარბაზია განთავსებული. თანადროული მხატვრული სახე შემორჩენილი აქვს შენობის II სართულს. ფასადი მოდერნის სტილშია შესრულებული. სახეცვლილების მიუხედავად ამ შენობას ავთენტურობა ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებული აქვს და შესანიშნავად ეწერება უბნის განაშენიანების მასშტაბში. (ბათუმის არქიტექტურული ძეგლები. ბათ. 2012. 96).

მ. აბაშიძის გამზ. №15, გენ. მაზნიაშვილის ქ. №6-ის კვეთაში მდებარე სახლი 1890 წლის შეფასებითი ნუსხის მიხედვით არის აღრიცხული. 1908 წ. ნასყიდობის სიმტკიცის საფუძველზე გადავიდა საურთიერთო საკრედიტო ბანკის საკუთრებაში.

ამ ბანკის შესახებ ასე წერდა ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი: „ვოლსკი და მესხი იმდენს ეცადნენ, რომ გახსნეს თითქმის მთლიანად ქართველებისაგან შემდგარი საურთიერთო კრედიტის საზოგადოება. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული იყო მდიდარი, გავლენიანი ებრაელი შპოლიანსკი. ამის მიმხრობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საკრედიტო საზოგადოებას. ამ საქმის მცოდნე გავლენიანმა ებრაელმა, წახალისებულმა იმ პატივისცემით, რომლითაც ეგებებოდნენ მას ქართველები, მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ბანკი. (დ. კლდიაშვილი. 1984. 53).

ამ შენობაში ბანკი ფუნქციონირებდა გასაბჭოებამდე. სახლის ამჟამინდელი მობინადრეების ინფორმაციით, საბჭოთა მმართველობის დროს შენობის სხვენში, რომელსაც საიდუმლო სამალავი ჰქონდა და ამოშენებული იყო მრგვალად დასვრეტილი აგურით, უშიშროების თანამშრომლები ისხდნენ და თვალყურს ადევნებდნენ თურქეთის კონსულის უსაფრთხოებას. სახლს ზემოდან დაშენებული აქვს ძველი ხის ოთახი. ამჟამად სახლის I სართულზე სავაჭრო და სხვადასხვა დანიშნულების

ობიექტებია, II სართულზე – მცხოვრებლები.

მ. აბაშიძის გამზირზე №16 მდებარე ორსართულიანი ქვის სახლი აშენებულია XX ს. დასაწყისში და ეკუთვნოდა ნიკიფორიდის, აქ გახსნილი იყო ნიკიფორიდისა და მეტალიდის საბაკალეო ვაჭრობა. 1922 წ. მოხდა სახლის მუნიციპალიზაცია. გასაბჭოების შემდეგ აქ განთავსებული იყო ქ. ბათუმის მუშათა კოოპერატივის გამგეობა, მთავარი სამმართველო და აჭარის სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირი „აჭარცეკავშირი“ (Справочник ...1926. 12). ამჟამად სახლის I სართულზე სავაჭრო ობიექტებია, II სართულზე მცხოვრებლები.

მ. აბაშიძის გამზირი №19-ში მდებარეობს კინოთეატრი „აპოლო“, რომელიც ფრანგი ბროვალის საკუთრება იყო. 1922 წ. მოხდა შენობის მუნიციპალიზაცია. შენობას ფუნქცია შეუნარჩუნდა და ეწოდა კინოთეატრი „ინტერნაციონალი“. კინოთეატრის მფლობელის შესახებ საინტერესო მოგონება ჩამაწერინა ცნობილი ბათუმელი ექიმის პლატონ გიგინეიშვილის ქალიშვილმა, ექიმმა მერი გიგინეიშვილმა (დაბ.1916 წ. მცხ. ქ. ბათუმში მ. აბაშიძის გამზ. №43. 2011 წ. 19 ივლისს) „ფრანგი ბროვალი ცხოვრობდა მარინსკი პროსპექტზე ჩვენი (გიგინეიშვილების) სახლის წინ მდებარე ერთსართულიან სახლში. ადრე აქ იყო ქალთა სალონი. მათი საკუთრება იყო მარინსკი პროსპ. №19-ში მდებარე კინო „აპოლო“. შემდეგ ბროვალი ოჯახით გადავიდა იმ შენობაში საცხოვრებლად. ოჯახს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, რომელთანაც ვმეგობრობდი. რევოლუციის შემდეგ ბროვალეები წავიდნენ საფრანგეთში. აღნიშნულ შენობაში მთავრობამ კვლავ კინოთეატრი დატოვა. ბევრი წლის შემდეგ ბროვალის ქალიშვილი დაბრუნდა ბათუმში და რამდენიმე ხნით ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა სტუმრად“.

1910 წ. შენობა შეისყიდა ინვენსტორმა, აღადგინა პირვანდელი სახით, თანამედროვე აპარატურა დაამონტაჟა და კეთილმოაწყო. სახელიც ძველი დაუბრუნდა. „აპოლო“ 2011 წ. ზაფხულში გაიხსნა და შედგა მსოფლიო ფილმების ჩვენება. აქ

უკვე დიდი ხანია იმართება სხვადასხვა მიმართულების კინოფესტივალები და პრეზენტაციები.

მ. აბაშიძის გამზ. №20 კ. გამსახურდიას ქ. №11. ამ სახლს ბათუმში ორი სახელით იცნობენ „საბაევის სახლი“ და „სახლი ტიტანებით“. სახლი აშენებულია 1903-1904 წწ. ქვაში გამოკვეთილი ტიტანები სახლს მოგვიანებით XXს. 10-იან წლებში დაამატეს, როცა ბათუმში ქუთაისიდან ჩამოვიდა იმ დროისათვის ცნობილი სკულპტორი გვარად პოლოლიკაშვილი, რომელიც საცხოვრებლად დარჩა ბათუმში და 1918 წ. თურქების ქალაქში შემოსვლის დროს თურქმა ასკერებმა მოკლეს და ცხედარი აჭარისწყალში მოისროლეს. („ბათუმელები“ 2011. 11. 07).

ამ სახლის მფლობელის, ბათუმელი ცნობილი კომერსანტისა და ქველმოქმედის ნიკოლოზ საბაშვილის (საბაევის) შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ნიკოლოზ ანტონის ძე საბაშვილი, დაბადებული დაახლოებით 1860 წ. წარმოშობით ახალციხის რ-ნის სოფ. ვალედან, ქართველი კათოლიკე. გადმოსახლდა ბათუმში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ქალაქის გაშენებასა და მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განათლება მიღებული არ ჰქონდა, მაგრამ ბუნებით ნიჭიერმა კაცმა დიდ წარმატებას მიაღწია თავის საქმიანობაში. ჰქონდა ჭურჭლის მაღაზია. შემდეგ მთელ შემოსავალს აბანდებდა უძრავ ქონებაში. შეიძინა 11 სახლი, ქონება ოჯახს არაფერი დარჩენია, რადგან ყველაფერი უძრავ ქონებაში იყო დაბანდებული. 1918 წ. ბათუმის ოკუპაციის დროს ოჯახი კონსტანტინეპოლში იყო გაქცეული. ცოტაოდენი ოქროს ნივთები იქ ქართველ კათოლიკეთა მონასტერში მიუბარებიათ შესანახად და ახლაც იქ უნდა იყოს. ნიკოლოზ საბაშვილის მეუღლე ფეფო ნაზარიშვილი ასევე ქართველი კათოლიკე იყო. მათ ჰყავდათ 9 შვილი, 5 ვაჟი და 4 ქალი, რომელთაც იმ დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიიღეს. 1928 წლისათვის ოჯახი გაერთიანდა და დაბინავდნენ თბილისში ბესიკის ქუჩაზე ერისთავების სახლში. ნ.საბაევი გარდაიცვალა 1934 წ. თბილისში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე. („ბათუ-

მელები”. 2011. 5. 12). ასევე ცნობილია, რომ ნ. საბაევი იყო ბათუმის სათათბიროს II-III-IV-V-VI მოწვევის ხმოსანი 1895-1915 წწ. (მესხი. 1914. 63).

საბაევის სახლში სხვადასხვა დროს მოთავსებული იყო რუსეთ-ჩინეთის ბანკი და ნებაყოფლობითი ფლოტი, რომლის აგენტი იყო ვ.ა.სერგენკო. (Батумь и его окрестности... 1910.63) სახლის მუნიციპალიზაცია მოხდა 1922 წ. საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში განთავსებული იყო აჭარის არ პროკურატურა. ამჟამად იქ არის სამთავრობო დაცვა.

მ. აბაშიძის გამზ. №23, კვამსახურდიას №13-ში კუთხეში მდებარე სამსართულიანი ძველი აგურის სახლი აშენებულია XIX ს. მიწურულს ნ.მკვლავენზონის მიერ. სახლში სხვადასხვა დროს ფუნქციონირებდა სადაზღვევო საზოგადოება „ნიუ-ორკი“, ბათუმის საბაჟო ოლქი, 1884-1919 წლებში ავსტრიის საკონსულო. ასევე ჰქონდა საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა სტომატოლოგ ი.მ.სიმონოვიჩს. 1922 წ. მოხდა სახლის მუნიციპალიზაცია. საბჭოთა მმართველობის პერიოდში შენობაში პროფკავშირები განთავსდნენ, ხოლო შენობის II სართულზე აჭარის არ კულტურის სამინისტრო ფუნქციონირებდა. ამჟამად შენობის დიდი ნაწილი კვლავ პროფკავშირებს უკავია, ხოლო დანარჩენ ფართში სხვადასხვა აოდიტორული კომპანიებია.

მ. აბაშიძის გამზ. №25 მდებარე შენობა სპეციალურად ბანკისათვის აიგო 1900 წ. თავდაპირველად აქ იყო თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება (Гурская. 1901. 44) 1922 წ. მოხდა შენობის მუნიციპალიზაცია. საბჭოური პერიოდიდან მას იგივე ფუნქცია შეუნარჩუნდა. ჯერ იყო სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება, შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის განყოფილება. 2010-2011 წლებში შენობას ჩაუტარდა დიდი რეკონსტრუქცია. შენობას კუთხეში მიაშენეს კომპლექსი და შეიცვალა-გადახალისდა ფასადები. ორივე ქუჩის მიმართულეებით კარნიზებზე დაიდგა მოოქროვილი ქანდაკებები და მ. აბაშიძის ქუჩის მხრიდან აჟურული აივანი. კომპლექსში დამონტაჟდა ციფრული საათი,

რომლის ანალოგი მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია.

მ. აბაშიძის გამზ. №27 ორსართულიანი ქვის სახლი 1887 წ. ააშენა ვაჭარმა ა. ა. მნაცავანოვმა, რომელიც იყო ბათუმის სათათბიროს IV მოწვევის ხმოსანი (მესხი. 62). სახლში განთავსებული იყო „სავაჭრო სახლი“, XX ს. 10-იან წლებში ესპანეთისა და ნიდერლანდების საკონსულო. (Батумское подержье.. 1913.1) 20-იან წლებში კი კვარცხანის სპილენძის ქარხნის კანტორა. 1922 წ. მოხდა სახლის მუნიციპალიზაცია და იქ მოზინადრეები შესახლდნენ. ამჟამად სახლის I სართულზე კაფე-ბარი ფუნქციონირებს, II სართული კი საცხოვრებელია.

ამ სახლების მიმდებარედ მდებარეობს ბათუმელებისათვის საყვარელი ადგილი – ერას მოედანი, რომელიც 1997 წ. დაფუძნდა. მოედანზე აღმართულია კოლხი მედეას ქანდაკება, რომელიც ქვეყნის სიმლიერისა და სიმდიდრის სიმბოლოს წარმოადგენს. ქანდაკება ბელგიაში მოღვაწე ცნობილმა მოქანდაკემ დევიდ ხმალაძემ შპს „ატელიე დავკაში“ დაამზადა 2007 წ. („აჭარა“ 2007. 29.06). ამავე მოედანზე დგას ცნობილი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის ძეგლი, რომლის ავტორია მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და მოქანდაკე ვალიკო ინაიშვილის ცნობილი კომპოზიცია „შვლები“.

ერას მოედანზე სისტემატურად იმართება კონცერტები, სხვადასხვა სახის ფესტივალები, ეწყობა გამოფენები.

მ. აბაშიძის გამზ. №32 ნ.დუმბაძის ქ. №16 კუთხეში მდებარე შენობაში წლების მანძილზე ბათუმელთათვის ცნობილი №1 აფთიაქი ფუნქციონირებდა. შენობა თავდაპირველად იყო ერთსართულიანი, II და III სართული მოგვიანებით დააშენეს. შენობა აშენებულია XIX-XX სს. მიჯნაზე და ეკუთვნოდა იოსელიანს, შემდეგ კი ე.აფხაზს. XX ს. დასაწყისში ამ შენობაში განთავსებული იყო პეტკევიჩის აფთიაქი, მის გვერდით კი ფუნქციონირებდა ექიმ სოკოლოვსკის სამკურნალო, რომელიც იყო პირველი კერძო სამკურნალო გარედან შემოსული ავადმყოფებისათვის. ავადმყოფებს ღებულობდნენ სპეციალისტი ექიმები: ორლოვსკი ა.ი. თუმანიშვილი ა.ა. სოკოლოვსკი

ი.ნ. მხეიძე კ.ა. ლოლუა მ.ა. ფროლოვი ბ.ი. ბეთანოვი ა.ს. კუზიატინი დ.მ. ნასტავინი ვ.კ. სამკურნალოში იყო ექიმ ე.ი. ლეისტერის კბილის საექიმო კაბინეტი („ბათუმის გაზეთი“ 1911. 27.10). 1922 წ. მოხდა შენობის მუნიციპალიზაცია, რომლის შემდეგ იქ კვლავ აფთიაქი ფუნქციონირებდა. ამ აფთიაქში წლების განმავლობაში მუშაობდა ცნობილი ბათუმელი პროვიზორი ალექსანდრე თიროშვილი, რომელმაც შესანიშნავი მოგონებები დაგვიტოვა ძველ ბათუმზე. ეს მოგონებები ამჟამად დაცულია აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (ფ.604). ამ შენობაში აფთიაქი ფუნქციონირებდა 2010 წლამდე. შემდეგ ინვენსტორმა შეისყიდა და ახლა იქ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებია.

წლების განმავლობაში მ.აბაშიძის გამზ. №33 და ბარათაშვილის ქ.№8 კუთხეში მდებარე შენობაში ფუნქციონირებდა ფოსტა-ტელეგრაფი. ალ. თიროშვილის მოგონების მიხედვით: „ახლა რომ ფოსტის შენობაა, იქ იყო დიდი ახორი, სადაც კაზაკები და მათი ცხენები იყვნენ მოთავსებული და ვინმე ვაკიემ, გარუსებულმა ფრანგმა ააშენა ახლანდელი ფოსტის შენობა. შემდეგ კი ეს შენობა იყიდა ქუთაისელმა ებრაელმა იაკუბაშვილმა (აჭმ. ხ.ფ.604.10). 1902 წ. შენობაში განთავსდა ბათუმის სატელეფონო-სატელეგრაფო კანტორა. 1922წ. მოხდა ამ შენობის მუნიციპალიზაცია და გადავიდა აჭარის არ ცაკის დაქვემდებარებაში. შემდეგ აქ ფუნქციონირებდა კავშირგაბმულობის ადმინისტრაცია, 1994-2004 წწ. აჭარის არკავშირგაბმულობისა და სპორტის სამინისტრო, შპს „ელექტროკავშირი“. შემდეგ შენობა შეისყიდა ინვენსტორმა. მოხდა შენობის დემონტაჟი, შეუნარჩუნდა მხოლოდ საფასადო მხარე და ამჟამად მიმდინარეობს მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობა.

მ. აბაშიძის გამზ. №35-ში მდებარე ერთსართულიანი სახლი აშენებულია XIX-XX სს. მიჯნაზე და ეკუთვნოდა ქუთაისელ ვაჭრებს იაკუბაშვილებს. სავარაუდოდ მათ ეს სახლი უფრო ადრე ააგეს, ვიდრე შენობას შეიძენდნენ. ახლაც შენარჩუნებულია შენობის მაშინდელი ფასადი და

ინტერიერი, სახლს აქვს საკმაოდ ღრმა სარდაფი, რომლის სარკმლები მიწის ზედაპირზე მაღლა ამოდის. ქუჩის მხრიდან შესასვლელში სადარბაზო კარია, სადაც ხის აჟურული კარი ასევე რკინის აჟურული ორნამენტით არის გაფორმებული. 1930 წ. ეს სახლი სხვა უძრავ ქონებასთან ერთად იაკუბაშვილებს ჩამოართვეს გადასახადების დაუფარაობის გამო.ამჟამად სახლში 4 ოჯახი ცხოვრობს, წინა მხარეს კომერციული ობიექტებია. (ბათუმის არქიტექტურული ძეგლები. 2012. 106).

მ. აბაშიძის გამზ. №36-ში მდებარე ერთსართულიანი სახლი სავარაუდოდ სახლის მცხოვრებთა ინფორმაციით აშენებულია 1883 წ. და ეკუთვნოდა კორადინის. ამ სახლში 1921 წლამდე განთავსებული იყო ჟანდარმერია – ბათუმის პოლიცმაისტერის სამმართველო და კანცელარია (Батумь и его окрести. 1910. 6) 1921 წლიდან შენობაში განთავსდა და ფუნქციონირებდა სპარსეთის საკონსულო და ცხოვრობდა ირანის კონსული მირზა მამედ ხან რახიმი (Справочник..1924. 106). ამჟამად შენობაში მცხოვრებლებია. 2010წ. ჩაუტარდა რეკონსტრუქცია – დაემატა მანსარდი.

მ.აბაშიძის გამზ. №38. დ. თავდადებულის ქ.№12 მდებარე შენობა სპეციალურად აშენდა გაზეთების „საბჭოთა აჭარისტანისა“ და „ბატუმსკი რაბოჩის“ რედაქციებისათვის. მშენებლობა მიმდინარეობდა 1934-1939წწ. 1939წ. დეკემბერში შენობაში განთავსდა გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანის“ რედაქცია. („საბჭოთა აჭარისტანი“ 1939. 12) 2007 წლამდე აქ იყო გაზეთების „აჭარასა“ და „ადჟარიას“ რედაქციები. შემდეგ შენობა აუქციონის წესით გაიყიდა და გარემონტების შემდეგ აქ განთავსდა „პრო-კრედიტ ბანკი“.

მ. აბაშიძის გამზ. №39 აშენებულია XIX-XX სს. მიჯნაზე და ეკუთვნოდა ხუნწარიას. აქ საუკუნის დასაწყისში განთავსებული იყო ლიტერატურულ-მხატვრული ყოველთვიური გაზეთი „ვოლნა“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო გრიგ. ალ. პალმი. გაზეთის ხელმოწერის ფასი ბათუმელებისათვის იყო 7 მანეთი, სხვა ქალაქების მცხოვრებთათვის 8 მანეთი. (ВсеобщийАдресьЭжегодник...1902. 95). 1922

წ. მოხდა სახლის მუნიციპალიზაცია. 1924 წლიდან შენობის პირველ სართულზე წლების მანძილზე ფუნქციონირებდა აჭარისტანის სახელმწიფო ტიპოგრაფია. (Справочник-указатель 1924. 36). ამჟამად სახლის I სართულზე განთავსებულია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტი, II სართული საცხოვრებელია.

მ. აბაშიძის გამზ. №40, დ.თავდადებულის ქ. №12-ში მდებარე ორსართულიანი ქვის სახლი აშენებულია XX ს. დასაწყისში და ეკუთვნოდა დ.კუზმანს. აქ განთავსებული იყო რუსეთის საკონსულო. 1922 წ. მოხდა შენობის მუნიციპალიზაცია და იქ განთავსდა სსრკ საგარეო საქმეთა კომისარიატის სააგენტო (Справочник ... 1924. 105) 2005 წ. დაიწყო სახლის რეკონსტრუქცია, 2007 წ. კი შეისყიდა ინვენსტორმა.

მ. აბაშიძის გამზ. №41-ში მდებარე სახლი აშენებულია XXს. დასაწყისში და ეკუთვნოდა გერმანელ ფოტოგრაფს გლაუდანს. მას სახლის II სართულზე მოწყობილი ჰქონდა დიდი ფოტოტელიე ფართო სარკეებით და შესანიშნავი ავეჯით. I სართულზე კი მაღაზიები იყო განთავსებული. შენობის ნაციონალიზაციის შემდეგ აქ განთავსებული იყო კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტი, ახალგაზრდული ტურისტული ორგანიზაცია „სპუტნიკი“, 1887 წ. 4 ნოემბრიდან – აჭარის ტელევიზია, რომელიც დღესაც ამ შენობაში ფუნქციონირებს.

ერთ-ერთი რემონტის დროს შენობის შესასვლელში კედლები გადაფხიკეს გადასაღებად. გამოჩნდა წარწერა – „მ. გლაუდანის ფოტოატელიე“. საინტერესოა, რომ წარწერა გაკეთებული იყო არაბული შრიფტით, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს 1918 წ. ბათუმში თურქების მიერ ქუჩების სახელწოდების შეცვლასთან. მ.გლაუდანმა 1913წ. გადაიღო ბათუმის საავადმყოფოს გარეთა და შიდა ხედები. ასევე ქალაქის ხედები და პორტრეტები. მ. გლაუდანის მიერაა გადაღებული აჭარის განთავისუფლებისათვის მებრძოლის გენერალ შერიფ - ბეგ ხიმშიაშვილის ფოტო, რომელიც გადაღებულია მე-19 ს. 90-იან წლებში. სურათზე შერიფ ხიმშიაშვილი გამოსახულია ჩოხაში. აღნიშნული ფოტო

ინახება აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. ფოტო მუზეუმს საჩუქრად გადასცა შერიფ ხიმშიაშვილის შვილიშვილმა ლევან ხიმშიაშვილმა. (ს. ლეკვეიშვილი. 2000. 119).

ტრაგიკულად წარიმართა გლაუდანის ოჯახის ბედი. ფოტოგრაფ გლაუდანის მეუღლე ქართველი ქალი იყო. ის იყო მათ მეზობლად მცხოვრები პლატონ გიგინეიშვილის ოჯახის ნათლია. მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. გლაუდანის 1937 წ. დაიჭირეს და მეუღლესთან ერთად გადაასახლეს, სახლი ჩამოართვეს. ბათუმში დარჩენილი მისი ორი შვილი ზღვაში დაიღუპა. გადასახლების შემდეგ გლაუდანის დაიღუპა. ცოლს რა ბედი ეწია უცნობია. (მ. გიგინეიშვილის მოგონება. 2011).

მ. აბაშიძის გამზ. №43-ში მდებარე ორსართულიანი აგურის სახლი როგორც ჭიშკარზე ამოტვიფრული წარწერა გვაცნობს აშენებულია 1898 წ. და ეკუთვნოდა II გილდიის ვაჭარს ფილიპ სიმონის ძე ფილიპოვს. 1913 წ. ფილიპოვისაგან სახლი იყიდა ექიმმა პლატონ გიგინეიშვილმა. პ. გიგინეიშვილის ქალიშვილის, ექიმ მერი გიგინეიშვილის მოგონების მიხედვით, მათი ოჯახი იმდროინდელი ინტელიგენციის შეკრების ადგილი იყო. მათთან რამდენიმე დღით ჩერდებოდნენ ქ. ბათუმში სტუმრად ჩამოსული მსახიობები. მ.გიგინეიშვილს ახსოვს, რომ ბათუმში კონცერტები გამართა ცნობილმა ქართველმა ბალერონმა ვახტანგ ჭაბუკიანმა. ბინად კი გიგინეიშვილების ოჯახში იყო. მათ ოჯახში ცხოვრობდა ასევე რუსი მსახიობი არკადი რაიკინი, მუსიკოსი როზენსკი და სხვა. მაშინ ქალაქში მიღებული იყო ინტელიგენციის ოჯახების ერთმანეთთან გადაპატიჟება. გიგინეიშვილების ოჯახიც ხშირად დადიოდა სტუმრად. ქალაქში იმართებოდა სხვადასხვა საღამოები და კონცერტები. მ. გიგინეიშვილს ახსოვს, რომ დღევანდელი თოჯინების თეატრის შენობაში გაიმართა პოეტ სერგეი ესენინის საღამო, როცა ესენინი ბათუმში ცხოვრობდა. ძალიან საინტერესო საღამო იყო და მას გიგინეიშვილის ოჯახის ყველა წევრი ესწრებოდა. საღამოები ხშირად იმარ-

თებოდა ყოფილ ოფიცერთა სახლში, რომელსაც მაშინ საზოგადოებრივი საკრებულო „ობშესტვენოე საბრანიე“ ეწოდებოდა. იქ იკრიბებოდნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები. პლატონ გიგინეიშვილი ჩაიცვამდა შავ ფრაკს და გაემართებოდა საკრებულოში.

პლატონ გიგინეიშვილი ცნობილი ექიმი იყო ქალაქში. მათ სახლში ყოველთვის ავადმყოფების რიგი იყო. პლატონს ჰქონდა საკუთარი აფთიაქი, ორი რეცეპტი. გაჭირვებულ და ღარიბ ავადმყოფს ღია ფერის რეცეპტს აძლევდა. აფთიაქში ამ რეცეპტით მისულ ავადმყოფს წამალს უფასოდ აძლევდნენ. გიგინეიშვილებს ეზოში ჰქონდათ საჯინიბო. ჰყავდათ ცხენები და ასევე ჰქონდათ სამრეცხაო.

პლატონ გიგინეიშვილი უაღრესად კეთილშობილი ადამიანი იყო. ერთხელ იგი თბილისში ჩავიდა საქმეზე თავისი ბიძის ოჯახში. ამ ოჯახში საიდანღაც მოიყვანეს 10-11 წლის უპატრონო ოსი ბიჭი. პლატონს მოეწონა ეს ბიჭი და თავისთან წამოიყვანა ბათუმში. სახლის უკან ეზოში გამოუყვეს ერთი ოთახი და ეს ბიჭი იქ ცხოვრობდა. უვლიდა ცხენებს, ეხმარებოდა ოჯახს საოჯახო საქმეებში, ემსახურებოდა ავადმყოფებს, როცა წამოიზარდა, დაქორწინდა. მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ისევ ამ ოჯახში ცხოვრობდა, სარგებლობდა გიგინეიშვილების სამზარეულოთი. ამჟამად სახლში ცხოვრობს მერი გიგინეიშვილი, რომელიც მხნედ გამოიყურება.

მ. აბაშიძის გამზ. №44 მდებარე სამსართულიანი სახლი ეკუთვნოდა ნ.ს. ფანდევს. შენობაში სხვადასხვა დროს განთავსებული იყო ო.ა. ტირკოვას სამეანო და სამასაჟო კაბინეტი, რომელიც მას მეპატრონისაგან იჯარით ჰქონდა აღებული. ასევე შენობის I სართულზე განლაგებული იყო ტომეტის, ცემენტის, გიფსის და მოზაიკის ფაბრიკა, სამშენებლო მასალების საწყობი. (Всеобщий. გვ. 93) საბჭოთა პერიოდში მოხდა შენობის ნაციონალიზაცია და იქ მოქალაქეები შეასახლეს, XX ს. 90-იან წლებში შენობას ხანძარი გაუჩნდა და იქაური მობინადრეები ბინებით სხვა ადგილებზე დააკმაყოფილეს. შენობას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, ცოტა ხანს აქ იყო პარ-

ტია „აღორძინების“ ოფისი. 2004 წ. ზაფხულიდან კი აქ არის ნაციონალური მოძრაობის აჭარის და ბათუმის ორგანიზაციების ოფისი. შენობის ცენტრალური შესასვლელის კართან, იატაკზე შემორჩენილია XIX ს-ის დრიონდელი წარწერა „მარინსკი პროსპექტი“.

მ. აბაშიძის პრ. №45, ლ. ასათიანის ქ. №7 მდებარე შენობაში რომელიც XIX ს. ბოლოსაა აგებული, ექიმ მერი გიგინეიშვილის ინფორმაციით ცხოვრობდნენ ბათუმში მოღვაწე ცნობილი ექიმები: I სართულზე ექიმი მარკოვი, II სართულზე ექიმი ბეთანელი. მოგვიანებით აქ იტალიის საკონსულო გადმოვიდა და იტალიის კონსულიც ამავე სახლში ცხოვრობდა. (მ. გიგინეიშვილის მოგონება. 2011 წ.) საბჭოურ პერიოდში შენობის II სართული მთლიანად ეკავა მრეწველობის სამინისტროს. ამჟამად შენობის ორივე სართული კაფე „პრინცესას“ მეპატრონის საკუთრებაა.

მ. აბაშიძის გამზ. №49 მდებარე ერთსართულიანი ქვის სახლი აშენებულია XIX-XX სს. მიჯნაზე. ეს იყო ბიკოვის სახლი, სადაც მოთავსებული იყო სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება (Всеобщий адресь ежегодникъ стр.70) 1922 წ. მოხდა შენობის ნაციონალიზაცია. საბჭოთა პერიოდში შენობის ერთ ნაწილში ცხოვრობდა თვალის ექიმი (ოკულისტი) ბერშაცკი. (Справочник 110) ნაწილი კი გადაეცა განათლების მუშაკებს და აქ იყო განათლების მუშაკთა სახლი და განათლების მუშაკთა პროფკავშირი. ასევე 1936 წ. 30 აგვისტოს შენობაში თოჯინების თეატრი გაიხსნა (გაზ. საბჭოთა აჭარისტანი 1936 წ. 30 აგვისტო №200 გვ.4), 1980 წლიდან თოჯინების თეატრს სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭა. 2012 წლიდან შენობას და ეზოს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, დაინგრა ბევრი სათავსო, სადაც სხვადასხვა დაწესებულება იყო განთავსებული და შენობა მთლიანად ბათუმის თოჯინებისა და მოზარდამყურებელთა თეატრს გადაეცა.

მ. აბაშიძის გამზირი №50, ვაჟა-ფშაველას ქ. №19 კუთხეში მდებარე ორსართულიანი ქვის სახლი აშენებულია XIX-XX სს. მიჯნაზე და ეკუთვნოდა პომერიანც ს.ი. 1922

წ. მოხდა სახლის ნაციონალიზაცია და იქ სხვადასხვა მცხოვრებლები შეასახლეს. ამჟამად სახლის I სართულზე სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებია, II სართულზე მცხოვრებლები.

მ. აბაშიძის გამზ. №51, ვაჟა-ფშაველას ქ. №17 მდებარეობს ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელიც არსებობის 110 წელს ითვლის. იგი ღირსეული მემკვიდრეა ბათუმის ინტელიგენციის, ინტელიგენციასთან თანამდგომი ქალაქის დაბალი ფენებისა და ქალაქის მესვეურების ძალისხმევით 1902 წ. 13 ოქტომბერს გახსნილი საჯარო ბიბლიოთეკისა. 1937 წ. მოხდა ამ ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და შეიქმნა ე.წ. „სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა“. მას მიენიჭა დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელი. ეს ბიბლიოთეკა დიდხანს იყო განთავსებული პატარა შენობაში, კომინტერნის (ამჟამად მემედ აბაშიძის) ქუჩაზე. 1950-1960-იან წლებში ბიბლიოთეკის ადრინდელ შენობას რეკონსტრუქცია ჩატარდა და ახალი ორსართულიანი შენობა მიაშენდა. ამგვარად ბიბლიოთეკის შენობა განთავსდა ორი ქუჩის („აბაშიძის და ვაჟა-ფშაველას) კვეთაზე და ამჟამადაც აგრძელებს ფუნქციონირებას. ბიბლიოთეკას, რომელიც ას წელსაა გადაცილებული, მეტად საინტერესო და საყურადღებო ფონდი გააჩნია. მრავლადაა გამოჩენილი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, მეცნიერ-მკვლევარის, პედაგოგის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტ - პროფესიონალის ნაშრომთა და ნაწარმოებთა გამოცემები. აქ თავმოყრილია როგორც ძველი, ისე ახალი წიგნებისა და პერიოდიკის ფონდები, კარტოგრაფიული და გრაფიკული გამოცემები, დისკები და მრავალგვარი აუდიოვიზუალური მასალა. (გაზეთი „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ 2012 წ. ოქტომბერი).

მ. აბაშიძის გამზ. №53 და ვაჟა-ფშაველას ქ. №20 (კუთხეში) მდებარე 4 სართულიანი სახლი ქალაქში დღესაც „მთავრობის სახლის“ სახელითაა ცნობილი. სახლი აშენებულია 1934 წ. არქიტექტორ ბოგდან კირაკოსიანის პროექტის მიხედვით სახლი აშენდა ცენტრალური აღმასრულებელი კომი-

ტეტის თანამშრომლებისათვის. ასეც ეძახდნენ (дом пика), (აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო. ფ.ტ. 1196. აღწ.ფ.ს.საქ. 2) ამ სახლში ცხოვრობდნენ აჭარის მთავრობისა და ქ. ბათუმის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები. რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ. ამ სახლის სადარბაზო გადაღებულია ქართულ კინოფილმში „მანანა“.

მ. აბაშიძის გამზ. №58, 26 მაისის ქ. №20 მდებარე ორსართულიანი ქვის შენობა როგორც მთავარ შესასვლელ კარზეა ამოტვიფრული აშენებულია 1899 წელს და იგი თავდაპირველად ეკუთვნოდა ი.ს.პარონბეგოვს. ი.პარონბეგოვი იყო ქ.ბათუმის სათათბიროს III მოწვევის ხმოსანი (И. Месхи 1914. Стр.62). წლების მანძილზე ამ სახლში იჯდა სამხედრო გუბერნატორი პოლკოვნიკი ბორის სტეფანეს ძე რომანოვსკირომანკო და შენობასაც „გუბერნატორის სახლად“ მოიხსენიებდნენ. (Ватум и его окрестности Бат. 1910стр.1) შენობაში მოქმედებდა მუსიკალური კლუბი „კრუჟკად“ წოდებული. (Всеобщий адресс... Бат.1902 стр.12) ნაციონალიზაციამდე შენობა შუტცის საკუთრება იყო, რომელმაც სავარაუდოდ იგი ძველი მეპატრონისაგან შეიძინა. 1922 წ. მოხდა სახლის ნაციონალიზაცია. საბჭოურ პერიოდში აქ განთავსებული იყო აჭარის არ საოლქო კომიტეტი, 1974-2000 წლებში ქ.ბათუმის №2 სამუსიკო სკოლა. 2008 წ. შენობა აუქციონის წესით შეისყიდა საქართველოს ბანკმა, რომელმაც მოახდინა კაპიტალური რემონტი და აქ ამავე ბანკის ბათუმის სათავო ოფისია.

მემედ აბაშიძის გამზირი მთავრდება ბათუმის 6 მაისის პარკით. ბაღი 1881 წ. ბათუმის ოლქის მაშინდელი სამხედრო გუბერნატორის გენერალ სმეკალოვის ინიციატივით გაშენდა. მანამდე აქაურობა გაუვალი ბუჩქნარით იყო დაფარული. ბაღის გაშენება პრუსიელ მეზაღეს რესლერს დაევალა. რესლერის საქმე ფრანგმა მეზაღე დ. ალფონსმა გააგრძელა. 1888 წ. პარკს იმპერატორი ალექსანდრე III ეწვია და ოჯახის წევრებთან ერთად ხეები

დარგო, რის გამოც აქაურობას კარგა ხანს „ალექსანდრეს ბაღს“ უწოდებდნენ.

XX ს. დასაწყისიდან ბალი რამდენჯერმე კეთილმოეწყო. 1932წ. ქალაქის პარკი გადაკეთდა კულტურისა და დასვენების პარკად, 1935 წ. კი „პიონერთა პარკი“ ეწოდა. 1990 წ. „მოსწავლე-ახალგაზრდობის“ პარკი, 2006 წლიდან ბათუმის მერიის დადგენილებით იგი 6 მაისის სახელობის პარკია (ნაბუღალაძე „ალექსანდრეს ბაღიდან“-„6 მაისის პარკამდე“ გაზ. აჭარა 2012 წ.).

პარკის ნამდვილი მშვენიერება მის ცენტრში მდებარე ნური-გელის მტკნარწყლიანი ტბა და ასევე ანტიკური სტილის კოლონადები, რომლის გახსნილ შუა ნაწილში პედისტალზე აღმართულია ორფიგურიათა ქანდაკება – პილოტი ქალი ხელში თვითმფრინავის მოდელით და ბავშვით. კოლონადა და ქანდაკებები XX ს. 50-იანი წლების ტიპური საპარკო ხელოვნების ნიმუშია. 6 მაისის პარკი დასვენებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ქალაქში.

უკანასკნელ წლებში მემედ აბაშიძის გამზირს ქალაქის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით ჩაუტარდა დიდი სარეკონსტრუქციო და სარესტავრაციო სამუშაოები. მოიკირწყლა ტრანსპორტის სავალი ნაწილი, გაფართოვდა ტროტუარები, დამონტაჟდა ძველებური სტილის ლამპიონები დაბალი განათებით. ყველა შენობა შეკეთდა და შეიღება იმის გათვალისწინებით, როგორ გამოიყურებოდა იგი საუკუნის წინათ. გამზირმა და იქ განლაგებულმა ნაგებობებმა ახალი სიცოცხლე შეინარჩუნეს და ის დღესაც რჩება ბათუმის მთავარ ქუჩად.

მემედ აბაშიძის გამზირზე იმართება სახალხო დღესასწაული „ბათუმობა“, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1982 წლის 23 მაისს და მაშინ ეწოდებოდა „ბათუმი ძმობისა და მეგობრობის ქალაქი“. რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ ეს დღესასწაული ბოლო წლებში კვლავ აღსდგა. წელს ბათუმობა ჩატარდა 1 და 2 სექტემბერს. ქუჩაზე მოწყობილი იყო სხვადასხვა გამოფენები წიგნის, ყვავილების, ბათუმური ყავის, ლუდისა და ნაყინის ფესტივალი. მოძრავი თეატრის პერფორმანსი და სხვა

ბევრი საინტერესო ღონისძიება. ევროპის მოედანზე გაიმართა კონცერტი ქართველი ესტრადის ვარსკვლავების, ასევე ადგილობრივი ფოლკლორული და ბავშვთა ანსამბლების მონაწილეობით. სახალხო დღესასწაულს ადგილობრივთან ერთად სტუმრებიც ზეიმობდნენ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.М. Дакишев. Батумь. Тифлись. 1890 стр. 3
2. И.Гурская. Путеводитель и справочная книжка по г.Батуми и окрестностям. Тифлис 1901.
3. Всеобщий адресь ежегодникъ г.Батума на 1902 г. къ краткимъ очеркомъ истории Батумского края И.С.Державина. Бат.1902.
4. აჭმ. ხელნაწერთა ფონდი №442. 1949 წ. გვ. 85. Архивные материалы и документы об Английской и Турецкой оккупации Аджарии с 1918 по 1920 гг.
5. Фабрично – заводския предприятия Россиской имперьи изд. инис пут. Сообщ. Д.М.Кандауровъ. сънь. Рад. Ф.Л.Шоверъ. Петроградъ окм. 1914. Стр 462-485.
6. Газ. „Известия,, 15 апр. 1922 г. Список муниципализированих домов.
7. Справочник-указатель Аджаристана на 1924 г. Тиф. 1924 г.
8. Справочник-указатель Аджаристана на 1926 г. Тиф. 1926 г.
9. დ. კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე. ბათ. 1984.
10. Батумь и его окрестности во описании И.А. Веру. Бат. 1910.
11. Месхи. Памятная книжка гласныхъ Батумской Городской Думы на 1914 г. Батумь 1914 г.
12. აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო. ფ. ტ. 1196 აღწ. 3. საქ. 2)
13. გაზეთი “Батумсья Вести,, 1914 წ. ნოემბერი. გვ. 1. მომატებული აქციზი „დელი ბაზი“ ბინათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის მაღაზია. მარინსკი პრ. №10.
14. ცნობილი ბათუმელი ექიმის, პლატონ გიგინეიშვილის ქალიშვილის, ექიმ მერი გიგინეიშვილის მოგონება. მცხ. ქ. ბათუმში მ. აბაშიძის გამზ. №43 (მოგონება ჩაწერილია 2011 წ. 19 ივლისს).

15. გაზეთი „ბათუმელები“ 2011 წ. №24. 11-18 ივლისი
16. ბეატრისა საბაშვილი. მოგონებები ბათუმელ მეწარმეზე. გაზ. „ბათუმელები“ 2011 წ. 5-11 დეკემბერი. №45 გვ.12.
17. Батумское побережье. Южная колхида. Краткий практический путеводитель Д. С. Соловкина. Бат. 1913.
18. გაზ. „აჭარა“ 2007 წ. 29 ივნისი №37
19. გაზ. „ბათუმის გაზეთი“ 1911 წ. 27 ოქტომ. №83
20. ალექსანდრე (საშა) თიროშვილის მოგონებები ძველი ბათუმის ცხოვრებიდან 1975 წ. აკმ. ხელნ. ფ. №604.
21. ს. ლევკვიშვილი ასე იწყებოდა ქალაქი. ბათ. 2000.
22. გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ 1936 წ. 30 აგვისტო №200
23. გაზეთი „აკაკი წერეთლის სახელობის ქ.ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ 2012 წ. ოქტომბერი.
24. გაზეთი „აჭარა“ 2012 წ. მაისი. ნ. აბულაძე, ალექსანდრეს ბაღიდან 6 მაისის პარკამდე.
25. ბათუმის არქიტექტურული ძეგლები ბათ. 2012.



მემედ აბაშიძის გამზირი 8



მემედ აბაშიძის გამზირი 10



მ აბაშიძის 12-14  
სასტუმრო „ალივი“



მ. აბაშიძის 19  
კინოთეატრი „აპოლო“



მ.აბაშიძის 20, კ. გამსახურდიას 11  
სახლი „ტიტანები“



მ. აბაშიძის 23  
კ. გამსახურდიას 13



მ. აბაშიძის 25



მ. აბაშიძის 32, ნ.დუმბაძის 16  
ყოფილი პირველი ავთიაჯი



მ. აბაშიძის 38  
პროკრედიტ ბანკი



მ. აბაშიძის 41  
აკარის ტელევიზია



მ. აბაშიძის 43  
გოგინეიშვილის სახლი



მ. აბაშიძის 44



მ. აბაშიძის 49  
თოჯინებისა და მოზარდმაცურებელთა თეატრი



მ. აბაშიძის 51, ვაჟა-ფშაველას 17  
საჯარო ბიბლიოთეკა



მ. აბაშიძის 53  
ვაჟა-ფშაველას 20



მ. აბაშიძის 58  
საქართველოს ბანკი



ბათუმობა 2014 მ. აბაშიძის გამზირზე



ბათუმობა 2014 მ. აბაშიძის გამზირზე

## იზოლდა აბაიშვილი

### აჭარის მუზეუმში დაცული მედალიონები და ბარელიეფები

ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის, საიუბილეო თარიღის აღმნიშვნელი სუვენირის, მედალიონის, ბარელიეფის წარმოებას რუსეთში და შემდგომ საქართველოში ჯერ კიდევ XV-XVIII საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი. მე-19-ე საუკუნის დასაწყისში მისი წარმოება კიდევ უფრო გაფართოვდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი მედლების, მედალიონების, ბარელიეფების წარმოება მასობრივი გახდა. 1955წლიდან სამაგიდო და კედლის მედალიონები რეგულარულად გამოდიოდა.

ქვეყნის ისტორიული ღირსშესანიშნავი თარიღები, აგრეთვე მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა, ცნობილ ისტორიულ პიროვნებათა საიუბილეო თარიღები დღემდე შემონახულ სუვენირებში, მედალიონებში თუ ბარელიეფებში აისახება. მიღებულია და მიზანშეწონილია ამა თუ იმ მოვლენის აღსანიშნავი სუვენირების შეგროვება, შექმნა, შენახვა და მათი წარმოშობის, სათანადო ისტორიების, ლეგენდების შესწავლა, კოლექციის შედგენა მომავალი თაობებისათვის გადასაცემად.

სამაგიდო და კედლის მედალიონების თუ ბარელიეფების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. მასალის, ზომის, შესრულების ტექნიკისა და ქრონოლოგიური კუთვნილების მიხედვით. მრავალფეროვანია იმის მიხედვითაც თუ რომელ ისტორიულ, პოლიტიკურ მოღვაწეს ეძღვნება, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების რომელ მნიშვნელოვან თარიღს უკავშირდება. დიდი პოპულარობით სარგებლობდა მედალიონები და ბარელიეფები მიძღვნილი საიუბილეო თარიღებისადმი, გმირი ქალაქებისადმი, არქიტექტურული ძეგლებისადმი, ისტორიული ადგილებისადმი და ამასთან ერთად იგი საჩუქრად გადაეცემოდა მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის ცნობილ მოღვაწეებს როგორც სუვენირი, საჩუქარი ან ჯილდო.

მედალიონების დასამზადებლად ძირითადად გამოიყენებოდა ფერადი ლითონები: ალუმინი, სპილენძი, თუჯი, აგრეთვე თაბაშირი, ზოგჯერ ფაიფური და პლასტმასიც.

ასეთი მედალიონების, ბარელიეფების, სუვენირების, როგორც მნიშვნელოვანი სამუზეუმო ნივთების საცავია აჭარის მუზეუმის ფონდი. თუმცა არსებობენ კერძო კოლექციონერებიც, რომლებიც ძირითადად ერთი სახეობის შეგროვებით არიან დაინტერესებული. მუზეუმის ფონდში დაცული მედალიონებიდან აღსანიშნავია:

ალექსანდრე ვასილის ძე ვიშნევსკის სახელობის საპატიო მედალიონი, რომლითაც დაჯილდოვდა ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის მიერ საქართველოს დამსახურებული ექიმი ავნი დიასამიძე. შესანიშნავი მკურნალის მარჯვენას არაერთი ადამიანის სიცოცხლე უხსნია სიკვდილისაგან. გზნებარე პატრიოტი სამშობლოს დამცველთა რიგებში დაუზოგავად იბრძოდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში მის მიერ ჩატარებული ოპერაციები 15 000-ს ითვლიდა (ს.საყვარელიძე. „მედიცინის მუშაკები დიდ სამამულო ომში“ 1970წ. გვ. 178). მან დიდი ამაგი დასაძო მშობლიურ კუთხეს აჭარას სამედიცინო დარგში და თავისი წვლილი შეიტანა ქართული ქირურგიის განვითარებაში, რისთვისაც მას „აჭარისა და საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება მიენიჭა. 1975 წელს გარდაცვლილი ავნი დიასამიძის სამუზეუმო მასალებში მრავალ ჯილდოებთან ერთად ინახება აღნიშნული მედალიონიც. მედლის შუბლზე ა. ვიშნევსკის პორტრეტის ბარიელიეფია გამოსახული. წრიული წარწერით რუსულენაზე: Александр Васильевич Вишневский, 1874-1948. რევერსზე დაფნის გვირგვინში გრაგნილია წარწერით: „Ученый Совет Диасамидзе А.М. Институт хирургийи М. Вишневского. А.М.Н. СССР“ და ორი პატარა ვარსკვლავია.

საინტერესო ისტორია აქვს აგრეთვე დამსახურებული ექიმის ვარლამ რუსიას მედალიონს (რსმ-1 1931. აჭმ-23396) მთავრობის მრავალი ჯილდოების, სამადლობელო წერილების, სიგელების, მოსალოცი ბარათების შინაარსს ამშვენებს ფე-

რადი ლითონისაგან დამზადებული მედალიონი შუბლზე უცხო ენოვანი წარწერით: "STADT EUSKIRCHEN". მედლის მეორე მხარეზე გერმანიის სიმბოლური ნიშანია გვერდებზე ორი ლომით. წარმოშობით აბაშის რაიონიდან. ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში ხაშურის ევაკოპოსპიტალის ქირურგი ტრავმატოლოგი საქართველოს დამსახურებული ექიმი, მრავალი სამედიცინო სიმპოზიუმების და კონფერენციების მონაწილე იყო. მისთვის ჯანმრთელობის სადარაჯოზე უცხო იყო განსხვავება ეროვნულობის ნიშნით. მას ერთნაირად მადლობას უძღვნის უკრაინელი თუ რუსი ივანკოვი, ქართველი მასურაშვილი თუ ოსი დუდაევა. ეს მედალიონიც, როგორც ჯილდო, საპატიო ადგილს იკავებს დამსახურებული ექიმის პირადი წარმოშობის მემორიალურ სამუზეუმო ნივთებს შორის.

მუზეუმის ფონდებში დაცულია ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებული მედალიონები: 1. აჭარის ასსრ 50 წლისთავი (რსმ-8882, 12897); 2. აჭარის ასსრ 60 წლისთავი (აჭმ-22 652, 22953/3, რსმ. 12898). მედალიონის შუბლზე ქართულ-რუსული წარწერაა „აჭარის ასსრ“ შუაში მზის, საქართველოს სსრ დროშის გამოსახულების ფონზე ციფრი „60“-ია, მეორე მხრიდან კოლმეურნე გოგონა ჩაის გოდრით, ციტრუსის ტოტი და ციფრებია: 1921-1981 წწ. ცხადია, ეს მედალიონი აჭარის საბჭოთა პერიოდს განეკუთვნება და ისტორიული თარიღის აღნიშვნაც საზეიმო ვითარებაში ხდებოდა. 3. მედალიონი – ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავი. (რსმ-13516). ვერცხლისფერი მედალის ავერსზე წრიულად რუსული წარწერაა: „70 лет Великой Октябрьской социалистической революции“. შუაში გემი, ხოლო რევერსზე გამოსახულია დროშა, ვ.ი.ლენინის პორტრეტი, 1917-1987. მშენებლობისა და მრეწველობის სიმბოლური ნიშნების ფონზე. დიამ. 5,5 სმ. 4. აჭარის პროფკავშირთა მე-17 ყრილობა. (რსმ-13149) მედალიონის ფერადი ლითონის ავერსზეა წარწერა ქართულ-რუსულად. რევერსზე – ნამგალი და ურო, გვირგვინი, რომაული – XVII.

ისტორიულ თარიღებს უკავშირდება აგრეთვე მედალიონები: სსრ კავშირის 50

წლისთავი (აჭმ. 21558), ოქტომბრის რევოლუციის 60 წელი (რსმ-12321), საბჭოთა მილიციის 50 წელი (აჭმ-19845), აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის 50 წელი, იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკის 50 წელი (აჭმ-19911/3), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის 50 წელი (აჭმ-19911), ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის 50 წელი (აჭმ – 22055). ადიღეის ავტონომიური ოლქის 50 წელი 1922-1972 წ.წ. ბელორუსიის ფაშინისაგან განთავისუფლების 40 წელი. გერმანიის 1945 წლის ისტორიული პოდსტამის კონფერენციის საიუბილეო მედალიონი. დამზადებულია თაბაშირისაგან (აჭმ - 21899) დმ. 6,5 სმ.

საიუბილეო მედალიონებიდან აღსანიშნავია: ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის 25 წლისთავი, ალუმინი, დიამ. 5 სმ. (აჭმ –22613); ვ.ი.ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავი, დიამ. 7,5 სმ. (აჭმ-22055/2); ი. მიჩურინის დაბადების 100 წლისთავი, 1855-1955 წ. (აჭმ. 22219/15). სხვა სახეობის მედალიონებიდან აღსანიშნავია: ა) „პობედიტელიუ“ (ანუ გამარჯვებულს) (აჭმ-19845/23). მასზე გამოსახულია ყელსახვევი და ვარსკვლავი; ბ) ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. ამ მედალიონის ავერსზე გამოსახულია ხორბლის თავთავი, კავი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც ხორბლის მოსავლის აღებაზე გამოიყენება, რევერსზე მუხის რტო და გვირგვინია. (რსმ-58); გ) მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადი 1968 წ. (აჭმ-22168) დიამ. 8,5 სმ.

მედალიონებს, მედლებს, ბარელიეფებს ამზადებდნენ ძირითადად ფერადი ლითონებისაგან ჩამოსხმით, რომელსაც წინ უძღვის მხატვარ-დიზაინერთა საკონკურსო მუშაობა, ჩამოსხმულ ნივთს ფარავდნენ საღებავით ან ლაქით ოქროსფრად, ვერცხლისფრად ან სპილენძისფრად. მედალიონების, სამკერდე ნიშნების, ბარელიეფების გამოშვება ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოში შეიძლებოდა.

#### გამოყენებული ლიტერატურა

Глазкин, Медали и барельефы из гипса. 1983.  
мосკოვი, რეკლამების სააგენტოს გამოცემა.

1. რსმ – ფონდი 5, ს-964, ავნი დიასამიძის  
პირადი საარქივო მასალები.
2. რსმ – ფონდი 5, ს – 1044, ვ.რუსიას  
პირადი საარქივო მასალები

3. აჭმ – მედალიონების აღწერილობის  
სპეც.წიგნი

4. საყვარელიძე ს., მედიცინის მუშაკები  
დიდ სამამულო ომში, თბ., 1970 წ. გვ.17



მედალიონი. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსაგან ა.მ. დიასამიძეს



მედალიონი. აჭარის ასრ 50 წლისთავი (1921-1971)



მედალიონი. რუსთაველის პროსპექტი



მედალიონი. სოფლის მეურნეობისა და სასოფლო სამეურნეო წარმოების ხარკოვის საზოგადოება



მედალიონი-სტუდენტური ქალაქი ბორის ძნელაძე



მედალიონი. საქართველოს ალკკ 60 წელი (1920-1980)

## ლამარა გულორდავა

### აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ზოგიერთი რუკის შესახებ

ყოველი ქვეყნის სამხედრო დაცვის, სამეურნეო და კულტურული განვითარების საწინდარია წესიერი რუკები. რუკის საშუალებით ხდება ობიექტური რეალობის, საგნებისა და მოვლენების სივრცითი ურთიერთობების ასახვა.

რუკამ და გეგმამ, ვიდრე მიიღებდა თანამედროვე სახეს, საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი და რთული განვითარების გზა გაიარა. ადამიანი რუკებს უძველესი დროიდან ქმნიდა, რითაც თვალსაჩინო წარმოდგენა ეძლეოდა გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთგანლაგებაზე.

ძველ სამყაროში რუკების არსებობის შესახებ პირველ წერილობით ცნობას გვაწვდის აპოლონიოს როდოსელი. „არგონავტების“ მეოთხე წიგნში ფრიქსეს უფროსი ვაჟი არგოსი არგონავტებს ეუბნება, რომ კოლხებს შენახული აქვთ თავიანთი მამების მიერ ნაწერი კვირბები, რომლებზედაც დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ, ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარია ნაჩვენები. როგორც ჩანს, კოლხეთში არსებული ეს „ნაწერი“ რუკები, ძალიან ძველი იყო, რადგან კოლხები მათ წინაპართა დანატოვარ რელიქვიებად მიიჩნევდნენ და საგანგებოდ ინახავდნენ. ეს ცნობა ფასეულია იმით, რომ ავტორი დიდი ხნის მანძილზე ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და შესაბამისად უძველეს იშვიათ არქივებზე მიუწვდებოდა ხელი. ნაწერი კვირბები კოლხეთის გარდა კრეტაზე და საბერძნეთშიც ყოფილა ცნობილი. ძველ ავტორებთან შემონახული ცნობების თანახმად ისინი საკმაოდ საინტერესო ძეგლებს წარმოადგენდნენ. ზოგი ცნობით ისინი პირამიდული სვეტები იყო, ზოგი ცნობით სამკუთხა დაფები.

კარტოგრაფიულ გამოსახულებათა არსებობა უძველეს ხანაში, ბევრად უფრო ადრე დამწერლობის წარმოშობამდე, მტკიცდება არქეოლოგიური გათხრებისა და მეცნიე-

რული კვლევა-ძიების მასალებიდან. ამაზე მეტყველებს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ამერიკის პირველყოფილი ხალხების მიერ შექმნილი მარტივი კარტოგრაფიული ჩანახატები. ამ ჩანახატებს პრაქტიკული ხასიათი ჰქონდათ. მასზე გამოსახავდნენ გზებს, თევზჭერისა და ნადირობის ადგილებს და აგრეთვე მათ სამხედრო მიზნების განხორციელებისათვის იყენებდნენ.

მესოპოტამიაში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ ძვ. წ.-მდე მე-8 მე-7 სს-ში შექმნილი თიხის ფირფიტა მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს რუკად ითვლება. ბაბილონურ რუკა-სქემაზე მონიშნულია ძველი სახელმწიფოები: ურარტუ, ასურეთი, ბაბილონი, რომლებიც გარშემორტყმულია ზღვებითა და ოკეანეებით.

უძველეს დროში რუკები შეიქმნა აგრეთვე ეგვიპტეში, მოგვიანებით ჩინეთში. მაგრამ მეცნიერულად რამდენადმე დასაბუთებული რუკები შეიქმნა ანტიკურ საბერძნეთსა და ძველ რომში. უკვე მეხუთე საუკუნეში ჩვ. წ.-მდე ანტიკურ საბერძნეთში ჩვეულებრივი ამბავი იყო გეოგრაფიული რუკებით სარგებლობა. ცნობილმა ბერძენმა მეცნიერმა არისტოტელემ ჩვ. წ.-მდე მე-4 ს-ში პირველმა დაამტკიცა დედამიწის სფეროსებურება. პირველი რუკა, რომელიც დედამიწის სფეროსებური ფორმის გათვალისწინებით შეიქმნა, ერატოსთენეს ეკუთვნის (ჩვ.წ.-მდე მე-3 ს.) მან პირველმა დახაზა მსოფლიოს რუკა მერიდიანებისა და პარალელების გამოყენებით.

ძველი ბერძენი მეცნიერის პტოლომეოსის მიერ ჩვ.წ.-მდე 150 წლით ადრე შექმნილი მსოფლიოს რუკა მრავალი საუკუნის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლებოდა. ეს რუკა ერთვოდა რვატომიან ტრაქტატს, „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“. პტოლემეოსის რუკის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ მოაღწია მისმა რამდენიმე გვიანდელმა ვარიანტმა. სწორედ პტოლომეოსის რუკებით ცდილობდა ქრისტოფორე კოლუმბი ინდოეთამდე მიღწევას.

შუა საუკუნეებში ნაოსნობისა და კოლონიზაციის განვითარებას მოჰყვა რუკების, გლობუსებისა და ატლასების შექმნის ინტენსიური პროცესი. მაშინ „კარტოგრაფიის“ ცნება არ არსებობდა. გეოგრაფიასა და

ასტრონომიასთან ერთად იგი კოსმოგრაფიად მიიჩნეოდა. ამ ხანის კარტოგრაფიამ თავის კულმინაციურ განვითარებას გ. მერკატორის (მე-16 ს.) ნაშრომებში მიაღწია.

პროგრესული მოვლენა იყო მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ევროპისათვის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი რუკები. 1735 წ. ქართველმა მეცნიერმა შეადგინა თავისი პირველი, ხოლო 1742-1745 წწ. მეორე ატლასი. თითოეული მათგანი შედგება მიმოხილვითი რუკისაგან, რომელიც მოიცავს თითქმის მთელ კავკასიის ყელს, საქართველოს და მის ცალკეულ ნაწილებს. რუკების შინაარსში შედის: კარტოგრაფიული ბადე, ხაზობრივი მასშტაბი, რელიეფი („თხუნელას ზვინულების”, ე.ი. პროფილში გამოსახული, ცალმხრივ დაჩრდილული ბორცვების სახით), ჰიდროგრაფია (ზღვები, ტბები, მდინარეები), პოლიტიკურადმინისტრაციული დაყოფა (საზღვრებითა და შეფერადებით), დასახლებული პუნქტები: სამხედრო, საეკლესიო და საერო ნაგებობანი, აგრეთვე მუდმივი თოვლითა და ტყით დაფარული ადგილები. ვახუშტის რუკები თავიანთი განვრცობილობით, მასშტაბებითა და ტოპოგრაფიული დეტალობით გაცილებით აღემატებოდა კავკასიის ყველა იმ კარტოგრაფიულ გამოსახულებებს, რომლებიც კი შეუდგენიათ კავკასიის მკვლევარებს მანამდე და ნაწილობრივ შემდგომაც მე-19 საუკუნემდე. ისინი ემყარებიან თვალზომიერი (კომპასისა და საათის დახმარებით შესრულებული) მარშრუტული აგეგმვის სვლათა ხშირ ქსელს, რაც განხორციელდა საქართველოს სამი სამეფოს ფარგლებში მე-18 ს. დასაწყისში და აგრეთვე სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა ეპოქაში შედგენილ, საქართველოს მოსაზღვრე მხარეთა რუკებს.

ვახუშტის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიის შესწავლაში. თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველი მეცნიერის ატლასებს ეყრდნობოდა კავკასიისათვის შედგენილი ყველა რუკა. ვახუშტის მემკვიდრეობა შესულია მსოფლიო გეოგრაფიული მეცნიერების საგანძურში როგორც ერთ-ერთი უადრევესი ცდა რთული ბუნებრივი პირობებისა და მჭიდრო მოსახლეობის მქონე ქვეყნის დეტალური

აღწერისა (ვერტიკალური ზონალობის კანონის გათვალისწინებით) და კარტოგრაფიულად ასახვისა. 1860 წლიდან იწყება კავკასიის მსხვილ მასშტაბიანი ტოპოგრაფიული აგეგმვა. მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებები და მკვლევარები ინტენსიურად მუშაობდნენ კავკასიის ტრიანგულაციისა და ტოპოგრაფიული აგეგმვის მიმართულებით. კავკასიის გეოდეზიურ-ტოპოგრაფიულ შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამხედრო და სამოქალაქო ტოპოგრაფებმა. კავკასიის ბუნებრივი პირობები, კერძოდ კი მთიანი რელიეფი, ბობოქარი მდინარეები, მაღალი მთიანეთის მკაცრი ჰავა, უღრანი ტყეები აბრკოლებდნენ მუშაობას, მოთხოვნიდნენ მონაწილეთაგან გამძლეობას, ნებისყოფას, სიმტკიცეს და ზოგჯერ გმირობასაც. ასეთ მძიმე პირობებში მუშაობა წარმატებით შეეძლოთ მხოლოდ ერთუზიასტებს, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ საამისო მორალური და ფიზიკური ღირსებებით. ბევრი მათგანი აწარმოებდა გეოგრაფიულ დაკვირვებასაც. ზოგჯერ, ომიანობის პერიოდში მკვლევარი ჯარების დამცველობით ახდენდა უნივერსალური ინსტრუმენტებით გაზომვებს.

კავკასიის აგეგმვაში რელიეფის ახალი, დაზუსტებული ხერხების გამოყენებამ მნიშვნელოვნად აამალა რუკების ღირსება. ტოპოგრაფიული რუკები წარმოადგენენ იმ პირველ წყაროს, რომლის საფუძველზე სწარმოებს გეოგრაფიული რუკების შედგენა.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა რუკათა შინაარსი. თავდაპირველად რუკაზე გამოსახავდნენ ადგილის ობიექტს – მდინარე, ტბა, მთა და ა.შ. შემდეგ დაიწყეს მოსახლეობის გამოსახვა, მათი მეურნეობის გამოხატვა. შინაარსის მიხედვით განასხვავებენ ზოგადგეოგრაფიულ და თემატურ რუკებს. ზოგადგეოგრაფიული რუკა გამოსახვას დედამიწის ზოგად სახეს. მასზე აღნიშნულია მდინარეები, ქალაქები, გზები და ა.ს. თემატური რუკა უფრო დეტალურია და გამოსახვას კონკრეტულ მოვლენას. მაგ: მიწისძვრას, კლიმატს, ნიადაგებს და ა.შ. მოგვიანებით შეიქმნა რუკები, რომლებიც გამოსახავდნენ ბუნების მოვლენებს, მაგ: ამინდს, ქარის მიმართულებას და ა.შ.

ლეგენდა რუკის თავისებური ენაა, რომლის დახმარებით რუკის შინაარსის წაკითხვაა შესაძლებელი. რუკაზე ან გეგმაზე სხვადასხვა ობიექტი ან მოვლენა პირობითი აღნიშვნით გამოისახება, რომელთა მნიშვნელობა რუკის რომელიმე კუთხეში ლეგენდის სახითაა განმარტებული. სხვადასხვა ტიპის რუკაზე განსხვავებულ პირობით აღნიშვნებს გამოიყენებენ. ისინი შეიძლება იყოს ფართობლივი, ხაზობრივი და მასშტაბგარეშე. კარტოგრაფიული ნიშნები გარეგნობით სხვადასხვა სტრუქტურისა და ზომის, ფერადი ან ტონალური გაფორმების გრაფიკულ გამოსახულებებს-წერტილებს, ხაზებს, გეომეტრიულ ნაკვეთებს, ანბანურ სახეებს წარმოადგენენ. კარტოგრაფიის შინაარსეულ საგანძურს დაუსრულებრივ ავსებს ახალ-ახალი თემატიკის რუკა.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული რუკებიდან უძველესია სულხან-საბა-ორბელიანის რუკის საფუძველზე შედგენილი და 1723 წელს გილიომ-დელილის მიერ პარიზში გამოშვებული „კავკასიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკა“.

აჭარის მუზეუმის ფონდებში დაცულია სხვადასხვა პერიოდის, მნიშვნელობის, შინაარსისა და ზომის ათეულობით რუკა და გეგმა. მათ შორისაა: ისტორიული, სამხედრო, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა თემატიკის რუკები.

გეოგრაფიული არეალის მიხედვით რუკებზე წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხე, კავკასია, ახლო თუ შორეული აღმოსავლეთი, ევროპა და სხვ. რუკების გარდა წარმოდგენილია ფოთის, ბათუმის, ქობულეთის გეგმები. რუკები შედგენილია ქართულ, რუსულ, ოსმალურ ენებზე.

მუზეუმში აღრიცხული რუკებიდან უძველესია 1836 წელს მოსკოვში გამოცემული რუსეთის მფლობელობაში მყოფი კავკასიის რუკა (საინვ. №23410/12 ხ.ფ. 593), შედგენილი რუსულ ენაზე, კარტოგრაფ ტოპოგრაფ პორუჩიკ კოლოკოლოვის მიერ 1836 წელს. მასშტაბი 1:1 000 000. ზომა 70X50. რუკა შავ-თეთრ ფერშია შედგენილი. მასზე მოცემულია ქედები, მდინარეები, ქალაქები, სოფლები, ეკლესია-მონასტრები, გზები. მოცემულია სახელმწიფო საზღვრები, კავკასიის ხალხთა შორის საზღვრები.

კავკასიის რუკა (აჭმ. №17893 ხ.ფ.637) გამოცემულია რუსულ ენაზე, კავკასიის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების მიერ 1868 წელს. ზომა 60X70 სმ. შედგენილია და დაბეჭდილია კავკასიის სამხედრო ოკრუგის ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ, მხატვრობა კურაკინის, გრავირება ა. შვანიჩის. რუკაზე მოცემულია პირობითი ნიშნები, კავკასიის მხარის ადმინისტრაციული და გუბერნიის საზღვრები.

ძალზე საინტერესოა ოსმალურ ენაზე შედგენილი თურქეთის რუკა (აჭმ. 23411/11 ხ.ფ.654), რომელზეც გამოსახულია ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. რუკის ზომა 100X90სმ. რუკაზე კარგად ჩანს ჰიდროგრაფიული ქსელი, დასახლებული პუნქტები. რკინიგზის ხაზის ჩვენება ბათუმთან მიანიშნებს, რომ რუკა შედგენილი იქნებოდა მე-19 საუკუნის ბოლოს.

ასევე ძველ რუკებს მიეკუთვნება ბათუმის ოლქის სქემატური ბოტანიკური რუკა შედგენილი ვორონოვის მიერ 1911 წელს, რუსულ ენაზე. კავკასიის რუკა შედგენილი 1903 წელს, დაბეჭდილია 1912 წელს, რუსულად. ბათუმის ოლქის რუკა შედგენილია ლ. მ. სანდევცკის მიერ რუსულ ენაზე. კავკასიის რუკა, თურქეთის ნაწილი (აჭმ. №23410/38 ხ.ფ. 61) შედგენილი კავკასიის სამხარეო სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებაში. დაბეჭდილია 1916 წელს, რუსულ ენაზე.

საქართველოს ისტორიული რუკა (აჭმ.№ 23410/1 ხ.ფ.1525) შედგენილი ტოპოგრაფ ევ. ბარამიდის და პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. გამოცემულია 1923 წ. ზომა 2X1.

აჭარისტანის სქემატური რუკა. შესრულებულია ხელით ქართულ და რუსულ ენებზე გ. ცუკანოვის მიერ 1925 წელს. რუკაზე დატანებულია ადმინისტრაციული და სოფლის ცენტრები. მწვერვალები, მდინარეები.

აჭარის სასკოლო ქსელის რუკა 1921 წ. (აჭმ.№23410/72 ხ.ფ. 15998) ერთ-ერთი ძველი რუკაა. იგი შედგენილია ხელით. რუკაზე გამოსახულია აჭარის ტერიტორიის კონტური, პირობითი ნიშნებიდან ძირითადად გამოყენებულია წრეები, რომელიც გვამცნობს, რომ ხულოს რაიონში I დაწყებითი

სკოლა ყოფილა, ქედის რაიონში - 2 დაწყებითი სკოლა, ქობულეთში - 11 დაწყებითი სკოლა და 1 არასრული საშუალო სკოლა, ხოლო ბათუმში - 8 დაწყებითი სკოლა, 1 არასრული საშუალო სკოლა, 1 საშუალო სკოლა და 1 სპეციალური სასწავლებელი.

აჭარის ადმინისტრაციული რუკა. 1939 წ. (23410/2 ხ.ფ. 1585) გვამცნობს, რომ აჭარაში შედიოდა 4 რაიონი: ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს. პირობით ნიშნებში შედის დასახლებული პუნქტები, საზღვრები, როგორც სახელმწიფო, ისე ავტონომიის და სარაიონო. ნაჩვენებია სამიმოსვლო გზები, კურორტები და სხვ. აჭარის ასსრ სასკოლო ქსელის რუკა 1940 წლის 1 იანვრისათვის (აჭმ. №16306/913 ხ.ფ. 1596) შეადგინა დ.მამფორიამ. რუკაზე მოცემულია პირობითი ნიშნები, სხვადასხვა ფერის წრეებით აღნიშნულია დაწყებითი სკოლა, არასრული საშუალო სკოლა, საშუალო სკოლა, პედსასწავლებელი, საუწყებო ტექნიკუმი, მოზრდილთა საშუალო სკოლა, მუშფაკი, საბავშვო ბაღი, სამასწავლებლო ინსტიტუტი, მოზრდილთა დაწყებითი სკოლა. ცალკე კვადრატში ჩაწერილია 1921 წელს არსებული სკოლის მონაცემები. რუკა მასშტაბგარეშა.

აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაწესებულებების რუკა. 1941 (აჭმ. №16313, 920/71).

აჭარის სასკოლო ქსელის რუკა. 1940 წ. (აჭმ. №23410/72) შედგენილი მამფორიას მიერ.

შინაარსობრივად მრავალფეროვანია აჭარისტანის თვალსაჩინო რუკა. (აჭმ. №23410/5, ხ.ფ. 591/5) ზომა 170X120 სმ. შედგენილია აჭარისტანის სამეცნიერო-მხარეთმცოდნეობის ბიუროში: აზიზ აცამბას, ახმედ აცამბას, მემედ ბაბუჩოღლისა და ახმედ აბაშიძის მიერ ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. აჭარისტანის სახელმწიფო გამოცემლობა. 1932 წ. მასშტაბი 1:71 400 მ. რუკა მხატვრულადაა გაფორმებული. მას მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ მიუყვება ნახატები რომელიც ასახავს აჭარის ძველ და ახალ ყოფას, ეთნოგრაფიულ ეტიუდებს, როგორცაა: ქალაქის ბულვარი, „კაიუკი“ მდ. ჭოროხზე. მდ.ჭოროხის ხეობა ს. მარადიდთან. ციხისძირი. სახელმწიფო უნივერსიტეტის დასასვენებელი სახლი; ბოტანიკური ბაღი; ჩაქვი. ჩაის პლანტაცია; მწვანე

კონცხი.გვირაბი; ს. ქედა. ახლად აგებული ხიდი; დანდალო. ხიდი; ხულო. ავადმყოფის გადაზიდვა საავადმყოფოში საზაფხულო მარხილით; აჭარელი ქალები, აჭარული წისკვილი; აჭარლები. მედოლე და მეჭიბონე; აჭარელი ქალები კლუბში; აჭარელის ოჯახი; შინამრეწველობა; კანაფის გრეხა.

რუკის პირობითი ნიშნების ახსნაში ნაჩვენებია პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრები, გზები, სადგურები, ხიდები, დასახლებული ადგილები (სარაიონო ქალაქების და სასოფლო ცენტრები).

მოსახლეობის საქმიანობა ახსნილია ნახატებით, როგორცაა წინდების ქსოვა, მეაბრეშუმეობა, ადგილობრივი მეფუტკრეობა, რაციონალური მეფუტკრეობა, კარაქის დამზადება, რაციონალური მეკარაქეობა, თოკების წვნა, შალის ქსოვა, თიხის დამუშავება, ნავების კეთება.

პირობით ნიშნებში მოცემულია მადნეულობის გავრცელება, როგორცაა: სპილენძი, თუთია, გოგირდის აღმადანი, ჟანგმიწა და სურინჯი, ვერცხლი-ტყვია, ალუმინი, ცეცხლგამძლე თიხა.

მებაღეობის და მარცვლეული კულტურების გავრცელების ადგილების ნახვა შესაძლებელია პირობით ნიშნებში მოცემული ნაყოფის ნახატებით, როგორცაა ვაშლი, მსხალი, ბალი, ვაზი, კაკალი, ქლიავი, ატამი, ხურმა, კომში, ლეღვი, ბროწეული, თხილი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ნარინჯი. რუკაზე ამის საშუალებით იკითხება, რომ იმ პერიოდში სოფლის მუშაკებს მოჰყავდათ სიმინდი, ქერი, პური, ბრინჯი, ჭვავი, ღომი, თამბაქო, ჩაი, კანაფი.

აჭარისტანის თვალსაჩინო რუკაზე პირობითი ნიშნებით მოცემულია ფლორისა და ფაუნის დომინანტი სახეობები: ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, მურა დათვი, მელა.

რუკაზე მოცემული ნახატებით იკითხება მოსახლეობის საქმიანობა ამა თუ იმ კუთხეში, როგორცაა პურის მკა, ცხვრის მწყემსვა, შემის დამზადება, ყანის თოხნა, ტრაქტორით თუ გუთნით მიწის დახვნა. უნდა აღინისნოს, რომ ჩაცმულობაც კი განსხვავებულია, მაგალითად, ქობულეთში მეგუთნეთა ჩაცმულობა და თვით გუთანის განსხვავებულია ქედის, ხელვაჩაურის და ხულოს მეგუთნეთა ფორმისაგან. აჭარის-

ტანის თვალსაჩინო რუკა მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, თავისი შინაარსობრივი მრავალფეროვნებით და ლამაზი ფერებით დღესაც ინტერესით იკითხება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლანიკაშვილი ალ., კარტოგრაფია, ზოგადი თეორიის საკითხები, თბ., 1968 წ.
2. ცხაკაია ს., რუკათმცოდნეობა ტოპოგრაფიის საფუძვლებით, თბ., 1968 წ.
3. სამადბეგოვი ა., კარტოგრაფიის საფუძვლები, თბ., 1977 წ.
4. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. რუკები.
5. [www.archives.gov.gelgelkartografia](http://www.archives.gov.gelgelkartografia).



კავკასიის რუკა 1836 წ.



კავკასიის რუკა 1868 წ.



ოსმალეთის რუკა. მე-19 ს-ის ბოლო



ევროპის რუკა 1901წ



აჭარისტანის თვალსაჩინო რუკა.1932



აჭარისტანის ასსრ სქემატიური რუკა  
(სასკოლო ქსელის) 1940წ

## თამარ ტარიელაძე

### კოლხური ტყის დომინანტი ჯიშები

აჭარის შავი ზღვის სანაპირო კოლხეთისათვის უაღრესად ტიპური მცენარეულობით და ფლორის უძველესი ელემენტებით გამოირჩევა. აჭური მცენარეული სამყაროს გამორჩეულობას განსაზღვრავს ის, რომ კოლხეთი გამყინვარების პერიოდში უძველესი მცენარეული სახეობების თავშესაფარი იყო. ამასთან, თვით კოლხეთის ფარგლებში, მსოფლიო მასშტაბით ცნობილი, თავისებური მცენარეულობის ტიპი - კოლხურ ტყე-ბუჩქნართა ერთობა - შქერიანი ყველაზე უხვად და მრავალფეროვნად სწორედ სამხრეთ კოლხეთში, კერძოდ აჭარაშია წარმოდგენილი. რელიქტური სახეობები: ჰართვისის მუხა, შქერი, ძმერხლი, მელიქაური და სხვა დღესაც ფართოდაა გავრცელებული და ხშირად კოლხურ ფიტოცენოზებში დომინანტად და თანადომინანტად გვევლინება.

აჭარა ხასიათდება ეროვნული თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემებით. აქ მსოფლიოს ბუნებრივი ზონების ძირითადი ფიტოცენოზები, თითქოსდა მინიატურაშია გამოსახული. იმის დასადგენად, თუ რომელი არეა აჭარაში მეტად უნიკალური და მრავალფეროვანი დიდი მოცულობის წინასწარი სამუშაოები ჩატარდა WWF-ის საქართველოს ოფისში. კვლევისას გამოიყენებოდა ყველაზე თანამედროვე მეთოდები კოსმოსური ფოტონფორმაციის დეშიფრირებისა და გეოსაინფორმაციო კომპიუტერული სისტემის გამოყენებით. თავდაპირველად, კოსმოსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიყო აჭარის ბუნებრივი ეკოსისტემების ყველაზე უკეთ შემონახული მონაკვეთები. შემდეგ საფეხურზე შეიქმნა თანამედროვე მცენარეულობის რუკა და დადგინდა, მცენარეულობის რომელი ტიპები ექცევა უკეთ შემონახული მონაკვეთების ფარგლებში. გაირკვა, რომ შქერიანი და ტყეები შქერიანი ქვეტყით ემთხვევა ძირითადად ქობულეთ-ჩაქვის ქედების არეს,

შავშეთის ქედს და ნაწილობრივ კინტრიშის ნაკრძალის მიდამოებს.

ვიდრე ადამიანი ძირფესვიანად შეცვლიდა ჩვენი ქვეყნის მცენარეულ საფარს, დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობი და მთისწინები ეჭირა გაუვალ დაბლობის კოლხურ ტყეს ლიანებითა და მარადმწვანე ბუჩქნარის ქვეტყით. ამ ტყის შემადგენლობაში მურყანი, ძელქვა, ტირიფი, ვერხვი, დაფნის ხე შედიოდა. ალაგ-ალაგ რცხილა, წაბლი, იმერეთის მუხა. ამჟამად ეს ტერიტორია ძირითადად კულტურულ ლანდშაფტს უჭირავს. „კოლხეთში ისეთი ტყეა, რომ შიგ ჭინჭრაქაც ვერ შეატანს კურკანტელა გამოიტანოსო“ – წერდა ჰეროდოტე. დასავლეთ საქართველოს ფლორის გამოჩენილი მკვლევარი 1896 წელს მიუთითებდა, რომ „ქობულეთიდან ბათუმს მიმავალი მგზავრი თუ ბილიკიდან გადაუხვევს, მოხვდება ისეთ უღრან ტყეში, უკან გამოსასვლელად დასჭირდება ფართოპირა ცული, ანდა კავკასიური ხანჯალი“. აი ასეთი შეკრული ცენოზები ადამიანს ბევრ უნიკალურ მერქანს აძლევდა, მაგრამ მე-19 საუკუნეში გაძლიერდა კოლხეთის ტყეების ექსპლოატაცია. ცნობილია, რომ უნიკალური მერქანი (ურთხელი-წითელი ხე და ბზა) ტონობით იზიდებოდა. თუ მაშინ უცხოეთის კაპიტალი აჩანაგებდა ჩვენს მფარველსა და მარჩენალს, სამოცდაათი წლის განმავლობაში გარედან, მეურნეობის უცხოური, არაქართული და არატრადიციული მეთოდები ანადგურებდნენ.

ანდრეი კრასნოვი სამხრეთ კოლხეთის შესახებ წერდა: „ადგილობრივი კოლხური ფლორა ატარებს სუბტროპიკულ სახეს. ტყეებში იგრძნობა წიწვოვანთა დამახასიათებელი სიმცირე, რადგანაც ოდითგანვე თითქმის გაანადგურეს ადამიანებმა, იყო ურთხელი, ანუ წითელი ხე, ხოლო ფოთლოვანი მცენარეებიდან მისთვის ძალზე დამახასიათებელია და გავრცელებულია წაბლი, წიფელი და რცხილა, ხოლო მისი ქვეტყე შედგებოდა მარადმწვანე სახეობებისაგან, რომლებიც სანაპიროზე ღებულობენ ხის სახეს – წყავი, შქერი (როდოდენდრონი), იელი, ნაძვი და ბზა, მოცვის ხეები, ხურმა – ესენი ხშირად გვხვდებიან სუბტროპიკული გვარის ბარდნალში.

კავკასიის მრავალფეროვანი მცენარეული საფარი ყოველთვის წარმოადგენდა საკვლევ ობიექტს მკვლევარებისათვის. მრავალი მეცნიერის მიერ შეგროვილი იქნა კავკასიის ფლორის უმდიდრესი კოლექციები, რომელიც ჩაბარდა ჰელსინკის უნივერსიტეტს. კარლ კობის მიერ შესრულებული იქნა ცდა კავკასიის ბოტანიკური რუკის შედგენისა. მრავალი მეცნიერი მოგზაურობდა კავკასიაში. მათ მიერ აღწერილი და სისტემაში მოყვანილი იქნა კავკასიური ფლორა. შედგენილი იქნა კავკასიის ფლორის კატალოგი.

კავკასიის ფლორის სიმდიდრე და მრავალფეროვნება ენდემური სახეობების სიმრავლით განისაზღვრება.

კოლხური ტყის დომინანტ ჯიშებიდან განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, რომლებიც წარმოდგენილია აჭარის მუზეუმის როგორც სტაციონალურ ექსპოზიციაში, ისე ფონდებში მერქნის ნიმუშების, ჰერბარიუმის სახით. აგრეთვე წარმოდგენილია თესლები.

**მუხა.** ძლიერების სიმბოლოდ ქცეული ეს ხე გვიან იფურჩქნება. აპრილში ტოტებს წამოეჩიტებათ ახალგაზრდა ფოთლები. თავიდან ისინი ძალიან პატარები და ნაზებია. მუხა შეუმჩნევლად ყვავილობს. მდედრობითი ყვავილები პატარა და ძნელად შესამჩნევია, ფერთაც ფოთლებს ჰგვანან. შედარებით ადვილად ხვდება თვალს. მამრობითი ყვავილები – ტოტებზე საყურეებივით დაკიდებული მოყვითალო – მწვანე მჭადა.

მუხის ცნობა ზამთარშიც ადვილია. შეფერადებული ფოთლები ხეს თითქმის თოვლის მოსვლამდე, იშვიათად შემდეგაც რჩება. მუხა ნაყოფს – რკოს ყოველ წელიწადს ისხამს. რკო ხიდან სათითაოდ და გაჭიანურებულად ცვივა და არსად არ იბნევა. რკოს ლებნები ყოველთვის ნესტიანი და ელასტიურია, საკმარისია რკო ოდნავ შეხმეს, მაშინვე კარგავს აღმოცენების უნარს.

ჩვენში გავრცელებულია რვა სახეობის მუხა. მათ შორის ყველაზე ხშირად ხარობს ქართული მუხა, ჭალის მუხა. ცნობილია აგრეთვე იმერული მუხა, ჰართვისისა და ჭოროხის მუხები, მაღალ მთის მუხა, პონტოს მუხა. მუხა იყო ძირითადი საშენი მასალა, იყენებდნენ კოჭებად, თავხეებად, დედა-

ბომებად, ფიცრად. ყველა სახის მუხა შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“.

**წაბლი.** 30–35 მ. სიმაღლის გამლილვარჯიანი ხეა. ფოთლები მოკლემუწწიანია, ქვედა ნაწილში მთლიანია, ზედა ნაწილში შორი-შორს მახვილკბილაა. ერთსახლიანია, სქესგაყოფილი, იშვიათად ორსქესიანი ყვავილებით. მამრობითი ყვავილები გრძელ მჭადა ყვავილედებაა, მდედრობითი ერთეულებად ან ჯგუფ-ჯგუფად სხედან უპირატესად მჭადას ძირში. ნაყოფი ერთთესლიანია – პრიალა კაკალია, რომელიც ეკლებიან ბუდეში ვითარდება. ზღვის დონიდან 1500-1600 – მეტრამდე ვრცელდება. გვხვდება როგორც წმინდა, ისე შერეული კორომების სახით. ძვირფას მერქნიანი ხეა. მკვრივია გამძლე და ლამაზია. წაბლის მასალისაგან ნაგები ოდა-სახლები საუკუნეებს უძლებს. გამოირჩევა დღეგრძელობითაც – 500 წლამდე ცოცხლობს. წაბლის ნაყოფს საუცხოო საკვები ღირებულება აქვს. მისგან 160-ზე მეტი სხვადასხვა ძვირფასი საკვები მზადდება. შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“.

**რცხილა.** ფართოდ არის გავრცელებული, მიეკუთვნება თხილისებრთა ოჯახს. რცხილა ნიადაგს დიდ მოთხოვნებს არ უყენებს. 200-300 წელს ცოცხლობს და დაახლოებით 30 მ-მდე იზრდება. ღერო მეტწილად მრუდე და ოდნავ კუთხოვანის, ზოგჯერ დაგრებილია. ქერქი ნაცრისფერი და გლუვია, ან ალაგ-ალაგ დახეთქილი. მოკლემუწწიანი, ბოლოწაწვეტებული, კიდეები ორჯერადად დაკბილული. ფოთლები და ყვავილები ერთდროულად იშლება. ყვავილები ერთსახლიანია. მამრობითი ყვავილები თავდაკიდებულ, ხოლო მდედრობითი ყვავილები თითქმის სწორ, კენწრულ ყვავილედებაა შეკრული. ნაყოფი ერთლებლიანი კაკალია, სიგრძეზე წიბოებიანია, ცალი მხრიდან საბურველი აქვს შემოხვეული, რომელიც სამნაკვითიანია. ნაყოფი ზაფხულშივე მწიფდება.

**ძელქვა.** პლანეტის უძველესი მცენარეა. მისი ქვასავით მაგარი მერქანი ამ ხის განადგურების მიზეზი გახდა. 25-30 მ-ის სიმაღლეს აღწევს. ცოცხლობს 300 წლამდე. მოკლემუწწიანი, ზოგჯერ მჯდომარე კვერცხისებური, კიდეებზე ხერხკბილა ფოთლები რცხილის ფოთლების მსგავსია, მაგრამ

უფრო პატარა ზომისაა. ყვავილები ორნაირია –მამრობითი და ორსქესიანი, ისინი ცალცალკეა განლაგებული. ორსქესიანი ყვავილები ნორჩი ყლორტების ფოთლების უბებშია თითო-თითოდ განწყობილი, ხოლო მამრობითი ყვავილები შარშანდელ ტოტებზე ჯგუფ-ჯგუფად ზის. ნაყოფი უთანაბრო გვერდებიანი ერთთესლიანი კაკალია.

**წიფელი.** ჩვენებური ტყეების პატრიარქია. იგი წარსულ გეოლოგიურ ეპოქათა ცოცხალი ნაშთია. წიფელი დღევანდლობითაც გამოირჩევა. გვხვდება 300-400 წლიანი ხეები. წიფლის ტყეში პირველად მოხვედრილ კაცს ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოსდა ზღაპრულ სასახლეში იმყოფება. ხეთა გვირგვინი იმდენად ხშირია, რომ თვით ზაფხულის მზის სხივებსაც უჭირთ მათი გარღვევა. წიფელი ზღვის დონიდან 1800 მ-მდე ვრცელდება. ჩრდილის მოყვარული ხეა. ძალიან ნელა იზრდება. ქერქი გლუვი და ნაცრისფერია. დიდი ზომის თითისტარისებური, თავწაწვეტილი კვირტები მოწითალო-მიხაკისფერი ქერქებითაა დაფარული. 5-12 სმ. სიგრძის, ელიფსური (ზოგჯერ კვერცხისებური) ძირისკენ შევიწროებული და თავწვეტიანი ფოთლები ზემოდან შიშველი და მუქი მწვანეა, ქვემოდან უფრო ბაციანია. მარღვების გაყოლებაზე და ყუნწზე გრძელი რბილი ბეწვითაა მოფენილი. წიფელი ერთსახლიანი მცენარეა მდედრობითი ყვავილებიდან 2-3 წახნაგოვანი ნაყოფი (ე.წ.წიწიბო) ვითარდება. ნაყოფები მაგარ ბუდეში ზის. ბუდე გარედან ჯაგრის მსგავსი გამონაზარდებითაა მოფენილი. მომწიფებისას 4 სადგულით იხსნება და წიწიბოები გარეთ ცვივა. წიფლის მერქანს ფართოდ იყენებენ მშენებლობაში, ავეჯის დასამზადებლად. წიწიბოსაგან შეიძლება გემრიელი ზეთის მიღება, მოხალული გემრიელი საჭმელია. შემოდგომით ხშირად იგი უმთავრესი საკვებია გარეული ცხოველებისა და ფრინველების.

**მედევედვის არყი.** 8-10 მეტრამდე სიმაღლის ხეა, ღეროზე თეთრი, თხელი, ხოლო ყლორტებზე შებუსვლილი, მოყავისფრო ქერქით. ფოთლები მოყვანილობით კვერცხისებური, ოვალური ან მომრგვალოა 5-10 სმ. სიგრძის და 3,5-8 სმ. სიგანის, მოკლედ წაწვეტილი წვერით, ფუძეში მომრგვალოა ან

ოდნავ გულისებრი, იშვიათად სოლისებრი, კიდეებზე ხერხკბილა, ზედა მხარეზე მუქი მწვანეა, შიშველი, ქვედა მხარეზე ღია მწვანეა, მარღვების გაყოლებაზე ბუსუსიანი ფოთლის ყუნწი 6-8 ჯერ მოკლეა ფირფიტაზე. მამრობითი მჭადა ცილინდრული ფორმისაა, მდედრობითი მჭადა ხშირად სწორმდგომია, მოკლეყუნწიანი. ნაყოფი წვრილი, უკუკვერცხისებური ფორმის, ორფრთიანი კაკალია, ფრთები 3-5 ჯერ უფრო ვიწროა კაკალზე. ყვავილობს მაის ივნისში მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით. შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში.

**მურყანი.** ხე მცენარეებს შორის გაზაფხულობით ერთ-ერთი პირველი ყვავის. მისი ყვავილებისაგან ნიავის შემოქროლებაზე ყვითელი მტვრის ღრუბლები აღიმართება. მდედრობითი ყვავილელები მომავალ გაზაფხულამდე შემორჩება, რომლებიც მსხმობიარობის შემდეგ ხევდება და პატარ-პატარა გირჩებს ემსგავსება. ჩვენში სამი სახეობის მურყანია გავრცელებული: ჩვეულებრივი, ნაცარა და შავი. ყველაზე გავრცელებულია ჩვეულებრივი მურყანი. იგი ნესტიან ადგილებში, წყლისპირებზე, ჭანჭრობებში, ნახევრად ჭაობებში ხარობს. დასავლეთ საქართველოში მას თხმელას უწოდებენ. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით. ამონაყრის მოცემის უნარს 60 – 80 წლამდე ინარჩუნებს. ფესვებზე აქვს კოჭრები აზოტის შემთვისებელი ბაქტერიებით, რის გამო ნიადაგს ამდიდრებს აზოტით. მერქანი მურა-მოწითალო ფერისაა, რბილი, მსუბუქი სინესტისადმი გამძლე. გამოიყენება მრავალგვარად.

**სოსნოვსკის ანუ კავკასიის ფიჭვი** – 35 მ-მდე სიმაღლის პირამიდული, სიბერეში ქოლგისებური ვარჯის ხეა. ტოტები გაფარჩხულია, ზეცისკენ აღმართული. წიწვი ჯგუფში ორ-ორია, იშვიათად სამი, უხეში. ხშირად მჩხვლეტავი, სწორი ან ოდნავ მოღუნული, კიდეებზე წვრილ ხერხები, ლეგა მომწვანო ფერის 4-7 სმ. სიგრძის. ერთსახლიანი სქესგაყოფილია. მამრობითი გირჩა მოგრძო ცილინდრულია და შეკრებილია თითქმის სფეროსებრ ან ფართო კვერცხისებრ მტევნებად. მდედრობითი დამწიფებული გირჩა ოვალურ-კვერცხისებურია,

მონაცრისფრო-მურა, ასიმეტრიული, თითქმის მჯდომარე. სათესლე ქერქლების შუბლი პირამიდულია და კაუჭიანია. კავკასიური ფიჭვი 300 წლამდე ცოცხლობს.

**აღმოსავლური ნაძვი.** ძირიდანვე დატოტვილი 40-50 მ-მდე სიმაღლის, სწორი ღეროთი და მუქი მწვანე წიწვებით უხვად შემოსილი პირამიდული ვარჯით ხასიათდება. ნაძვი დაჩრდილულ ხეობებში სახლდება. წიწვი სიგრძით 2 სმ-ს არ აღემატება, 4 წახნაგოვანია. მწიფე მდედრობითი გირჩები ზედა ტოტებზე ზის და ყოველთვის თავდაკიდებულია. ამ ნიშნით ტყეში შორიდანვე იცნობა. მამრობითი გირჩა ცილინდრულია, მიხაკისფერი, მისი ქერცლები მაგარი, ტყავისებური და კიდემთლიანია. მათ უბეებში ორ-ორი ფრთიანი თესლი ვითარდება. მომწიფებული თესლი გირჩიდან ცვივა, თვით გირჩა ქერცლებად კი არ იშლება, არამედ მთლიანად წყდება. ნაძვი 250-400 წელს ცოცხლობს. რელიქტური სახეობაა, დეკორატიულია, ლამაზი.

**ბზა.** ველურად შერეულ ტყეებში გვხვდება, სადაც ალაგ-ალაგ ქვეტყესაც ქმნის. გავრცელებულია ზღვის დონიდან 1700 მ-მდე. უხვად დატოტვილი სწორი ღერო აქვს. მოკლევუნწიანი, მოპირისპირედ განლაგებული კიდემთლიანი ფოთლები ზევიდან პრიალა, ქვევიდან ღია მწვანე და მქრქალია. ყვავილები ერთსახლიანია და ფოთლების უპეებშია შეკრებილი, თავლოვანია. ნაყოფი კოლოფია. მერქანი მძიმეა, გამხმარიც კი წყალში იძირება, არაჩვეულებრივი სიმაგრის და სიმკვრივისაა, ლამაზია და კარგად პრიალდება. ფოთლები ცხოველებისათვის მომწამვლელად ითვლება. ბზის საუკეთესო ხეები ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში გაიჩეხა და ეს იშვიათი რელიქტი წითელ წიგნშია შეტანილი.

**კაკალი** – საქართველოში ოდითგანვე სიმტკიცის, სიუხვისა და მარადიულობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ამიტომაც მტერი ვაზთან ერთად კაკლის ხესაც ჩეხავდა. კალორიულობით ერთ კილოგრამ ნიგოზს შეუძლია შეცვალოს 8 კგ. პური, 7 კგ. კარტოფილი, 4 კგ. ხორცი, 15 ლ. რძე, ამიტომ იყო რომ ქართველი გლეხის კარმიდამოში თითო-ოროლა კაკლის ხე აუცილებლად შრილებდა. კაკლის ხე იშვიათი სილამაზისაა.

აქვს მოთეთრო-რუხი ფერის ზრო, უზარმაზარი ქორბუდა ვარჯით. სიმაღლით თითქმის 30 მეტრს იზრდება. ერთსახლიანია, სქესგაყოფილი ყვავილებით. მამრობითი ყვავილები შეკრებილია დაკიდებულ მჭადა ყვავილეებში. მდედრობითი ყვავილები ერთეულეზად ან 2-3 ცალიან ჯგუფეზად ვითარდებიან. ყვავილობს ფოთლების გაშლასთან ერთად. ნაყოფი დამწიფებამდე მწვანე წენგოთია დაფარული. იზრდება მთის შუა და ქვედა სარტყელში, უფრო ხშირად მდინარის პირებზე. სათანადო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ისტორიულ წარსულში კაკალი ბუნებრივად იზრდებოდა ჩვენს ტყეებში, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ იგი ადგილობრივი, აბორიგენულია. ქართული კაკლის ძვირფასმა თვისებებმა განაპირობა შორეულ თუ ახლო წარსულში მისი მტაცებლური განადგურება. ამჟამად იგი შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“.

**ურთხელი ანუ უთხოვარი.** 25 მ-მდე სიმაღლის 1, 1,5 (2,5) მ. დიამეტრის ხეა. ბუჩქადაც ვითარდება. მარადმწვანეა, აქვს მომრგვალო-ცილინდრული ან პირამიდული ვარჯი. ხნიერი ხეების ღერო დაფარულია სიგრძივ დამსკდარი, მოწითალო-მოყავისფრო ქერქით. ფოთოლი (წიწვი) ხაზურია, თავში წაწვეტილი, ოდნავ ქვევით გადაღუნული კიდეებით, ზემოდან მუქი მწვანე, ან ღია მწვანეა, პრიალა, ქვემოდან მოყვითალო-მწვანე ან ღია მწვანეა. წიწვი ცოცხლობს 4-8 წელიწადს. ორსახლიანი, იშვიათად ერთსახლიანია და სქესგაყოფილი. მამრობითი გირჩა მოთავსებულია წიწვების ილიებში, მდედრობითი გირჩები არ აქვს. თესლკვირტები თითო-თითოდ სხედან მოკლე ყლორტებზე. დამწიფებული თესლი მაგარია, მომრგვალო ოვალური, თავში ოდნავ წაწვეტებული, თითქმის მთლიანადაა დაფარული კაშკაშა-წითელი მოტკბო, ხორცოვანი თანათესლით. წიწვი შეიცავს შხამიან ნივთიერებას. ეს მცენარე 2-3 ზოგიერთი მკვლევარის აზრით 4 ათას წლამდეც ცოცხლობს. მერქანი მძიმე, მაგარი და უფისოა. იშვიათი რელიქტია და შეტანილია წითელ წიგნში. წარსულში ურთხელი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, მაგრამ უძვირფასესი მერქნის გამო განადგურდა და პატარ-პატარა ჯგუფების სახით

გვხვდება. XII საუკუნისათვის ურთხელი უკვე იმდენად იყო შემცირებული, რომ თამარ მეფეს ბრძანება გამოუცია – ეს ხე უთხოვარია და მისი მოჭრის ნებართვაც კი არავინ ითხოვოსო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდიდან შეარქვეს მას უთხოვარი.

გარემოს მწვანე სამოსი სიცოცხლის მარადიულობაზე მიუთითებს ყველგან დედამიწაზე. მარადმწვანეობა, რომლითაც გამოირჩევა კოლხეთის ფლორა, მისი მცენარეული სამყაროს უძველესობაზე მიუთითებს. დედამიწის გეოლოგიური წარსულის ქარიშხლებში გამოვლილი მისი მცენარეულობა ადრინდელი მდიდარი ფლორის შემორჩენილი სახეობებითაა წარმოქმნილი. ისინი რელიქტური ფლორის იშვიათი ძეგლია, წითელ წიგნშია შეტანილი. მათი გამრავლება და დაცვა ქართველი ერის მოვალეობაა, რადგან უმეტესობის არეალი მხოლოდ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზეა. ასეთი მცენარეულობა აქაური მთა-ბარის მშვენება და შემნახველიცაა, ჩვენი მარჩენალი და სილამაზეც. გავუფრთხილდეთ, გავამრავლოთ და დავიცვათ იშვიათი რელიქტები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გავაშელი გ., საქართველოს ტყეების აბორგინებული ხეები და ბუჩქები, თბ., 1987 წ.
2. დავითაძე მ., ყვავილი თოვლში, ბათუმი, 2003 წ.
3. მაყაშვილი ალ., საქართველოს ხეები და ბუჩქები, თბ., 1995 წ.
4. მემიაძე ნ. ხარაზიშვილი დ. მანველიძე ზ., ბათუმის ბოტანიკური ბაღის ველური ფლორის აბორგინული სახეობები. – ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე, XXXIV, თბ., 2012 წ.
5. მარუაშვილი ლ., კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1975 წ.
6. გეგეჭკორი არნ., დედაბუნება, თბ., 2004 წ.
7. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი – „აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ბიოლოგიური მრავალფეროვნება“ ბათუმი, 2009 წ.
8. გაგნიძე რ. დავითაძე მ., ადგილობრივი ფლორა, ბათუმი, 2000 წ.
9. დავითაძე მ., მთის ძახილი, ბათუმი, 2010 წ.
10. კრასნოვი ა., სამხრეთ კოლხეთი, 1915 წ.



მუხა



წაბლი



რცხილა



წიფელი



მურყანი



კაკალი

## ნოდარ კახიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო  
ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და  
სოციალური კვლევის განყოფილების უფროსი,  
მეცნიერებათა დოქტორი.*

### საველე ეთნოგრაფიული კვლევა- ძიების ისტორიიდან აჭარაში (აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის 80 წლისთავის გამო)

აჭარის ეთნოგრაფიულ (ეთნოლოგიურ) შესწავლას თითქმის საუკუნე ნახევრის ისტორია აქვს. იგი დაკავშირებულია ცნობილი ქართველი მოგზაური-მკვლევარების – დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას და სხვათა სახელებთან. მათ ფეხით მოიარეს აჭარის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების (ჭოროხის მხარე, ლაზეთი) ცალკეული ხეობები და სოფლები და მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის ცნობები დაგვიტოვეს. ამ ცნობებს დღეს ამ კუთხეთა წარსულის შესწავლაში წყაროს მნიშვნელობა აქვს. ასევე დიდია რუს და დასავლეთ ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერების მნიშვნელობა სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიულ - ეთნოგრაფიულ შესწავლაში.

საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების სრულყოფილ შესწავლაში წერილობით ცნობებთან ერთად მაინც უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება საველე ეთნოგრაფიულ საექსპედიციო შემკვრელობით მუშაობას, რასაც თავისი პრინციპები და მეთოდოლოგიური ასპექტები გააჩნია. ამგვარ მუშაობას საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებიდან ეყრება საფუძველი, რაც შემდგომ წლებში კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციები სამცხე-ჯავახეთში გაიმართა 1924-1926 წლებში. ამას მოჰყვა სხვა ექსპედიციები ქვემო ქართლსა და ხევსურეთში (1927-1929 წლები), სვანეთში (1931 წელი), თუშეთში (1932

წელი). რიგით მეხუთე ექსპედიცია ჩატარდა აჭარაში, რომელიც აჭარისათვის პირველი იყო. მომდევნო ექსპედიციები განხორციელდა თრიალეთსა (წალკა) და იმერეთში (1936-1937) წლები). 1940-1950-იანი წლებიდან ეთნოგრაფიული საექსპედიციო მუშაობის მასშტაბები გაფართოვდა და მან მოიცვა არა მარტო საქართველოს ცალკეული რეგიონები, არამედ მეზობელი ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონები. ბოლო წლებში თბილისსა და ბათუმში მომუშავე ეთნოლოგები, მეცნიერები სხვა დარგის წარმომადგენლები, ექსპედიციებს მართავენ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ძირძველი და მუჰაჯირი ქართველებით დასახლებულ კუთხეებში.

აჭარის ეთნოგრაფიულ (ეთნოლოგიურ) შესწავლაში დიდი მნიშვნელობის მოვლენად დარჩება 1933 წლის ექსპედიცია, რომელსაც წინ უსწრებდა მოსამზადებელი მუშაობა. 1933 წლის 24 ივნისს საქართველოს მუზეუმის წარმომადგენლები ეწვივნენ აჭარის სახალხო განათლების კომისარიატს და აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროს, ანუ დღევანდელ ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმს. მხარეთმცოდნეობის ბიუროში გაიმართა საგანგებო სხდომა, სადაც გადაწყდა აჭარაში ჩასატარებელი პირველი ექსპედიციის ვადები და მარშრუტები. ამავე დღეს გაიმართა აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროს ცალკე გაფართოებული სხდომა, რომელმაც იმსჯელა ექსპედიციის მიზნებსა და ამოცანებზე. იქვე გადაწყდა ექსპედიციის მუშაობაში ადგილობრივი სამეცნიერო ძალების მონაწილეობაზე. მის შესახებ იუწყებოდა მაშინდელი გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ (1933 წ. 27 ივნისი).

აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია 8 კაცი იყო დაკომპლექტებული. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან მასში მონაწილეობდნენ გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე, რუსუდან ხარაძე, ფაფალა ქიქოძე და ერთი ფოტოგრაფი, აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროდან – ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი ჯემალ ნოღაიდელი, ისტორიკოსი ვუკოლ იაშვილი.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა შემდეგში ფართოდ ცნობილი მეცნიერი-ეთნო-

ლოგი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელიც მაშინ საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა. ამ დროისათვის მუზეუმი წარმოადგენდა საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ძირითად კერას. თავდაპირველად გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით ტარდებოდა ექსპედიციები საქართველოში.

ექსპედიცია ბათუმიდან 26 ივლისს, დილით 9.30 საათზე, გაემგზავრა და დღის 4 საათზე უკვე ხულოში ავიდა და იქაურ სასტუმროში დაბანაკდა. ექსპედიციას, რომელიც თვენახევრის მანძილზე გრძელდებოდა, მეტად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ამას ექსპედიციის ხელმძღვანელი ბატონი გიორგი ჩიტაია თავის მოგონებებშიც იხსენებდა, რომელიც 1984 წელს გამოქვეყნდა (გ.ჩიტაია. ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე. თბილისი, 1991, გვ. 86-87). მიუხედავად ამისა, ექსპედიციამ შეძლო მიეღწია დასახული მიზნისათვის. მან მოიარა ხულოს, ღორჯომის, სხალთა-ხიხაძირის, ჭვანის, მერისის ხეობათა 30-მდე სოფელი. ეწვია, აგრეთვე, გოდერძის უღელტეხილის, ბეშუმის, სარიჩაირის, ზოტიყელის, სოფელ დიდაჭარის ალპური სამოვრების ზონას, სადაც მოიალადე მესაქონლე მოსახლეობა იმყოფებოდა. პირველი სავლეე გასვლა ექსპედიციამ ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილებში მოაწყო.

ექსპედიციის პერიოდში შეიკრიბა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ლექსიკური, ფოტო და სხვა სახის მასალა, რომლებშიც ასახულია იმდროინდელი აჭარის მოსახლეობის ტრადიციული და თანამედროვე სამეურნეო ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები, სოფლად დამკვიდრებული ახალი ცხოვრების თავისებურებანი, რაც დაკავშირებული იყო საკოლმეურნეო მოძრაობასთან.

გიორგი ჩიტაიას მიერ შეკრებილი საექსპედიციო მასალების დიდი ნაწილი 2001 წელს გამოქვეყნდა. მანამდე იგი ფართო მკითხველისათვის თითქმის მიუწვდო-

მელი იყო. მეცნიერმა ვერტიკალური ზონალობის ჭრილში შეისწავლა აჭარის მიწათმოქმედება და გამოყო მისი სამი ტიპი (ბარული, მთური, ალპური) და მოგვცა თითოეული მათგანის აღწერა-დახასიათება. ეს კლასიფიკაცია დღესაც ძალაშია. მეცნიერის საექსპედიციო დღიურებში დაცულია ცნობები აჭარის ნიადაგებზე, მის ტერმინოლოგიაზე, რაც აჭარაში ხალხური ნიადაგთმცოდნეობის მაღალ დონეზე მიუთითებს. მეცნიერი აჭარის მარცვლეული კულტურების შესწავლითაც დაინტერესდა და „აჭარლების მონაპოვრად“ ჩათვალა ხორბლის ერთი სახეობა, რომელიც „ტრედისფერი პურის მარცვლის“ სახელით იყო ცნობილი და რომლის მსგავსი ხორბალი საქართველოს სხვა კუთხეებისათვის მაშინ ცნობილი არ იყო. ექსპედიციის დროს აჭარაში სიმინდის 17 ჯიში გამოვლინდა. მკვლევარის აზრით, ეს ჯიშები ადგილობრივი წარმოშობისაა და მიღებულია ხალხური სელექციის გზით. გიორგი ჩიტაიამ პირველმა მოგვცა აჭარაში გავრცელებული სახვნელი იარაღების (ჯილა, არუნა) აღწერილობა და ხაზი გაუსვა მათ მნიშვნელობას ქართული სახვნელი იარაღების ისტორიის შესწავლაში.

ექსპედიციის დროს შეკრებილი და სხვა ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე გიორგი ჩიტაიამ პირველმა შეიმუშავა აჭარის საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაცია და მოგვცა საცხოვრებელი სახლების ცალკეული ტიპების აღწერილობა, რამაც შემდგომ სხვათა გამოკვლევებში სრულყოფილი სახე მიიღო.

ზოგადი ეთნოლოგიის მუქზეა შესწავლილი და შეფასებული გიორგი ჩიტაიას მიერ აჭარაში გავრცელებული ტრადიციული ხის საკეტი „დათვა-ბოყვა“, რომელსაც მან ღორჯომის ხეობაში მიაკვლია. ასეთი ხის საკეტების შესწავლისას, რომელთაც ზემო აჭარაში ნაწილობრივ დღესაც არ დაუკარგავს პირვანდელი ფუნქცია და პრაქტიკული გამოყენება, მეცნიერმა მოიშველია უცხოური ლიტერატურის შესაბამისი მონაცემები და დაადგინა, რომ აჭარული „დათვა-ბოყვას“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს უძველესი ტიპის ხის საკეტთან, რომლის მსგავსი გამოსახულია ორი ათასი

წლით დათარიღებულ ბაბილონურ ძეგლებზე.

აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ ნაქალაქარ აკვანეთაში აღმოჩენილი ვეშაპოიდები და ციკლოპური ნაგებობანი, რომლებიც გიორგი ჩიტაიას ვარაუდით VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება და „აჭარის ისტორიის სიღრმეში გვახედებენ“ (გ. ჩიტაია. 1933 წლის აჭარისტანის ექსპედიცია (დღიური). – შრომები, III, თბ., 2001, გვ.357). სამწუხაროდ, ეს ძეგლები დღემდე შეუსწავლელია.

ექსპედიციის სხვა წევრებისა და პირადად გიორგი ჩიტაიას დაკვირვების თემა იყო აჭარის სოფლად ახალი ყოფის დამკვიდრების პროცესების (საკოლმეურნეო ცხოვრება, კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებები, სწავლა-განათლება, გზების მშენებლობა და ა.შ.) შესწავლა. ექსპედიციის სამუშაო გეგმით მასალები იკრიბებოდა საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაზე, ქორწინებაზე, ნათესაურ ურთიერთობაზე, გვარობრივ შემადგენლობაზე, ხელოსნობა-შინამრეწველობაზე, ყოფაში შემორჩენილ რელიგიურ გადმონაშთებზე, დღეობა-დღესასწაულებზე, სხვადასხვა სახის წეს-ჩვეულებებზე. ეს საკითხები ასახულია ექსპედიციის წევრების რუსუდან ხარაძის, ფაფალა ქიქოძის დღიურებში. მეურნეობის ცალკეულ დარგებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაზე მასალებს კრებდა ენათმეცნიერი სტეფანე მენტეშაშვილი. საექსპედიციო ჩანაწერები სახელწოდებით „აჭარის ეთნოგრაფიული მასალები“, გამოქვეყნებულია კრებულში „ენიმკის მოამბე“ (ტ. 1, თბილისი, 1937).

მრავალმხრივ საყურადღებოა ექსპედიციის წევრის, ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის ჯემალ ნოღაიდელის მიერ შეკრებილი მასალები. ბატონ ჯემალს მაშინ ახლად ჰქონდა დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუშაობდა აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროში. იგი სწავლობდა აჭარის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სხვადასხვა საკითხებს (წეს-ჩვეულებები, თქმულება-გადმოცემები, ზღაპრები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები). ექსპედიცია დროში ზემო აჭარაში გავრ-

ცელებულ შუამთობის ხალხურ დღესასწაულსაც დაემთხვა და, ბუნებრივია, მის ჩანაწერებში ამის შესახებაც საინტერესო მონაცემებია დაცული. მისი ცნობით, ზემო აჭარის ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად შუამთობაში მონაწილეობდნენ მესხები, კახაბერში, გონიოში, სარფში მცხოვრები ქურთ-ხემშილები, რომლებიც აჭარის საზავებულ საძოვრებით სარგებლობდნენ. იგი აღწერს შუამთობის დღესასწაულს, აჭარულ, ლაზურ და ქურთ-ხემშილთა ცეკვებს, რომელთა შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე გიორგი ჩიტაიას საექსპედიციო დღიურებშიც.

ჯემალ ნოღაიდელის მიერ 1933 წლის ექსპედიციის დროს და მომდევნო წლებში შეკრებილი მასალების დიდი ნაწილი შესულია წიგნში „ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“, რომელიც 1935 წელს ბათუმში გამოიცა. ეს იყო პირველი ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარაზე, ხოლო მისი ავტორი – პირველი ეთნოგრაფი და ფოლკლორისტ-დიალექტოლოგი აჭარიდან. მან დიდი ამაგი დასდო აჭარის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ შესწავლას, რომელსაც თავის დროზე დიდი შეფასება მისცა საქართველოს ისტორიის პატრიარქმა, აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.

1933 წლის აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ამ დროს გადაღებული ფოტოები, რომელთაც დიდი ეთნოგრაფიული ღირებულება გააჩნია. ფოტოების ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ნაწილი აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში. გიორგი ჩიტაიამ და სტეფანე მენტეშაშვილმა აჭარის სახელმწიფო მუზეუმს მაშინ გადასცეს 1.165 მანეთად შეფასებული 36 ექსპონატი, რომლებიც ამ ექსპედიციის დროს იქნა შეკრებილი (ხ. ახვლედიანი. აჭარის სახელმწიფო მუზეუმი. ბათუმი, 1958, გვ. 20).

ეთნოგრაფიული საექსპედიციო მუშაობის პოპულარიზაციის მიზნით ექსპედი-

ციამ ხულოსა და ქედაში მოაწყო მოძრავი გამოფენები, რასაც დამთვალეირებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია.

აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ჩატარებიდან 80 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე აჭარაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა არა მარტო საველე-საექსპედიციო ეთნოგრაფიული მუშაობა, არამედ საერთოდ ეთნოლოგიური კვლევა-ძიება და მნიშვნელოვანი წარმატებებიცაა მოპოვებული. ეთნოგრაფიული საქმიანობა თავდაპირველად კონცენტრირებული იყო აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროში, რომელიც შემდეგ აჭარის სახელმწიფო მუზეუმად გადაკეთდა. 1958 წელს დაარსდა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო განყოფილებად ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის) განყოფილება ითვლება. განყოფილებამ წარმატებით გააგრძელა აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს დაწყებული საველე ეთნოგრაფიული შემკრებლობით

მუშაობა, რომელიც წლების მანძილზე თითქმის მივიწყებული იყო. მხედველობაშია გეგმაზომიერი საქსპედიციო საქმიანობა, რომელიც ჩატარდა და ტარდება არა მარტო აჭარის, არამედ მისი მეზობელი რეგიონების ეთნოლოგიური შესწავლისათვის. განყოფილებამ დღემდე 50-მდე ექსპედიცია ჩატარა აღნიშნულ რეგიონებში. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები (დღიურების სახით), რომლებიც 350 ერთეულს ითვლის, ინახება განყოფილების ფონდებში. ამ მასალების საფუძველზე გამოიცა 20-ზე მეტი მონოგრაფია, 20 დარგობრივი კრებული, ჩატარდა და ტარდება სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. ეს არის ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ძვირფასი შენაძენი, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აჭარის, არამედ საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ტრადიციული და თანამედროვე ყოფის შესწავლაში.



პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის  
შედეგად მოპოვებული მასალები

## თამაზ ფუტკარაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

### მეფუტკრეობა თურქეთის საქართველოში – ბორჩხის რაიონის მაგალითზე

მეფუტკრეობა სახალხო მეურნეობის უძველესი და ტრადიციული დარგია. იგი იყო ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველი. ქართულ ეთნოგრაფიაში მეურნეობის ამ დარგის შესწავლას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, რომლებშიც გამოვლენილია მეფუტკრეობასა და ფუტკრის მოვლის საქმეში საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ ემპირიული გამოცდილების საფუძველზე მიღებული ცოდნა-გამოცდილება. თანამედროვე თურქეთის საქართველოში, საკუთრივ კლარჯეთში დაწინაურებული მეურნეობის ეს დარგი სწორედ აღნიშნულ გამოცდილებას ეფუძნება.

მეფუტკრეობის ერთ-ერთ დაწინაურებულ რეგიონად თურქეთის საქართველოში იმერხევთან ერთად ითვლება ბორჩხის რაიონი, საკუთრივ ხეხას ხეობა. აღნიშნულ საკითხსაც სწორედ ამ ხეობის მასალების საფუძველზე წარმოვადგენთ.

მთხრობელთა გადმოცემით (მთხრობელი მურხან ალბაირაქი) ხეხას ხეობაში თითოეულ ოჯახს საშუალოდ 20-30, ზოგიერთს ასი თავი ფუტკრის ოჯახი ჰყავს. ხეობაში არიან „გვაროვნული ტრადიციების“ მატარებელი ოჯახებიც. აქ მეფუტკრეობის სამივე (შინაურული, ნახევრადშინაურული და ტყეური) ფორმაა განვითარებული. აქაურ კლიმატს, ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს კარგადაა შეგუებული კავკასიური (იგივე კავკასიური მთური მონაცრისფერო) ფუტკარი („თაფლ კაის აკეთებს, ნექტარი გრძელი აქვს, სხვა ფუტკარი აქ ვერ იხეირებს, მალე გაფუჭდება“).

ხეზე შემოდებულ სკაში ფუტკრის ოჯახის დაბინავებას „ყავლანის გასულებას“ ეძახიან. ყავლანი, იგივე თეფეხანა, იგივე ფიჭის სახლი სკის სახელად შემორჩა აქაურთა მეტყველებაში. ზოგან ყავლანს ყოვანსაც ეძახიან. „ყავლანის გასულება“ იგივეა, რაც ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში

„სკის გაცოცხლება“. განასხვავებენ ფიჭის სახლის რამოდენიმე სახეობას. „გახეთქილი ხისაგან გაკეთებულ საფუტკრეს სკას ვეტყვით, გვალ და შიანედან გამოღარულს – ყავლანს“. ყავლანს ეძახიან ჩარჩოიან სკასაც, რომლის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ ასეთ სკაში შესაძლებელია ჩარჩოს ამოღება და შესაბამისად გაკონტროლება – ჰყავს თუ არა ოჯახს დედა ფუტკარი, ხომ არაა დაავადებული, ჰყავთ თუ არა ტილი და ა.შ. საფუტკრე ცაცხვს ჭრიან ზამთარში. ამ დროს წყალი ფესვებისაკენ ინაცვლებს და შესაბამისად ხე მსუბუქია. ყავლანის სიგრძე 3 მტკაველი (დაახლოებით 55-60 სმ.) უნდა იყოს. ხეს გულს გამოუღარავენ და ორივე მხრიდან უკეთებენ ე. წ. „თაფას“ (გვერდითი სახურავები), რომელსაც დატანებული აქვს ჭუჭრუტანები ფუტკრის შესასვლელად. ყავლანის დიამეტრი 47-50 სმ-ია და იტევს 35 კგ-მდე თაფლს.

ყავლანისაგან განსხვავებით სკა მზადდება წაბლისაგან, რადგან „ის შუაზე ადვილად სკდება“. სკა არის ასახდელი საფუტკრე, რომლის სიგრძე ერთი მეტრი, დიამეტრი კი 40-47 სმ-ია. საფუტკრეს შუაში „გუუხიდებენ“ მისივე სიგრძის თხილის ჯოხს ან კვარს. თხილი ადვილად იდრიკება, რის გამოც მყარად ჩაჯდება სკაში, მაგრამ უპირატესობას ანიჭებენ კვარს. ის შეიცავს ფისს, რომლის სუნიც იზიდავს ფუტკარს. ასეთ საფუტკრეში ადვილად ისადგურებს ფუტკრის ოჯახი. ამ მიზნით იყენებენ აგრეთვე ფიჭას (რომელსაც ფაჭს-აც ეძახიან).

ფუტკრის „ოჯახის მისაღებად გამზადებულ“ ყავლანს ზოგჯერ ხეზე, უპირატესად წიფლის ხეზე შემოდებენ, რადგან დათვს უჭირს ამ ხეზე ასვლა. წიფელს თხელი კანი აქვს, ადვილად შორდება მცენარეს და დათვი ფეხს მასზე ვერ იკიდებს. ყავლანის ხეზე ასატანად იყენებენ „ჭაპანს“ (თოკი), ქვემოდან მოაბამენ საფუტკრეს და აიტანენ ზემოთ. ეს ხე ითვლება დასაკუთრებულად.

მზვერავ ფუტკარს ხეხას ხეობაში კოლაუზ ფუტკარსაც ეძახიან. იგი აწვდის ინფორმაციას ფუტკრის ოჯახს სასურველ საფუტკრეში დაბინავების შესახებ. რესპონდენტთა თქმით სკაში ერთი დედა ფუტკარია, მაგრამ „ზოგი ფუტკარი მას არ მუუსმენს. ამიტომ

გამოზრდიან მეორე დედას, რომელიც გამეიჩეკება 13 დღეში”. დედა ფუტკარი შეეცდება ახლადგამოჩეკილის მოკვლას, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევენ. ამიტომ იგი ტოვებს ოჯახს თავის „მომხრებთან” ერთად და ეძებს ახალ საფუტკრეს. კოლაუზი ფუტკარი აწვდის სასურველ ინფორმაციას (სასურველია ის საფუტკრე, სადაც მოთავსებულია ფიჭა ან ყავლანის შუაში კვარის ხეა გადებული. რესპონდენტთა მტკიცებით დედა ფუტკარი ცოცხლობს 7 წელი, მაგრამ კვერცხების დებისათვის გამოსადეგია 4 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ იგი „გაბიჭდება”.

თაფლს ხილავენ აგვისტოში. ხილვის წინ სკასთან ახლოს დაანთებენ ცეცხლს და სკაში „შეუფუტებენ”. ფუტკარი ამ დროს იწყებს თაფლის ჭამას („შეემახება”), რაც იძლევა სკის თავისუფლად ხილვის შესაძლებლობას („ფუტკარი თაფლს წოვს, პირი თაფლით აქსავსე და ვერ გიკბენს”).

თაფლის ფიჭისაგან გამოცალკევებისათვის ხშირად იყენებენ სპეციალურ მოწყობილობას, რომელსაც „თაფლის გამოსაწურავ მანქანას” ეძახიან. იგი წარმოადგენს ოვალური ფორმის სამფეხა დანადგარს, რომლის სიმაღლე 70-80 სმ., დიამეტრი კი 25-30 სმ-ია. მზრუნავ ღერძს მოძრაობაში მოყავს ჩარჩოს ჩასადგმელი მოწყობილობა (ეწყობა 4 „ჩერჩევი”/ჩარჩო), რაც თაფლის ფიჭისაგან გამოცალკევების შესაძლებლობას იძლევა. გამოცალკევებული თაფლი გამოედინება სპეციალური „მუსლულიდან” (ონკანი).

ფუტკრის დაავადებებისაგან დაცვის მიზნით აქაურები იყენებენ ემპირიულ ცოდნას, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას. სკის ახლოს ითესება კანაფი, რაც ფუტკარს იცავს „ვაროვასაგან” (ფუტკრის ტილი). ასევე, შარბათში გაურევენ სპეციალურ წამლებს (აპაჭინი, ფოლივიტი) და შეასხურებენ სკაში ან „შეაფუტებენ წამლიან ფუტს”.



განსაკუთრებული დანიშნულება აქვს სანთელს. იგი გამოიყენება სამკურნალოდ, ასევე აქვს რიტუალური ფუნქცია. რესპონდენტთა თქმით „ბავშვი ძალიდან და

რაცხადან რომ დაბეჩდეს, სანთლით მუუხ-ჩოლებენ”; ახალი ღარჭი რომ დეიბადება და ფეხზე ვერ დადგება, ფეხიდან გამუუსანთლებენ” (ფეხს დაადგმევიწებენ), დაჟეჟილობისას წაისვამენ „შავი სისხლის ამოსაწოვად” და ა. შ. სანთელს აქაურებში აქვს პრაქტიკული გამოყენებაც, კერძოდ, მას იყენებენ „სხლერტის” (ხაფანგი) გასამართავად (კანაფით თოვს დაგვრიხავთ, ჩხიკვს ხლერტ დუუდებთ, თოვს დუუსანთლავთ – კარგად მიხუპება სხერტი”), თოვლის გადმოსაყრელი ნიჩბის გასასანთლავად და ა. შ.

ჩვენებურებს სწამთ „თვალის ცემის”, ბოროტი ძალების ზემოქმედების. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ავითვალისაგან ფუტკრის ოჯახის დაცვას. ამ მიზნით საფუტკრეებთან ახლოს მოათავსებენ ეკალს, ჩამოკიდებენ ან მიაჭედებენ თხის ან ხარის რქას და ა. შ. საიდუმლოდ ინახავენ ფუტკრის ოჯახისა და თაფლის რაოდენობას, თაფლს გასცემენ მხოლოდ გარკვეულ დღეებში. კატეგორიულად იკრძალება თაფლის გაცემა სამშაბათს, ოთხშაბათს (საქმე წინ არ წავაო) და პარასკევს (ღმერთის დღე).

ქართულ სინამდვილეში ფუტკარს ჰყავდა მისი მფარველი ღვთაება, არსებობდა შესაბამისი დღესასწაულიც, თუმცა იქ ამის შესახებ არაფერი იციან. ფუტკარს იქ არ ჰყავს არავითარი ღვთაება. ისლამმა განდევნა ყველა სხვა ღმერთი.

მეფუტკრეობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ჩვენს ყოფაში არსებულის იდენტურია. ამიტომ მათ შესახებ აქ აღარ ვისაუბრებთ. იგი კარგადაა შესწავლილი ქართულ ეთნოლოგიაში. აღვნიშნავთ, მხოლოდ – ბორჩხის რაიონის ქართულ მოსახლეობაში მეფუტკრეობა მეურნეობის ერთ-ერთ დაწინაურებულ დარგად რჩება დღესაც. აქაურებმა კარგად აითვისეს საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხის ემპირიული ცოდნით დაგროვილი გამოცდილება და ეს დარგი შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ აქციეს.





ჩარჩოიანი სკები



ყავლანის გასულეზა



საფუტკრები

## ნინო ჯაველიძე

*შალვა რადიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი,  
ოზურგეთის რაიონი, სოფ. ცხემლისხიდი  
მერაბ მეგრელიშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

### ერთი დღე სოფელ ცხემლისხიდში

მიმდინარე წლის 29 აპრილს ბათუმის უნივერსიტეტელ კოლეგებთან ერთად ვესტუმრეთ ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის საშუალო სკოლას. უნივერსიტეტის სახელით სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადავეცით წიგნები, სკოლა მდინარე ნატანებთან, ტუფის ქვით მოპირკეთებულ ორსართულიან ქვის შენობაშია განთავსებული. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ღვაწლმოსილი პედაგოგები: გიორგი სალუქვაძე, გიორგი ლომინაძე, მიხეილ მშვიდლობაძე, ნინა დონდოლაძე, ქეთო სალუქვაძე. დღეს სკოლას უნარიანად უძღვება ნიჭიერი, ენერგიული პიროვნება ლალი სიჭინავა. სკოლაში მოეწყო ღია გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში თემაზე: „თამარის პიროვნების საკითხისათვის.“ ისტორიის მასწავლებელმა ნინო ჯაველიძემ გაკვეთილი ჩაატარა კითხვა-პასუხის მეთოდით. მოსწავლეები ისტორიულ-დოკუმენტურ მასალასთან ერთად კარგად ფლობენ ისტორიულ პროზას. დამსწრეთა პატრიოტული პათოსი კიდევ უფრო აამაღლა მოსწავლეთა ფოლკლორულმა ანსამბლმა. გაკვეთილის დასრულების შემდეგ გადავინაცვლეთ შალვა რადიანის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გურულ ოდა სახლში, ხის ორნამენტით დამშვენებული ავეჯი და მდიდარი ფოტო-დოკუმენტური და ფოლკლორული ექსპონატებია წარმოდგენილი. მუზეუმში მეგზურობა გაგვიწია ქალბატონმა ნინო ჯაველიძემ, რომლის დიდი რუდუნების ფასად დღესაც განაგრძობს მუზეუმი არსებობას.

## შალვა რადიანი როგორც ისტორიკოსი

ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი შალვა რადიანი (შეწირული) ისტორიული რომანების განხილვისას მკითხველის წინაშე წარმოდგება როგორც მსოფლიო და საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე. მკვლევარი სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს შორის ეძებს ისტორიულ პარალელებს და შედარების მეთოდის საფუძველზე აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს. ვალტერ სკოტის, სტენდალის, ბალზაკის, ფლობერის, პროსპერ მერიმეს, ვიქტორ ჰიუგოს, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, აკაკის თუ სხვათა შემოქმედებას იგი განიხილავს ქვეყანაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებთან კავშირში.

ქართული ისტორიული რომანის კლასიკოს ვასილ ბარნოვის შემოქმედების განხილვისას ბატონი შალვა ეყრდნობა საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროებს. მკვლევარისთვის დამახასიათებელია ისტორიული ნედლი მასალის კარგი ცოდნა, ობიექტურობა, ანალიტიკური აზროვნება, ისტორიული მოვლენების მხატვრული აღწერის და კრიტიკული შეფასების დიდი უნარი.

ვასილ ბარნოვის შემოქმედების შეფასებისას იგი დადებითთან ერთად შენიშნავს, რომ არც სალიტერატურო და არც საისტორიო კრიტიკა სათანადოდ არ გამოხმაურებია ამ დიდი მწერლის ნაწარმოებებს და საჭიროდ მიაჩნია მისი მრავალრიცხოვანი ისტორიული რომანების სერიოზული მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა.

მკვლევარი ვასილ ბარნოვს ახასიათებს, როგორც ისტორიული მოვლენების მხატვრულად აღწერის დიდოსტატს, რომლის ნაწარმოებები გამსჭვალულია ეპიური თვისებებით. მეცნიერი, მონოგრაფიაში „სახეები და შთაბეჭდილებები,“ ვასილ ბარნოვის შესახებ აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის, როგორც სპეციფიკურ-პოეტური ჟანრის განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ვასილ ბარნოვის სახელთან. თავისი შესანიშნავი შემოქმედება მან

მიუძღვნა ისტორიულ-მხატვრულ პროზას და გამოიმუშავა თავისებური მეთოდი ისტორიის ესთეტიკური ათვისებისთვის.

ამ ხასიათის ნაწარმოებებში ვასილ ბარნოვი გამოჩნდა საქართველოს წარსულის ღრმა მცოდნე, რომელიც საფუძვლიანად გრძნობს ეპოქის მოვლენებს. იგი ქმნის მაღალ მხატვრულ და კოლორიტულ ისტორიულ რომანებს. მეცნიერი ვასილ ბარნოვის შემოქმედების შესწავლით ხსნის ისტორიული რომანის პრობლემურ საკითხს ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

გვესაუბრება რა ისტორიული რომანის დანიშნულებაზე, მკვლევარი აღნიშნავს, რომ მისი მთავარი ამოცანაა მხატვრულ სახეებში გადმოსცეს ხალხის ცხოვრება, ისტორიული ფაქტები ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ისტორიულ ხასიათებთან. ისტორიული და მხატვრული ჭეშმარიტება ორგანულ მთლიანობაში უნდა იყოს მოცემული. ისტორიულ-მხატვრული პროზის ჩანასახად იგი თვლის ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებს, კერძოდ ჰაგიოგრაფიული შინაარსის ლიტერატურას.

პროფესორი შალვა რადიანი კარგად იცნობს ისტორიულ-მხატვრულ შემოქმედების ტრადიციებს. თავის წერილებში იგი ნათლად წარმოაჩენს ისტორიულ-მხატვრული ჟანრის ნაწარმოებების მქონე მწერლების მიერ განვლილ გზას უძველესი დროიდან XX საუკუნის ჩათვლით.

მკვლევარი, ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანის „არმაზის მსხვერვის“ განხილვისას, წარმოდგება როგორც წარმართული და ქრისტიანული რელიგიის ისტორიის კარგი მცოდნე. ისტორიულ ნაწარმოებში დასახულ პრობლემას, კერძოდ, წარმართულ და ქრისტიანულ რელიგიებს შორის ბრძოლას, წარმოაჩენს მსოფლიო ლიტერატურის ისეთ შედეგებთან კავშირში, როგორცა შატობრიანის „მარტვილნი“, სენკევიჩის „ვიდრე ხვალ უფალო?!“ ფრანსის „თაისი“ და ა.შ.

ვასილ ბარნოვის „ხაზართა სასძლოს“ განხილვისას მკვლევარი იყენებს არაბ ისტორიკოსებს იბნ ალ ასირის და ალიავერს, სომეხ ისტორიკოს ლევონდს და

ა.შ. ამ შემთხვევაში ბატონი შალვა გვევლინება როგორც რეალურ ამბავთა პოეტური თხრობის ჟანრის დიდოსტატი.

XVII საუკუნეში, საქართველოსთვის რთულ პერიოდში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში ღრმად წვდომის და ობიექტურად განსჯის უნარი განაკუთრებით ჩნდება მის ნაშრომში „განგების რკალი ანუ დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“. აი ამონარიდი მისი ნაშრომიდან: „საქართველო დიდი ბრძოლის ასპარეზად იქცა ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის. პატარა საქართველო ამ ბუმბერაზთა შორის დამოუკიდებლად ვერც იარსებებდა. მას ესაჭიროებოდა მოკავშირე. ერთ-ერთი მიზეზი XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური უბედურებისა იყო ფეოდალური სეპარატიზმი. გიორგი სააკაძე, დადებითთან ერთად (სამხედრო სტრატეგია, ფეოდალთა სეპარატიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, საქართველოს გაერთიანების იდეით შეპყრობილი), სიტუაციიდან გამომდინარე იძულებულია აწარმოოს ორაზროვანი პოლიტიკა და ჩაიდინოს სერიოზული შეცდომები. იგი ვერ ითვალისწინებდა გარეშე ფაქტორების ნამდვილ ხასიათს და რომ ამ ფაქტორებს არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსირება. წინააღმდეგობა სურვილსა და შესაძლებლობას შორის იყო სათავე სააკაძის მთელი ტრაგედიისა – ასკვნის მკვლევარი. ისტორიაში პიროვნების როლის საკითხის შალვა რადიანისეული ხედვა და შეფასება დღევანდელი პოლიტიკოსებისთვის სამაგალითო უნდა იყოს. მკვლევარი თვლის, რომ ვასილ ბარნოვი ვერ ითვალისწინებს სააკაძის დამარცხების ნამდვილ მიზეზს, რომ მისი იდეები ეწინააღმდეგებოდნენ მაშინდელ საზოგადოებრივ შეგნებას, მისი იდეები ნადრევი იყო და ვერ განხორციელდებოდა ფეოდალური კარჩაკეტილობის პირობებში. იგი დამარცხდა სწორედ მაშინ, როცა თავისი მიზნების განხორციელებას შეეცადა უცხო ძალების დახმარებით.

პროფესორი ლევან სანიკიძეც გიორგი სააკაძის დამარცხების ნამდვილ მიზეზს მის ხასიათში ეძებს.

ვასილ ბარნოვის ნაწარმოებების: „დედოფალი ბიზანტიის“, „სახიფათო სიყვარული“, „მიმქრალი შარავანდედი“ განხილვისას მეცნიერი საქართველოს დაცემის მთავარ მიზეზად ასახელებს მის დაშლად დაქუცმაცებას სამეფო-სამთავროებად და იმას, რომ საქართველოს, ერთ დროს მაღალგანვითარებული ქრისტიანული ცივილიზაციის მქონე ქვეყნის ბიზანტიის ნაცვლად, დაუმეზობლდა თურქეთი და ირანი.

მკვლევარი უარყოფს მწერლის მიერ ისტორიულ რომანში „პირიმზე“ წარმოდგენილ თამარის დროინდელ საქართველოს სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხს (აღმოსავლეთით ერთნი, მეორენი ჩრდილოეთით) და თვლის, რომ თამარ მეფის დროს საქართველო საკუთარ ძალებს ეყრდნობა და არავითარ პოლიტიკურ ორიენტაციას ის არ ეძებს.

ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულში“ მეცნიერი განიხილავს აშოტ კურაპალატის და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანას (VIII-IXსს.) აქ მკვლევარი მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისტორიის კარგ ცოდნასთან ერთად წარმოჩნდება როგორც დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი.

ისტორიულ რომანში წარმოდგენილ სიყვარულის ამბავს მკვლევარი უკავშირებს ანატოლი ფრანსის „თაისში“ მოთხრობილ შემთხვევას. ასევე იგი მაღალ მეცნიერულ დონეზე მსჯელობს დაპირისპირებაზე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ბატონი შალვა მწერალში ნიჭიერ ფილოსოფოს და

ფსიქოლოგსაც ხედავს და აღნიშნავს, რომ კლასიკოსი თავისუფლად და ბუნებრივად გადადის ისტორიული თხრობიდან, რაც უპირატესად სიზუსტით არის შესრულებული, ღრმა ფილოსოფიური განზოგადების და გმირთა ქცევისა და განცდების ფსიქოლოგიურ ანალიზამდე.

მეცნიერს მიაჩნია, რომ „ტრფობა წამებულში“ მოთხრობილი ამბავის უმეტესი ნაწილი ისტორიული დოკუმენტების პერიფრაზია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი შალვას მიერ განხილული ლევან გოთუას ისტორიული მოთხრობები „ქვის ხოხობი“ „კრწანისის სევდა“ „უგზო ქარავანი“ „სიბრძნე სიკვდილისა“ „ხანძთის ზარი“ „ყინწვისის ანგელოზი“ და ასევე ისტორიული რომანები „გმირთა ვარამი“ და „მითრიდატე“.

მეცნიერი კრიტიკული თვალთ განიხილავს ლევან გოთუას შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ ისტორიული რომანის ავტორი არ უნდა იფანტებოდეს წვრილმანში და მაგალითად მოჰყავს პროსპერ მერიმეს „მარლ IX მეფობის ქრონიკა“, რომლის ავტორი არ არის გატაცებული დაწვრილებითი აღწერებით, არამედ თხრობის მიხედვით ლაკონურად იძლევა ისტორიულ სურათს თუ შემთხვევას. იგი თვლის, რომ ლევან გოთუას ისტორიზმში ბევრი გარეგნული ეფექტია. მკვლევარი რომანისტს, როგორც ისტორიკოსს ენას უწუნებს, რაშიც მას ვერ დავეთანხმებით.



შალვა რადიანის სახლ-მუზეუმის ექსპოზიცია



შალვა რადიანის სახლ-მუზეუმი

სამეცნიერო-საგანმანათლებლო  
განყოფილება.

სტატია განკუთვნილია მოსწავლე  
ახალგაზრდობისათვის

## თამარ დარჩია

### აბუსერისძე ტბელი

ყველა ერი ამაყობს თავისი გამოჩენილი შვილებით, რომლებიც გამორჩეული ნიჭითა და უანგარო ნაღვაწით უმაღლეს კვარცხლბეკზე ამაღლდნენ. იქ დაიმკვიდრეს თავისი ადგილი და სამუდამოდ მოიპოვეს უკვდავება.

ამ პლედას ამშვენებს ჩვენი სასიკეთო თანამემამულე, შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, აბუსერისძე ტბელი, რომელმაც აზროვნებით თავის ეპოქას გაუსწრო და წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიოს ისტორიაში.

წმიდა აბუსერისძე ტბელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII ს-ში. წმინდანის მამა ივანე ზემო აჭარის ერისთავთ-ერისთავი, თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა. დაქვრივების შემდეგ წმიდა ტბელის დედა მონაზვნად აღიკვეცა ეკატერინეს სახელით. ტბელს სამი და – ცაცა, საგდუხტი და ვანენი, და ორი ძმა – აბუსერ და ვარდანი ჰყავდა, რომელნიც მისი დროის ცნობილი მოღვაწეები იყვნენ.

წმიდა ტბელმა შესანიშნავი განათლება მიიღო. მან, როგორც ჰიმნოგრაფმა, პროზაიკოსმა, ასტრონომმა, საეკლესიო მუსიკის მცოდნემ და საერთოდ, ღრმა მეცნიერული აზროვნებით გამორჩეულმა მწიგნობარმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

აბუსერისძე ტბელის ცხოვრების ქრონოლოგიაზე ცნობები მწირია, თუმცა მაინც შეიძლება მისი ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპების განსაზღვრა.

მწერალი დაიბადა 1190 წელს. ხიხათა საერისთაოში. საეკლესიო განათლება მან ვარძიაში მიიღო იოანე შავთელთან 1200-1210 წლებში. 1216-1222 წლებში იგი მოღვაწეობდა აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებში. 1222-1233 წლებში ტბელი ხელმძღვანელობს ხიხანის ციხისა და ეკლესიის მშენებლობას. 1225 წლიდან წმიდა ტბელი, როგორც ცნობილი მწერალი, მეცნიერი და

საზოგადო მოღვაწე, თანამშრომლობს გელათის საგანმანათლებლო ცენტრთან.

სავარაუდოდ აბუსერისძე ტბელი გარდაიცვალა 1250 წელს. მისი სამუდამო განსასვენებელი ხიხათა საერისთაო უნდა გამხდარიყო, კერძოდ თხილვანის წმიდა იოანე მახარებლის ეკლესია.

ძველ წერილობით ძეგლებში წმიდა ტბელ აბუსერისძე სამჯერ იხსენიება: 1. 1216 წლის დვინის სასამართლოზე მონაწილე ქართველ მოღვაწეთა შორის. 2. ხელნაწერ A-85-ის „ანდერძში“ (1233 წ.) „მე... აბუსერისძე ტბელი, ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი“, 3. „კლარჯული სვინაქსარის“ აღაპში (XVI ს) დიდმარხვის მეექვსე (ზზობის) კვირის დასაწყისში – „ამას დღესა აღაპი ტბელისა აბუსერისძისა“ (ხალვაში, 2006:3).

როგორც წმიდანის ჩანაწერებიდან ჩანს, მან ზემო აჭარაში სოფელ ხიხანში ააშენა წმიდა გიორგის ეკლესია. ვარაუდით წმიდა ტბელი იქ მოღვაწეობდა, როგორც სასულიერო პირი და იქვე შექმნა თავისი თხზულებების უმეტესი ნაწილი.

წმიდა ტბელს ჰყოლია შვიდი შვილი და როგორც თავის საგვარეულო მატეანეში წერს, თუ კიდევ გაუჩნდებოდა შვილები, მათი სახელებიც უნდა შეეტანათ მატეანეში. (აბუსერისძე, 1998:150)

აბუსერისძე ტბელის შემოქმედების შესწავლამ დაადასტურა, რომ ის ზედმიწევნით იცნობდა ათონის, შავი მთისა და გელათის ლიტერატურულ პროდუქციას. მის თხზულებებში ვხედავთ დიალოგს ქართული ორიგინალური საეკლესიო მწერლობის ძეგლებთან და ციტატებს ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის და იოანე შავთელის მიერ თარგმნილი ციტატებიდან. წმიდა ტბელს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა გელათის აკადემისთან და ვარძიის საგანმანათლებლო კერასთან. მან იქ მიიღო ისეთი მრავალმხრივი განათლება, რომელიც საშუალებას აძლევდა განსხვავებულ ჟანრებში ეთქვა თავისი ბრძნული და წმიდა სიტყვა. ის ურთიერთობდა ცნობილ მოღვაწესთან იოანე შავთელთან, რომელსაც „ქრონიკონში“ „სულიერი ფილოსოფიის სანთელს“ უწოდებს. იოანე შავთელის კალამს ეკუთვნის „ასურელი კვიკლოსის“ (მოკლე პასქალური ცხრილის) შესასწავლი სახელმძღვანელო, ხოლო ტბელ აბუსერისძე უფრო

შორს წავიდა და ამავე საკითხს მიუძღვნა ვრცელი ტრაქტატი „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“, რომელსაც გააჩნდა გამოკვეთილი სამეცნიერო მიზანმიმართულება. (წმ.ტბელ აბუსერისძის სახ. უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „ტბელობა“ თ.შიომვილი, ც.ნარაკიძე. 2008 წ.გვ.147-148)

1216-1222 წლებში ტბელ აბუსერისძე მოღვაწეობდა აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებში, როგორცაა მარტყოფი და ალავერდი. სორედ ამ კერებში შთააგონა ტბელი ახალი თხზულებებით განევრცო ასურელ მამათა ჰაგიოგრაფიული ციკლი.

მისი ინიციატივით საქართველოს ეკლესიაში დაწესდა მარტყოფის ხატის დღესასწაული, შეიქმნა კერამიონისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლი, ალავერდის მთავარმოწამის სასწაულები კი მან აღწერა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“.

მარტყოფისა და ალავერდის მონასტრები წარმოადგენდა საკათედრო ტაძრებს, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს წმიდა აბუსერისძე ტბელის ახლო კავშირზე საქართველოს ეკლესიის უმაღლეს იერარქიასთან.

„შუარტყალი“ წმიდა აბუსერისძე ტბელის ჰაგიოგრაფიული თხზულებაა და იგი შუარტყლის წმიდა გიორგის ეკლესიის სასწაულებრივ მშენებლობაზე მოგვითხრობს. ეს ტაძარი ბოლოკ - ბასილმა ააგო წმიდა გიორგის ჩაგონებით. ტაძრის მთავარი სიწმინდე-ალავერდის მთავარმოწამის ქვის ჯვარი კი სალოცავში შეასვენა მღვდელ-მონაზონმა იოსებმა - იოანეს შვილმა და ბასილის შვილიშვილმა.

1222-1233 წლებში მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოტევის დროს, ტბელ აბუსერისძე ხიხანში დაბრუნდა და თავისი ძმების, ერისთავთ-ერისთავების, აბუსერ I-ისა და ვარდანის დავალებით სათავეში ჩაუდგა ხიხათა ციხისა და ეკლესიის მშენებლობას.

აბუსერისძეთა მამული აჭარაში, ხიხათა ციხესიმაგრით დაცულ ხეობაში მდებარეობდა, რომელსაც ამჟამად სხალთის ხეობა ეწოდება. ხიხათა საერისთავოს მფლობელი აბუსერისძეები ისტორიულ არენაზე ჩნდებიან ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში.

ბაგრატ IV-მ საქართველოს ერთიანი სამეფოს წარმოქმნის შემდეგ „კლარჯი ხელმწიფეების“ სამფლობელოში არტანუჯის საერისთავო დააარსა და XI საუკუნის 30-იან წლებში გადასცა „იოვანეს ერისთავსა აბუსერსა.“ ირკვევა, რომ აბუსერისძის საერისთავო არტანუჯთან ერთად მოიცავდა სამცხეს (ციხისჯვარი, აწყვერი) და აჭარას (ხიხანი). გარდა ამისა, ბაგრატ IV-ეს აბუსერისთვის გადაუცია ახლადშემოერთებული სომხური ქალაქი ანისი.

1046 წლიდან როცა საქართველოში დიდი შინაომი ბოზოქრობდა იოანე ერისთავის შთამომავლებს განსაკუთრებით მძიმე ხანა დაუდგათ. მამის საქმის გამგრძელებლად გვევლინება აბუსერ I, რომელმაც თავის შვილთან-გრიგოლთან ერთად ცხარე ბრძოლები გადაიტანა. ამ პერიოდში მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ კლდეკარის ერისთავს აბუსერ I კარგა ხანს ჰყავდა გამოკეტილი ციხეში. ბაგრატ მეფემ გამოიხსნა ერთგული არტანუჯის ერისთავი, მაგრამ სასირეთის ბრძოლაში იგი მაინც ვერ აცდა ტყვეობას. ამგვარად აბუსერ ერისთავის პოლიტიკურ აღზევებას მალე დაესვა წერტილი.

1054-1056 წლებში აბუსერ I-ის ძე გრიგოლ მეფე ბაგრატ IV-ს თან ახლდა კონსტანტინოპოლში და სხვა დიდებულებთან ერთად ხელი შეუწყო წმიდა გიორგი მთაწმინდელის „დიდი საქმის“ განხორციელებას.

აბუსერ I იღწვოდა არა მარტო პოლიტიკურ სარბიელზე, როგორც ერისთავთ-ერისთავი, არამედ დიდად აქტიური კულტურული მოღვაწეც გახლდათ. როგორც ტბელის ერთი თხზულებიდან ვგებულობთ, სწორედ აბუსერი ყოფილა ხიხანის წმიდა გიორგის ეკლესიის აშენების ერთ-ერთი მოთავე. მისი თაოსნობით ქვის ეკლესია აუგიათ და აღჭურვილობით სრულუყვიათ. ამასთან აბუსერის თხოვნით არსენ ბულმაისიმის ძის მიერ დაიწერა რამოდენიმე თხზულება, მათ შორის „გალობანი აგვისტოსი“ და გელათიდან ხიხანში გამოუგზავნიათ.

აბუსერს რამდენჯერმე უქორწინია. მისი მესამე მეუღლე იყო დედოფალთ-დედოფალი ვანენი, მას აბუსერთან ერთად მიუღია მონაწილეობა წმიდა იოანე მახარებლის ეკლესიის მშენებლობაში, რასაც გვაუწყებს კიდევ ამ ეკლესიის ერთ-ერთი წარ-

წერა (ი.სიხარულიძე, ბათუმი 1979წ. გვ. 10-22)

„დიდი თურქობის” შემდეგ ხიხათა საერისთაოში, კერძოდ თხილვანაში აშენდა აბუსერისძეთა გვარის „სამკვიდრებელი” ეკლესია, რომელიც წმიდა იოანე მახარებლის სახელს ატარებდა. ეკლესიის ბალავრის ქვის წარწერა საინტერესო ცნობებს შეიცავს აბუსერისძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის.

წარწერაში იხსენიება აბუსერისძეთა ორი თაობა. აბუსერისძეთა საგვარეულო მატეანეს ქართლის ცხოვრებასა და თხილვანის ეკლესიის წარწერის შემდეგ აგრძელებს A-85 ხელნაწერის „ანდერძი”. მასში დასახელებული პირები ეკუთვნიან აბუსერისძეების მომდევნო თაობებს.

XIII საუკუნის 20-იან წლებში ხიხათა ციხესიმაგრეში ერისთავის განკუთვნილი ნაგებობა – „ძველი სახელოვანი” დაშლილი იყო. მას თან ერთვოდა ციხის ეკლესიის სიმცირე-აბუსერისძე ტბელმა საგვარეულო „მამულის”, კერძოდ ხიხათა ძირში მდებარე სოფლის, ბაკოს მკვიდრთა რჩევა-მუდარა გაითვალისწინა და ეკლესიის გაფართოებასთან ერთად, ციხესიმაგრეში „მრავალი სახელოვანიც” ააშენა. ფაქტობრივად, წმიდა ტბელმა 1222-1233 წლებში ხიხანზე გააფართოვა როგორც ეკლესია, ისე ციხესიმაგრე.

ხიხათა ეკლესიის შემკობაში დიდი წვლილი შეუტანია მწერლის უფროს ძმას, აბუსერ I. მას ეკლესიისათვის შეუწირავს ექვსი დიდი ხატი. მან ფინანსური დახმარებაც გაუწია A-85 ხელნაწერის შექმნას. ამ ხელნაწერს წმიდა ტბელ აბუსერისძე სიცოცხლის ბოლომდე თვითონ მოიხმარდა, რის შესახებ ის „ანდერძში” წერს: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მოვიხმარებ (რ.ხალვაში, წმ. ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და ღვაწლი, ბათუმისხალთა, 2006 წ. გვ.6). ხიხათა ეკლესიის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ტბელის მეუღლეს-ბაგულს. ხიხათა ციხე, ეკლესია და მსზე შეწირული რელიქვიები არაერთხელ გადაიქცა „მამულის კაცთა” მიმართ აბუსერისძეების ზრუნვის დამადასტურებელ ნიშნად. ამგვარი ქველმოქმედების სანაცვლოდ, განახლებულ ტაძარში მღვდელი ყოველ გიორ-

გობაზე კითხულობდა ტბელის „ხელნაწერის” ანდერძს და მასში იხსენიებდა აბუსერისძეთა საგვარეულოს სახელებს.

1225 წლიდან საქართველოს სამეფო კარმა თბილისიდან ქუთაისში გადაინაცვლარუსუდან დედოფალთან ერთად დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ საქართველოს კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე და სამეფო კარის ეპისკოპოსი საბა სვინგელოზი. ისინი გელათის სავანეში დამკვიდრდნენ. შუამავალი მეცენატ ძმებსა და გელათში მოღვაწე საეკლესიო იერარქებს შორის აბუსერისძე ტბელი იყო.

გელათში ტბელ აბუსერისძის მოღვაწეობას გვიდასტურებს 22 ხელნაწერიც, რომელიც იწყება მისი საგალობლებით („გალობანი სამთა იოვანესთანნი”). როგორც ცნობილია გელათში არსენ კათალიკოსს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხიხათა (აჭარის) ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა სახლის სახელოვან წარმომადგენლებთან, ძმებთან-აბუსერ, ვარდან და ტბელ აბუსერისძეებთან, რასაც მოწმობს ხელნაწერი A-85. ამ ხელნაწერში ტბელ აბუსერისძეს შეუტანია კათალიკოს არსენის სამი ტექსტი და ერთი ეპისტოლე. ტბელ აბუსერისძე ევანგელური მოკრძალებით საუბრობს თავის დამსახურებაზე: „არაი საკვირველ არს მათგან დატევებულისა ნემშისა ჩემგან ხელყოფაი საკადრებლად, ვინაითგან ძალლითაცა მიეცა ნამუსრევისაგან ტაბლისა და მზეცა სწორებით, ჰნათობს მაღალთა ადგილთა და მდაბალთა მოფენითა დღისაითა” (შოიშვილი, ნარაკიძე, 2008:148). ამგვარი დამოკიდებულება ჰქონდა ტბელ აბუსერისძეს თავისი წინამორბედებისადმი. მან, როგორც ცნობილმა მოღვაწემ, ადრევე მოიხვეჭა სახელი თანამედროვეთა შორის 1216 წელს აბუსერისძე ტბელი ესწრება ივანე ათაბაგის (მხარგრძელის) მიერ დვინში მოწვეულ საეკლესიო სასამართლოს. სასამართლოში აგრეთვე მონაწილეობას ღებულობდნენ ვარძიის წინამძღვარი და მემნი ჯაყელი – ძმა ბოცო ჯაყელისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ტბელ აბუსერისძის და – დედოფალთ-დედოფალი ვანენი.

ტბელ აბუსერისძის შემოქმედება თავმოყრილია 1233 წელს შედგენილ კრებულში. ეს ხელნაწერი თავისი შედგენილობით მრავალფეროვანია. მასში შეტანილია მდიდარი ჰიმნოგრაფიული მასალა – ყველა

დიდი დღესასწაულისა და „საჩინოთა“ წმინდანთადმი მიძღვნილი საგალობლები, აგრეთვე დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, გრიგოლი ღვთისმეტყველის „ასეულნი იამბიკონი“, იოანე პეტრიწის გალექსილი სათაო სვინაქსარი. აქვე არსენ ბულმაისიმის ძის საგალობელი მარტყოფის ხელთუქმნელი ხატისადმი, საბა სვინგელოზის ჰიმნოგრაფიული კანონი. კრებულის შემადგენლობა უჩვენებს, რომ მის რედაქტორს მიზნად ჰქონია ქართული მწერლობის ანთოლოგიის შედგენა. ეს რედაქტორი ტბელ აბუსერისძე ყოფილა. კრებულში შეტანილია ტბელის ორიგინალური ჰიმნოგრაფიული კანონი – მიძღვნა სამი იოანესადმი – ნათლისმცემელი, მახარებელი, ოქროპირი.

წმიდა ტბელ აბუსერისძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა დღეისათვის მოიცავს 5 თხზულებას. ესენია:

1. „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“. 2. „გალობანი სამთა იოვანესთანი“. 3. „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“. 4. „გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისანი“ 5. „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“.

მისი მემკვიდრეობის გაცნობით შეიძლება დავადგინოთ, რომ ზოგი მათგანი ჰაგიოგრაფიული ხასიათისაა და ზოგიც კალენდარულ-ასტრონომიული, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველა ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება.

გამორჩეული თხზულებაა – „სასწაულნი წმიდისა გიორგისანი“, რომელშიც მწერალი მრავალ საკვირველებას აღწერს.

ეს თხზულება ძვირფასი საისტორიო წყაროა. მით უმეტეს, რომ ლაშა-გიორგის მემატეანის ნაშრომიდან ჟამთაღმწერლამდე ამ ძეგლის ბადალი არაფერი მოგვეპოვება, მასში თავმოყრილია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა მრავალი ხასიათის ჩვენებები. ამ ცნობებს კარგა ხანია მიექცა ყურადღება ქართულ ისტორიოგრაფიაში და მათი შესწავლა საკმაოდ წინაა წამოწეული.

აბუსერისძე ტბელი თავის „ანდერძში“ ახსენებს იოანე მახარებლის ეკლესიას. ამ ეკლესიის ადგილმდებარეობის დასადგენად ძვირფას ცნობებს შეიცავს XIII ს-ის ერთი ეპიგრაფიული ძეგლი, რომელიც ამჟამად აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმშია დაცული. ამ თა-

ლიან ქვაზე ამოკვეთილი წარწერა გვაუწყებს, რომ ის სწორედ იმ იოვანე მახარებლის ეკლესიის ნაშთია, რომელიც XIII საუკუნეში აუგია ვანენ დედოფალთ დედოფალს.

თალიანი ქვა ლამაზად არის გათლილი და ძველი ქართული ჩუქურთმებით შემკული. იგი ძლიერ დიდია, მას 2,5 მეტრი სიგრძე და 1,8 მეტრი განი აქვს. წონა დაახლოებით 3 ტონაა. მასზე ამოკვეთილია 7 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, წმინდაო იოვანე მახარებლო დაიცვენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერ და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექმენ, დღეს ამისა სასჯელისა ნუ დასჯი ამინ.“ (აჭმ, №15675/1).

წარწერა ამოიკითხა ნ. ბერძენიშვილმა, ხოლო პირველად გამოაქვეყნა ხ. ახვლედიანმა (1948 წ.), როგორც აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის მთავარ შემოსულობათა წიგნშია აღნიშნული, ეს ძეგლი სოფელ თხილვანადან (ხულოს რაიონი) ჩამოუტანიათ 1947 წელს.

ამ საქმის ორგანიზატორი ხ. ახვლედიანი წერილში „სიძველეთა ძეგლები ხიხაძირის ხეობაში“, რომელიც „სახალხო განათლებაში“ დაიბეჭდა 1948 წლის ოქტომბერში, წერდა: „თხილვანის ქვა აღმოჩენილია მამულაძის ეზოში. ამ ადგილიდან 50 მეტრის დაშორებით არის ეკლესიის ნანგრევი: მკვლევარი ამ ნაშთის ადგილმდებარეობასაც აგვიწერს და იქვე დასძენს: „ეკლესია სოფლის შუაში ყოფილა რამდენადმე შემადლებულ ადგილზე. ახლა აქ მხოლოდ ეკლესიის ქვის ნატეხი ყრია“ (სიხარულიძე, 1979:29).

საუკუნეზე მეტია დიდ ინტერესს იწვევს აბუსერისძე ტბელის კალენდარულ-ასტრონომიული თხზულება, რომელიც ჩვენამდე ორი ხელნაწერთაა შემორჩენილი, უძველესი XIII საუკუნისაა.

საეკლესიო სამსახურისათვის აუცილებელი საკალენდარო ცხრილებისა და მრავალ სხვათა გვერდით ავტორი ყურადღებით განიხილავს იმ განსხვავებებს, რაც ქართულ და ბერძნულ წელთსათვალავებს შორის არსებობდა. იგი დაინტერესებული ყოფილა წელთაღრიცხვის პრობლემებით, მის შედგენილ „ქრონიკონში“ ასტრონომიისა და ისტორიის ცოდნასთან ერთად

გადმოცემულია კალენდარის კოსმოსური გააზრება და ქრისტიანული ესქატოლოგია. ამ ხაზით ტბელამდე არაერთ ქართველს უმოღვაწია, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა საერო პირი. ჩვენი შწერლის ერთერთი თავისებურებაც ის არის, რომ მან ერისკაცთა შორის პირველმა მოკიდა ხელი ამ ძნელ საქმეს და შესანიშნავი სახელმძღვანელო შექმნა. როგორც ჩანს, მას ხელი არ მიუწვდებოდა სინას მთის ქართველ მოღვაწეთა მემკვიდრეობაზე, რომელთა შორის ბრწყინავს იოანე-ზოსიმეს (X ს) საკალენდრო თხზულებანი, თორემ კიდევ უფრო სრული და დახვეწილი იქნებოდა მისი ეგზომ განმაურებული და დიდი ხანია მსოფლიოში ცნობილი ასტრონომიული ტრაქტატი. მართალია, მის პირველ მკვლევარს მარი ბროსეს გაუძნელდა ამ რთულ ძეგლში გარკვევა და მისი შეფასება, მაგრამ ტრაქტატის გამოცემით და ფრანგულად თარგმნით (რაგინდ ნაკლულიც არ უნდა იყოს იგი) დიდი როლი შეასრულა მის მეცნიერულ შესწავლაში. მანვე შეიცნო პირველად ის თვალსაჩინო წვლილიც, რაც ქართველებმა დასდეს საკალენდარო-ასტრონომიული გამოთვლების საქმეს შუა საუკუნეებში.

ტრაქტატი სახელმძღვანელოდ იყო გამოიზნული და იგი პედაგოგიურადაც გამართული უნდა ყოფილიყო. ტბელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი აქაც წარმატებულია.

საგულისხმოა, რომ აბუსერისძე ტბელის ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატი კანონიზირებულია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

წმიდა ტბელის შემოქმედებითი მოღვაწეობის დახასიათება ამომწურავი ვერ იქნებოდა, თუ არ შევხებოდით მის, როგორც რედაქტორ-შემდგენელის საქმიანობას, რომლის წყალობითაც შესაძლე-

ბელი გახდა ამ ერთ-ერთი თვალსაჩინო კრებული შექმნა.

აბუსერისძე ტბელის ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრი საკითხი ჯერ კიდევ სერიოზულ ძიებას მოითხოვს...

გარდა ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობისა, ტბელი ცნობილია როგორც წმიდა და ღმერთშემოსილი მამა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმიდა ტბელის კანონიზაციით სამუდამოდ დაკანონდა მისი, როგორც წმიდა მამის პატივისცემა და შესაბამისად დაფასდა ის ღვაწლი, რითაც მან სამართლიანად მოიპოვა ქართველი ხალხის სიყვარული.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მრავალმხრივი დამსახურებისა და ღვაწლისათვის აბუსერისძე ტბელი წმინდანად შერაცხა.

მისი ხსენების დღე დადგინდა 30 აგვისტო. ქალაქ ბათუმში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე შენდება წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის ტაძარი.

#### გამოყენებული ლიტერატურა


1. სიხარულიძე ი., ნათელი დაუღამებელი, ბათუმი, 1979 წ.
2. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტომი, I, ბათუმი, 1998 წ.
3. აბუსერისძე ტბელი – 800, ბათუმი, 1999 წ.
4. გაზეთი “აჭარა” №18 1993 წ.
5. წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, “ტბელობა” 2008 წ.
6. ხალვაში რ., წმ. ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და ღვაწლი, ბათუმი-სხალთა, 2006 წ.
7. კრებული – „ტბელობა 2010” – (სხალთის ბიბლიოთეკიდან).



აბუსერისძე ტბელი



წმიდა აბუსერისძე ტბელი



აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი XIII ს.



ვერნების თაღოვანი ქვა XI-XII სს.

# ЗНАНИЕ ДЛЯ ВСѢХЪ

ОБЩЕДОСТУПНЫЙ ЖУРНАЛЪ ДЛЯ  
САМООБРАЗОВАНІЯ СЪ КАРТИНАМИ ВЪ  
КРАСКАХЪ И ИЛЛЮСТРАЦІЯМИ ВЪ ТЕКСТѢ

## ЮЖНАЯ КОЛХИДА



Берегъ Чернаго моря у Цихисдзыри.  
Рисунокъ художника Д. А. Пахомова.

ГЛАВНАЯ КОНТОРА И РЕДАКЦІЯ  
ЖУРНАЛА ЗНАНИЕ ДЛЯ ВСѢХЪ  
ПЕТРОГРАДЪ, СТРЕМЯННАЯ 12, Соб. Д.  
РЕДАКТОРЪ-ИЗДАТЕЛЬ П. П. СОЙКИНЪ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ЗА ГОДЪ 4 РУБ.  
СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ И ДОСТАВКОЙ.  
НА ПОЛГОДА 2 РУБ. НА 3 МѢС. 1 РУБ.

8

1915  
годъ

# ИЗЪ СЕРІИ КНИГЪ ЗНАНІЕ ДЛѢ ВСѢХЪ

Цѣна каждой книги 50 коп., съ перес. 65 коп.

**ВЪ ЦАРСТВѢ ЛЬДА И НОЧИ.** (Природа и человекъ на Крайнемъ Сѣверѣ). Съ 20 рисунками и 12 портретами въ текстѣ, 2 картинами въ краскахъ и картою экспедицій. Сост. *Ф. С. Груздева.*

*Уч. Ком. Мин. Нар. Пр. признана заслуживающей вниманія при пополненіи ученическихъ библиотекъ среднихъ учебныхъ заведеній.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

**ТАЙНЫ МОРЯ.** Съ 2 портретами, 38 рисунками въ текстѣ и 4 картинами въ краскахъ. Очеркъ *М. И. Сизова.*

*Уч. Ком. Мин. Нар. Пр. признана заслуживающей вниманія при пополненіи ученическихъ библиотекъ среднихъ учебныхъ заведеній, бесплатныхъ народныхъ читаленъ и библиотекъ и подлежащей допущенію въ ученическія библиотеки городскихъ училищъ.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

**ПЕРВЫЙ ЦАРЬ ИЗЪ ДОМА РОМАНОВЫХЪ.** Съ 5 портретами, 22 рисунками въ текстѣ и 2 картинами въ краскахъ. Очеркъ *Вл. П. Лебедева.*

*Уч. Ком. Мин. Нар. Пр. допущена въ учен. библ. городск. учил. и признана заслуживающей вниманія при пополненіи бесплатныхъ народныхъ читаленъ и библиотекъ.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

**НАШЪ ВѢЧНЫЙ СПУТНИКЪ — ЛУНА.** Съ 36 рисунками въ текстѣ и 2 картинами въ краскахъ. Очеркъ профессора *К. Д. Покровскаго.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

**ТУРКИ-ОСМАНЫ.** Съ 17 рисунками, 3 портретами, 4 диаграм., 3 карт. въ краскахъ и картою турецкихъ владѣній. Очеркъ *А. Г. Ширяева.*

*Уч. Ком. Мин. Нар. Пр. признана подлежащей включенію въ списки сочиненій, заслуживающихъ вниманія при пополненіи бесплатныхъ народныхъ библиотекъ и читаленъ.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

**ЗАВОЕВАНІЕ ВОЗДУХА.** Съ 7 портретами, 29 рисунками въ текстѣ и 3 картинами въ краскахъ. Очеркъ *К. Е. Вейнберга.*

*Уч. Ком. Мин. Нар. Пр. признана заслуживающей вниманія при пополненіи ученическихъ библиотекъ среднихъ учебныхъ заведеній.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

**ЖИЗНЬ И СВѢТЪ.** Съ 36 рисунками, 8 чертежами и диаграммами въ текстѣ и 2 картинами въ краскахъ. Очеркъ профессора Технологическаго Института *Б. П. Вейнберга.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

**ПОЗНАЙ САМОГО СЕБЯ.** Съ 9 портретами, 29 рисунками въ текстѣ и 4 картинами въ краскахъ. Очеркъ приватъ-доцента Военно-Мед. Акад. *К. З. Яцута.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

**ПЕРВЫЙ РУССКІЙ ПОЭТЪ.** Съ 5 портретами, 9 рисунками въ текстѣ и 2 снимками съ рукописи и съ перваго изданія сочиненія Кантемира. Очеркъ *П. В. Быкова.*

*Главн. Управл. Военно-Учеб. Заведеній рекомендована въ ротныя библиотеки военныхъ училищъ и V—VII кл. кадетскихъ корпусовъ.*

Издательство П. П. Сойкина, Петроградъ, Стремянная, 12.

სამხრეთი კოლხეთი

პროფესორ ა. ნ. კრასნოვის

ნარკვევი

36 რეპროდუქცია, მათ შორის 14 საღებავებში,  
სამფეროვანი ფოტოგრაფია და სამხრეთ კოლხეთის რუკა

1915

თარგმნა გოდერძი ტოტოჩავამ

# ЮЖНАЯ КОЛХИДА

Очеркъ

профессора А. Н. Краснова

Съ 36 репродукціями, изъ нихъ 14 въ  
краскахъ съ трехцвѣтной фотографіи,  
и картой Южнаго Кавказа

- 16419 -  
K



1915

აქტიური სტატიები  
1915

## რედაქტორისაგან

ანდრეი კრასნოვი საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც მეცნიერი–ბოტანიკოსი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის საფუძვლების ჩამყრელი და მისი ერთ–ერთი დამაარსებელი. ქართველი მკითხველი შედარებით ნაკლებად იცნობს პროფესორ ა. კრასნოვის შემოქმედებით მემკვიდრეობას. ამის ერთ–ერთი მიზეზი ისაა, რომ მისი ყველა შრომა რუსულ ენაზე გამოქვეყნდა, ხოლო მათი თარგმანით ჯერჯერობით არავინ დაინტერესებულა.

მისასალმებელია, რომ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის დირექტორმა ბატონმა გოდერძი ტოტოჩავამ ხელი მოკიდა მთარგმნელობით საქმიანობას (ეს მისი ოჯახის ტრადიციაა) და ამჯერად მიზნად დაისახა ანდრეი კრასნოვის საკმაოდ პოპულარული ნაშრომის „სამხრეთი კოლხეთი“ თარგმნა.

ამ წიგნში ავტორი ჩვეული მეცნიერული ცოდნითა და გულმოდგინებით აღწერს სამხრეთ შავიზღვისპირეთის, კერძოდ ზღვისპირა აჭარის ფლორას, ბუნებრივ პირობებსა და კლიმატს და მხარეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს. მეტი დამაჯერებლობისათვის ა. კრასნოვი შავიზღვისპირეთს ადარებს კლიმატური თვალსაზრისით მსგავს რეგიონებს, განიხილავს მის ისტორიას უძველესი დროიდან მე–20 საუკუნის დასაწყისამდე. საყურადღებოა, რომ ისტორიული თემების განხილვისას ა. კრასნოვი ობიექტურია და საკმაოდ დიდ ცოდნას ამჟღავნებს, ვრცლად აღარ ვილაპარაკებ მისი გეოგრაფიული, კლიმატური, საკურორტო და ბოტანიკური ხასიათის დასკვნებზე, რომლებშიც იგი ჭეშმარიტი მეცნიერის, მაღალი დონის მკვლევარის სახით გვევლინება.

ზემოთ თქმულის მიუხედავად ა. კრასნოვის დასკვნებში ხშირად გამოსჭვივის რუსეთის კოლონიზატორული რეჟიმის აპოლოგეტობა. ახლად დაპყრობილ ტერიტორიებს იგი „ჩვენს მამულს“ უწოდებს და არსად ამბობს, რომ ეს ძირძველი ქართული მიწა–წყალია. კოლხეთის უძვირფასესი, ჯანსაღი და მდიდარი კლიმატის ანალიზის დროს იგი არაერთხელ მიუთითებს იმ „ხალხზე“ (რუსეთის მოსახლეობაზე), რომლისთვისაც აუცილებელია ამ მხარეში დასახლება. „გვაქვს უდავოდ ულამაზესი ადგილები არამარტო შავ ზღვაზე ალბათ მთელს ქვეყანაში. ზაფხულობით თოვლიან ფონზე დასვენება საუცხოოა ისე, როგორც იტალიაშიო“ – ამბობს ავტორი და შემდეგ: „რუსი კაცისათვის ნაკლებად ცნობილი მხარე, განთქმული თავისი ვეებერთელა ფორთოხლის ხეებით, განხვადდება ჩრდილოეთისაგან.“

ავტორი გმობს ხელისუფლების „ზოგიერთ ღონისძიებას, რომელიც ხელს უშლიდა რუსულ მოსახლეობას აქ საკუთრების შექმნაში... რომელსაც სურდა დასახლებულიყო თავისებურად სწორ ადგილზე, მდინარესთან, როგორც საკუთარ სამშობლოში“ და ა.შ.

ამ ფრაზებში თითქოს არაფერია არაჩვეულებრივი, რა მოხდა დიდმა იმპერიამ დაიპყრო სამხრეთი კოლხეთი, მზიური მხარე და ახლა აქ თავისი ხალხი დაასახლოს. პირადად მე ეს დამპყრობის მხრიდან ბუნებრივ მოვლენად მიმაჩნია, მაგრამ ჩემთვის უჩვეულოა, როცა ასეთი დიდი მეცნიერი ერთ სიტყვასაც არ იმეტებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე, არაფერს ამბობს რა მოუტანა ახალმა პატრონმა მკვიდრ მცხოვრებლებს, გარდა მშრალი შეპირებებისა, რომ „კახაბრის ფართო დაბლობის ბოლოში განლაგებულია ბათუმი, რომელიც პირველი ადგილია, სადაც რუსული კულტურა მყარად დამკვიდრდაო“. როგორ დამკვიდრდა რუსული კულტურა, ანდა ვის სჭირდებოდა იგი, როგორ იცავდა დამპყრობელი ადგილობრივთა ენას, რწმენას და მამულის საკუთრებას, ეს საყოველთაოდ ცნობილია, ავტორიც იმეორებს იმდროინდელ ფრაზებს. ეს ცალკე განხილვის თემაა. ტენდენციურობაში მართლაც ა. კრასნოვს ვერ დავადანაშაულებთ, თუმცა შეგზარავთ მისი გამონათქვამი: „თუ თქვენ ამ დაბლობის კულტურული ზონიდან მდინარეთა ხეობებს აყვებით მთებში თქვენ იქ, ხშირ ტყეებს შორის ნაწილში ნახავთ ძველი თურქული ცხოვრების იდეალურ სურათს... ცხოვრობენ თურქები რუსების გვერდით, მაგრამ მათგან არაფრის გადმოღება არ სურთ...“ ავტორს მხედველობაში აქვს არამარტო აჭარისწყლისა და ჭოროხის, არამედ კინტრიშის, დაგვისა და ჩაქვის ხეობები, „სადაც თურმე ცხოვრების ისეთივე წესია, როგორც 30 წლის წინ იყო“. შესაძლოა რაიმე დარგში მართლაც ჩამორჩებოდა მოსახლეობა, სადაც ერთ თურქსაც კი არ

აჭაჭანებდნენ, თურქებად მიიჩნიო და თურქული ცხოვრების წესი დასწამო, სრულიად მიუღებელია და უმეცრებას ან ვითარების შეგნებულ დამახინჯებას შეიძლება მივაწეროთ.

ნათქვამის მიუხედავად მკითხველი ამ წიგნში მაღალი კლასის მეცნიერ-ბოტანიკოსის ღრმა შინაარსის დასკვნებსაც ამოიკითხავს, ასევე დეტალურად გაეცნობა მხარის (სამხრეთი კოლხეთის) ბუნებრივ პირობებს, კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოს და იმ სამომავლო წარმატებებს, რომლებსაც მართლაც მიაღწია საქართველოს შავი ზღვისპირეთის ამ მადლიანმა და თვალწარმტაცმა მხარემ.

**რამაზ სურმანიძე**  
**20 სექტემბერი, 2013 წ**

## სამხრეთი კოლხეთი

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის,  
ეს განწირული სულისკვეთება  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო მაინც დარჩება...

/ნ. ბარათაშვილი/

შორეული წარსულის ბინდ-ბუნდში ქრისტიანობამდელ ისტორიაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა. ეგვიპტელი ხალხი ძირითადად, მშვიდობიანი და მიწათმოქმედი, ჩაერთო ფარაონ სეზიტრისის პატივმოყვარულ ჩანაფიქრში და მოაწყო უზარმაზარი ლაშქრობა ჩრდილოეთ ქვეყნებში. ისინი გადმოსხდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ფლოტის თანხლებით, რომელიც მიჰყვებოდა მას სანაპიროს გასწვრივ, შემოუარეს შავ ზღვას და იპყრობდნენ მათ გზაზე განლაგებულ ქვეყნებს, მაგრამ სუბტროპიკული სამხრეთის შვილებს არ მოეწონათ სკვითის სტეპები ზამთრის თოვლით, ყინვებით და უჩვეულო მთიანეთი კავკასიის შავი ზღვისპირეთში. ბოლოს მათ წინ გადაიშალა ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან დაცული, თითქმის უზამთრო რიონის დაბლობი, მათ მოეჩვენათ, რომ კვლავ იხილეს თავიანთი სამშობლო - ნილოსის დაბლობი, ქვეყანა რომელშიც იყო ეგვიპტური მცენარეები, ძალზე წააგავდა თავიანთ ქვეყანას. დაღლილმა მეომრებმა, თბილი დაბლობების შვილების, ჰგიქსოსებს და ეგვიპტელების შთამომავლებმა, უარი თქვეს ახალ თავგადასავლებზე, რომელიც მათ ელოდებოდათ დათოვლილ მთებზე. ფარაონმა-სარდალმა თავისი მეომრების ნაწილი დაითანხმა, რომ წაყოლოდნენ მას. დარჩენილებმა დააარსეს მეორე ეგვიპტე შავი ზღვის სანაპიროზე.


ისინი აქ, როგორც თავის სამშობლოში, შეუდგნენ სელის მოყვანასა და ტილოს დამუშავებას. სარდონული ტილოც. ეგვიპტელების მსგავსად განთქმული იყო ძველ სამყაროში, როგორც ერთადერთ დამზადების ტექნოლოგიით ანალოგი იყო ამ სახეობის ქსოვილისა.



ქალაქი ართვინი

მეომრები ქორწინდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და მალე შეერწყნენ მათ. ასე ჩამოყალიბდა კოლხი ხალხი, რომელმაც კიდევ დიდხანს შეინარჩუნდა ეგვიპტური კვალი. ახლა ეს კვალი შენარჩუნებულია ზოგიერთ სიტყვაში. მაგალითად: კარი, რომელიც აღნიშნავს ქარს და ასევე კარს. თითქოსდა შეგვახსენებენ, რომ ეგვიპტელებს ჰარის გასანიავებლად გააჩნდათ მხოლოდ კარი, რაც არ შეიძლება ითქვას მეგრულ სახლზე. კატა ეგვიპტელთა წმინდა ცხოველი დღემდის პატივშია კოლხეთში, გაზაფხულობით მის ქალაქებში კაცების კონცერტები ეწყობოდა ყველა სახლში. ძველ დროში ეგვიპტელები და კოლხები, ჰეროდოტეს სიტყვებით, იყვნენ ერთადერთი ხალხი,

რომლებსაც პრაქტიკაში ჰქონდათ წინდაცვეთა, მათგან წინდაცვეთა ისწავლეს უახლესმა მეზობლებმა მაკრონებმა ანუ ჭანებმა, შემდეგ სირიის და სხვა ქვეყნების ხალხებმა.



ჭანი (კოლხი)

ამ ისტორიკოსის მოწმობით, ორივე ხალხს ახსოვდა თავისი ნათესაობის შესახებ, თუმცა კოლხებმა უფრო შეინარჩუნეს ხსოვნა ეგვიპტეზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხეთზე. ასეთი ხსოვნა უნდა შენარჩუნებულიყო იმ ხალხებში, რომლებიც ცხოვრობდნენ მცირე აზიის სანაპიროებზე, ხმები მდიდარ კულტურულ ცენტრზე რიონის შესართავებთან (ფაზისი ძველად) დააინტერესებდა ამ სანაპიროზე მცხოვრებ მომხვეჭელობით შეპყრობილ ავანტურისტებს, რომელთაც ოდესღაც ეწვია სეზოსტრისი. ერთ-ერთი ყაჩაღური ექსპედიციის ბედზე კარგადაა ცნობილი გადმოცემაში არგონავტებზე. ჩვენთვის ნაკლებად საინტერესო ლეგენდარულ მხარეს თუ უკუვაგდებთ, შეუძლებელია არ დავინახოთ ისტორიული ფაქტიკოლხეთის მეფე აიეტი დაედევნა ოქროს საწმისის გამტაცებელს იაზონს, თავის ქალაქ კუტაიდიდან, ზღვით და ეწეოდა კიდეც, დევნა რომ შეეჩერებინა, იაზონმა მოკლა აიეტის ძე აფსირტე, რომელიც ჰყავდა აყვანილი არგოზე, დაანაწევრა ნაწილებად და ზღვაში გადაყარა. მდევრები შეჩერდნენ, რათა ზღვიდან ამოეღოთ მისი ძის გვამის ნაწილები. ამით აიეტმა

მისცა საშუალება არგონავტებს მიმალულიყვნენ, რადგანაც შვილის დაკრძალვა გადაწყვიტა არა სახლში, არამედ მახლობელ სანაპიროზე. შემდგომში აქ იქნა აღმართული ტაძარი, აშენდა ქალაქი აფსაროსი, თეატრით, ჰიპოდრომით და ძველი ქალაქებისათვის დამახასიათებელი თვისებებით. სტრაბონის დროს ქალაქიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ ნანგრევები. ამ გეოგრაფის მოწმობით, აფსაროსი მდებარეობდა რამდენიმე სტადიონზე თურქეთის ლაზისტანის სოფელ ათანადან, სადაც მაკრიალის სიახლოვეს, სადაც ახლაც შემორჩენილია ძველი ტაძრის ნანგრევები, აქ შესაძლოა დაკრძალულია აფსირტე. ძნელია იფიქრო, რომ აიეტმა თავის ძე უცხოეთში დაკრძალა, ეს არ შედიოდა წინაპართა ტრადიციაში და არც იყო საჭიროება, რადგანაც სამშობლო ახლოს იყო. ასევე, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ხეობაში მცხოვრები ჭანები, აიეტის ნათესავნი იყვნენ, აქ მცხოვრებთა შორის ასევე დამკვიდრებული იყო კოლხებიდან გადმოღებული წინდაცვეთის წესჩვეულება. აქაური მოსახლეობა ახლაც ლაპარაკობს ენაზე, რომელიც ძალზე ახლოსაა მეგრულთან. მეგრელების უმრავლესობა კი კოლხების შთამომავლად თვლის თავს. მოგვიანებით კოლხებს ლაზებს უწოდებენ. ახლა კი ლაზებს უწოდებდნენ ჭოროხს გაღმა მოსახლეობას, რომელთა ნაწილი თავის თავს ჭანს უწოდებს. ქართულად ჭანი ნიშნავს „დაბლობზე მცხოვრებს“, ამიტომაც არ არის საფუძველი, რომ ჭანები განსაკუთრებულ ხალხად ჩავთვალოთ.

ძველად კოლხების ანუ ლაზების ქვეყანა წარმოადგენდა მთელ ზღვისპირეთს სამეგრელოდან ტრაპიზონის შემოგარენამდე. მათი მცხოვრებნი არავის გაუნადგურებია, ამიტომაც ჩვენ მართალნი ვიქნებით თუ ლაზებს ჩავთვლით კოლხების შთამომავლებად. მიუხედავად იმისა, რა სახელწოდებას ატარებდა ეს ქვეყანა ლაზიკა, იმერეთი, გურია, ქუთაისის გუბერნია თუ ბათუმის ოლქი და ვისი კუთვნილება იყო ისტორიკოსებისთვის იგი ყოველთვის იყო და არის კოლხთა ქვეყანა ანუ კოლხეთის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც უკავია რიონის დაბლობს, შეადგენს ბუნებრივად ჩრდილოეთ კოლხეთს.

ასევე ბუნებრივი რაიონი იქმნება მისი სამხრეთი ნაწილით აჭარის მთების კალთებიდან და მათი გაგრძელება ჭოროხს გადაღმა, ზღვიდან მდინარე ჩოლოქამდე ქობულეთიდან თურქეთის საზღვართან, შემდგომ ტრაპიზონამდე. ამ ქვეყანას, რომელიც წარმოადგენს გრძელ სანაპირო მონაკვეთს, შემდგომში ჩვენ მონათხრობში ვუწოდებთ

სამხრეთ კოლხეთს და შემოვიფარგლებით მისი იმ ნაწილის აღწერით, რომელიც ეკუთვნის რუსეთს.



ლაზი მილიციონერები

ყვავილები, როგორც ივლისში ჩრდილოეთში. გაკვირვებული ხარ, როცა გამოსცდები სამხრეთ რუსეთის გამოძვარ სტეპებს, აქ კი შემოდგომით აყვავებულ მდელოებსა და ბუჩქნარებს შორის დასეირნობ, აქ ფოთლები ცვივა თანდათან, თხმელა აქ მწვანედ დგას შუა დეკემბრანდე ისე, როგორც ამერიკასა და იაპონიაში, მცენარეთა რიგი დაფარულია კაშკაშა მწვანეთი. იაპონური ნეკერჩხლები ჩაქვში ისეთივე ეფექტურნი არიან, როგორც ამომავალი მზის რომელიმე ქვეყანაში.

ჩვენი აზრით, მთელს დედამიწაზე, სამხრეთ კოლხეთის კლიმატი ყველაზე ახლოსაა დასავლეთ ევროპის კლიმატთან. კერძოდ, სამხრეთ საფრანგეთის ოკეანისპირა, ან პირინეის ნახევარკუნძულის, მაგრამ სრულიადაც არა რივიერისა, როგორც უყვართ მასთან შედარება, რივიერესთან იგი მხოლოდ საშუალო ტემპერატურითაა ახლოს (+14,5 გრადუსი ც.). რივიერას ზაფხული მშრალია, ზამთარში ნალექი მცირეა, წელიწადის სხვა დროებში აქ ნალექი უხვია განსაკუთრებით შემოდგომაზე, ხოლო კოლხეთის ზამთრის დღეები არ ჩამოუვარდება ნორვეგიულს, თუ გავითვალისწინებთ სამხრეთის მაცხოვრებლის შეუფუებლობას ნესტიან სიცივესთან, ეს სიცივეები ბევრად ძნელად გადასატანია ვიდრე ნორვეგიაში. მათ საშინელებას გამოისყიდის ხოლმე კარგი ამინდების ინტერვალი, როცა სამხრეთის მზე ანათებს და ათბობს არა ნაკლებად ვიდრე რივიერაში. კოლხეთის კლიმატი ისეთივე არამდგრადია, როგორც დასავლეთ ევროპისა, ამის მიზეზებია ხშირი ციკლონები, მათი მცირედი შესწავლის გამო, არა გვაქვს საშუალება ვიცოდეთ მოცემულ სეზონში, როგორი იქნება ამინდი – მშრალი თუ სველი. მაგრამ ბათუმის სანაპირო ძირითადად გახსნილია სამხრეთ-დასავლეთის ქარებისათვის, რომელიც მოაქვთ ციკლონებს, და

ზღვასთან სიახლოვის გამო, კოლხეთის კლიმატი, დასავლეთ ევროპის დარად, სუფთა ზღვიურია. განსხვავება ზაფხულის და ზამთრის (განსხვავება ივლისის და იანვრის ტემპერატურებს შორის 17 გრადუსია) ტემპერატურებს შორის აქ ნაკლებია, ვიდრე მეზობელ იმავე განედის მდებარე ადგილებში და ახასიათებს წლის დროების შეგვიანება. ზამთარი აქ ჩვეულებრივ დგება იანვარში, დეკემბერში აქ საკმაოდ თბილა, თოვლის საფარს აქ ახალ წლამდე ვერ ნახავ. სამაგიეროდ ყინვები შეიძლება იყოს მარტში. ნიადაგი სველი და ცივია, თბება ნელ-ნელა. ტყეები უხვად იმოსება მწვანეთი და გაზაფხული აქ გრძელდება ივნისამდე. მარტი აქ უფრო ცივია ვიდრე დეკემბერი (საშუალო ტემპერატურაა 8,3 გრადუსი და 8,9 გრადუსი), აგვისტო ისეთივე თბილია, როგორც ივლისი (საშუალო ტემპერატურაა 23 გრადუსი) სექტემბერში (19,8 გრადუსი) მინდვრებში კიდევ ჰყვავიან



თურქი<sup>2</sup>, ხარითა და კამეჩით

ზოგიერთ წლებში ნალექები შეაგენს 3000 მმ. წლის განმავლობაში 1500 მმ-ზე ნაკლები არასოდესაა.<sup>1</sup>

ამ მხარეში დასავლეთის ქარები, მუდმივი წყაროა წვიმისა და ავდარისა. ბათუმში სახლების დასავლეთ კედლებს აკრავენ ლითონს, ისევე როგორც სახურავებს, მუდმივი ნესტის გამო ნესტიანდებიან კედლები და ზიანდება შენობები. მაგრამ ეს ქარები ქმნიან კოლხეთში შედარებით გრილ ზაფხულსა და რბილ ზამთარს. აქ არ დაფიქსირებულა ყინვები 7,5 გრადუსზე დაბლა. შავი ზღვის ზედაპირზე თავს იყრის ამ მხარის თბილი წყლები, მაშინაც კი როცა ზამთარში ქრის ჩრდილო დასავლეთის ქარი და ტემპერატურა

მთელს სანაპიროზე ეცემა, აქ კოლხეთის დაბლობზე 2-3 გრადუსით უფრო თბილია. მკაცრი ზამთრის პერიოდში, როცა გაგრასა და სოხუმში ილუპებოდა ნაზი მცენარეები – აქ კი ზღვის ამ გავლენის წყალობით ეს მცენარეები ინარჩუნებენ სიცოცხლეს.

ციკლონის გადავლის შემდეგ ქარის მიმართულების შეცვლისას ჩრდილო-დასავლეთით, ყოველთვის შეიმჩნევა ტემპერატურის ვარდნა. როცა ევროპაში გაბატონებულია აღმოსავლეთის სუსხიანი ქარები, აქ სიწყნარეა, მხოლოდ ქრის დილის სუსტი ქარი, რომლის დროსაც ტემპერატურა იშვიათად ეცემა - 3 გრადუსზე დაბლა, წყნარი, უქარო დღეები იშვიათია 36,8 %. რომელიც ჩვეულებრივია სამხრეთ კოლხეთისათვის. იგი კეთილისმყოფელია ავადმყოფებისათვის, განსაკუთრებით ნერვიული და დიაბეტით დაავადებულთათვის.

სამხრეთ კოლხეთი, ყველაზე ჩრდილოეთითაა დედამიწის ტენიან სუბტროპიკებს შორის და ამასთან ერთადერთი ნამდვილი სუბტროპიკია ჩვენ ქვეყანაში. მთელი რუსული სამფლობელოები, მათ შორის ამიერკავკასიაც ეკუთვნის ე.წ. ბარიქიმონური ქვეყნების ტიპს, ანუ სადაც სუფევს ცივი ზამთარი. აქ ტემპერატურა ეცემა 10 გრადუსზე, მცენარეები, რომლებიც ვერ ასწრებენ ფოთოლცვენას და თავისი ნაზი ნაწილების ქერქის, კვირტების ქერცხლის დამალვას მიწაში ილუპებიან.

<sup>1</sup> ნალექები საშუალოდ მოდის 2251,8 მმ. ოთხ წელიწადს, 13 წლის განმავლობაში მოდიოდა არანაკლებ 2000 მმ. მაქსიმალური რაოდენობა იყო 1903 წ. 2975 მმ. აქედან ზამთარში მოდის საშუალოდ 642 მმ, ზაფხულში 542 მმ, გაზაფხულზე 327 მმ, შემოდგომაზე 740 მმ. უმეტესად ნალექიანი დღეებია ზამთარში 42 დღე წლის სხვადასხვა დროს კი 36 დღემდე.  
2. ეს აჭარელი ან ლაზია, მაგრამ ავტორი თურქად მოიხსენიებს (მთარგმნელი)

რუსეთის უკიდურესი ჩრდილოეთი მდებარეობს კიდევ უფრო მკაცრ ზოლში. მხოლოდ



ქურთები ბათუმის ოლქში

შავი ზღვის სანაპიროა გარდამავალი ზოლი სუბტროპიკებისკენ, მაგრამ აქაც ზოგჯერ ტემპერატურა მკაცრ ზამთარში 10<sup>0</sup> C ეცემა, რაც სპობს სამხრეთულ ჯიშებს, რომლებიც ჩვეულებრივ ადმონციენდებიან განსაკუთრებულად დაცულ ადგილებში, ადამიანის გამლიერებული ზრუნვის შედეგად. ახლა კოლხეთში სხვა მცენარეებთან შედარებით სუბტროპიკული მცენარეები წამყვანია. მხარის წამყვან კულტურულ მცენარეებს შორის ჩაის, მანდარინს, ბამბუკს უჭირავთ გაბატონებული ადგილი. მცენარეები კლიმატურად ენათესავებიან იაპონიის, ჩილეს, ფლორიდის, ახალი ზელანდიის და ჰიმალაის სამხრეთ კალთების ტენიან სუბტროპიკებს, თანაც არა მხოლოდ წარმატებით ვითარდებიან, არამედ ერთხელ

დამკვიდრებულნი ნიადაგში, ადამიანის ჩარევის გარეშეც მრავლდებიან და გამოდევნიან ადგილობრივ ჯიშებს. კოლხეთის კლიმატი ზუსტად პასუხობს წარმოდგენებს ტენიან სუბტროპიკულ კლიმატზე. თერმომეტრის სინდიყი არასდროს ვარდება-10 გრადუსს ქვემოთ. ზამთარში, იანვარში, მიუხედავად იმისა, რომ თოვს, აქ ყვავის მრავალი მცენარე: ციკლამენები, იები, ადგილობრივი ჯიშის პრიმულები. აკაცია, დეალბატა ულექს ჰიმონატუსი ეგზოტებიდან; არაფერს ვამბობთ თხილნარზე, თხემლაზე, ასევე შეუმჩნევლად მოყვავილე ჯიშებზე. მრავალი ხე ითვლება მარადმწვანედ, ამიტომაც აქაური ზამთარი-მწვანე ზამთარია, მიუხედავად თოვლის იშვიათობისა. მრავალი ბოსტნეული მაგალითად: ყვავილოვანი კომბოსტო, მშვენივრად ხარობენ ზამთარში, მრავალი გვიმრა ამწვანებულია მთელი ზამთრის განმავლობაში.

სამხრეთ კოლხეთის არა მარტო კლიმატი, არამედ ნიადაგი, ფლორა და ფაუნა, ქმნიან გარემოს, რომლის მსგავსის ნახვა რუს კაცს ნაკლებად შეუძლია ქვეყნის სხვა ადგილებში. ნაკლებად დაკვირვებული ტურისტიც კი შეამჩნევს, ბათუმის შესასვლელთან მთების კონტურებს, რომლებიც არშიად არტყია ზღვისპირეთს, რომ ის არაა ისეთი როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ზღვისპირეთში. აქ არ არის გამორჩეული მწვერვალები, ღრმა ხეობები. მთები მნიშვნელოვან სიგრძეზე ინარჩუნებენ თითქმის ერთი და იგივე სიმაღლეს, ზღვასთან მიყრდნობილ, მიბჯენილ განშტოებებს. ისე როგორც ციხისძირში, მწვანე კონცხზე მთები ჭოროხს გაღმა მხარეში. შიგნით ორი გამონაშვერი ქმნის ღრმულს რომლებიც ნახევარწრედ არიან განლაგებული ბათუმის ფორტების სიმაღლეზე ისე როგორც მთებით შემორტყმული დარეცხილი კრატერის ნაწილები, მსგავსად სომოს სიმაღლეებისა რომლებიც გარს ერტყმიან ვეზუვის კრატერს. ეს გარეგნული მსგავსება ბათუმის მთებისა, რომლებიც თავისი გვერდებით ეხებიან გოლიათური სიმაღლის კრატერებს, რომლის დასავლეთი ნაწილი ჩამოჭრილია ზღვით და დღემდე აგრძელებს სანაპიროს ჩამორეცხვას – რასაც ადასტურებს მთების აგებულება. ქანები რომლებიც მას ქმნიან არც გრანიტია, არც კირქვა და არც მლაშობი ან სხვა დანალექი ქანები, რომლებიც შეიმჩნევა მთიან ადგილებში, არამედ არის ამოფრქვევის პროდუქტი – მსხვილი თუ მცირე კომტიმიწის წიაღიდან ამოფრქვეული განადნობი ლავისა, რომლის შედუღება მოხდა მკვირვ კომპაქტურ გაქვავებულ ვულკანურ ფერფლთან. ადგილ-ადგილ შერეულია ამოფრქვეული ქანების ძარღვებთან შეჩერებული ლავის ნაკადთან ამ ნაყარ მასალასთან.



აჭარის მცხოვრები  
ეროვნულ კოსტუმში

ამიტომაც, ვეზუვის ან ეტნის, ან არარატის ფერდობებზე, თქვენ დადიხართ ვულკანურ გრუნტზე ბათუმის სანაპიროზე კი ხედავთ მკაფიოდ განსხვავებულ ვულკანური წარმოშობის ქვეყნის რელიეფს.

თუ ჩვენ პირველი შეხედვით ვერ ვამჩნევთ ამას, ეს იმიტომ, რომ ქანების გამორეცხვა ხდება ნოტიო კლიმატის გამო და ისინი გადაიქცნენ მოწითალო-წაბლისფერ თიხად. გზისპირა თხრილებში შეიძლება დავინახოთ, რომ ეს პროცესი ერთი საუენის სიღრმეზე ან უფრო ღრმადაა. მხოლოდ სიღრმეში დავინახავთ გადასვლას ფუძე ქანებში, ნახევრად გამოფიტულ გუნდებს ყოფილი ვულკანური ყუმბარების ნატეხების, რომლებიც იძლევიან კონგლომერატს, შემდეგ კი სრულიად გამოუფიტავ ქანებს. თავისი წითელი ფერით ბათუმის გრუნტი ძალიან გვაგონებს ტროპიკული ქვეყნების წითელი ფერის ნიადაგს, ე. წ. ლატერიტებს. ჩაქვის ბევრი ადგილი, ჩაის პლანტაციებით დაფარული საოცრად ჰგვანან ცვილონის ლანდშაფტს. მაგრამ იქ ლატერიტები არსებითად არიან გრანიტების და სამთო ქანების გამოფიტვის შედეგები, რომელთაგანაც ტროპიკული წვიმები გამორეცხავენ ყველა ხსნად ნივთიერებას, გარდა რკინისა, რომლის გამორეცხვაც ნიადაგიდან შეუძლებელია, რადგანაც იგი ხსნადია მხოლოდ მაშინ, როცა უერთდება ჰეროგენულ მჟავებს, რომელიც ყალიბდება მცენარეული ნარჩენების ლპობის შედეგად. ტროპიკებში კი ლპობა წვიმების შემდეგ

ისე ჩქარია, რომ მჟავები ამ ნიადაგში არ არის და რკინა იძენს სიმჟავეს ჟანგის ფორმით გროვდება ნიადაგში და აძლევს აგურისფერ წითელ ფერს. სამხრეთ კოლხეთში ნემომპალას ჩქარი რღვევა ჩვეულებრივ ხდება სამხრეთის ფერდობებზე. აქ ჭარბობენ ლატერიტები, ხოლო უფრო ნოტიო, ჩრდილო - ეთისაკენ მიმართულ ადგილებში უფრო მეტი ნემომპალა ნიადაგშია და იგი შავია, ხოლო ქვემოთ ნიადაგი არის მოყვითალო თეთრი თიხა. ეს უკანასკნელი, როგორც წითელმიწნარი, ღარიბია მკვებავი მარილებით. ეს სრულიად საპირისპიროა სტეპის შავმიწნარისა. აქ რომ მოვაშენოთ ბოსტანი, ნარგავების კარგად განვითარებისათვის დასჭირდება იმაზე მეტი სასუქი, ვიდრე სხვაგან.

გარდა იმისა, რომ რუსი კაცისათვის ეს გრუნტი უჩვეულოა, აქ იგი შეამჩნევს იშვიათ მოვლენებს განსხვავებით მისი სამშობლოსაგან.

რუსეთი კონტინენტალური ქვეყანაა. მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ხვდება ზღვის სანაპიროსთან. გარდა ამისა ჩვენი ხალხისათვის ცნობილია ზღვის სანაპიროები, რომლებიც ნელ-ნელა უკან იხევენ ხმელეთისკენ. ასეთი სანაპიროებისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია ქვიშის დიუნები, რომლებიც ზღვას გამოყოფენ ხმელეთიდან, როგორც ეს ბალტიის ზღვაზეა. ზღვა აგორებს ფართო ზოლის კენჭებს და აცალკევებს მათ ერთმანეთისგან, აქუცმაცებს მათ შორის მოქცეულ ორგანიზმებს, ამიტომაც სანაპირო ერთფეროვანი და უდაბურია.

შავი ზღვის დონე სამხრეთ კოლხეთში ათი საუენით მაღალი იყო დღევანდელზე, რაზეც მიუთითებს მრავალი ადგილი, მაგრამ ტალღების “მუშაობა” სამხრეთ კოლხეთის სანაპიროებთან იმდენად ძლიერია, რომ აქ ისე როგორც იმ ადგილებში, სადაც ზღვა

უტევს ნაპირს, ხდება სანაპიროს მუდმივი რეცხვა ძველ ბათუმელებს ახსოვთ ბევრი ისეთი ადგილი, სადაც ოდესღაც თესავდნენ სიმინდს, იდგა ნაგებობები ახლა კი ტალღები ბობოქრობენ. საკუთრივ ბათუმში ბულვარის ბოლოს, სადაც აღმართულია გიმნაზია, ძლიერი რეცხვის გავლენის ქვეშაა, ხოლო თვით გიმნაზიას ემუქრება საშიშროება. იგი შეიძლება ზღვაში აღმოჩნდეს. ოდნავ მოშორებით ზღვა ართმევს რამდენიმე საუენ მონატან ნაპირს, როგორც ყველგან, სადაც ზღვა უტევს სანაპიროს შეჭრილია კლდეები, რომლებსაც უტევენ მოქცევის ტალღები(ახლა ზღვამ საკმაოდ უკან დაიწია. მთარგმ. შენიშვნა). ეს შეიმჩნევა ციხისძირში, მწვანე კონცხზე და თურქეთის საზღვართან.

ამ კლდეებში თავს აფარებენ ზღვის ცხოველები და მცენარეების ორგანული სამყარო-მწვანე, წითელი და წაბლისფერი წყალმცენარეები, კიბო - განდეგილი, კიბორჩხალები, სხვადასხვაგვარი მოლუსკები, როგორც მიდიები, ისე ქიტონები, ისინი, რომლებიც დაცულნი არიან თავიანთი ნიჟარების ფარებით ტალღების მოქცევის დროს ეკვრიან კლდეებს.

თუ აქ ქვა იშლება ატმოსფეროს ზემოქმედებით, არა ნაკლებად ენერგიული და დამშლელია ზღვის ქმედება. თურქეთის საზღვართან ახლოს, სარფისა და ლიმანის შემოგარენში, გვაქვს უდავოდ ულამაზესი ადგილები არა მარტო შავ ზღვაზე, ალბათ მთელს ჩვენს ქვეყანაში. გაზაფხულობით თოვლიან ფონზე მთებში დასვენება საუცხოოა ისე როგორც იტალიაში, ლურჯი ზღვა ელამუნება საოცარ კლდოვან სანაპიროს, რომელიც შემოსილია მწვანედ ყვავილოვანი როდოდენდრონებით, აზალიებით და კესანეებით როგორც სადაც ბიარცაში მძლავრი ტალღები აღიმართებიან ნახევარი ვერსის სიღრმიდან და ანიჭებენ ნორვეგიული კლდე ფიორდების პირველყოფილებას, თხრიანმასში ღრმა გამოქვაბულებს ან გამოგლეჯენ მას როგორც იაპონიაში მცირე კუნძულებს, რომლებიც შემოსილი არიან მცენარეულობით (უჩყარდაში).მათთან მიახლოება შესაძლებელია მხოლოდ დაბალ ფსკერიანი ფელუკებით. ჩქარი მდინარე ჭოროხი, ძველების აკამფისისი, რომელიც აიძულებდა ძველად ზღვასწინებს შორიდან შემოევლოთ შესართავისათვის, რათა თავი დაეღწიათ ძლიერი ტალღებისაგან.ისე როგორც უკიდურესი სამხრეთი იტალიაში, რუსი კაცისთვის ნაკლებად ცნობილი მხარე განთქმული თავისი, ვეებერთელა ფორთოხლის ხეებით, განსხვავდება ჩრდილოეთისაგან, სადაც ზღვის მოქმედება არა ნაკლებ ყურადსაღებია.

თვით ბათუმში, ზამთრის ქარიშხალი ნელ-ნელა რეცხავს სანაპიროს ერთ ნაწილს, მთავრის კენჭებს მეორე ადგილს. ზღვის მოქმედების შედეგად, ალბათ დიდი ხანია, გაირეცხებოდა სანაპირო, ზღვის დონე რომ არ იცვლებოდა. როგორც ჩანს ტალღები ელამუნება ზღვის ყოფილ ფსკერს. ამ ფსკერის გათავისუფლება წყლისგან უფრო ჩქარია, ვიდრე ხმელეთის კვლავ დაპყრობა. კოლხეთის მთელს ტერიტორიაზე ვნახეთ იმის მტკიცებულება, რომ ისტორიამდელ პერიოდში, იგი ზღვით იყო დაფარული და ზღვა ისევე მუშაობდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. კახაბრისა და ჩაქვის დაბლობების ქვენიდაგი შედგება კენჭებისაგან, რომელიც ზღვას დაუგროვებია. გამოცდილი თვალი შეამჩნევს მაღლა მთებშიც, ტერასებზე, ზღვისა და მასში შემდინარე მდინარეების მუშაობის შედეგებს განსაკუთრებით თვალში საცემია ასეთი ტერასები აჭარისწყლის შესართავთან. მათი ნახვა შეიძლება სანაპიროს სხვა ადგილებშიც. ამ ნაშენს პოულობენ მთებში მნიშვნელოვან სიმაღლეზე ზღვის დონიდან. უნდა ვივარაუდოთ კოლხეთის მთების ფორმირების მომენტში ისინი მთლიანად იყვნენ დაფარული წყლით, რომელიც მსგავსია, ვულკანური არქიპელაგისა ან სანტორინის წყალქვეშა ვულკანებისა.

ისევე როგორც ვულკანური კუნძულები, რომლებიც აღმოცენდნენ ზღვის ფსკერიდან, წყლისაგან თავისუფალი ხმელეთის უბნებზე არ შეიქმნებოდა საკუთარი ფლორა და ფაუნა, მხოლოდ შემდეგში, დროთა განმავლობაში, შემოგარენი მთებიდან მოხდა მათი დასახლება. მაგრამ გამძვინვარების პერიოდში, გარდამავალი ეპოქის სუბტროპიკული მცენარეულობა თითქმის განადგურდა ევროპასა და კავკასიაში, ახალ ტერიტორიაზე კი შესაძლებელია მოხვდნენ კავკასიის სანაპიროზე ბარიხიმონური ფლორის წარმომადგენლები. ვფიქრობთ ამით უნდა აიხსნას, რომ ბათუმის სანაპირო ძალზე მწირია ორიგინალური სახეობების მცენარეებით, თავისი ხასიათით მთლიანად უახლოვდება სანაპიროს სხვა ფლორას, რასაც

ბოტანიკოსები აერთიანებენ ე.წ. პონტოურ მხარესთან. არსებობის კარგი პირობების წყალობით, ფლორა აქ ვითარდებოდა განსაკუთრებულად კარგად, რამაც უპირატესობა მისცა ამ სუბტროპიკულ მცენარეების სიჭარბეს, რომლებმაც გადაიტანეს მკაცრი გეოლოგიური წარსული და უვნებლად გადაურჩნენ მესამეულ პერიოდს



მდინარე ჭოროხი



## ზღვის ნაპირი სოფელ სარფში

მიუხედავად თავისი სიმწირისა, ადგილობრივი კოლხური ფლორა ატარებდა სუბტროპიკულ სახეს. ტყეებში იგრძნობა წიწვოვანთა დამახასიათებელი სიმცირე, რადგანაც ოდითგანვე თითქმის გაანადგურეს ადამიანებმა, იყო ურთხელი ანუ წითელი ხე, ხოლო ფოთლოვანი მცენარეებიდან მისთვის ძალზე დამახასიათებელია და გავრცელებულია: წაბლი, წიფელა და რცხილა, ხოლო მისი ქვეტყე შედგებოდა მარადმწვანე სახეობებისაგან, რომლებიც სანაპიროზე ღებულობდნენ ხის სახეს – წყავი, შქერი, (როდინდრონი) იელი, ბამგი და ბზა, მოცვის ხეები, ხურმა, ესენი ხშირად გვხვდებიან სუბტროპიკული გვარის ბარდნალში. ტყეები გაუვალი იყო – გადახლართული ეკალიჭებით, სხვადასხვა სახის ლიანებით, ცხრატყავათი, რაც აძლევდა უცხო იერს ჩვენი (იგულისხმება რუსეთი. მთარგმ. შენიშვნა) ბარახიმონური ზონის ტყეებს როგორც სუბტროპიკულ ბუნებას ახასიათებს. ხის ტანზე მიყუჟულან ეპიფიტები – ქარაგოზი, ხავსის სხვადასხვა სახეობა ან ფითრი, ასევე მსხვილი გვიმრები, კილამერა და მოცვიც კი. გვიმრები გვაოცებენ თავისი ფორმების მრავალფეროვნებით, დაწყებული უძველესი მესამეული ტიპის, სამეფო და კრიტული ფორმებიდან, დამთავრებული მშვენიერი სკოლოპენდრიებით ნოტიო კავკასური სანაპიროს და ზოგიერთი იშვიათი, მხოლოდ ზოგ ადგილებში (პირენეიზე) შემორჩენილი მარადმწვანე სახეობები. ახალ ზელანდიაში ნახავთ, რომ ბალახის ნაცვლად ნიადაგს არწივის გვიმრა ფარავს. ის აქ გამეფებულია ყველგან, სადაც ადამიანმა გაანადგურა აღმონაცენი. ამ გვიმრებს მოუყვებიან მერქანის და ხებერელის ბუჩქები, რამდენიმე წლის შემდეგ ადამიანის მოქმედების შედეგად მათგან აღარაფერი რჩება. ტყის სამეფო –მწირი ბალა-

ხოვანი მცენარეებით გვაგონებს შორეული მესამეული გეოლოგიური ეპოქის არსებობის პირობებს.

მხარე საოცრად ღარიბია მაღალორგანიზებული ცხოველური სამყაროთი. ვაკვირდებით რა უხერხილოებს, გვაკვირვებს მწერების სიღარიბე უმდაბლეს რბილსხეულიან, მრავალფეხა ჭიისებრთა ორგანიზმებთან შედარებით.<sup>2</sup>

შედარებით ქვეწარმავლებისა და წყალხმელეთა ცხოველებისა, განსაკუთრებით ბაყაყებისა და გველების დიდი მრავალფეროვნებისა, ძალიან ცოტანი არიან ფრინველები და ძუძუმწოვრები. თუ ხოხობებმა მიიღეს თავის სახელწოდება ფაზისისგან ანუ რიონი, მიუხედავად ამისა ეს ფრინველი უპირატესად ჩრდილოეთ კოლხეთისაა. დანარჩენი ფრინველებიც ძირითადად მეზობელი რაიონებიდან არიან და მათირიცხვი შესამჩნევად იზრდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ იწმინდება გაუვალი, ჩახუთული უღრანი ტყეები. ჩვენი რუსეთის მაგლობლები აქ არ ჭარბობენ, აქ ჭარბობს ღაყო, მწვანულა და ზოგიერთი სხვა ფრინველი. იგივე შეიძლება ითქვას ძუძუმწოვრებზე. აქ გვხვდებიან ხმელთაშუა ზღვის ტურები, დათვები, ირმები და მგლები ყველა ეს ფორმები საერთოა მეზობელ მხარეებთან, მაგრამ არა თავის არა საკუთრივ სამხრეთ-კოლხური, შინაური ცხოველებიდან ჩრდილოელის ყურადღებას იპყრობენ კამეჩები.

სამაგიეროდ ბათუმის სანაპირო ძალზე მდიდარია მრავალფეროვანი თევზებით. ბრტყელი, როგორც ბლინები კამბალა, ცისარტყელის ფერებით მოთამაშე ზღვის მამლები,



ბათუმის ბულვარის ხეივანი თოვის შემდეგ

ნახევარარშინიანი (არშინი უდრის 71,12 სმ-ს მთარგ.) ზღვის კატები და წვრილცხვირა, ნემსიწვერა, რომლებიც თავისი არაჩვეულებრივი ფორმებით ჩამოსულთა ყურადღებას იპყრობს. ბაზარსა და მეთევზეებთან შეხვდებით თავისი სახით ნაკლებად შთამბეჭდავ მაგრამ მრავალფეროვან და სუფრისთვის ძვირფას თევზის ჯიშებს. ასეთებია: მერლანი, ღლაბუცა, ქაშაყი და სხვა. ყურეში დაცურავენ მედუზები, ხამანწკა, იჭერენ უამრავ კრევტკებს და სხვა მცირე პლანქტონებს. მწვანე კონცხზე კლდეებზე შეყუჟულან მრავალფეროვანი წყალმცენარეები ხასხასა ჟოლოსფერი, წაბლის-

ფერი და მწვანე, სადაც მოიპოვებენ მიდიებს (*Mytilus fdulis*) ხოლო ფრიალო კლდეებზე, ზღვის დონის ზევითაც სხედან თავის ნიჟარებით შეფარული, როგორც ქიტინიანი ფარებით. ერთი სიტყვით ნატურალისტი ზოოლოგიისთვის შავი ზღვის ეს კუთხე ამოუწურავი წყაროა.

## II

კულტურის პირველი პიონერები, ჩრდილოეთ კოლხეთში, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ ეგვიპტელები. უეჭველია მეზობელი საქართველო ძველთაგანვე ახდენდა გავლენას კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილზე, განსაკუთრებით მებაღეობაზე მაგრამ მშრალ და ცივ ზამთრიანი საქართველოს კულტურები ნაკლებად ერგება ტენიან კოლხეთს. თუმცა სტრაბონი აღნიშნავს, რომ კოლხეთში მოყავდათ სელი და კანაფი. აქედანვე გაჰქონდათ ცვილი, ფისი რაც საჭიროა გემთმშენებლობისათვის, ძველი დროის განთქმული ექიმი

<sup>2</sup>მწერებისაგან განსაკუთრებით ეფექტურია ციციანთელეები, რომლებიც ათასობით მნათ წერტილებად დაფრინავენ ხეებთან, ისე როგორც სადაც ცვილონში.

\* ამ მხარისათვის ძალზე სახასიათოა გველგვესლებიდან კახნაგოვის შხამიანი გველი, რომელსაც აქვს შავი ნახატი წითელ ფონზე, აქაური ნიადაგის ფონის შესაბამისად.

ჰიპოკრატე წერს, რომ აქ გაზრდილი ხილი (ნაყოფი) უძლური და უმწიფარია, რადგანაც ჭარბი ტენიანობის გამო ვერ ასწრებს დამწიფებას, თავად მოსახლეობა ჰაერში ნესტის სიჭარბის გამო იყო მოდუნებული და ჰქონდათ მკრთალი კანი, როგორც სიყვითლით ავადმყოფებს. მაგრამ მიწათმოქმედი ხალხის ტრადიციები მყარად იყო ფესვგადგმული მოსახლეობაში. ჯერ კიდევ 1654 წელს სამეგრელოზე არქანჯელო ლამბერტო წერდა, რომ მეგრელებს შორის მიწათმოქმედებას საპატიო ადგილი უჭირავს. თუ დედამიწაზე სხვა ხალხებში ამ საქმიანობით დაკავებულია უბრალო ხალხი და მდაბიო გლეხკაცობა, სამეგრელოში კი წარჩინებული და მაღალი წოდების ადამიანი თავად ამუშავებს თავის ყანას და არ თვლის ასეთ სამუშაოს დამამცირებლად. მაგრამ თანდათან დასამუშავებელი მიწების რაოდენობა ძალზე შემცირდა და მთავარ ხორბლეულად იქცა ღომი, დაბალი ხარისხის ფეტვი, ზოგ ადგილებში ბრინჯი, უხარისხო ხილი, ყურძენი, ლობიო, კომბოსტო და ხაპი. აი, თითქმის ესაა კულტურული მცენარეების პროდუქტი იმ დროინდელ ჩრდილოეთ კოლხეთში.



ბამბუკის რაყა ჩაქვში

სამხრეთ კოლხეთის მოსახლეობა სანაპირომდე კიდევ უფრო დაბალი კულტურისა იყო (იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო კულტურები. მთარგმ. შენიშვნა). ჯერ კიდევ იმპერატორ იუსტინიანეს თანამედროვე სამხედრო ისტორიკოსი პროკოფი კესარელი წერდა შემდეგს: „ლაზების მიწაზე, რომელთაც ადრე კოლხებს ემახდნენ, არ არის მარილი. იქ არ აყენებენ ღვინოს (ექვი გვეპარება, რომ არ აყენებდნენ ღვინოს. თანაც არა სავაჭრო მნიშვნელობისას მაინც მოჰყავთ სხვა სასარგებლო მცენარეულობა, ხორბლის გარდა. მთარგმ. შენიშვნა). არ მოჰყავთ

ხორბალი და სხვა სასარგებლო მცენარეულობა. ყველაფერი ეს შემოაქვთ ხომალდით რომის იმპერიიდან: „ყველაფერ ამაში ლაზები მოვაჭრეებს უხდიან არა ოქროთი, არამედ ტყავებით, მონებით და სხვა მათთვის არასაჭირო საქონლით“ გარნიზონები, რომლებიც ჩაყენებული იყვნენ კოლხთა ციხე-სიმაგრეებში, განიცდიდნენ ყოველივე ამის ნაკლებობას. თავად ლაზები იკვებებოდნენ მხოლოდ ფეტვით, კულტურის ასეთი დაბალი დონე გამოწვეული იყო იმით, რომ ისინი გარშემორტყმულნი იყვნენ უსიერი და ეკალ-ბარდებით, გაუვალი ტყეებით, ხოლო სანაპიროს მოსახლეებს ურთიერთობა ჰქონდათ, ძირითადად ამ ტყეების მცხოვრებლებთან. ცნობილია ანთროპოგეოგრაფიული ფაქტი, რომ მთელ დედამიწაზე იყო დაბალი კულტურის მქონე ტომები, როგორც ახლა ეკვატორული აფრიკის ტყეებს შემორჩნენ პიგმეები, ბრაზილიისა და ახალი გვინეის ტყეებში ანტროფაგები. ბელორუსიაში პირველყოფილი სლავების რწმენა-წარმოდგენები, ხოლო კოლხეთის მთების ტყეში, ბერძნულ-რომაული კულტურის აყვავების ხანაში თავშესაფარი ჰქონდათ ველურებს (არ გვგონია ბრინჯაოს იარაღის მკეთებელი ხალხი ასე ჩამორჩენილი ყოფილიყვნენ კულტურულად, ამას ადასტურებს თანამედროვე არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული არტეფაქტები. მთარგმ.) რომლებიც თავისი ხასიათის სიტლანქით აოცებდნენ მნახველს. ქართული მატთანე გვიამბობს - მტკვრის სათავეებთან მცხოვრებნი, ალექსანდრე მაკედონელის დროულნი, იყვნენ უხეში ბარბაროსები, რომლებიც სჭამდნენ თავის მიცვალებულებს და არ ასაფლავებდნენ მათ, არ იცოდნენ ნათესაობის წესები.

ქსენოფონტეს სამხრეთ კოლხეთზე გარშემორტყმული მთების მცხოვრებლებს მოიხსენიებს მოსინიკებად, ან ხის კომპკების მკვიდრებად. თუმცა ამ კომპკებში მათი ჯარისკაცები პოულობდნენ ხანდახან მარცვლეულობას და დელფინის ხორცს, მაგრამ ადგილობრივთა მთავარი საკვები იყო გარეული ცხოველები, თხილი, ასევე ველური წაბლი. მდიდარი მოსინიკები ამით კვებავდნენ თავიანთ შვილებს, ბერძნებს აკვირვებდათ მათი კანის სითეთრე, ამ სარდლის სიტყვებით, ისინი სისქეშიც და განშიც ერთი ზომის იყვნენ. ზურგი მათ მოხატული ჰქონდათ, წინა ნაწილები ყვავილებით “მათ ჩვეულებაში იყო, წერდა სარდალი, სახალხოდ ეკეთებინათ ის, რასაც, სხვანი განცალკევებულნი აკეთებდნენ, ხოლო განცალკავებულნი ისე იქცოდნენ, როგორც საზოგადოდ. ამ ლაშქრობის მონაწილენი ამბობდნენ, რომ ეს ხალხი ყველაზე უფრო ბარბაროსული იყო იმათგან, ვინც მათ უნახავთ და ძალზე განსხვავდებიან ელინებისგან. ასევე ახასიათებს მათ სტრაბონი. ის წერს ხალხში, რომლებიც ცხოვრობდნენ ხეებზე და ხის კომპკებში, რომლებიც გამოირჩევიან თავლის გამბანგველი სურნელით (თაფლს, რომელსაც ფუტკრები აკეთებდნენ ყვავილებიდან ახლაც ამავე თვისებებისა) ასეთ თაფლს გამოაფენდნენ გზებზე ჭურჭლებით, შემდგომ თაფლის ზემოქმედებით სარგებლობდნენ და თავს ესხმოდნენ გაბრუებულ მომხმარებლებს და კლავდნენ მათ. ასე დაიღუპა პომპეუსის რამდენიმე კოჰორტა. ასევე დაზარალებდნენ ქსენოფონტეს მეომრებიც. ეს ცხოვრების სურათი მსგავსია დედამიწის სხვა კუთხეში მცხოვრები ბარბაროსებისა. აქვე უნდა ვიცოდეთ, მოსინიკები ატარებდნენ უხეში შალის ქსოვილის ხიტონებს, იყვნენ შეიარაღებულებები რკინის ცულებით (ჩუგლუგებით), შუბებით, ამზადებდნენ სურნელოვან ღვინოს და დაცურავდნენ ჭოროხზე ნავებით.

ჰეროდოტე ამბობს, კოლხები ოდითგანვე ემორჩილებოდნენ სპარსელებს და ახმარდნენ მათ თავის მეომრებს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლებოდა სპარსელების გავლენა მათ კულტურაზე. სპარსელები ახდენდნენ ზეგავლენას ქართველზე რელიგიურ ურთიერთობაში, მაგრამ ამ ქვეყნის კლიმატური განსხვავებულობა არ იძლეოდა საშუალებას ამ რელიგიის დანერგვისა, როცა შავ ზღვაზე უპირატესობა მოიპოვა ბიზანტიამ, მისი გავლენა ბევრად არ შეცვლილა.

პროკოფის სიტყვებით, ლაზიკის მეფეებს იმპერატორები უგზავნიდნენ მეფეთა ღირსებისა და აღიარების ნიშნებს, მათდამი იმპერატორის ძალაუფლებისა, აღიარების ნიშნად, მაგრამ ლაზებს არ ჰქონდათ არავითარი ვალდებულება და არ იხდინდნენ ხარკს. ხალხები, რომლებიც სახლობდნენ ჭოროხსა და რიზეს წყალს შორის ითვლებოდნენ თავისუფალ ადამიანებად, მეგობრობდნენ ორივე სახელმწიფოსთან, გადაჰყავდათ მათი ელჩები და უწევდნენ სხვა სამსახურსაც. როგორც ჩანს იუსტინიანეს დროს სამხრეთ კოლხეთი ეწეოდა გაცხოველებულ ვაჭრობას ბიზანტიასთან. იუსტინიანემ დღევანდელი ციხისძირის ადგილზე ააშენა ციხე-სიმაგრე, რომლის ნაშთები დღემდისაა შემორჩენილი. როგორც ჩანს, ამ მიჯნამ აქედან მიიღო თავისი სახელი, ციხისძირი ქართულად ნიშნავს ციხის ფუძეს, ძირს.აი რას წერდა პროკოფი ამ სიმაგრეზე: „ქალაქი პეტრა მდებარეობს კოლხეთში ევქსინის პონტოს სანაპიროზე. მანამდის ეს იყო უმნიშვნელო ადგილი. მეფე იუსტინიანემ მას კედლები შემოავლო, გაამაგრა და დაამშვენა. ქალაქი პეტრამიუვალია, იმიტომ, რომ ერთი მხრივ გარშემორტყმულია ზღვით, მეორე მხრივ მიუვალი კლდეებით, რომლებიც ყოველი მხრიდან აღმართულია მასზედ. მათგან მიიღო მან თავისი სახელწოდება (პეტრა ბერძნულად ნიშნავს კლდეს. მთარგმ.). ერთ გზას არც თუ ისე ფართეს (რადგანაც მას ორი მხრიდან საზღვრავენ უზარმაზარი ფრიალო კლდეები) მივყავართ ქალაქისაკენ. მისი პირველი დამაარსებლები ზრუნავდნენ რომ სიმაგრის ის მხარე რომელიც ებჯინება გზას, ყოფილიყო შეუვალი, ააგეს კედელი ერთი კლდიდან მეორესკენ გზის პარალელურად, ხოლო გზის ბოლოში აღმართეს თითო-თითო კომპკი, მაგრამ არა ისე, როგორცაა მიღებული, არამედ შემდეგნაირად-ნაგებობაში არსად იყო ცარიელი ადგილი, მიწიდან დიდ სიმაღლეზე, მათ ააშენეს კომპკები (გოდოლები)

უზარმაზარ ერთმანეთთან შედუღებული ქვებით ისე, რომ მისი შენგრევა შეუძლებელი იყო ტარანით ან სხვა ძველი საალყო იარაღით”.

შემდეგ პეტრას ციხესიმაგრის ადგილმდებარეობას კიდევ უფრო აზუსტებს, რომ იგი განლაგებული იყო ზუსტად ნახევმთვარისებრ ღრმულთან შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც მთავრდება აფშილთა ან სამეგრელოს ქვეყანასთან (ყურადსაღებია რომ დღევანდელი ქობულეთის მხარეში, არის ტოპონიმი აფშილაი მთარგმ.). ამ სიმაგრემ იუსტინიანეს დროს მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. სპარსელებთან ომის დროს იქ ცხოვრობდა ვინმე იოანე ზიბი, დაბალი წარმოშობისა, რომელიც სარგებლობდა თავისი მდგომარეობით, იგი მხარის უფროსი იყო. შემოიღო მონოპოლია და ვერავითარი საქონელი ვერ შემოვიდოდა მხარეში მისი ნებართვის გარეშე. იგი ამ საქონელზე აწესებდა დიდ ბაჟს და შესაბამისად მოიხვეჭა უზარმაზარი ქონება, ავიწროებდა ადგილობრივ მოსახლეობას, მათ მიმართეს სპარსეთის მეფეს და ითხოვეს მფარველობა როგორც ოდითგანვე მისადმი დაქვემდებარებულებმა რაც გახდა ომის დაწყების მიზეზი, რომლის დროსაც სპარსელებმა



იაპონური ნეკერჩხალი

აიღეს ციხესიმაგრე, მიუხედავად გმირული თავდაცვისა ზიბას ქონება დაიტაცეს. თუმცა საბოლოოდ მიუხედავად ალყისა და შიმშილობისა ციხესიმაგრე კვლავ გადავიდა ბიზანტიელების ხელში.

ციხისძირში აქამდე შემორჩენილია ერთი გოდოლი, რომელსაც ემჩნევა ორიგინალური წყობა, თუმცა კლდედსთან მისი შეერთება ტიპური ბიზანტიური წყობითაა ამოყვანილი. აქ გათხრები არქეოლოგებს მდიდარ მასალას მისცემს, ხოლო მისი ნანგრევები, რომელიც უძველესია რუსეთში დაკავშირებულია რუსეთ-თურქეთის ომის მოგონებებთან, როცა რუსები ამაოდ ცდილობდნენ გამაგრებული ადგილის აღებას. ნანგრევები დიდ ინტერესს იწვევენ. თუ სუროთი შემოხლართული და მასზე აღმოცენებული ხეებისგან ნანგრევებს გავათავისუფლებთ იგი ტურისტებისთვის მიმზიდველი გახდება. აქედან იმლება შესანიშნავი ხედი რიონის დაბლობზე, ზღვასა და კავკასიის ქედზე.

აქედან ცქერისას ნათელი ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრას ციხესიმაგრეს, როგორც სტრატეგიულ პუნქტს, რომელიც უღობავდა გზას ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ბარბაროსებს ანტიკური კულტურის ქვეყანაში. ჩვენ ვიცით პეტრას გმირული დაცვის ისტორია, მაგრამ არაფერს ვუწყით მის კულტურულ გავლენაზე მხარის სახალხო მეურნეობაზე. უეჭველია, რომ ბიზანტიური გავლენის გამლიერების ჟამს გაუმჯობესდა მიმოსვლითი კავშირები. ამ მხარეში ვხვდებით ძველი ქვის ხიდებისა და საზღვაო ნაგებობების ნაშთებს.

განსაკუთრებულად აყვავდა სულიერი კულტურა მე-13 საუკუნისათვის, როცა მხარე შევიდა ტრაპიზონის სამეფოში (სამხრეთ ნაწილი) და იმყოფებოდა საქართველოს დედოფლის თამარის ძლიერი ხელისუფლების ქვეშ. გადმოცემებით 1204 წელს იგი შეჩერდა თავის ლაშქართან ერთად ბათუმის მახლობლად, სადაც ახლაცაა შემორჩენილი ყოროლისწყლის შესართავთან ნანგრევები, რომელსაც თამარის ციხეს უწოდებენ.

მოგვიანებით აქ შემოიჭრნენ თემურლენგის მონგოლები, რომლებსაც მოჰქონდათ სიკვდილი, ასევე გამანადგურებელი იყო არაბთა შემოსევები. მთელმა ჩრდილოეთმა ნაწილმა სამხრეთი კოლხეთის და მიმდებარე აჭარის სოფლებმა დაკარგეს მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომლებიც ლაზებისაგან შედგებოდა (არაბების შემოსევა

სამხრეთ კოლხეთში ბევრად წინ უსწრებდა თემურლენგისას, მე-7-8 სს. მთარგმ.). ისინი ჩაანაცვლა სუფთა ქართულმა ტალღამ აღმოსავლეთიდან და მხარე გაყო ორ ნაწილად, ერთი რომლებმაც შეინარჩუნეს კოლხების ძველი ენა სამეგრელოდ და მასთან ენობრივად ახლო მდგომ ლაზისტანად. ახლა რუსეთს ეკუთვნის ჭოროხს გადაღმა მცირე ნაჭერი, სადაც სამხრეთ კოლხეთში ცხოვრობს ძველი ლაზიკის მოსახლეობა. თუმცა ლაზიკის მცხოვრებნი თავისთავს უხმობენ ლაზებად ან ჭანებად, როგორც ეს მათ სურთ, ახლა ძალზე შერეულია ძველი ჭანები, კოლხები, ხალიბები და თურქები დიდი ხანია შეერივნენ ერთმანეთს.

გარკვეულ დროის განმავლობაში სამხრეთ კოლხეთი რჩებოდა თავადების გურიელისა და მეგრელების ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებული. ამ ეპოქისათვის იქ ბევრი მონასტერი, ტაძარი იყო, ჰყვავდა ლიტერატურა და ხელოვნება. დამოუკიდებლობის მცირე ხნის შემდეგ, რომელიც შექმნა ერისთავმა კახაბერ ვარდანის ძემ, 1564 წელს მხარე მოექცა თურქთა ბატონობის ქვეშ. სულთანმა სულეიმან დიდებულმა ჭოროხს მიღმა ააშენა ციხესიმაგრე (იგულისხმება გონიოს ციხე, ადრე აშენებული, რომელსაც რეაბილიტაცია ჩაუტარეს მე-16 ს. თურქებმა. მთარგმ.) რომლის ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი. თურქეთის დაპყრობებმა ბოლო მოუღო ელენისტურ ქართულ ზეგავლენებს. ბოლო ორასი წლის განმავლობაში თურქები განსაკუთრებით თავგამოდებით უქადაგებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ისლამს. მათი მოღვაწეობის შედეგი გახდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მუჰამედის თავგამოდებულ თაყვანისმცემლებლად იქცნენ. რადგანაც თურქეთში ყველა მუსლიმანი თურქად ითვლებოდა ადგილობრივი მოსახლეობა თავს ოსმალებად მიიჩნევდა, მიუხედავად იმისა, რომ არც ხასიათით, არც ტიპურად და არც ენობრივად მათ არაფერი ჰქონდათ საერთო თურქებთან.



ველურად მზარდი ველები (Azalea) ყვითელი და წითელი (მარჯვნივ)

შეიქმნა განსაკუთრებული ხალხი ქართველ-მუსლიმანებისა, რომელთა გარკვეული ნაწილი ცხოვრობდა ჭოროხს მიღმა ქრისტიანულ გურიაში, სახლობდა აჭარაში, ისინი ლაპარაკობდნენ ქართულად, ნელ-ნელა გადადიოდა თურქულ ენაზე და ივიწყებდა ქართულს (ეს არ ეხება აჭარას. მთარგმ.). ქართულ წეს-ჩვეულებებს და ასევე ღებულობდა იმ წესებს, რომელსაც თავს ახვევდა ისლამი.

ჭოროხს იქეთა მოსახლეობის ერთი ნაწილი კიდევ უფრო გათურქებული მეტყველებს ლაზების ძველ ენაზე და თავს ჭანებს უწოდებს. ორივენი მიისწრაფიან თურქეთისაკენ, რუსეთის ხელმწიფობის ქვეშაც კი მკვიდრობს ისლამი.

ამ მხარის დაპყრობა თურქების მიერ ემთხვევა იმ საუკუნეს, როცა

ქვეყნიერების სხვა მხარეებიდან სამხრეთ ევროპაში შეაღწია ისეთმა კულტურულმა მცენარეულობამ, რომლებმაც შემდგომში შესამჩნევი როლი ითამაშეს სამხრეთ კოლხეთის მეურნეობაში:თამბაქო, ვაზი-იზაბელა და ფორთოხალი. აქ ნაგებობებიც კი, რომელიც შეიქმნა თურქული ტიპისაა და მათ აშენებენ თურქეთიდან მოსულები. შეადარებ რა სამხრეთ კოლხეთის ცხოვრებას და მეურნეობას ქართლისა და იმერეთისას, შესამჩნევია, რომ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ უფრო მდიდრულად და კულტურულად, ვიდრე მისი ქრისტიანი მეზობლები (ეს გამოწვეული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობაზე

რუსული იმპერიის ეკონომიკური პოლიტიკით. მთარგმ.). იქნებ ამაშია ძირითადად მიზეზი, ვიდრე მოლების ქადაგების გავლენისა.

უფრო მჭიდრო დასახლება, როგორც ჩანს დაჯგუფებული იყო, ყოროლისწყლის შესართავთან, ეს ადგილი ძველთაგანვე ცნობილია Bathus limen-ის ბათუსის ლიმანის სახელით. აქედანაა ქალაქ ბათუმის სახელწოდება. თურქეთის ხელისუფლების დროს ბათუმი დიდხანს მდებარეობდა მხოლოდ ყოროლის წყლის შიდა მთებში, სადაც ახლა „თამარის ციხე-კოშკია“ მხოლოდ შემდგომში ჩაენაცვლა მას სოფელი, რომელიც დასახლებულია აფხაზეთიდან გადმოსულებითა და ბერძნებით. მე-19 ს შუა ხანებში მისი მცხოვრებლების რიცხვი 5000-ით გაიზარდა, გახდა თურქული ქალაქი.

რუსებმა მხარე და ქალაქი დაიკავეს თურქეთთან უკანასკნელი ომის დროს, ომი გამოცხადდა 1877 წლის 12 აპრილს და ჩვენი რაზმები დაუყონებლივ დაიძრნენ მხარის



დრაცენები მწვანე კონცხზე

საზღვრებისაკენ, გადალახეს ჭოროხი და მიაღწიეს პირველ სიმაღლეებს ე.წ. მუხაესტატეს პოზიციებს, რომელიც დიდი დანაკარგებით დაიკავეს. თურქული შემოტევების მოგერიების შემდგომ მიუახლოვდნენ ციხისძირს. ჩვენს პოზიციებსა და სიმაღლეებს შორის აღმართული იყო მხოლოდ ტყით შემოსილი ერთი ქედი-სამება. ტყე გაჩეხეს და ჩვენმა არტილერიამ გახსნა მძლავრი ცეცხლი. ორივე მხრიდან მოქმედებდა ასობით ქვემეხი. გასროლების ხმა აღწევდა ოზურგეთამდე, რომელიც ბრძოლის ველიდან 30 ვერსზე მდებარეობდა (1 ვერსი = 1,06 კმ.

მთარგმ.). თუმცა ხანგრძლივი ბრძოლა ჩვენი წარმატებით წარიმართა, მაგრამ სიმაღლე ქვეითებს უნდა აეღოთ შტურმით, ისინი დაკავებული სიმაღლეებიდან უნდა ჩასულიყვნენ ქვემოთ და გადაელახათ ჩქარი მდინარე კინტრიში, მოწინააღმდეგის თვალწინ. ეს ამოცანა ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდა, ჩვენმა ჯარებმა დაკარგეს 29 ოფიცერი და 855 კარისკაცი. მათ უნდა გაეწმინდათ სამება და ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ მუხაესტატეში.

ბოლოს, 1878 წლის 25 აგვისტოს რუსული ჯარები შევიდნენ ბათუმში. იმ დროს როცა თურქთა ჯარის ნარჩენები ტოვებდნენ მათ მიერ დაკარგულ სანაპიროებს. დარჩენილი მოსახლეობა დიდხანს ფიქრობდა, რომ რუსეთის მპყრობელობა დროებითია და რომმხარე კვლავ დაუბრუნდება თურქეთს, როგორც კი გადაიხდის კონტრიბუციას, ამაში მათ არწმუნებდა ხელისუფლების ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც ხელს უშლიდა რუსულ მოსახლეობას აქ საკუთრების შექმნას. თურქებმა აქამდის არაფერი გადაიღეს რუსებისაგან და აქ გვერდი-გვერდ თანაცხოვრობენ ძველი თურქული და ახალი რუსული კულტურა, ელოდებიან რა რომელი მათგანი დაუთმობს ადგილს მეორეს.

### III

როცა ვამბობთ „თურქული დასახლება“ ბათუმის ოლქში არ უნდა წარმოვიდგინოთ სოფელი ამ სიტყვის ჩვენი გაგებით, ქუჩებით, კარმიდამოთა რიგით და ეკლესიით. სავარაუდოა, რომ მოსინიკები სახლდებოდნენ ისევე, როგორც მათი მემკვიდრეები. ასეთი ტიპის დასახლებები ნაკარნახევია თვით ბუნებისაგან. ვისაც მისგან ხელის აღება სურს, მკაცრად ისჯება, ხდება მალარიის მსხვერპლი, რომელმაც წაიყვანა არამცირედი ჩვენი თანამემამულე, მათ სხვის მონასტერში თავისი წესრიგით სურდათ დასახლებულიყვნენ თავისებურად, სწორ ადგილზე, მდინარესთან, როგორც თავის სამშობლოში.



ჩაის პლანტაცია ჩაქვის საუფლისწულო მამულში

ტებიან უსასრულოდ და მივყავართ ცალკეულ ერთმანეთისგან ისე შორს, რომ ხშირად მეზობელი მეზობელს ხმას ვერ აწვდენდა, არათუ ვერ ხედავდნენ კარმიდამოდან-კარმიდამოს, რომლებიც ჩამირულნი არიანხან ველურ ტყეში, ხან ტევრში, რომელიც შედგება მსხმოიარე ხეებისაგან. მატერიკის შიგნით, საიდანაც როგორც ჩანს მოტანილია ნაყოფის მომცემი ხეები, იქ მეხილეობა დგას უმაღლეს საფეხურზე, მაგრამ როგორც ჰიპოკრატეს დროს რიონის დაბლობზე, ხეხილის ხეები ისხამენ დიდი ზომის წყლიან და პარაზიტი სოკოებისაგან დალაქავებულ ნაყოფს. თვითონ ხეები კი აღწევენ ვეებერთელა ზომებს, როგორც ტროპიკებში და კარმიდამოს ირგვლივ ქმნიან ტყეებს. თავად კარმიდამო ლამაზია, მაგრამ არა ამ მხარისთვის დამახასიათებელი. სახლებს ხშირად აშენებენ არა ადგილობრივები, არამედ მოსული ოსტატები, უფრო თურქეთიდან, (უპირატესად ლაზები) ქმნიან რა არქიტექტურას, რომელიც სხვა ცის ქვეშ და სხვა კულტურულ გარემოში ჩაისახა. ასეთი სახლები შეიძლება ნახოთ მცირე აზიის დასავლეთში, ისინი პასუხობენ მუსლიმანური ცხოვრების წესებს, სავარაუდოა რომ ეს ნაგებობის გამომუშავებული ტიპი ძველთაგანვე ჩამოყალიბდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში.

სახლი ორსართულიანია: ქვედა სართული ნაგებია ქვით, იგი არაა საცხოვრებელი, აქ შეიძლება იყოს საკუჭნაო, სამზარეულო, ბოსელი, იგი, როგორც წესი, მიყრდნობილია კლდეზე. ეს სართული, რომელიც მაღალი ფუნდამენტის როლს ასრულებს, სახლს აცალკავებს ნიადაგის სინოტივისგან, რაც სწეულებათა წყაროა.ზედა სართული აგებულია წაბლის ფიცრებით, გარშემორტყმულია აივნით, რომლებიც ქალაქებში ხშირად გადახურული გალერეებია, ამის გამო ოთახებში ბნელა და დახუთული ჰაერია, რაც ხელს

კოლხეთის მკვიდრი დაბლობზე არ დასახლდება. იგი უპირატესობას მთას ანიჭებს. გარკვეულ სიმაღლეზე და მანძილზე ზღვიდან აშენებს თავის საცხოვრებელს. აქ თბილა, დაცულია ქარებისაგან თან უსაფრთხოა. სოფელში არ არის გზები ჩვენი გაგებით, არის მხოლოდ დიდი ლოდებით მოშენებული საცხენოსნო ბილიკი, ხშირად ციცაბო. წვიმების დროს ლიპი გზა, სადაც მიმოსვლა წლის ყოველ დროს ჭირს ძველი ბიზანტიური დროის შემდეგ, მხოლოდ უკანასკნელ წლებში იხილეს საეკიპაჟო გზები. უწინ კი მხოლოდ ორთვალისანი ურმით შეიძლებოდა გაგებდათ გადაადგილება უგზოობის ამ ქვეყანაში. გზები არ მიდიან გარკვეული ცენტრისაკენ არამედ იტო-

კარმიდამოსთან, მიმოზნეული არიან

არ უწყობს საცხოვრებლის ჰიგიენას. გლეხის სახლში იგი ღიაა და მას წვიმისა- გან იცავს დახრილი კრამიტის სახურავი, რომლის წითელი ფერი ტყის მწვანე ფონზე შორიდანვეა შესამჩნევი. სახლთან ახლო აღმართულია სასიმინდე (*ნალია მთარგმ*), რომელიც დანიშნულებით პასუხობს ჩვენ ჩრდილოურ ოვინას, ეს სასაწყობე ნაგებობაა პურეულისთვის. სავარაუდოა რომ მან შეინარჩუნა ქსენოფონტეს დროინდელი პირველადი არქიტექტურის ნიშნები. ოთხ კუნძად დამორილი გადანაჭრები, გადახურულია, იმით რაც ხელს მოყვებათ, რომლებიც ეყრდნობიან ოთხ მაღალ ხიმინჯს, ხშირად საყენის სიმაღლეზე ან ოდნავ (*საყენი 2 მეტრი და 13 სმ-ია. მთარგმ*) მეტზე, ისე როგორც შვეიცარიაში, თავგებს გზას უღობავენ ბრტყელი ქვები, რომლებიც მოთავსებულია მასზე დაყრდნობილ მორებს შორის. სადაც მოხვედრა შესაძლებელია კიბისგვარად დაკბილული მორით, როგორც პოლინეზიაში და აქა-იქ მოსინიკურ ხის კოშკებში, რომელიც განვითარდა ხეებზე ცხოვრების დროს. უნებურად გინდა დაინახო ამ თანამედროვე კოლხეთის სასიმინდეებში უძველესი საცხოვრებელი კოშკები, რომელიც ახალმა სრულყოფილმა სახლებმა. მისი მნიშვნელობა დააკნინა. იმის ნაცვლად, რომ ეცხოვრა თავის საწოვარსთან ერთად, ადამიანმა არჩია ეცხოვრა უფრო კეთილმოწყობილ გარემოში. სხვა ნაგებობებიდან ყურადღებას იპყრობენ იმერეთსა და სამეგრელოში გავრცელებული პატარა წისქვილები, რომლებიც მოძრაობაში მოყავს წყლის ჰორიზონტალურ დინებას, ასეთი ნაგებობების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მთიან ქვეყნებში, ასევე პატარა ხიმინჯებზეა შეყენებული საქათმეები.

კარ-მიდამოს პატარა ეზოები წნული ღობეებითაა შემოვლებული. დაცულია სისუფთავე, როგორც ითქვა ისინი გარშემორტყმულნი არიან ბარდებითა და შეიძლება ითქვას ველური მსხმოიარე ხეებით, რადგან არ ჩანს განსაკუთრებული მოვლის ნიშნები. მე არ შემიძლია შევაქო ადგილობრივი ვაშლი, ატამი და მსხალი. ამ ნაყოფიან ხეებს შორის გვხვდება ყურადსაღები ჯიშები, რომლებიც არ ექვემდებარებიან ლპობას, მაგალითად რკინის ვაშლი თურქულად დემირ-ალმა ჩრდილს იძლევიან ვეებერთელა ბერძნული ნიგვზის ხეები: ისინი საოცრად ლამაზები არიან, სახლის ახლოს თქვენ აუცილებლად ნახავთ მსხვილი ხის ზომის ლედვის ხეს. ცეცხლისფერი ყვავილებით შემოსილი ბროწეული, თავისი



ჩაის ბუჩქი რტო ნაყოფით

შესახედაობით გვაგონებს კოლხეთის ეპიტჰეტს “ალისფერი” თხილი. იგი ნამდვილი თურქული მცენარეა, აქვია ხისმჭრელისგან გადარჩენილი გოლიათური აღნაგობის ტყის წაბლი. აქ შეხვდებით ხურმას ან ბალს. ადგილობრივი ჯიშია მარადმწვანე წყავი, მისი ნაყოფი უყვართ თურქებს, მას მომწვლარტო გემო აქვს. ხეების უმეტესობისაგან ჩამოშვებულია ვაზის შტოები. შემოდგომით ისინი იმოსებიან მოლურჯო მტევნებით. იშვიათად, ჩვეულებრივ ჭოროხს გაღმა, შეიძლება იხილოთ ფორთოხლისა და ლიმონის ხეები. ეს კულტურა, ფორთოხალი აქ უკვე რამდენიმე ასეული წელია შემოტანილია. ასეთი ხეებით გარშემორტყმული საცხოვრებელი, განლაგებულია მთის მწვერვალზე, საიდანაც ზღვისა და მისი შემოგარენის ლამაზი ხედი იშლება.

ნათელ დღეს აივანზე ამწვანებულ ხეებსა და ირგვლივ გარშემორტყმულ ტყეებს შორის მყოფი, სუნთქავთ სუფთა ჰაერს, მეზობლისაგან დაუბინძურებულს, სიამოვნებას ღებულობთ სოფლის ერთ-ერთი ულამაზესი მხარის ხედებით, შეგიძლიათ გაიგოთ ადგილობრივი, კეთილგანწყობა, სიზარმაცე და კონსერვატიზმი, რომელსაც არ სურს თავის გარემოში შემოიტანოს სიახლეები, რაზედაც უმედეგოდ ირჯებოდნენ მოსული

ელემენტები, რომლებიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ აბინძურებენ ამ საოცარ ბუნებას დაიბადნენ და გაიზარდნენ მკვიდრები, რომელიც ესმით მხოლოდ სოფლებს, მიმოფანტულებს მთების ტყიან ზონაში. ამიტომაც მათი მიწათმოქმედება პირველქმნილია, მაგრამ აუგად მოიხსენიოს ადგილობრივების ყბადაღებული სიზარმაცე, შეუძლია მხოლოდ მას ვინც მიჩვეულია ყოველივე გაზომოს საკუთარი თარგით. მიწას ფერდობებზე ამუშავებენ თოხით – პირველყოფილი იარაღით წარმოშობილს კაცობრიობის განვითარების პირველ სტადიაზე. მაგრამ როგორი იარაღით დაამუშავებთ ამ დაკიდებულ ფერდობებს, როცა დაბლობების მცხოვრებლებს უკვირთ თუ როგორ შეიძლება იქ ასვლა, არათუ მიწის დამუშავება. ამ მიწებზე მისასვლელად საჭიროა გზის გაკაფვა ტევრში, წალდებით და ნაჯახებით, სადაც ყოველი გოჯი დასამუშავებლად ვარგისი მიწისა უნდა გამოსტაცო ტყეს, რომელიც მზადაა კვლავ შემოიჭრას, როგორც კი ადამიანი ხელებს ჩამოუშვებს. გაფანტულად თესვენ სიმინდს, თოხნიან მას რამდენჯერმე ზაფხულის განმავლობაში, იქვე რგავენ მხვიარა თურქულ ცერცვს ან ლობიოს და სხვა მცენარეებს.

სიმინდი და ლობიო არის მთავარი მარჩენალი ადგილობრივი მოსახლისა. პირველიდან ის ამზადებს პურს, რომელიც მოგვაგონებს ბისკვიტს, მაგრამ გემოთი გვაგონებს ბარდას, ეს პური და მოხარშული ლობიო მისი მთავარი საკვებია. თუმცა ახლახან ბრინჯის და ღომის კულტურა ასრულებდა საჩინო როლს, ახლა ბრინჯს ყველა გლეხკაცის სუფრაზე ნახავთ, მხარის ბევრ ადგილას შეხვდებით უზარმაზარ ჩამურებს, მიტოვებულს მიწებებში, მარცვლეულის სანაყად. საერთოდ სამხრეთ კოლხეთის მცხოვრების საკვები საკმაოდ მრავალფეროვანია, ისლამის გავლენით, მათ შეწყვიტეს ღვინის მიღება რომელსაც შთანთქავს მის მეზობლად მცხოვრებიგურულების შემოსავალს. ისინი არც ისე ცუდად იკვებებიან, მე გამისინჯავს საჭმელები ისეთი ნატიფია, რომ რთულია შეიქმნა წარმოდგენა მათზე, თუ არ იცი მოსახლეობის მთლიანი საყოფაცხოვრებო პირობები.

თანამედროვე კოლხის ტანსაცმელიც ისევე შეიცვალა უწინდელთან შედარებით როგორც ბევრი სხვა რამ. ის ლამაზია. თავისებური – ყაბალახი კავკასიური ტიპისაა, თავზე იხვევა ჩალმის მსგავსად. ჩერქეზული ჩოხის ნაცვლად ატარებენ მოკლე ქურთუკს წელამდე, ასეთივე მაუდით და საქილვაშე ჯიბეებით მკერდზე.ეს, როგორც ჩანს დამპყრობელთა ზეგავლენაა, რომელთაც თავის ნიმუშზე გადააკეთეს ძველი კოლხური ქიტონი. მაგრამ როგორც ძველად, მიუხედავად სუბტროპიკული კლიმატისა, მაუდის ქურთუკები და შარვლები ძალზე გრძელი ვიწრო დაბოლოებით და მჭიდროდ ეკვრიან ფეხებს, ძალზე ფართოა წელთან.ეს ყველაფერი იკერება მაუდისაგან. როცა ზაფხულის ცხელ დღეს ბათუმის ნოტიო ატმოსფეროში, ხედავ ამ კოსტიუმს ან ტანსაცმელს ადარებ მათ სხვა სუბტროპიკული მხარეების თავისუფალ გრილ ტანსაცმელს და გაცვებს მათი შეუსაბამობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ტემპერატურის მკვეთრ დაცემას, მაგალითად დაისის შემდეგ ორგანიზმის მგრძნობელობას სიცვიისადმი სინესტის პირობებში, მაშინაც კი როცა ტემპერატურა არც ისე დაბალია და ის ვითარება, რომ კავკასიური მაუდი ჰაერს ატარებს, ამასთანავე სითბოს იკავებს და ადვილად არ სველდება გლეხისათვის ეს მისაღებია, რადგანაც მას არ აქვს საშუალება ჰქონდეს განსაკუთრებული ტანსაცმელი ყველა სეზონისათვის ან ყოველი დღისათვის. ასევე ინგლისელების ტანსაცმელი ქვეტროპიკებთან, ისევე, როგორც თანამედროვე აჭარული, არ შეიძლება ჩავთვალოთ არამიზანშეწონილად. ტყავის წულები, ჩექმების ნაცვლად და შალის წინდები პასუხობენ მუდმივად ნესტიან და ცივ ნიადაგზე მოხერხებულ მიმოსვლას.<sup>3</sup> მცირე ხნის უკან მოსახლეობა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული დადიოდა. თოფი, დამბაჩა და ხანჯალი მისი განუყრელი ატრიბუტი იყო, ამიტომაც მხარე ჩამოსულზე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ის ავანაკებითაა დასახლებული. ახლა, როცა იარაღის ტარება აკრძალულია, ამ უპირატესობით სარგებლობენ მხოლოდ სტრაჟნიკები (მცველები) კოლხის მთავარი სამკაულია საათი გულსაკიდი ძეწკვით, რის გარეშეც ვერცერთ ადგილობრივს ვერ ნახავთ.

<sup>3</sup> საცვალი-პერანგები, ჟილეტები ქართული თარგისაა, როგორც ჩანს გვიანდელი ნასესხობაა.

ვსაუბრობთ რა სამხრეთ კოლხეთის ადგილობრივ მოსახლეობაზე არ შეიძლება არ ვახსენოთ მომთაბარე ქურთები, ტურისტები რომლებიც მხარეს ზაფხულობით ეწვევიან, ჩვეულებრივ მათ ვერ ხედავენ, რადგანაც გაზაფხულზე სიმინდის დათესვის შემდეგ, რომელსაც მისახედად უტოვებენ მუდმივ ბინადარ მეზობლებს და თავის ნახირთან ერთად მიემართებიან მთებში, უკან ბრუნდებიან შემოდგომაზე ბარგი-ბარხანით დატვირთული ურმები, რომელთაც მოჰყვებიან თხის არვეები, ცხვრის ფარები. მსხვილფეხა საქონლის ჯოგები აცოცხლებენ მხარის გზებს. შლიან კარვებს ბედუინებისა თუ ბოშების მსგავსად, რომლებსაც ძალიან ჰგვანან (ქურთები და ბოშები მეტყველებენ ინდოევროპული ენათა ოჯახის, ინდოირანული შტოს ენაზე. მთარგმ). შესახედაობით და ხასიათით, არიელთა ეს წარმომადგენლები იშენებენ მიწურებს, სადაც ისინი ზამთარს ატარებენ. ისინი გელაპარაკებიან თურქულად, ატარებენ აჭარულ ტანსაცმელს. მომთაბარეების ეს ტანსაცმელი ძონძებად აქვთ ქცეული, თუმცა ამ ნაკლს ასწორებს მათი ტანადობა, სახის ნაკვეთების სილამაზე, ისე როგორც ქურთები, ლაზებიც და ქართველებიც თავის საქონელს მიერეკებიან მხარის სიღრმეში, მთებში, მაგრამ მეპატრონეების ნაწილი ადგილზე რჩება. ასე რომ არსებითად კოლხეთში თქვენ ხედავთ ცხოვრების ისეთ რაგვარობას, როგორც ალპებშია, სადაც მოსახლეობა არის რამდენიმე სარტყელის მცხოვრები, აქვთ მუდმივი საცხოვრებელი, როგორც ზედა ველში ზაფხულში, ხოლო ქვემოთ შემოდგომა და ზამთარში.

ისლამის ზეგავლენა ქურთებზე ნაკლებად იგრძნობა, რაც ქალების მდგომარეობით გამოიხატება. თურქი ქალები აქ დადიან მუდმივად დაფარული სახეებით, ამ ჩვეულებას აქ უფრო მკაცრად იცავენ ვიდრე კონსტანტინეპოლში. აქ თქვენ ვერ ნახავთ თურქი ქალის ღია სახეს, მხოლოდ ქურთი ქალები თავის თვალწარმტაც ტანსაცმელში გაძლევენ საშუალებას იხილოთ დაუფარავი სახე მუსლიმანი ქალისა. ასეთია საერთო შთაბეჭდილება, როგორსაც ტოვებს სამხრეთ კოლხეთის მკვიდრი მოსახლეობა. მინდა მკითხველი გავაფრთხილო, რომ ეს ეთნიკური მხარე ნაკლებად შესწავლილია. ზღვისპირეთის ვიწრო ზოლზე, სადაც მოსახლეობა ნიველირებული იქნა თურქული კულტურის მიერ, არც ისე ერთგვარიანია. ჩრდილოეთით ჭარბობენ გურიიდან გამოსულები, რომლებიც დაკავშირებული არაა ამ მხარესთან ნათესაობით. აქვე სოფელაჭყვაში სახლობენ ქრისტიანი ბერძნები, მხარის რუსეთთან შეერთების შემდგომ ბათუმის შემოგარენის სოფლებში, როგორიცაა ორთაბათუმი ან ახალშენი ბერძნებისა და სომხების გარდა სახლობს ბევრი აფხაზი. ბათუმზე, როგორც საპორტო ქალაქზე ჩვენ არ ვილაპარაკებთ. საკმარისია, ვთქვათ, რომ მის შემოგარენში ცხოვრობს ზანგების რამდენიმე ოჯახი, რომლებიც ძალიან შეერივნენ სომხებს, თურქებს და არაბებს. ჭოროხს გაღმა ლაზებად წოდებული მცხოვრებნი ლაპარაკობენ მეგრულთან ახლო მდგომ კილოზე, თავის თავს უწოდებენ ჭანებს, ჩვენ ვიცით, რომ ჭანები კოლხეთის უძველესი მეზობლები იყვნენ. ეს ძველი მაკრონები დიდხანს ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას, მხოლოდ ქრისტიანობის მიღების შემდეგ შევიდნენ ბიზანტიის შემადგენლობაში.

სამხრეთ კოლხეთის მოსახლეობიდან ყველანი როდი არიან ძველი კოლხების სუფთა შთამომავლები. სწავლულ ეთნოგრაფებს მოუხდებათ კარგად გაერკვნენ ამ ხალხების კონგლომერატში, რომელშიც სავარაუდოდ შევიდნენ მცირე აზიის სანაპირო ზოლზე, მცხოვრები სხვა ტომებიც, მაგ. ტრაპიზონის აღმოსავლეთით მოსახლე ხოლივები (ხალი-ბების შთამომავლები. მთარგმ.), რომლებიც დაკავებულნი არიან დელფინების ჭერთა და სამთო საქმიანობით, ასევე ქალდეველები და სხვანი. ამ ხალხებზე გაკვრით მიგვითითებს ზოგიერთი გვარი. ბათუმში მაგ. ხოლივოპულო ამ გამოკვლევებზე უნდა ვიჩქაროთ, მიუხედავად მოლებისმეცადინეობისა, რომ არ დაუშვან ბავშვების სკოლაში მიბარება, რომ არ ისწავლონ რუსული ან ქართული წერა-კითხვა, არც თუ უსაფუძვლოდ ემინიათ, რათა ისინი არ დაუბრუნდნენ ქრისტიანულ ეკლესიას და ქართველი ხალხის წიაღს, რომელთანაც ზღვისპირეთის „ოსმალები“ დაკავშირებული არიან ისტორიითა და წარმომავლობით, კულტურა მაინც აკეთებს თავის საქმეს, ვინც რამდენადმეც კი არ უცხო-

ობს პროგრესს, ბოლოს ადრე თუ გვიან ჩათრეული იქნებიან თანამედროვე ცხოვრების მორევი და დაიწყებენ იმ წესებით ცხოვრებას, რომელსაც ქმნის თანამედროვე ცხოვრება სამხრეთ კოლხეთში.

#### IV

სრული კულტურული გადატრიალება გამოიწვია მხარეში რუსულმა ზეგავლენამ (ქართულმა უფროსე. მთარგ.), თუმცა რუსული გლეხური სოფელი აქ ორია ყიზილ-თოფრაკი და რომანოვსკოე, ორივე მიტოვებულია. შეიძლება ვილაპარაკოთ რუს მოაგარაკებზე და მიწათმფლობელებზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსები 30 წელია ფლობენ ზღვის სანაპიროს, ყველა მხარე როდი მოექცა მათი გავლენის ქვეშ. არაფერი რომ არ ვთქვათ ზღვისგან მოშორებულ დაბლობებზე, როგორცაა მდინარე ჭოროხის შენაკადის აჭარისწყლის, ასევე თავად ჭოროხის შუაწყლის, ისინი განსხვავდებიან თავისი ბუნებით სანაპიროსგან, არ შემოდინან ჩვენს აღწერილობაში, თვით სანაპიროს ბევრ ადგილს არ შეხებია რუსული კულტურა. მიზეზი რამდენიმეა ციებ-ცხელების გარდა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა მხარეში. მოსახლეობის სწრაფად ჩასახლებას ბათუმში ხელს უშლიდა ბათუმში მოქმედი კანონი, რომლის მიხედვით შენარჩუნებული იყო მიწათმფლობელობის თურქული წესი: რუსების მიერ შეძენილ მხარეში, ადგილობრივებს არ შეეძლოთ თავისუფლად გაეყიდათ თავისი მიწები, გარდა იმათთა, რომლებიც სარგებლობდნენ პირად კუთვნილების განსაკუთრებული წესებით. ეს სამართალი, ხშირად დაუმტკიცებელ გაუგებრობის წყარო იყო, ბევრ ადამიანს უძრავი ქონებით მფლობელობისა, ეს უფლებები ხშირად დაუმტკიცებელი, ბევრს ართმევდა სურვილს, ჰქონოდათ მფლობელობაში უძრავი ქონება მხარეში. მიუხედავად ამისა, სადაც იყო შესაძლებლობა




კამფორის დაფნა

დიდი რისკის გარეშე, ეყიდათ მიწა. მას სწრაფად ითვისებდნენ სახლდებოდნენ. ასეთებია მწვანე კონცხი, მახინჯაური და ციხისძირი, რომელიც მჭიდროდ დაიფარა ინტელიგენტთა აგარაკებითა მთელი სანაპირო გადაიქცა იმვითი მცენარეების არნახულ ბაღად, რომელიც არნახული იყო სხვა რუსული სუბტროპიკებისათვის. აგარაკების არათანაბარი განაწილება იწვევდა იმას, რომ სანაპიროს სხვადასხვა ნაწილები არ ესადაგებოდნენ ერთმანეთს, ამიტომაც უფრო მოსახერხებელია მათი ცალ-ცალკე განხილვა დაწყებული თურქეთის საზღვრიდან.

1914 წლის ომამდე სივრცე ჭოროხის შესართავიდან ანუ საზღვრამდე რჩებოდა თურქულ მხარედ თუ არ ჩავთვლით 2-3 პიონერს და მდინარე ჭოროხის ახლოს ძირითად რუსულ დასახლებას, ყიზილ-თოფრაკს, მხარე საერთოდ არ მოუნახლებიათ ბათუმში ჩამოსულ ტურისტებს და მის არსებობაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. ამავდროულად

ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია რუსეთსა და კავკასიაში მშვენიერი მუქი ცისფერი ზღვა აქ უახლოვდება კლდოვან ნაპირს, რომელიც ისე ციცაბოდ წყდება, რომ დიდი თურქული ფელუკები ისე უდგებიან, თითქოსდა ბუნებრივი ნავმისადგომი იყოს. ადგილადგილ მუქი ბაზალტის კლდეები შვეულად პირდაპირ ზღვაში ეშვებიან. ტალღები ეხეთქებიან მათ და ანგრევენ, რითაც იქმნება უზარმაზარი ნატეხების გროვა, რომელთაგანაც სარფის სიახლოვეს შუა ზღვაში წარმოქმნა სამი პატარა კუნძული უჩყარდაში.

ზოგ ადგილას ტალღები გამოთხრიან ღრმა გამოქვაბულებს, ზოგ მათგანში თქვენ შეიძლება შეცუროთ დიდი ნავითაც კი, ზოგიც განლაგებულია კენჭებით მიმოყრილ მომშვილდულ ზღვის ნაპირზე და გარშემორტყმულია მწვანედ შემოსილი ლამაზად დამშვებული ფრიალო კლდეებით. ერთ-ერთი გამოქვაბული მიდის შორს ხმელეთისაკენ.



აყვავებული კომში

ლება დატკბეთ გემიდან ან ნავიდან. პირველს არ აქვს ასეთი მარშრუტი, ხოლო ნავიდან შეიცავს გარკვეულ რისკს მოხვდეთ უამინდობის ტყვეობაში, მხოლოდ ზოგიერთები თუ გაბედავენ იმოგზაურონ ამ ნაპირებისაკენ, ლიმიანიდან ბათუმისაკენ, გამოსვლის შემდეგ თქვენ გაივლით განიერ ქვაბულს სადაც დათესილია ბრინჯი. ეს მაკრიალია, ადგილი ჰგავს ზღვისაკენ გახსნილ დიდ კრატერს, რომლის ფსკერზე ოდესღაც ჰყვავდა მაღალი კულტურა. აქ კიდევ აღმართულია სუროთი შემოსილი ქრისტიანული ტაძრის ნანგრევები, რომელიც აგებული იყო თითქმის სანაპიროსთან. ხეობის სიღრმეში არის ტაძრის ნანგრევები, რომელშიც შეიძლება იყოს აფსირტეს საფლავი, რადგანაც აქ იყო ძველი აფსაროსი დაარსებული არგონავტების ლაშქრობის დროს. ზოგ ადგილას სიღრმეში კიდევ შემორჩენილია ძველი ნაგებობები. განსაკუთრებით ცნობილია ლამაზი თაღოვანი ხიდი. ჭოროხს იქეთა ეს მხარე, ადგილობრივი ძველი კულტურის მხარეა. სანაპიროსთან შემორჩენილი თურქული ნაგებობები ხელშეუხებელია. მართალია ეს ჭოობის ბრინჯის სამეფოა, კულტურა რომელიც მხარეში ციებ-ცხელებას უწყობდა ხელს. ირგვლივ მთებზეც გავრცელებულია ბრინჯი ოღონდ მშრალი ადგილების. ეს კულტურა სოროჩინული ფეტვი აქ ჭარბობს სიმინდს. მაკრიალის ჩრდილოეთით ხეობაში მიყუჟულია სოფელ სარფის თვალწარმტაცი სახლები. ეს ასევე ტიპური თურქული სოფელია. სახლები, მცხოვრებთა ტანსაცმელი ქალებზე და ბავშვებზე აბრეშუმისაა, ყაბალახიანი მამაკაცები, სახლების დაჯგუფება, ბილიკები მოზრდილი რიყის ქვებით მოკირწყლული – ყოველივე ამას გადავყავართ თურქეთში.


აქ ადამიანმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო გაენადგურებინა ადგილობრივი მცენარეულობა, აპრილში სამხრეთ კოლხეთში ფლორა გადაიფურჩქნება თავისი მშვენიერებით. განსაკუთრებით შეგიძლიათ დატკბეთ ამ მშვენიერ ლიმიანში, სადაც არის დიდი ჩანჩქერი, ისე როგორც სადაც ნორვეგიაში, პირდაპირ ზღვაში ეცემა. მის ირგვლივ სიჭრელეა შროშანის ფერი პონტური როდოდენდრონების, სურნელოვანი ყვითელი იულების და ლურჯი დიდრონი კავკასიური კესანების. ლურჯი ზღვისა და ლურჯი ცის ფონზე, თეთრად ელვარებენ თოვლით შემოსილი მცირე აზიის ქედები, რომლებიც თავისი სილამაზით შეედრებიან შვეიცარიის, იაპონიის და ნორვეგიის ქედებს.

სამწუხაროდ სანაპიროს მისდევს ცუდი საცხენო ბილიკი და ამ მშვენიერებით შეიძ-



იაპონური მუშმალა

სახლების ირგვლივ, გაშენებულია ძველი ფორთოხლების წარაფი, რომელიც არსებობის ათეულ წელს ითვლიან. მათზე, როგორც სადმე სიცილიაში, თავს იწონებს ათასობით ოქროსფერი ნაყოფი. თურქები იმედოვნებენ, რომ მხარე არ გადაეცემა რუსეთს და არ ანადგურებენ ამ ვეტერანებს, მხოლოდ აქ რუსულ ნიადაგზე შეიძლება დატკბეთ ძველი ფორთოხლის ხეებით, რომლებსაც უვლიდნენ ადამიანები, რომელთაგანაც არავინ არ



ძველი ხიდი მაკრიალში. მარჯვნივ მთა, სადაც ტაძრის ნანგრევებია, შეიძლება იყოს აფსირტეს საფლავი


ლაპარაკობდა რუსულად. ასეთივე ფორთოხლის წარაფები შეიძლება ნახოთ ჩრდილოეთით სოფელ გონიოს კლდოვან განშტოებაზე მის ძირში არის იმავე სახელობის ციხესიმაგრის ნანგრევები სულიემან დიდებულის დაარსებული (ავტორისათვის უცნობია გონიოს ციხის უძველესი წარმოშობა. მთარგ). სულ მცირე ხნის უკანკიდე უვნებელი იყო შესანიშნავად გაკეთებული ჭიშკარი, რომელიც წაიღეს უცხოელმა არქეოლოგებმა, დატოვეს მხოლოდ ნაკლებად საინტერესო კედლის ნანგრევები.

გავცდებით გონიოს და ჩვენ გავდივართ ფართო დაბლობზე, რომელიც შექმნა ჭოროხის მონატანებმა – ძველების აკამფისი, რომელიც შორს ზღვაში იჭრება თავისი ყვითელი წყლებით და ქმნის დინებას, რომელიც ძნელად დასადლევია უბრალო მენავისათვის. ეს წყლები მიემართებიან ნაპირის გასწვრივ და შეერევებიან შავი ზღვის ცისფერ წყლებს და იღებენ მწვანე ფერს ბათუმის სანაპიროს მთელ გრძივზე. კახაბრის ფართო დაბლობის ბოლოში განლაგებულია ბათუმი, რომელიც პირველი ადგილია, სადაც რუსული კულტურა მყარად დამკვიდრდა, ოდესღაც დაჭაობებული, ახლა დაშრობილი, მაგრამ არაფერია ისეთი რომელიც მიიზიდავდა მნახველს და ნაკლებად გამწვანებულია.

ბათუმი თავის სხვადასხვა ნაწილებში განსხვავებულ შთაბეჭდილებას ახდენს. ულამაზესი ხედით გამოირჩევა ნავსადგური. ზღვის ყურე გარშემორტყმულია ამწვანებული ბორცვებით და აგარაკებით. ყურეს აცოცხლებენ სატვირთო გემები და უამრავი ნავები. როგორც ყველა მაჰმადიანურ ქალაქში სანაპიროზე თავს იყრის წითელ ფესებიანი ხალხი. ყავახანებში მაგიდებს მისხდომიან ბერძნები, თურქები და სომხები. ამ ნაწილში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია თურქეთისდროინდელი ქალაქის ნაგებობები. მისი ქუჩები მრუდია და წარმოდგენილია დუქნებისა და საწყობების რიგით. აქ მდებარეობს მეჩეთი, ასევე ბევრი თურქული აბანო, მოსახლეობაში ჭარბობს თურქული ან ადგილობრივი ელემენტი – ეს ბათუმის ძველი ბირთვია, მჭიდრო და ბინძური, ყოფილი თურქული ქალაქისა. ბურინ-თოფქეს კონცხის მეორე მხარეს შუქურის იქეთ გადაშლილია ახალი რუსული კვარტალი. ქალაქს პარალელურად მიყვება მდიდრული საქალაქო ბულვარი – შეიძლება ითქვას თავის

სილამაზით საუკეთესოა რუსეთში. აქ ცას სწვდება უზარმაზარი მაგნოლიები, კვიპაროსები, ფიჭვები, არის ახალზელანდიური დრაცენებისა და იაპონიური მარაოსებრი პალმების რიგი. გაივლით ბულვარს და შეუხვევთ მარცხნივ, თქვენ აღმოჩნდებით ქალაქის ბაღში, სადაც არის უამრავი სუბტროპიკული მცენარე, რომლებიც არც კი უხილავთ რუსეთის სხვა მხარეებში. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე ბანანების დიდი ჯგუფი და ეკვალიპტების წარაფი, სულ ერთიანად ჟოლოსფერი ყვავილებით მოფენილი, გვიან ზაფხულზე, ინდური ირმის რქის ხეები, პალმების წარაფები და სხვადასხვა წიწვოვანი ხეები, რომელთა რომელთა შორის ამაღლებულია სამეფო ოჯახის მცენარეების ჯგუფი, რომელიც დაირგო იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბათუმში ვიზიტის დროს (1888 წელი. მთარგმ).

ბულვარის პარალელურად, გადამკვეთად მიემართებიან ახალი ქუჩები, რომლებიც შეიქმნა, რუსული მფლობელობის ჟამს, ქალაქის ზოგიერთ ნაწილში მდებარეობს ბევრი ნამდვილად ევროპული შენობა. შესანიშნავი სობორო და კათოლიკური ტაძარი. ქუჩებს აქვთ ასფალტირებული მოკირწლვა, მრავალი მათგანი შემკობილია მწვანე ხეებით, ხოლო მთავარი მარინეს პროსპექტი პალმებითა და დაფნის ხეებით, განათებულია ელექტრობით. ბათუმის ეს კუთხე თავისი ბულვარით, სულაც არა ჰგავს რუსეთის მაზრის ქალაქებს, არამედ ევროპული კურორტების მსგავსია, რასაც ვერ ვიტყვით გარეუბანში მდებარე დასახლებაზე, რომლებსაც გადაყვართ ბინძური რუსული სოფლის გარემოში, მაგრამ მთლიან მსგავსებას ვერ ეთანხმებიან აქ აღმართული ეკვალიპტები, კედრები, კვიპაროსები, ბროწეულისა და ფორთოხლის ხეები და სხვა სუბტროპიკული მცენარეები.




ტაძრის ნანგრევები მაკრიალში

ბათუმის მოსახლეობა ახლა ძალიან შერეულია რუსები, ქართველები, თურქები, ბერძნები, სომხები. ესენი აძლევენ მთელ ელფერს მოსახლეობას, რომლებიც თითქმის თანაბარი პროპორციებით არიან წარმოდგენილნი. თუმცა აქ ცხოვრობს ბევრი სპარსელი, ებრაელი და დასავლეთ ევროპიდან გამოსულები. საკმარისია ითქვას, რომ აქ ცხოვრობს 20 კონსული სხვადასხვა სახელმწიფოებიდან. ბათუმის გავლით მიემგზავრებიან მომლოცველები, შუა აზიიდან, ბუხარელები, საპაჩები, თავიანთი თვალწარმტაცი ჩაცმულობით. ზაფხულში ბათუმის ბულვარში, როგორც საპორტო ქალაქში შეიძლება ვნახოთ დედამიწის სხვადასხვა მცხოვრებნი, მათ შორის ინდუსები, ზანგები და მგზავრები შორეული აღმოსავლეთიდან.

თავისი არსებობის მოკლე დროში ბათუმს არა ერთხელ უცვლია თავისი სახე და საქმიანობა. თურქული სიმაგრისა და სოფლისაგან, რუსეთის მპყრობელობისას ძალიან სწრაფად დაიწყო განვითარება და ხალხმრავალ საპორტო ქალაქად იქცა. მთავარი ექსპორტი ნავთზე მოდის, რომლის წასაღებად მოდიოდნენ გემები მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებიდან. ყუთების წარმოება (თუნუქის ყუთები ნავთის ჩასასხმელად) მასობრივად იზიდავდა მუშახელს – კავკასიელებს, შემოსავლს ღებულობდა ადგილობრივი მოსახლეობა. 1905 წლის შემდეგ ეს წარმოება უნდა დაცემულიყო. უცხოური ფირმები, რომლებიც სიცოცხლეს ანიჭებდა ყოველივე ამას. წავიდნენ და ბათუმი ერთხანს მიყუჩდა და დაკნინდა. მაგრამ მალევე დაიწყო ზრდა ადგილობრივმა მრეწველობამ, რომელიც იძლეოდა კეთილდღეობის ამაღლების წინაპირობას. დაიწყო განვითარება სამთო საქმიანობამ, ჭოროხს მიღმა მხარის მადარობის სპილენძმა და სანაპიროზე ჩამოტანილმა მარგანეცის მთებმა ისევ გამოაცოცხლეს მიძინებული ნავსადგური, თვითონ მხარეში სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ ნელ-ნელა გაწმენდილი ტევრები გადაიქცია ჩაის, მანდარინისა და ბამბუკის პლანტაციებად, რომლებიც იძლეოდნენ წინაპირობას განვითარებულიყვნენ ახალ და მსხვილ სასოფლო სამეურნეო წარმოებად.

თუმცა ახლო-მახლო შემოგარენი არ იძლევა წარმოდგენას ამ კულტურებზე, ისე, როგორც ქალაქის მიღმა ამფითეატრის მსგავსად (ტერასები. მთარგ.) ბორცვის მწვერვალებზე განლაგებული სიმაგრეები შემოგარენს აქცევენ დიდ მანძილზე განფენილ სიმაგრეთა რაიონად, სადაც არ შეიძლება თვითნებურად მოიყვანო რაიმე კულტურა, და ადგილად, რომელსაც აქვს ბუნებრივი მცენარეული საფარი და არ იმოსება კულტურული მცენარეებით. მხოლოდ ხეობის სიღრმეში მიყუჩულან მანდარინის და ჩაის პლანტაციების მეპატრონეები იმისათვის, რომ გაიგოთ, თუ რა მისცა რუსულმა კულტურამ მხარეს, უნდა გაემგზავროთ უახლოეს სადგურამდე „მახინჯაური“ და „მწვანე კონცხი“, ეს ორი უძველესი რაიონი არის რუსი მოახალშენეების პიონერული საქმიანობის შედეგი.



ველურად მზარდი როდიდენდრონი

განსაკუთრებით „მწვანე კონცხია“ საინტერესო ამ მხრივ. ქედის განშტოების კალთა, რომელიც კონცხად შეჭრილია ზღვაში, ახლა მიმოფენილია აგარაკებით, პატარა, მცირე სახლებით დაწყებული დამთავრებული მოზრდილი ქვის ვილებით, ჩამოსულს ერთი საათის განმავლობაში შეუძლია ნახოს აქ მათთვის ბევრი არნახული მცენარე, ვიდრე ის თვეობით მოგზაურობის განმავლობაში ნახავს ჩვენი მამულის სხვა ადგილებში.

სამხრეთ კოლხეთის კლიმატური პირობები, როგორც ვნახეთ, ისეთია რომ თავისუფლად შეუძლიათ იხარონ ისეთმა მცენარეებმაც, რომლების დამახასიათებელია იაპონიის, ჩინეთის ახლო მხარეებს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ამერიკის შტატების, სამხრეთ ჰიმალაის კალთების, ახალი ზელანდიის, ჩილის ზოგიერთი ადგილის და აღმოსავლეთ ავსტრალიისთვის. ასევე ზოგიერთი მშრალი სუპტროპიკების ქვეყნების მცენარეულობა, როგორცაა სამხრეთ ევროპა, მექსიკა, არგენტინა, თუ სრული წარმატებით არა, მაგრამ

მაინც იმედმომცემად ან შეიძლება წარმატებით გამრავლებულიყვნენ. აქედან ნათელია რომ დიდი მრავალფეროვნება მცენარეებისა შემოტანილია სხვადასხვა პირების მიერ. ბევრი მცენარე აქ არსებობს 3 ათეულ წლამდეც კი და მნიშვნელოვან ზომებსაც მიაღწიეს. დაიწყო გამრავლება. მათმა შთამომავლობამ დაფარა ნიადაგი და გააძევა ადგილობრივი მცენარეულობა. მხარე გადაიქცა ვებერთელა ბოტანიკური ბაღის სადარად, სადაც წლის 12 თვის განმავლობაში ჰყვავის და ნაყოფი მოაქვს ზემოთ ჩამოთვლილი მხარეების მრავალგვარ მცენარეულობას.



ბათუმის სანაპიროს საერთო ხედი, ქალაქ ბათუმის ნაწილი  
„ნობელის დასახლებად” წოდებული



ეკალიპტი

ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევენ მრავალგვარი სამხრეთის წიწვოვანები: პირამიდული და ჰორიზონტალური კიპარისები, კედრები, სხვადასხვა სიგრძის წიწვებით და სხვადასხვა ფორმის, ხშირად ნამდვის ვეება გირჩებით, არაუკარიები, იაპონური კრიპტომერიები, ტექსოიდები და ყველაზე დიდი წიწვოვანთაგან ველინგტონიები. საგოვანი პალმები ჰყვავიან და მწიფობენ მწვანე კონცხის ბალებში, ისე როგორც სამშობლოში. აქ ბევრი სხვადასხვა სახეობის ნამდვილი პალმაა. მრავალი მათგანი მაღალი ტანისაა და შესამჩნევ როლს თამაშობენ ლანდშაფტში. ასეთებია სხვადასხვა სახის ფინიკის პალმა, ქოქოსები, ნამდვილი ჩინური ლატანიები, მარაოსებრი პალმები, პრიტჩარდიები და

სხვა მრავალი. განსაკუთრებულ ტროპიკულ სახეს ანიჭებენ აგარაკებს სხვადასხვა ჯიშის ტევრები, უზარმაზარი ფოთლოვანი ბანანები, ასევე განტოტვილი დრაცენები, რომლებიც ხარობენ მწვანე კონცხის რკინიგზის სადგურთანაც. ორლებნიანი ფოთლოვანი ხეებიდან ყურადღებას იქცევს მარადმწვანე ქაფურის დაფნები, ახალიები ვეება ფოთლებით. უკვე იანვარში ყვითლდება ყვავილებისაგან მონაცისფრო ნაზი მწვანე ფერის ავსტრალიური აკაცია (*Acacia dealbata*) იგი გაველურდა და იზრდება უზარმაზარი ხეების სახით, რომელთა ტოტები ახლა გააქვთ გასაყიდად რუსეთში.

თებერვალში ყვავილებით მოფენილი იაპონური კამელიები აქ აღწევენ მაღალი ხეების ზომებს მრავალფეროვანი ყვავილები ყოველნაირი ელფერით. მარტში თეთრი როგორც რძე, დგანან ხეხილის ხეები: ბალი, ქლიავი, ატამი. მოგვიანებით მათ ცვლიან ბოლქვისებრნი განსაკუთრებით ნარცისები მათი დაჭკნობის შემდეგ მათ გვერდით იმოსება ახალია კამკაშა ყვავილებით. კედელზე შევოცებული გლიცინიები სააღდგომოდ იმოსებიან სურნელოვანი, ლილისფერი ყვავილებით მაშინ, როცა ამ დროს უზარმაზარი, აქამდის შიშვლად მდგარი პავლონიები იმოსებიან ყვავილებით მაისსა და ივნისში. ყველანი გავარდისფერებულია ხეებზე შემოხვეულ მხვიარა ვარდებით. შემდეგ ივლისსა და აგვისტოში კი დგანან ვარდისფერი ხეები კავკასიური მიმოხებისა.

შემოდგომა, როცა განსაკუთრებით ნათელია ცა, არ ჰგავს სხვა ქვეყნების შემოდგომას. განუწყვეტილ კოხტაობს თავისი სილამაზით ყვავილებით მოჭედილი კამელია სასანქვა (*Camellia sesongua*). ცეცხლოვანი სიწითლით ეწერებიან შემოდგომის მორთულობაში ამერიკული მუხები და იაპონური ნეკერჩხლები, თითქოს პომიდორები ახუნძლული დგანან მსხვილი აგურისფერ-წითელი ნაყოფით შესხმული იაპონური ხურმები. ნოემბერი მანდარინების სეზონია, მთლიანად დახუნძულნი ოქროსფერი ნაყოფებით. დეკემბერში კიდევ იწყებს ყვავილობას თხილნარი, ყვითლდებიან ყვავილებისაგან ეკლოვანი ჯოჯოები *Vlex*-ები, ყვავიან ახალიები.

ყვავილების ამ სამეფოდან ყოველ დღე და თვე მატარებლის მგზავრები ბრუნდებიან ქალაქში თაიგულებით. შობის დღეშიც კი შეგიძლიათ ბაღში მოკრიფოთ იები და ვარდები, ხოლო სააღდგომოდ შეაგროვოთ მარწყვი. გასაკვირი ისაა, რომ აგარაკის მეპატრონეები,

მახინჯაურსა და მწვანე კონცხზე ისე არიან შეთვისებული ამ ადგილებს 1914 წლის მძიმე დღეებიც კი, როცა თურქული ბანდები დაძრწოდნენ შემოგარენ მთებში “გებენი” (გერმანული სამხედრო გემი. მთარგ). ბომბავდა ბათუმს, ხოლო ჭოროხს იქეთა მხარეს კი დაეუფლნენ მტრები, მათ ვერ დატოვეს თავიანთი ბალები და ისხდნენ თავიანთ საცხოვრებლებში, თუმცა ჰქონდათ წასვლის საშუალება.

რაც უნდა მრავალფეროვანი იყოს მწვანე კონცხის აგარაკების მცენარეულობა, მათი კრებული შემთხვევითი ხასიათისაა. მეპატრონეთა უმრავლესობამ თავის მცენარეულობის ზუსტი სახელიც კი არ იცის. ბევრი სასარგებლო მცენარე, რომელთაც შეეძლოთ ეხარათ ამ მხარეში და რაც არ უნდა საკვირველი არ იყოს შეიძლება ითქვას აგრეთვე ბევრი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მცენარეზე ამ მხარისათვის. მხარის ახალი სახეობების ნატურალიზაციისა და სუბტროპიკული კლიმატის სასარგებლო მცენარეების გაცნობისა და სისტემაში მოყვანის მიზნით მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის მთავარი სამმართველოს და ამ სტატიის ავტორის ინიციატივით მწვანე კონცხის მოპირდაპირე ფერდობზე გადაწყდა დაეფუძნებინათ ბოტანიკური ბაღი. ბაღი დაარსდა 1912 წელს თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე მცენარეთა ჩქარი გამრავლების პირობებში, უკვე ბაღის ბევრ კუთხეში იზრდება საყურადღებო მცენარეები. ბაღის მცენარეულობა დაჯგუფებულია იმ ექვსი ძირითადი მხარის მიხედვით, რომლებიც ზემოთ ქმნიან მცენარეთა მთავარ კონტინგენს მხარეში.



მზის ჩასვლა შავ ზღვაში


რკინიგზის ხაზზე დაგეგმილია მოეწყოს პლატფორმა პირდაპირ ბაღის შესასვლელთან, რომ დამთვალიერებელს შეეძლოს პირდაპირ მოხვდეს ამერიკულ განყოფილებაში, რომელშიც შეკრებილია ამერიკული პარკის სახით ამერიკის შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეების ხეები და ბუჩქნარი. ზემოთ ასული დამთვალიერებელი მოხვდება მექსიკისა და ჰიმალაების განყოფილებაში, სადაც შეკრებილია ამ მხარეებისათვის დამახასიათებელი კაქტუსები, აგავები, როდოდენდრონები და პალმები. ეს უკანასკნელნი დიდ სიმაღლეზე დარგულია ბულვარში, საიდანაც იშლება დიდებული ხედი ზღვისა და თოვლის გვირგვინ-დადგმულ კავკასიის ქედისა. ასევე ჩაქვის

საადგილმამულოს ნარგავებისა. შემდგომ მას ესაზღვრება იაპონიის განყოფილება, იაპონურ სტილში იაპონური დეკორატიული მცენარეებით ლოტოსებით, ზამბახებით და იელებით, იაპონური ნეკერჩხლებით რომლებ პოპულარული არიან სამშობლოში თავის სილამაზის გამო, ასევე სუბტროპიკული ხეხილის ხეებით, შორეული აღმოსავლეთის ბოსტნეული მცენარეებით. მხარისათვის ისეთი ახალი ბოსტნეული როგორც არის ჩინური კარტოფილი, იამსი, ბატატები, დაიკონი, სატაცურისებრი ალეკოზები ლაფანები და სხვა. განსაკუთრებით ბევრია ამ განყოფილებაში. ვსტრალიური განყოფილება მოიცავს ევკალიპტების, აკაციების და არაუკარიების დიდ კოლექციას. მწვანე, ზამთარში ყვავილებით დაფარული წლის ამ დროს ძალზე მიმზიდველია ხისებრი გვიმრები, ახალ-ზელანდიური სელის კულტურები და სამხრეთ ნახევარსფეროს სხვა სასარგებლო მცენარეებიდან ყურადღებას იმსახურებენ ჩილესა და ახალ ზელანდიის განყოფილებაში. რკინიგზის ხაზიდან ბაღი გამოყოფილია ღობით, რომლის გასწვრივ დარგულია აგავებით, პალმებით, გაშენებულია სამხრეთ-ევროპული ხეების და ყვავილების ბულვარი.

თუ ბათუმის ბოტანიკური ბაღი აცნობს დამთვალიერებელს რის გაშენებაა შესაძლებელი მომავალში სამხრეთ კოლხეთში მის მეზობლად მდებარე საადგილ-მამულო „ჩაქვი“ გვაძლევს სურათს თუ რაა შექმნილი დღეს სამრეწველო მიზნით.

მწვანე კონცხის აგარაკების მეკატრონეებმა და მოყვარულებმა მხოლოდ ბოლო ხანებში, დეკორატიული მცენარეების ნაცვლად დაიწყეს სარგებლობის მომტანი კულტურების გაშენება. ბოლო დროს მამულებში ფართოდ დაყენებულმა საქმემ ისინი დაარწმუნა, რომ სამხრეთ კოლხეთშიც არის მცენარეები, რომლის გამრავლებაც ყურადღების ღირსია და კარგ შემოსავალს იძლევა. თუმცა ასეთი მცენარეები, იმედს იძლევიან, რომ მომავალში გახდნენ მნიშვნელოვანი, მაგრამ დღემდე მამულები ეყრდნობოდნენ მხოლოდ სამ კულტურას და თითოეული განავითარეს დიდი მასშტაბებით. ასეთი კულტურებია: ჩაი, ბამბუკი და მანდარინი.


გადადიხართ რა საადგილ-მამულოს ჭიშკრიდან მოხვდებით დიდ მანდარინის ბაღში. აქ უკვე დარგულია 50 დესეტინა (1 დესენტინი = 1,09 ჰა. მთარგ) იაპონური მანდარინი უნშიუ. ეს მანდარინი საყოველთაო გავრცელებულისაგან განსხვავდება იმით, რომ არა აქვს სუნი კანში და ის უკურკოა, ისინი მწიფდებიან იტალიურზე ერთი თვით ადრე. უკვე ნოემბრისათვის ამ მანდარინის ნარგავებიანი ველი ყვითლად დაჟღაჟებს ოქროსფერი ნაყოფებით. მანდარინი უძლებს ყინვას და არ უშინდება ამ მხარეში ყველაზე ძლიერ ყინვებსაც კი. ეს მცენარე სანდო კულტურაა, ერთ ხეს შეუძლია მოგვცეს ათასამდე ნაყოფი. მანდარინის ბაღებს საადგილ-მამულოში, რუსეთის ფარგლებში ალბათ ყველაზე დიდი ფართობი უკავია.



რუკა კავკასიის სამხრეთი სანაპირო

გაივლით მანდარინის ბაღს და თქვენ მოხვდებით ბამბუკის ფართო ნარგავებში. თუ ვინმეს აინტერესებს უკვე ეფექტური ნარგავები, უკეთესია მიხვიდეთ ძველ პლანტაციებთან, რომელიც მდებარეობს მამულის სიღრმეში, მდინარე ჩაქვის იქეთა მხარეს. აქ შეიძლება ნახოთ ისეთი მცენარეები, რომელთა ტანი ფეხის სიმსხოა და ცხრა საჟენია (1 საჟენი 2 მ. 13 სმ. მთარგ) სიმაღლეში. ძნელი დასაჯერებელია, რომ დიდი სიმაღლის ხე, შესხმულია რტოებით, რომელზეც ათასობით ფოთოლია იზრდება თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში. ორიგინალურ სურათს ქმნიან ეს ნარგავები გაზაფხულზე, როცა ირგვლივ მიწიდან როგორც შაქრის თავები ამოიწვევებიან, ფართო ქერცლოვანი კოლიებით შემოსილნი, რამდენიმე დღეში ეს კოლიები იქცევიან ადამიანის სიმაღლეზე მეტ მუხლოვან ჭოკებად. კიდევ ერთი კვირა და ისინი გამოისხამენ რტოებსა და ფოთლებს, მათი ზრდა ძალზე ჩქარია, როგორც ამბობენ ბამბუკის ერთ სახეობას სიკვდილით დასჯის საშუალებად იყენებენ. ადამიანს სვამენ ბამბუკზე და მიაბამენ მოზარდ ტანს იმის მაგივრად, რომ ძელზე გასვან, როგორც ამას თურქეთში აკეთებენ. ბამბუკი იზრდება და გამსჭვალავს დამნაშავეს სხეულს. ეს ის ბამბუკია, რომ მიწიდან ახლად ამოსული ისეთი ნაზია რომ ზოგიერთ სახეობას ჭამენ გაზაფხულობით ბათუმლები მიირთმევენ იმ ბამბუკს, რომლისგანაც შემდეგ კეთდება ავეჯი. ბამბუკს ჩვენთან მხოლოდ ავეჯის საკეთებლად იყენებენ. აღმოსავლეთში კი მისი გამოყენება იმდენად ფართოა, შეიძლება ითქვას, რომ აქ ქვეყნების კულტურა ბამბუკურია.

მესამე უპირატესი კულტურა ჩაის პლანტაციებია.



ჩანჩქერი სოფელ ლიმანთან თურქეთის საზღვარი

ჩაის ბუჩქებისათვის იქ გამოყოფილია 50 დესეტინაზე მეტი, ზოგიერთ მამულში თქვენ შეიძლება ნახოთ თვალუწვდენელი სივრცე, რომელზედაც მხოლოდ ეს მცენარეებია დარგული მუქი მწვანე შეკრეჭილი ბუჩქები ღია წითელ ნიადაგზე. მათ შორის გამავალ გზას შემორგული აქვს დრაცენები. სამ ფერდობზე ჩაქვში დარგულია მარაოსებრი პალმები, ფოთლიანი ტყიანი მთები ჩანან ჰორიზონტზე. აქაც და იქაც ბამბუკის ტევრებია – ყველაფერი ეს იძლევა ცეილონის ჩაის მხარეების სრულ ილუზიას. პლანტაციის ცენტრში ცეილონური ტიპით, მოწყობილია ფაქტორია, სადაც დიდი რაოდენობით ამზადებენ რუსულ ჩაის. ჩაქვის სხვა კულტურებს ლაქის, ზეთისხილის, რამის და ზოგიერთ სხვა მცენარეს არ უკავია მნიშვნელოვანი ფართობი.


საადგილმამულოს დათვალიერება ჩრდილოელს ანიჭებს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას. აღწერილი კულტურების გარდა მამულში მიმოფანტულია უკვე დიდი ზომის სუბტროპიკული მცენარეები. თქვენ ხან მიდიხართ მაღალი ევკალიპტუსების ტევრის გვერდით, რომელსაც გადაჰყავხართ სადღაც ავსტრალიაში, ხან კი ავსტრალიური აკაციების გვერდით, რომლის მეზობლად

დასახლებულა ჩვენი ჩრდილოური არყის ხეების ჭალა. ბ-ნ ვერუს ძველ პარკში არის ბევრი იტალიური ფიჭვი, ხოლო ფაქტორიის ზემოთ შემოდგომობით წითლობენ იაპონური ნეკერჩხლის რაყები, რომელთა ფონზე მამულის ბევრ ადგილზე არის ფიჭვის, ბამბუკის და

მაღალი იაპონური კრიპტომერიების ტევრები ჩაის პლანტაციები და პატარა სახლები იძლევიან ამომავალი მზის ქვეყნის სრულ ილუზიას.

სანაპიროს უკანასკნელი მხარე არის ციხისძირი, მნახველს არაფერს ახალს არ სთავაზობს წინა ორ რაიონთან შედარებით. აქ როგორც მწვანე კონცხზე ნაკვეთები დაკავებულია აგარაკებით, რომლებიც უფრო გვიანდელია მწვანე კონცხთან შედარებით. აქ შედარებით ნაკლებია აგარაკები, სადაც მთავარ როლს ასრულებენ დეკორატიული მცენარეები. მეპატრონეთა მთავარი საზრუნავი მანდარინია. არის ჩაის პლანტაციებიც. შემოსავლის მომცემი. ხოლო აგარაკების სიახლოვეს არის გამოყოფილი მოკრძალებული ადგილი სამშენისი მცენარეებისათვის. მაგრამ აქ თქვენ ნახავთ უკვე მიზანმიმართულ საქმიანობას შემოსავლიანი კულტურის გავრცელებისათვის, რაც მომავალი აყვავების საწინდარია.

დასკვნაში მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა ადგილობრივ მოსახლეობაზე კულტურის უახლეს გავლენაზე. თუ თქვენ ამ დაბლობის კულტურული ზოლიდან მდინარეთა ხეობებს აყვებით მთებში, თქვენ იქ ხშირი ტყეების შუა ნაწილში ნახავთ იდეალურ სურათს ძველი თურქული ცხოვრებისა მთელი მისი ხელშეუხებლობით. ცხოვრობენ რა თურქები რუსების გვერდით, მაგრამ მათგან არაფრის გადმოღება არ სურთ, მამაკაცები ჩვეულებრივ გაურბიან მუშაობას. თავის შესაფერისად თვლიან მხოლოდ ჯარისკაცის როლს, მხარე ინარჩუნებს მდინარეების კინტრიში, დაგვის და ჩაქვის სათავეებში ისეთივე სახეს, როგორც ოცდაათი წლის უკან იყო, თუმცა სამეურნეო მიზნებისათვის ეს ადგილები უფრო ფასეულია ვიდრე დაბლობი. ნელ-ნელა კულტურული სარგებლიანობა მაღლა დგება სიჩლუნგეზე. უფრო ფხიანმა ბერძნებმა სოფელ აჭყვიდან, რომლებიც დიდხანს მუშაობდნენ ჩაქვში, დაიწყეს მანდარინის და ჩაის კულტურის დანერგვა. მანდარინზე ლაპარაკი დაიწყეს თურქებმაც. არ არის შორს ის დრო, როცა სუბტროპიკული მცენარეები ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის საგანი გახდებოდა, შეავიწროებს და მეორე პლანზე გადაიყვანს სიმინდს და აიძულებს გაანადგუროს საოცარი ადგილობრივი ტყეები მხარე გარდაიქმნება. იგი უფრო მეტად დაემგავნება იაპონიასა და ახალ ზელანდიას. მაგრამ ველური მშვენიერება ხელუხლებელი ბუნებისა სამუდამოდ გაქრება.



რკინიგზა ბათუმის ბოტანიკური ბაღისკენ

Издательство П. П. Сойкина, Петроградъ, Стрем., 12.

Полный каталогъ Издательства высылается бесплатно.

## ПОЛЕЗНАЯ БИБЛИОТЕКА.

**Астрономъ-любитель.** Руковод. къ ознакомленію съ небесными явлениями и ихъ наблюденіемъ. Сост. дѣйств. чл. Русскаго Астр. Общ. *Е. Предтеченскій*. Съ 43 рис. и черт. Изд. 2-е, испр. и доп. Цѣна 50 коп., съ перес. 65 коп.

*Оглавленіе:* Календарь. Времена года. Знаки Зодіака. Мѣстное время. Календарное четырехлѣтіе. Восходъ и закатъ солнца. Ходъ часовъ. Поправка часовъ. Полуденная днина. Солнечные часы. Широта мѣста. Географическая долгота мѣста. Высота мѣста надъ уровнемъ океана. Луна. Собственное движеніе луны. Луныя фазы. Карта луны. Суточное движеніе луны. Луныя и солнечныя затменія. Звѣздное небо. Прохожденіе звѣздъ черезъ меридіанъ. Большая Мельвѣдига. Пегасъ. Андромеда. Звѣздное небо для каждаго мѣсяца. Астрономическая труба. Выборъ окуляра. Главныя предметы наблюденія и ихъ друг.

**Южно-Американскій Вашингтонъ.** (Жизнь и дѣятельность *С. Боливара*, освободителя Южной Америки). *В. Суворовой*, подъ редакціей и съ дополнен. *Ф. Груздева*. Цѣна 50 к., съ перес. 65 к.

Великія подвиги *С. Боливара*, освободителя Южной Америки отъ испанцевъ впервые на русскомъ языкѣ описаны въ настоящемъ изданіи. На громадномъ пространствѣ всей Южной Америки, отъ пальмъ и знойныхъ равнинъ Мексики до обнаженныхъ скалъ и льдовъ Магеллана пролива, имя этого человека звучитъ какъ что-то героически-великое.

**Натуралистъ на Ла-Платѣ.** Соч. *Хэдсона*, изд. 2-е. Переводъ съ 3-го англ. изд. Книга I. Съ 15 рис. Книга II (окончаніе), Съ 11 рис. Цѣна за обѣ книги 1 р., съ перес. 1 р. 20 к.

*Оглавленіе:* Книга I. Пума (американскій левъ). Приливъ жизни. Любопытныя орудія животныихъ для защиты. Ощущеніе страха у птицъ. Инстинктъ родителей и молодыхъ животныихъ. Хорекъ-вожочка. Штормы изъ стрекозъ. Москиты. Шмели и осы. Природныя ночныя огни. Пауки. Книга II. Минная смерть у животныихъ. Птицы-мухи. Хохлатая паламедя. Семейство древолазовъ. Музыка и танцы въ природѣ. Воскиты, съ жизнью и нравы. Усыпальница гуанако. Странности инстинкта у животныихъ. Конь и всадникъ. Надежды и разочарованія натуралиста.

**Домашній обиходъ.** (Сборникъ совѣтовъ и рецептовъ по всѣмъ отраслямъ домашн. хозяйства). Сост. *Г. Ф. Ц.* 50 к., съ перес. 65 к.

*Оглавленіе:* Пищевые продукты. Одежда и обувь. Цѣтководство. Садоводство и огородничество. Полеводство. Животноводство. Вредныя домашнія животныя. Отопленіе и освѣщеніе. Вещи изъ бумаги; идеи для нихъ. Столярное производство. Глиняное, фарфоровое, мраморное, гипсовое и т. п. производства. Стекланное производство. Металлическія производства. Каучуковыя вещи. Устройство фейерверковъ. Производство разныхъ чернилъ. Сѣбрь.

**Домашняя лабораторія.** (Руков. къ ознакомленію съ основами химіи). *Ф. Фэдо*. Перев. подъ ред. проф. *Н. Лямина*. Съ 37 рис. Изд. 2-е, дополн. и исправ. Цѣна 50 к., съ перес. 65 к.

*Оглавленіе:* Наука о составѣ тѣлъ. Алхиміи. Законъ вѣчности вещества. Кислородъ, добываніе и опыты съ нимъ. Реакція окислванія. Водородъ, добываніе и опыты съ нимъ. Вода и ея свойства. Углеродъ и опыты съ нимъ. Азотъ и его соединенія. Свойства газовъ. Группа галогеновъ. Сѣра, фосфоръ и соединенія ихъ. Боръ и кремній. Щелочныя и щелочноземельныя металлы. Алюминій. Тяжелые металлы. Законъ Бертолле и опыты съ солями. Всѣ описанныя интереснѣйшіе опыты могутъ быть, по настоящему руководству, выполнены дома съ ничтожными затратами.

**Драгоценныя камни.** Составилъ *Ив. Святскій*. Съ 23 рис. Изд. 2-е, Цѣна 50 к., съ перес. 65 к.

*Оглавленіе:* Драгоценныя камни и ихъ происхожденіе; физическія свойства. Алмазь, Везувійнъ дровникъ, Опіиакъ, амазонитъ, Заманитыя яшма, Рубинъ, Знаменитыя рубины, Сапфиръ, Топазъ, Изумрудъ, Бериллъ, Аквамаринъ, Бирюза, Горный хрусталь, Аметистъ, Джиронъ, Опакъ, Гидрофанъ, Хальцедонъ, Агатъ, Хризопрасъ, Карнальнъ, Геліотропъ, Ониксъ, Сардоникъ, Сердоликъ, Яшма, Цирконъ, Гіацинтъ, Жемчугъ и ихъ друг. Приготовленіе поддѣльныхъ камней и искусственнаго жемчуга, алмаза. Искусственное пріготовленіе настоящихъ драгоценныхъ камней. Ограниа алмаза и другихъ драгоценныхъ камней. Волѣныя камней и ихъ др.

Издательство П. П. Сойкина, Петроградъ, Стремянная, № 12.



Образец переплета.

**РОСКОШНОЕ ИЛЛЮСТРИРОВАН. ИЗДАНИЕ**  
въ 3-хъ томахъ, 1372 стран. большого формата, съ 930 рисунками и 6 хромо-литографированными таблицами изображающими фауну: I. Австралийскую.—II. Эфиопскую.—III. Неотропическую.—IV. Арктическую.—V. Восточную.—VI. Океанскую. Все издание отпеча-дано на веленовой бумаге четкимъ, но убористымъ шрифтомъ.

За научную сторону издания ручается имя одного изъ лучшихъ отечественныхъ знатоковъ царства животныхъ,

ДОКТОРА ЗООЛОГІИ

**А. М. Никольскаго,**

подъ редакціей котораго сдѣланъ переводъ съ послѣдняго нѣмецкаго подлинника.

Томъ I. Млекопитающія. 524 стран. + XII съ 2 хромолит. таблицами и 230 черн. рисунками.

Томъ II. Птицы. 324 стран. + XVIII съ 2 хромолит. таблицами и 240 черн. рисунками.

Томъ III. Пресмыкающіяся. Земноводныя. Рыбы безпозвоночныя. 460 стр. + XXXIV съ 2 хромолит. таблиц. и 460 черн. рисунками.

## НАШЕ ИЗДАНИЕ

### „ЖИЗНЬ ЖИВОТНЫХЪ БРЕМА“

содержа въ себѣ болѣе или менѣе полное собраніе разсказовъ изъ жизни животныхъ, въ то же время даетъ обстоятельные сличіе очерки разныхъ группъ животныхъ и затѣмъ—живое описаніе отдѣльных видовъ.

По яркости описаній, по художественности языка, полнотѣ свѣдѣній, занимательности разсказа и, наконецъ, по массѣ иллюстрацій сочиненіе **ЖИЗНЬ ЖИВОТНЫХЪ БРЕМА** является классическимъ произведеніемъ, а по цѣнѣ доступнымъ каждому.

Уч. Ком. Мин. Нар. Пр. **ДОПУЩЕНО** въ учен. библиот. средн. учебн. зав., а также въ безпл. народн. читальни и библіотеки.

Глави. Упр. Военно-учебн. зав. **РЕКОМЕНДОВАНО** для чтенія III—VII кл. надстѣк. кори.

◆ ЦѢНА ЗА 3 ТОМА 6 РУБЛЕЙ ◆

въ роскошныхъ коленкоров., тисненыхъ красками, переплетахъ 8 руб.

Пересылка за 8 фунтовъ.

## აჭარის მუზეუმის ღონისძიებათა დაიჯესტი 2014 წელი

15 იანვარი – გაიხსნა გამოფენა „ზამთრის სურათები“.

30 იანვარი – ჩატარდა ახალგაზრდა პოეტის ნიკა ფუტკარაძის პოეზიის საღამო (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი)

6 თებერვალი – მუზეუმის ექსპოზიციაში ისტორიის განყოფილების გამგემ ასმათ ბაჯელიძემ ქ. ბათუმის №16 საჯარო სკოლის 5<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებს ჩაუტარა ღია გაკვეთილი დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით.

10 თებერვალი – მახინჯაურის ლიცეუმში მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა მაყვალა გოგუამ X-XI-XII კლასების მოსწავლეებს დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით ჩაუტარა თეორიული კონფერენცია.

11 თებერვალი – ჩატარდა მუზეუმისა და ქ. ბათუმის №10 საჯარო სკოლის ერთობლივი კონფერენცია მიძღვნილი დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი)

12 თებერვალი – აჭარის ა.რ. გიდეზის ასოციაციის გიდეზის კურსების მსმენელებს საჩვენებელი ექსკურსია ჩაუტარა მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა ლუარა ხუხუნაიშვილმა.

13-15 თებერვალი – მოეწყო თვითნასწავლი ხელოვან-გამომგონებლის სულხან შაქარაძის პერსონალური გამოფენა.

24 თებერვალი – მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ქ. ბათუმის №13 საჯარო სკოლაში X<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებს ჩაუტარა ლექცია თემაზე: „განათლებისა და კულტურის საკითხები აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს“.

25 თებერვალი – ქ. ბათუმის №16 საჯარო სკოლაში VI<sup>ა</sup>-VI<sup>ბ</sup>-VI<sup>გ</sup> კლასების მოსწავლეებს მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგემ ასმათ ბაჯელიძემ ჩაუტარა ლექცია თემაზე: „25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღეა“.

26 თებერვალი – ქ. ბათუმის №13 საჯარო სკოლაში IX კლასის მოსწავლეებს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ჩაუტარა ლექცია თემაზე: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოჩენილი ისტორიული პიროვნებები“.

27 თებერვალი – მუზეუმის ექსპოზიციაში მეცნიერ-მუშაკმა მაყვალა გოგუამ მახინჯაურის ლიცეუმის X კლასის მოსწავლეებს ჩაუტარა თემატური გაკვეთილი თემაზე: „25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღეა“.

5 მარტი – ქ. ბათუმის №13 საჯარო სკოლაში XI<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ჩაუტარა ლექცია თემაზე: „რელიგიის საკითხი აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს“.

6 მარტი – აჭარის მუზეუმში ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო.

12 მარტი – მოეწყო შეხვედრა მომღერალ ბაიარ შაჰინთან.

26 მარტი – ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „1921 წლის მარტი ბათუმში“ (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

7 აპრილი – ჩატარდა მუზეუმისა და სკოლა „ვერო -2000“-ის ერთობლივი პროექტი თემაზე: „ქართული ჰიმნოგრაფიის სათავეებთან“ (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

8 აპრილი – ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენცია თემაზე: „9 აპრილი – სისხლით დამძიმებული თავისუფლება“ (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

14 აპრილი – მუზეუმისა და სკოლა „იმედის“ ინიციატივით გაიმართა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი საღამო, „ო, ენავ ჩემო“ (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

14 აპრილი – აჭარის მუზეუმისი მოეწყო დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქ. ბათუმის №16 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით.

15 აპრილი – ჩატარდა ლიტერატურული საღამო „ასე უყვარდათ საქართველოში“. ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

15 აპრილი – აჭარის მუზეუმში მოეწყო სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.

25 აპრილი – მუზეუმის ექსპოზიციაში ქ.ბათუმის №2 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეებს ბუნების განყოფილების გამგემ ლამარა გულორდავამ ჩაუტარა თემატური ლექცია თემაზე: „22 აპრილი დედამიწის დღეა“

25 აპრილი – მუზეუმის ექსპოზიციაში ქ. ბათუმის №2 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებს ბუნების განყოფილების გამგემ ლამარა გულორდავამ ჩაუტარა თემატური ლექცია თემაზე: „დავიცვათ დედამიწა.“

25 აპრილი – მუზეუმის ექსპოზიციაში უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა თამარ ტარიელაძემ ქ.ბათუმის №2 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებს ჩაუტარა თემატური გაკვეთილი თემაზე: „დაცული ტერიტორიები აჭარაში“.

25 აპრილი – მუზეუმის ბუნების განყოფილებამ ჩაატარა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თემაზე: „გავუფრთხილდეთ დედამიწას“. მოეწყო დედამიწის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.

8-18 მაისი – მოეწყო გამოფენა „აჭარა მეორე მსოფლიო ომში“.

19 მაისი – მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენა „ძველი ბათუმის ყოფა და კულტურა“.

21 მაისი – ჩატარდა 26 მაისისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

20 ივნისი – მოეწყო ქ. ბათუმის №7 საჯარო სკოლასთან არსებული არტ-სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

1 სექტემბერი – სახალხო ზეიმ „ბათუმობა 2014“, რომელიც გაიმართა მემედ აბაშიძის გამზირზე, გამოფენილი იყო მუზეუმში დაცული შუშის ნეგატივებიდან რეჟისორ შოთა გუჯაბიძის მიერ გამჟღავნებული და დაბეჭდილი 60 ფოტო – „ძველი ბათუმი“.

18 სექტემბერი – სატუმრო „ინტურისტის“ საკონფერენციო დარბაზში ბათუმის ფრინველების III საერთაშორისო ფესტივალზე მუზეუმის ბუნების განყოფილების გამგემ ლამარა გულორდავამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ბაზიერობის ისტორიიდან“.

23 სექტემბერი – მოეწყო გაზეთ „კვირის პალიტრის“ ფოტოგრაფის, ღირსების ორდენის კავალერის მიხეილ როსტომაშვილის პერსონალური ფოტოგამოფენა „მარადისობა წამისა“.

29-30 სექტემბერი – საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ორგანიზებით მოეწყო უკრაინელი მხატვრის სერგეი პონოჩინიკის ნამუშევრების გამოფენა „ხელმისაწვდომი ხელოვნება უსინათლოებისათვის“.

9 ოქტომბერი – მოეწყო გამოფენა „დაუვიწყარი სახეები - მუზეუმში დაცული ქანდაკებები“.

17 ოქტომბერი – მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ინგა დიასამიძემ ბათუმის №1 საჯარო სკოლის VII<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებს ჩაუტარა ლექცია თემაზე: „მუზეუმში დაცული ქანდაკებები“.

27 ოქტომბერი – ჩატარდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის №1 საჯარო სკოლისა და ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ერთობლივი ლიტერატურული სადამო, მიძღვნილი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 177-ე წლისთავისადმი (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

28 ოქტომბერი – მუზეუმის ექსპოზიციაში პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის III კურსის სტუდენტებს ჩაუტარა ლექცია თემაზე: „საქართველო XIII-XIV საუკუნეებში“.

7 ნოემბერი – ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტთა და ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ერთობლივი კონფერენცია თემაზე: „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 177-ე წლისთავისადმი.

17 ნოემბერი – აფხაზ ქალთა კავშირ „ამრას“ ორგანიზებით მოეწყო ბათუმში მცხოვრები აფხაზ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

20 ნოემბერი – საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებმა თამარ დარჩიამ და მადონა ჭრელაშვილმა ქ. ბათუმის №15 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეებს ჩაუტარეს შემეცნებითი თამაში „დააწყვილე“.

25 ნოემბერი – მოეწყო ხარიტონ ახვლედიანის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და კონფერენცია.

14 დეკემბერი – კერძო სკოლა „მასტერ კლასთან“ ერთად მუზეუმის ექსპოზიციაში განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტი „გიდი“.

17 დეკემბერი – მოეწყო სასულიერო გიმნაზიის მოსწავლის, 10 წლის ზუზა გორგილაძის ნახატების გამოფენა (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

22 დეკემბერი – ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა კონფერენცია თემაზე „ქართული სამართლის ისტორიის კარდინალური საკითხები“ (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).



გამოფენა-ზამთრის სურათები



დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო



შეხვედრა ზაიარ-შაჰინთან



დედა ენის დღე მუზეუმში



დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია



გამოფენა - აჭარა II მსოფლიო ომში



მუზეუმების საერთაშორისო დღე



სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ილია ჭავჭავაძის მუზეუმში



კონფერენციის მონაწილეები ილია ჭავჭავაძის მუზეუმში



გამოფენაზე – ძველი ბათუმის ყოფა და კულტურა



აფხაზ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა



გამოფენა – ხელმისაწვდომი ხელოვნება უსინათლოებისათვის



პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი ღია ლექციაზე



მიხეილ როსტომაშვილის ფოტო გამოფენა



გამოფენა - აჭარა II მსოფლიო ომში



გამოფენა მუზეუმში-დაცული ქანდაკებები



გამოფენა მუზეუმში-დაცული ქანდაკებები



საგანმანათლებლო პროექტი „გიდი“




შემეცნებითი თამაში მუზეუმში

ხარიტონ ახვლედიანი – 110



## სარჩევი

1. ოთარ გოგოლიშვილი, თამაზ ფუტკარაძე. ხარიტონ ახვლედიანი –110
2. ხარიტონ ახვლედიანის სტატიები:
  - I. რამდენიმე სიტყვა აჭარა-ქობულეთისა და გურიის ურთიერთობის შესახებ.
  - II. იმერეთის მეფის სოლომონის ბრძოლა ჩაქვში
  - III. აჭარელ-ქობულეთლებისა და ლაზების დამოკიდებულების შესახებ.
3. ალექსანდრე ჩხაიძე. თორთომი.
4. ასმათ ბაჯელიძე. ბათუმი – თავისუფალი ნავსადგური 1878-1886 წწ.
5. ეთერ კილურაძე. საგამომცემლო საქმიანობა ბათუმში 1879-1904 წწ.
6. სამა ლეკვეიშვილი. „ლისტოკ ბატუმი“-დან „ბათუმის გაზეთამდე“.
7. მაცვალა გოგუა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1914-1916 წწ.
8. ოთარ გოგოლიშვილი. ეგნატე ნინოშვილი და აჭარა.
9. ლამარა გულორდავა. კვაჭაძის დამბაჩები.
10. რუსუდან კობრავა. ბათუმის ერთი ქუჩა –მემედ აბაშიძის გამზირი.
11. იზოლდა აბაიშვილი. აჭარის მუზეუმში დაცული მედალიონები და ბარელიეფები.
12. ლამარა გულორდავა. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ზოგიერთი რუკის შესახებ.
13. თამარ ტარიელაძე. კოლხური ტყის დომინანტი ჯიშები.
14. ნოდარ კახიძე. საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ისტორიიდან აჭარაში. (აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის 80 წლისთავის გამო).
15. თამაზ ფუტკარაძე. მეფუტკრეობა თურქეთის საქართველოში (ბორჩხის რაიონის მაგალითზე).
16. ნინო ჯაველიძე, მერაბ მეგრელიშვილი. ერთი დღე სოფელ ცხემლისხიდში.
17. თამარ დარჩია. აბუსერისძე ტბელი.
18. ა. ნ. კრასნოვი. სამხრეთი კოლხეთი. რუსულიდან თარგმნა გოდერძი ტოტოჩავამ.
19. აჭარის მუზეუმის ღონისძიებათა დაიჯესტი 2014 წელი.



სომხური ეკლესია ბათუმში კ. ბაგსაბურდის ძეგლი